K 24482
2

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

მ. ალექსიშვილი

რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხისათვის

საშუალო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა

თბილისი 1956

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

მ. ალექსიშვილი

რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხისათვის

K 24/48
2

ფ-ს. 2018 - 9698

საშეცნიერო - მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა
თბილისი 1956

რედაქტორი დოც. ლ. ეგანოვიძე

შ ე ს ა ვ ა ლ ი

რუსეთსა და საქართველოს შორის ძველი, ისტორიული ურთიერთობის გაგებისა და შეფასების საკითხზე ქართულ ფეოდალურ და ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში დიდძალი ლიტერატურა დაგროვდა და თავიდანვე ორი, ურთიერთპრინციპულად საწინააღმდეგო მიმდინარეობა წარმოიშვა. ძირითად სადავო საკითხს ამ მიმდინარეობათა შორის წარმოადგენდა საკითხი: როგორც მე-18 საუკუნის მიწურულის, ისე შემდგომი ისტორიული შედეგების მიხედვით, სწორი იყო თუ არა ქართველი მოღვაწეების მიერ აღებული რუსული ორიენტაცია. ამ საკითხზე ქართველ მოღვაწეთა ერთი ჯგუფი დადებით პასუხს აძლევდა და მეორე უარყოფითს. ეს მეორე ჯგუფი რუსულ ორიენტაციას არა თუ შეცდომად, არამედ საბედისწეროდაც კი აცხადებდა. ამ ჯგუფს ეკუთვნოდა ერეკლე II დროს თანაუგრძნობდა ერეკლეს მეუღლე დარეჯან დედოფალი, სოლომონ ლეონიძე, ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე, სარდალი დავით ორბელიანი და სხვები.

ისტორიული წყაროების სიმცირე და თანაც მათი მეცნიერულად შეუსწავლელი მდგომარეობა ამჟამად საშუალებას არ იძლევა, რომ სრულიად ნათელი წარმოდგენა გვქონდეს ამ ჯგუფის პოლიტიკურ პლატფორმაზე. საერთო ხაზებში კი, როგორც ჩანს, ეს ჯგუფი ანტირუსული ორიენტაციის დასაბუთებას იმით ცდილობდა, რომ რუსეთის მფარველობაში შესვლა შეკვეცავს ერის სუვერენიტეტს; გეოგრაფიული სიშორის გამო ა მ ჟ ა მ ა დ რუსეთს არ ძალუძს ჩვენთვის საჭირო ეფექტიური სამხედრო დახმარების გაწევა, და ეს იმ დროს, როდესაც ამგვარ მფარველობაში შესვლა უფრო მეტად გააძლიერებს მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნების (თურქეთისა და ირანის) მტრობას ჩვენს წინააღმდეგო.

ამ ჯგუფს არ ესმოდა, რომ მათ მიერ აქ მოტანილი არგუმენტები, საქართველოსათვის მაშინ შექმნილი ისტორიული ვითარების გამო, არ ქმნიდა საფუძველს რუსული ორიენტაციის უარსაყოფად. ვინაიდან, მაშინ საკითხი ეხებოდა არა არჩევანს, ერთი მხრივ, დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობის მქონე საქართველოსა (ამ შემთხვევაში ქართლ-კახეთის სამეფოს) და, მეორე მხრივ, რუსეთის მფარველობაში შესვლას შორის, არამედ დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობას მოკლებულ საქართველოს მიერ რუსულ, თურქულ და ირანულ ორიენტაციაში ერთ-ერთის ამორჩევას.

ასეთ შემთხვევაში, რუსული ორიენტაციის უკუგდება, არსებითად და ისტორიულად ნიშნავდა თურქულ ან ირანულ ორიენტაციაზე დადგომას. ეს კი სხვა არაფერი იყო, თუ არა ის, რომ საქართველოს თავისი ბედი მიენდო მტრულ, ჩამორჩენილ და ნახევრად ბარბაროსული ქვეყნებისათვის, თავი ჩაედო მათ კალთაში და დახმარება ეთხოვა იმათთვის, ვისგანაც საქართველო საუკუნეთა მანძილზე იარაღით იცავდა თავს. ეს იქნებოდა იმის აღიარება, რომ, ვიდრე საქართველოს შეეძლო, ხმლით იცავდა მთგან თავს, ახლა კი, როცა მას ეს აღარ ძალუძდა, ნებაყოფლობით მიდიოდა მათ გილიოტინაზე.

ასეთ ვითარებაში, ამ ჯგუფის საბუთები რუსული ორიენტაციის წინააღმდეგ არა მარტო უკმარისი იყო ამ ორიენტაციის უკუგდების დასასაბუთებლად, არამედ დამღუპველიც საქართველოსათვის. ვინაიდან ეს იყო არა განყენებული თეორიული საკითხი, არამედ ცოცხალი პოლიტიკის საკითხი, რომელსაც რუსულ, თურქულ თუ სპარსულ ორიენტაციაზე დადგომით მალე უნდა მოჰყოლოდა თავისი პრაქტიკული შედეგი. გასაგებია, თუ რა შედეგს მოიტანდა იმ დროისათვის საქართველოსთან უკვე მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი, ძლიერი, მაღალი კულტურის მქონე რუსეთისათვის ზურგის შექცევა და მის მაგიერ ირანისა და თურქეთის (რომელთაც მაშინ თვითონ უპოტინებდნენ ხელებს ინგლის-საფრანგეთის კოლონიზატორები) ხელში ქვეყნის მოქცევა.

ანტირუსული ორიენტაციის ჯგუფის მიმდევართა მთელი უბედურება, როგორც ერეკლეს დროს, ისე მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე და შემდეგაც, ის იყო, რომ ისინი არსებითად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას და რუსული ორიენტაციის საკითხს განიხილავდნენ არა დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობას მოკლებულ საქართველოსთან ურთიერთობაში და არა თურქეთ-ირანის მხრივ შექმნილ საფრთხესთან დაკავშირებით, როგორც ეს სინამდვილეში იყო, არამედ პირიქით: დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობის მქონე საქართველოსთან ურთიერთობაში და თურქეთ-ირანის საფრთხისაგან მოწყვეტით, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ამიტომ იყო, რომ ისინი ანგარიშს არ უწევდნენ რუსული ორიენტაციის უდიდეს დადებით ისტორიულ შედეგებს და რუსეთის ცარიზმის მხრივ ყოველი ველიკორუსული შოვინიზმისა და ძალადობის აქტის გამომჟღავნებას ისინი საბუთად იღებდნენ ამ ორიენტაციის დამღუპველობის „დასასაბუთებლად“.

როცა რუსეთის მფარველობაში ნებაყოფლობით შესვლა (1783 წ. ხელშეკრულება) შემდეგ ასევე ნებაყოფლობით ქვეშევრდომობად იქცა (გიორგი XII 1800 წლის 17 ნოემბრის შუამდგომლობა პავლე პირველისადმი), რაც რამდენიმე თვის მერე პავლე I და ალექსანდრე I მანიფესტებით საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვით გაფორმდა; ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრებმა ეს ფაქტები თავიანთი პოზიციის საგნობრივ დამტკიცებად მიიჩნიეს. ამ ჯგუფის წევრებმა, რომელ-

თაც ახლა თვალწინ ჰქონდათ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვა და ცარიზმის რეაქციულ-რუსიფიკატორული პოლიტიკით ქართული კულტურის შევიწროების მრავალი უხეში ფაქტები, 1832 წელს შეთქმულებაც მოაწყეს სამხედრო ძალით რუსების განდევნისა და მონარჩიული საქართველოს „დამოუკიდებლობის“ აღდგენის მიზნით.

შემდეგ ამ ჯგუფის (რომელნიც ჯერ უმთავრესად ფეოდალური და შემდეგ ხანებში კი ბურჟუაზიული არისტოკრატიის ზედაფენებიდან გროვდებოდნენ) ერთმა ნაწილმა საერთო ენა გამონახა ცარიზმთან და ჩადგა მის სამსახურში. მეორე ნაწილი კი კვლავ რჩებოდა მტრულ პოზიციაზე და ისევ აგრძელებდა ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ. ისინი საკითხს უდგებოდნენ ზედაპირულად, არ უწევდნენ ანგარიშს ისტორიულად მაშინ საქართველოსთვის შექმნილ ვითარებას და ამის გამო არ ესმოდათ, რომ რუსული ორიენტაციის აღება და ჯერ რუსეთის მფარველობაში და შემდეგ ქვეშევრდომობაში შესვლა ყველაზე უკეთესი გამოსავალი იყო მაშინ საქართველოსათვის.

ყოველივე ამის გამო, ისინი ცდილობდნენ რუსეთზე აღებული ორიენტაცია დაესახათ საქართველოსათვის თავზე დატეხილ ყველა უბედურების წყაროდ. ამ ჯგუფის (მიმდინარეობის) წარმომადგენელი მ. ზ. ხელთუფლიშვილი 1901 წელს წერდა, რომ 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატი „საქართველოსთვის წარმოადგენდა „უდიდესი უბედურების წყაროს“[1]. 1906 წელს ზ. ავალიშვილი კი წერდა, რომ „საქართველოს რუსეთთან შეერთება, გარდა მისი ისტორიული მნიშვნელობისა რუსული ძლიერების გაზრდის საქმეში, თვითონ საქართველოსთვის თავისი გარდუვალი შედეგით საბედისწერო მოვლენა იყო“[2]. ფედერალისტთა ლიდერი არ. ჯორჯაძე კი ამავე საკითხზე 1911 წელს წერდა, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთების შედეგად იქმნებოდა პირობები ეროვნების სრული მოსპობისა და ქართველი ხალხის დედამიწის ზურგიდან აღგვისათვისო.

ანტირუსული მიმდინარეობა, რომელიც ამ საკითხში წინათ შედარებით სუსტი იყო, განსაკუთრებული ძალით გამოცოცხლდა ჩვენში მენშევიკების უდღეური ხელისუფლების დროს. ამ თემაზე მაშინ ბევრი იწერებოდა როგორც ჩვენში, ისე დასავლეთ ევროპაში. იქ მაშინ მ. წერეთლის, ვ. ჩერქეზიშვილის, გერმანელი იურისტის პროფ. ლისტის და სხვათა თაოსნობით წამოწყებული კამპანია ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ საქართველოსთან ურთიერთობის საკითხში ისტორიულად რუსეთი დამღუპველ როლს თამაშობდა. მთელი ეს კამპანია მიზნად იმავე გარემოებას ისახავდა, რასაც ჩვენში მენშევიკური პრესაში ატეხილი

---

[1] М. З. Хелтупланшвили, Вступление Грузии в состав Российской империи, 1901 წ., გვ. 17.

[2] З. Авалов. Присоединение Грузии к России, 1906 წ., გვ. III.

ხმაური, სახელდობრ იმას, რომ ქართველი მენშევიკების მიერ საბჭოთა რუსეთისაგან საქართველოს ჩამოცილება „დესაბუთებინათ“ ისტორიული ფაქტებით. მიეღწიათ იმისთვის, რომ ვერსალის საზავო კონფერენციას, რომელიც მაშინ მსოფლიოს პოლიტიკური რუკის ახალ გადაკეთებას ახდენდა, საქართველოს „დამოუკიდებლობა“ ეცნო იმპერიალისტური ქვეყნების ხახაში, იმ იმპერიალისტური ქვეყნებისა, რომელნიც აქ ბატონობდნენ და რომელთაც მაშინ ფაქტიურად ოკუპირებული ჰქონდათ საქართველო.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის სწორი გაგებისა და შეფასების საკითხში ზოგი რამ გაკეთდა, მაგრამ ძირეული გარდატეხა ჯერ კიდევ არ მომხდარა. ეს გარემოება იმით კი არ აიხსნება, რომ ეს თემა ჩვენმა ისტორიოგრაფიამ დავიწუებას მისცა და ისტორიის არქივარიუსს ჩააბარა, პირიქით, ამ თემამ ძალიან აქტუალური ხასიათი მიიღო. მის შეაბებ დაიწერა და გამოქვეყნდა რამდენიმე შრომა. მიუხედავად ამისა პრობლემამ წინ წაიწია უმთავრესად ფაქტოლოგიური დამუშავების თვალსაზრისით, ზოგიერთი საარქივო მასალის აღმოჩენითა და პუბლიკაციით. მაგრამ, ამ ურთიერთობის არათუ პერსპექტიული, არამედ თვით ისტორიული შედეგებიც დღემდე მეცნიერულად დამუშავებული და შესწავლილი არ არის. უფრო მეტიც, „ცრუ პატრიოტიზმის“ ნიღაბში გამოხვეული ზოგიერთი ისტორიკოსი ამ საკითხში ძველი, ბურჟუაზიული შეხედულების აღორძინებასაც კი ცდილობდა.

რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხი დიდი საკითხია. ჩვენ, რა თქმა უნდა, პრეტენზიას არ ვაცხადებთ მის ყოველმხრივ განხილვაზე. ჩვენ აქ გვინდა, შეძლებისდაგვარად მხოლოდ რამდენიმე ძირითად საკითხს გავსცეთ პასუხი. მაგალითად, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით რაში, როგორ და რატომ სცდებოდნენ ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრები. რატომ ვერ შესძლეს რუსული ორიენტაციის მიმდევრებმა ცხოვრების მიერ უკვე დიდი ხნის წინათ დასაბუთებული ამ ორიენტაციის თეორიულად, მთელი მეცნიერული სიღრმითა და ანალიზით დასაბუთება. მართლა მოიგებდა საქართველო, რუსულ ორიენტაციაზე რომ არ დამდგარიყო, როგორც ამას ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრები ამტკიცებდნენ, თუ დაღუპებოდა და გადაშენდებოდა ეგი, როგორც ეს მაშინდელ ვითარებაში რუსული ორიენტაციის გარეშე გარდუვალი იყო. საქართველოს ამ დაღუპვას კი ის გარემოება განაპირობებდა, რომ დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობას მოკლებულ საქართველოს მკრდისაკენ ერთდროულად, დაჟინებით და შეუპოვრად მოიწევდა თურქული, სპარსული და დაღესტნური ბახვალი.

ამასთან ერთად ჩვენ აქ გვინდა დავაყენოთ საკითხი ერეკლე II რეაბილიტაციის შესახებ იმ ბრალდებისაგან, რასაც მას საგარეო ორიენტაციის საკითხთან დაკავშირებით უსამართლოდ უყენებდნენ ზოგიერთი

წერილფეხა მეურვეები. აგრეთვე სპეციალურად შევჩერდეთ ი. ბ. ტალინის შეხედულების გადმოცემაზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისადმი კლასობრივი თვალსაზრისით მიდგომაზე და ა. შ.

ამავე დროს, ჩვენ აქ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ, რადგანაც თავიანთი პოზიციების დასასაბუთებლად ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრები, თითქმის ყოველთვის ერთი და იგივე არგუმენტებით გამოდიოდნენ და ერთმანეთისაგან დიდად არც პრინციპულად, არც საკითხისადმი მიდგომის მეთოდით არ განსხვავდებოდნენ, ჩვენც აქ მათ არ დავყოფთ არც პერიოდების მიხედვით და არც პერსონალურად შევჩერდებით რომელიმე მათგანზე დეტალურად. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი მისი წარმოშობის დღიდანვე პოლიტიკური საკითხი იყო. „პოლიტიკაში კი, — წერდა ლენინი, — დიდად საყურადღებო ის კი არ არის, თუ უშუალოდ ვინ იცავს განსაზღვრულ შეხედულებებს. საყურადღებო ის არის, ვისთვისაა ხელსაყრელი ეს შეხედულებანი, ეს წინადადებანი, ეს ზომები“[1]. ამიტომ ჩვენც, ანტირუსული ორიენტაციის შეფასებას იმ თვალსაზრისით მიუდგებით, თუ რომელი კლასებისათვის იყო ხელსაყრელი დაემახინჯებინა ამ საკითხში სინამდვილე და ისტორიული ფაქტებისათვის ანტიმეცნიერული ინტერპრეტაციის მიცემით შესაძლებელი გაეხადა მასში თავისი კლასის ინტერესების გამოხვევა. მარქსიზმიც კლასობრივი მსოფლმხედველობაა, ვინაიდან ისიც გარკვეული კლასის (პროლეტარიატის) და მთელი ექსპლოატირებული საზოგადოების ინტერესებს იცავს. მაგრამ, მას არ სჭირდება ფაქტების დამახინჯება, ვინაიდან სწორად, მეცნიერულად გაგებული ეს ფაქტები არაოდეს არ ეწინააღმდეგებიან მას.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ამ შემთხვევაში, ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს არა იმას, პეტრე სცდებოდა თუ პავლე, არამედ იმას, თუ ამ სხვადასხვა დროის პეტრესა და პავლეს შეცდომები რატომ არიან ტყუპები, რატომ ისინი ორი წვეთი წყალივით ჰგვანან ერთმანეთს. ერთი სიტყვით, ჩვენ გვაინტერესებს ამ შეცდომების მეთოდოლოგიური მხარე და ამიტომ ჩვენს ამოცანას წარმოადგენს ამ მიმდინარეობის საერთო დახასიათება და განხილვა.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ რუსეთ-საქართველოს ძველი, ისტორიული ურთიერთობის გაგების საკითხში ანტირუსული ორიენტაცია, როგორც მიმდინარეობა, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. მაგრამ არსებობს მისი რეციდივები, რომელნიც დრო და დრო, აქა-იქ წამოჰყოფენ თავს. ეს რეციდივები, როგორც ისინი ამჟამად ბოგინობენ, მხოლოდ მკრთალი ასლია მათი ძირისა — რევოლუციამდელი ანტირუსული ორიენტაციის მიმდინარეობისა. ისინი (ე. ი. ეს რეციდივები) ახალს აბსოლუტურად არაფერს

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 39.

არ შეიცავენ და წარმოადგენენ მხოლოდ უფრო ფრთხილად და შენიღბულად იმავე „არგუმენტების“ ამოთრევას არქივიდან, რომლითაც რევოლუციამდე რუსულ ორიენტაციას ებრძოდნენ ანარქისტებიც, ფედერალისტებიც, მენშევიკებიც და საერთოდ ყველა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები. ამიტომ, გასაგებია, რომ კრიტიკა, რომელსაც აქ ჩვენ ვიძლევით ანტირუსული ორიენტაციის რევოლუციამდელ მიმდინარეობაზე, იგი მთლიანად ეხება რევოლუციის შემდგომი პერიოდის მის დღევანდელ აჩრდილსაც.

ანტირუსული ორიენტაცია, რომელიც ჯერ კიდევ ადრეული საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე წარმოიქმნა, და რომელიც ჯერ ქართველ ფეოდალების და შემდეგ კი ბურჟუაზიული არისტოკრატიის ზედაფენების ინტერესებს გამოხატავდა, არასოდეს არ სარგებლობდა ხალხის დიდი უმრავლესობის მხარდაჭერით და მონოპოლიური მდგომარეობით. მას ყოველთვის უპირისპირდებოდა რუსული ორიენტაციის პროგრესული მიმდინარეობა, რომელსაც ხალხის უმრავლესობა და ქართველი ინტელიგენციის ყველაზე მოწინავე ნაწილი ყოველთვის მხურვალე თანაგრძნობითა და მხარდაჭერით ეკიდებოდა.

ქართველი ინტელიგენციის ეს ნაწილი ყოველთვის კარგად ანსხვავებდა ერთმანეთისაგან რუს ხალხს, რუსეთს და მის ვაი მმართველებს ცარიზმისა და მისი სატრაპების სახით. ამ გარემოებით აიხსნება, რომ ისინი, ერთი მხრივ, დაუნდობელ ბრძოლას ეწეოდნენ ცარიზმისა და მისი სატრაპების რეაქციულ, კოლონიზატორულ-რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, მეორე მხრივ კი, მხურვალე სიყვარულით ეკიდებოდნენ თვითონ რუს ხალხსა, რუსეთს და მასთან აკავშირებდნენ საკუთარი ქვეყნის ბედ-იღბალსა და მომავალს. ამის მაგალითს თუნდაც XIX ს. ჩვენი ყველაზე სახელოვანი მოღვაწეები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ეგნატე ნინოშვილი და სხვები წარმოადგენენ.

როგორც ჩვენს პუბლიცისტურ, ისე მხატვრულ ლიტერატურაში მრავლად ვხვდებით რუსეთის მხსნელი როლისათვის ხაზის გასმას საქართველოს როგორც ნაციონალური კატასტროფისაგან გადარჩენის, ისე მისი მეურნეობისა და კულტურის აყვავების საქმეში. ჩვენი ყველაზე გამოჩენილი პუბლიცისტებისა და მწერლების უმრავლესობა, როგორც ამას ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, ყოველთვის დადებითად აფასებდნენ საქართველოს მიერ აღებულ რუსულ ორიენტაციას და ხედავდნენ მასში ორმხრივ სარგებლობას როგორც რუსეთისათვის, ისე, განსაკუთრებით, საქართველოსათვის.

მაგრამ, გასაგებია, რომ ამ საკითხის დეტალური გარკვევა, სისტემატიზაცია, ანალიზი და ამ მოვლენის მთელი გრანდიოზული მნიშვნელობის ჩვენება, ძირითად ში საჟურნალო პუბლიცისტიკის და მხატვრული ლიტერატურის მოვალეობა და ამოცანა კი არ არის, არამედ ისტორიული მეცნიერების. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენმა ისტო-

რიულმა მეცნიერებამ ვერც რევოლუციამდე და ვერც რევოლუციის შემდეგ ამ ამოცანას თავი ვერ გაართვა. მან ისიც კი ვერ შესძლო, რომ ამ მხრივ, თუნდაც მხარი გაესწორებინა ჩვენი პუბლიცისტიკისა და მხატვრული ლიტერატურისათვის. რევოლუციამდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხში დაშვებული შეცდომები ანტიმარქსისტული და ანტიპატრიოტული ხასიათის იყო. ისინი თვით მკვლევართა პოლიტიკური მსოფლმხედველობის სიბრტყეზე იშლებოდნენ და ფესვებს ფეოდალური და ბურჟუაზიული კლასების იდეოლოგიიდან იღებდნენ. რევოლუციის შემდეგ, ამ კლასების განადგურების და მარქსიზმის გაბატონების გამო, ყველა პირობა შეიქმნა, რომ ეს შეცდომები ჩვენ საბჭოთა ისტორიკოსებს ადვილად დაეძლიათ.

სამწუხაროდ, ეს არ ითქმის ზოგიერთ ჩვენს იმ ისტორიკოსზე, რომელნიც ამ საკითხზე მუშაობდნენ. ისინი ხშირ შემთხვევაში გაიტაცა საკითხის მხოლოდ ფაქტოლოგიურმა მხარემ და როცა შეეცადნენ საკითხის ზოგად სიბრტყეზე დაყენებას და ისტორიული ანალიზის საფუძველზე მისთვის მეცნიერული შეფასების მიცემას, მათ თავი ვერ დააღწიეს შეცდომებს. ეს ითქმის კერძოდ პროფ. ი. ცინცაძეზე. პროფ. ი. ცინცაძის დამსახურება იმაშია, რომ მან მრავალი გამოკვლევა მიუძღვნა ამ საკითხს, ზოგიერთი ახალი საარქივო მასალა მან პირველად აღმოაჩინა, გამოაქვეყნა და მოიმარჯვა თავის კვლევა-ძიებაში, წინ წასწია პრობლემის ფაქტოლოგიური დამუშავება და ბევრ რამეს ახალი კუთხიდან შეხედა. მაგრამ იკოჭლა მეთოდოლოგიაში, მარქსიზმის ცოდნაში, რის შედეგადაც იგი ძირითად საკითხებში უკუღმართ დასკვნებამდე მივიდა და არსებითად დაეშვა ამ საკითხში რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიის შეცდომების განმეორებამდე, რუსული ორიენტაციის დამღუპველად გამოცხადებამდე.

ამგვარი ხასიათის ჩაგარდნების მიუხედავად, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის შესწავლის საკითხში აქვს ერთგვარი მიღწევებიც. კერძოდ პროფ. გ. ხაჭაპურიძე საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსთაგან ერთ-ერთი ყველაზე პირველთაგანია, რომელიც წინ ეწეოდა აღნიშნული პრობლემის შესწავლას. რუსეთ-საქართველოს ძველი ურთიერთობის გაგების საკითხში პრინციპულად იგი საერთოდ სწორ თვალსაზრისზე დგას და გამოსავალ დებულებათა მიხედვით მართებული ორიენტაცია უჭირავს. სასურველია, რომ ამ საკითხისადმი მიძღვნილ მის შრომებში უფრო მეტი ადგილი ჰქონდეს დათმობილი ანალიზს, განზოგადებას, და არ ატარებდეს იგი ერთგვარად გაუბედავ ხასიათს დასკვნებში.

პროფ. ნ. ბერძენიშვილმა რამდენიმე შრომა უძღვნა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებს. მის შრომებში: „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე“ და „საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისა-

თვის“ ფაქტიური მასალის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე სწორად არის ნაჩვენები შეერთების წინა პერიოდის საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა. ნ. ბერძენიშვილმა პირველმა შესძლო იმის ჩვენება, რომ ქართველ მოღვაწეთა რუსული ორიენტაცია არც ხმლის ძალით ჰქონდა რუსეთის მხრიდან საქართველოს თავზე მოხვეული და არც თვით ამ ქართველ მოღვაწეთა თითქოს და რაღაც შეცდომების შედეგად, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს იქამდე წარმოედგინა. მკვლევარს რუსული ორიენტაცია ამოჰყავს შეერთების წინ საუკუნეთა მანძილზე ქვეყნის საგარეო და საშინაო მდგომარეობის ვითარებიდან, როგორც ეს ისტორიულად იყო, თუმცა ამ ვითარების ანალიზში მას ყველა საჭირო საკითხები არა აქვს მოქცეული.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი ხანგრძლივობის, მასშტაბის და სირთულის მიხედვითაც დიდი საკითხია. ამის გამო, რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის მოლოდინი, რომ ნ. ბერძენიშვილის შრომებში პრობლემა მთელი სისრულით იყოს წარმოდგენილი, ანდა ის, რომ იქ სადავო არაფერი იყოს. მთავარი ის არის, რომ იქ პრობლემისადმი მიდგომა ძირითადში სწორ წანამძღვრებს ეყრდნობა. ნ.ბერძენიშვილი სწორად შენიშნავს, რომ იქამდე ძველ ისტორიოგრაფიაში რუსეთ-საქართველოს“... ურთიერთობის საკითხი არა მხოლოდ ცალმხრივ („რუსეთის პოლიტიკის თვალსაზრისით“ ან „საქართველოს პოლიტიკის თვალსაზრისით“), ცალმხრივადაც გაშუქებული გამოიყურება“[1]. ამავე დროს ამ ისტორიოგრაფიაში „საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობა... წარმოდგენილია ყოველად მარტივად; სრულიად გაუთვალისწინებელია რთული საერთაშორისო გარემო და მისი გავლენა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაზე“[2].

ყოველივე ამის შედეგად კი, რა თქმა უნდა, გაუგებარი ხდებოდა თურქეთ-სპარსეთის საკითხისაგან მოწყვეტით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ხასიათის გაგება, ან პირიქით,—რუსეთის საკითხისაგან მოწყვეტით თურქეთ-ირანთან ურთიერთობის საკითხის გაგება. ნ. ბერძენიშვილის შრომები არ მიდიან შეერთების შემდგომი პერიოდის გარკვევამდე. ეს პერიოდი კი ზოგიერთმა მკვლევარმა „გორდიის კვანძად“ აქცია, ამგვარად, მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი ჩვენს ისტორიოგრაფიას ჯერ კიდევ მთელი მოცულობით არა აქვს დაძლეული. ამ საკითხის ყოველმხრივ შესწავლა ჩვენი ისტორიოგრაფიის გადაუდებელი და სადღეისო ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის აუცილებელი პირობაა, უკუვაგდოთ წინასწარაკვიატებული აზრი, რომელსაც მხოლოდ ჩვენ საკით-

[1] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე (იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 1, 1944 წ., გვ. 5).

[2] იქვე, გვ. 4.

ხის ცალმხრივ გაგებამდე მივყევართ. სინამდვილე, ამ საკითხთან დაკავშირებულ თეორიულ კვლევა-ძიებაში, ისე უნდა იქნეს აღდგენილი, როგორც ის იყო და როგორიც ის იყო. ჯერ კიდევ ციცერონი წერდა, რომ ისტორიკოსი არ უნდა ხელმძღვანელობდეს თავისი პირადი, სუბიექტური მოტივებით და არ უნდა ამახინჯებდეს სინამდვილეს.

სინამდვილის დამახინჯებას მეცნიერებისათვის არასოდეს არ მოაქვს სარგებლობა. ამიტომ მკვლევარი არასოდეს არ უნდა ცდილობდეს არც უარყოფითი და არც დადებითი მომენტის არც გაზრდას, არც შემცირებას. ასეთ შემთხვევაში იგი მკითხველს წარმოუდგენს მოვლენას არა იმ სახით, როგორც იგი სინამდვილეში იყო, არამედ იმ სახით, როგორც იგი მისი სურვილით უნდა ყოფილიყო. როცა საქმე სოციალური მოვლენის შეფასებას ეხება, მკვლევარს არ ეპატიება არც ის, რომ წინ წამოსწიოს ის მხარე, რომელიც მის სუბიექტურ განწყობილებას და შეხედულებას ეთანხმება და არც ის, რომ უძრავად დატოვოს ის, რაც მას, რაღაც მიზეზების გამო, ან არ მოსწონს, ან არ აწყობს.

მკვლევარმა უნდა დასძლიოს ცალმხრივობა და როცა საკვლევი მოვლენა დადებითსაც შეიცავს და უარყოფითსაც, აჩვენოს ორივე ისინი გაბედულად და ერთს არ ჩააყლაპინოს მეორე. ასეთი მიდგომა კი მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც მკვლევარი შეიარაღებული იქნება მარქსიზმის მოძღვრებით, ვინაიდან მხოლოდ იგი იცავს მკვლევარს ამგვარი ცალმხრიობისაგან, არ გაურბის სინამდვილეს და შესწევს უნარი ახსნას ეს წინააღმდეგობრივი მოვლენა, დაინახოს მასში წამყვანი ტენდენცია.

ყველა სხვა მსოფლმხედველობანი ამა თუ იმ დოზით მეტაფიზიკური და მარტივი არიან. ამიტომ, როცა მათ საქმე აქვთ წინააღმდეგობის და სხვადასხვა ტენდენციის შემცველ მოვლენასთან, ისინი ჯერ ასეთ მოვლენებში გონებას „გამოარიცხინებენ“ წინააღმდეგობას, შუა „გახლეჩენ“ სინამდვილეში გაუხლეჩავ მოვლენას, ჩამოაცილებენ მას მათთვის არასასურველ ტენდენციას, და შემდეგ იწყებენ ამ ხელოვნურად გამარტივებული, გაღატაკებული და წინააღმდეგობისაგან დაცლილი მოვლენის „შესწავლას“. ცხადია, ამგვარად შეკრეჭილ მოვლენაში, მათ შეიძლება დაინახონ ან აბსოლუტური სიკეთე, ან აბსოლუტური ბოროტება. ვისი აზროვნებაც ასეთ „ოპერაციებზეა“ გაწაფული, მან ხელი არ უნდა მოჰკიდოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესწავლას, ვინაიდან იგი მივა ან აბსოლუტურ ბოროტებამდე, ან აბსოლუტურ სიკეთემდე.

რუსეთმა და რუსმა ხალხმა თურქეთ-ირანის წინააღმდეგ კავკასიაში წარმოებულ ბრძოლებში ათეულ-ათასობით კაცი დაკარგეს, საქართველო მაჰმადიანური ქვეყნების მხრივ ჩაყლაპვისაგან იხსნეს და შეუქმნეს მას ობიექტური პირობები ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის. ეს იყო უდიდესი და ფასდაუდებელი სიკეთე, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას და რუსულ ორიენტაციას საქართველოსა-

თვის მოჰქონდა. მაგრამ იგივე ურთიერთობასა და იგივე რუსულ ორიენტაციას იმდროინდელ პირობებში გარდუვალად მოჰყვებოდა თან საქართველოში რუსეთის ცარიზმის რეაქციულ-კოლონიზატორული პოლიტიკის დამკვიდრება და რუსი სატრაპების თარეში, რომელიც არ შეიძლება არ ყოფილიყო ბოროტება ქართველი ხალხისათვის. ამაშია ამ მოვლენის წინააღმდეგობრივი ხასიათი, მის მიერ სხვადასხვა ტენდენციების შემცველობა.

თუ ჩვენ აღნიშნული მოვლენის ამ ორი მხარიდან მოვხსნით ერთ-ერთს, ამით ჩვენ დავამახინჯებთ ისტორიულად მაშინ არსებულ სინამდვილეს, მაშინ ჩვენი მეცნიერების კვლევა-ძიების შედეგები არ დავმთხვეოდა მის სუბსტრატს, აღარ იქნებიან მისი ასახვა. გასაგებია, რომ ასეთი მეცნიერება გახვრეტილ გროშად არ ეღირებოდა.

ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრები ხსნიდნენ რუსეთისა და რუსი ხალხის მიერ საქართველოსთვის მოტანილ სიკეთეს, სტოვებდნენ მხოლოდ ცარიზმისა და მისი სატრაპების მიერ იგივე საქართველოსათვის მოტანილ ბოროტებას. ამავე დროს მათ შესწევდათ თავხედობა ეკიჟნებინათ რუსული ორიენტაციის პროგრესულად მიჩნევის მომხრეთათვის, რომ ისინიც ასე იქცეოდნენ, მხოლოდ შებრუნებით. მათი აზრით, ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ თითქოს ეს უკანასკნელნი ვერ ხედავდნენ ცარიზმისა და მისი სატრაპების რუსიფიკატორული პოლიტიკიდან გამომდინარე ბოროტებას, ალამაზებდნენ მას და რიცხავდნენ მასაც სიკეთეში. საჭირო იყო ამ იაფფასიან დემაგოგიას ერთხელ და სამუდამოდ მოღებოდა ბოლო, რომელიც, მათი მხრიდან, მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანების გაბრიყვების საშუალებას წარმოადგენდა.

აქ საკითხი იმაში კი არ იყო, რაღაც ბოროტება ახლდა თუ არა თან რუსულ ორიენტაციას ც ა რ ი ზ მ ი ს პოლიტიკის შედეგად. რა თქმა უნდა, ახლდა. ეს ცხადი იყო და არავის არ შეეძლო მისი უარყოფა. თვით საკითხის ასეთი დაყენება იყო გაუგებრობა. განა მათ არ იცოდნენ, რომ ყველა დროისა და ყველა ქვეყნის მეფეები სხვა ხალხებთან დამოკიდებულების საკითხში გამოდიოდნენ საკუთარი და ავრთვე თავისი ქვეყნის ექსპლოატატორული კლასების ინტერესებიდან და არა მათ იმპერიაში მოქცეული უცხო ხალხების და ქვეყნების ინტერესებიდან? განა მათ შეეძლოთ ისტორიაში, საერთოდ, თუნდაც ერთი მაგალითი დაესახელებინათ იმისი, რომ რომელიმე მეფის პოლიტიკა, რომელიმე უცხო ხალხის მიმართ, რომელნიც მის იმპერიაში მოექცნენ, არავითარ ბოროტებას არ შეიცავდა? ჩვენ გვგონია, რომ ასეთ მეფეს ისინი საერთოდ ვერ მოძებნიდნენ ბუნებაში. მაშ რატომ გამოუდიოდათ მათ საკითხის იმგვარი დაყენება, რომ ასეთი მეფე მაინცდამაინც რუსეთის მეფე რატომ არ იყოო?

განა მათ არ იცოდნენ, რომ არც ერთი მეფე არ ინდობდა თავის ხალხს სოციალურ ჩაგვრაში, და ამიტომ იგი არც უცხო ხალხს დაინდობდა ნაციონალურ ჩაგვრაში, ვინაიდან ამა თუ იმ მეთოდით ამ უცხო ხალხის

ასიმილირება და მათში ნაციონალური თვითშეგნების მოსპობა უკლებლივ ყველა მეფეს სჭირდებოდა დეცენტრალისტური ტენდენციების მოსპობის, და ამით თავისი გვირგვინისა და ტახტის განმტკიცებისათვის. რუსეთის ცარიზმი თვით რუსმა ხალხმა იმიტომ დაამხო, რომ მას მოჰქონდა ბოროტება თავისი საკუთარი ხალხისათვის. ცხადია, რომ ამ ცარიზმს არ შეეძლო უფრო მეტი ბოროტება არ მოეტანა არარუსი ხალხისათვის, რომელთა სოციალურ ჩაგვრას ცარიზმი და მისი სატრაპები უმატებდნენ ნაციონალურ ჩაგვრასაც.

განა მარქსიზმს უმტკიცებია ოდესმე ამის საწინააღმდეგო რამ? მაშ რატომ აიგივებდნენ რუსული ორიენტაციის პროგრესულად აღიარებას ცარიზმის პოლიტიკის დაცვასთან ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრები?—იმიტომ რომ დემაგოგიური მოსაზრებით მათ ასე აწყობდათ და ასე აწყობთ. მათ უნდოდათ, რომ მოწინააღმდეგე სწორედ ასეთ შემცდარ პოზიციაზე მდგარიყო, რათა ამით გაეადვილებინათ მათ წინააღმდეგ ბრძოლა. მაგრამ, რადგან მოწინააღმდეგე ამას არ ამტკიცებდა, მაშინ ისინი იძულებული ხდებოდნენ ტაქტიკური მოსაზრებით თვითონ მიეწერებინათ მისთვის ეს. გაესაღებინათ იგი მოწინააღმდეგის დებულებად და შემდეგ გაეხსნათ ცეცხლი საკუთარი და ბილწი ზრახვებით აგებული ხუხულის დასაშლელად. ამიტომ, ამ მიმდინარეობის მომხრე, თავის მიერ ნაშობი და შემდეგ სხვისად გასაღებული „არგუმენტით" ებმებოდა საკუთარ თავთან ბრძოლაში. ერთი სიტყვით, ნამდვილად ამგვარი ყაიდის მკვლევარზე იყო ნათქვამი „Сам играет, сам танцует".

გასაგებია, რომ რუსული ორიენტაციის პროგრესულად აღიარებას არაფერი საერთო არა აქვს ცარიზმის პოლიტიკის დაცვასთან. აი რა სწერია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებულ თეზისებში რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლის თავის შესახებ. „რუსი, უკრაინელი და რუსეთის სხვა ხალხთა უბოროტესი მტერი იყო მეფის თვითმპყრობელობა. ეყრდნობოდა რა ადგილობრივ მემამულეთა და ბურჟუაზიის რეაქციულ ზედაფენას, ცარიზმი ახორციელებდა არარუს ხალხთა სასტიკი ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკას. უკრაინაში ცარიზმმა მოსპო ადგილობრივი თვითმმართველობა, მძვინვარედ ახშობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ახშობდა უკრაინული სახელმწიფოებრიობის შექმნისადმი მისწრაფებას, ახორციელებდა ძალით რუსიფიკაციის პოლიტიკას, ბორკავდა უკრაინელი ენისა და კულტურის განვითარებას"[1].

მიუხედავად უკრაინის მიმართ ცარიზმის ამგვარი პოლიტიკისა, რუსეთთან უკრაინის შეერთებას ჰქონდა არა მხოლოდ უდიდესი პროგრე-

[1] ჟურ. მნათობი, 1954 წ., № 1, გვ. 21—22.

სული მნიშვნელობა, არამედ უფრო მეტიც: მოსპობისაგან უკრაინის გადარჩენის და ხსნის მნიშვნელობაც. „უკრაინელი ხალხი, — სწერია თეზისებში, — რომელსაც ემუქრებოდა მოსპობის საფრთხეს[1], მას შემდეგ, რაც მან „სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი მოძმე რუს ხალხს, უკრაინელმა ხალხმა იხსნა თავისი თავი უცხოელთა დამონებისაგან და უზრუნველყო თავისი ეროვნული განვითარების შესაძლებლობა"[2].

თუ უკრაინელი ხალხის უბოროტესი მტერი იყო ცარიზმი, მით უფრო იგი, თუ მეტი არა, ნაკლები მტერი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ქართველი ხალხისათვის. მაგრამ, თუ ცარიზმის ამ პოლიტიკის მიუხედავად რუსეთთან უკრაინის შეერთება პროგრესული იყო, რადგან ამით უკრაინამ თავი იხსნა გარეშე მტერთა მხრივ დაღუპვისაგან, მით უფრო პროგრესული იყო რუსეთთან საქართველოს შეერთება, რადგან მას უკრაინასთან შედარებით კიდევ უფრო ძლიერად ემუქრებოდა გარეშე მტრისაგან მოსპობისა და გადაგვარების საფრთხე. გასაგებია, რომ ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის მხილება და კრიტიკა ხელს არ უშლის რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესულად აღიარების, რუსული ორიენტაციის პროგრესულად აღიარების საკითხს. ასეთია ჭეშმარიტება, ვისაც შეუძლია მისი გაგება და ვისაც არ აშინებს იგი.

ამგვარად, რუსეთის ცარიზმის მხრივ არა ნაციონალისტური და არა კოლონიზატორული პოლიტიკა საქართველოს მიმართ, მარქსიზმის მიხედვით, არც იყო მოსალოდნელი. ამგვარ სასწაულს ისტორიაში საერთოდ ადგილი არ ჰქონია და იგი ვერც ჩვენში მოხდებოდა.

როდესაც ამბობენ: რუსული ორიენტაცია პროგრესული იყოო, ამით ან იმის დამტკიცება კი არ უნდათ, რომ რუსეთის ცარიზმს თურქეთ-ირანის მხრივ საქართველოს, როგორც საქართველოს დაღუპვა აწუხებდა; ან იმისი, რომ იგი აქ უანგარო მიზნებით მოდიოდა; ან იმისი, რომ იგი ცარისტული-რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად თვითონ არ ფიქრობდა ასიმილაციის გზით საქართველოს გადაშენებას; ან იმისი, რომ იგი საქართველოს ინტერესებს საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე მაღლა ან მის თანაბარ მდგომარეობაში აყენებდა, და ა. შ. არა. ამგვარი რამის მტკიცება იქნებოდა არა მარტო ჭეშმარიტებაზე ხელის აღება, არამედ ცარიზმის, როგორც ხალხთა ჟანდარმის, შელამაზების ცდაც.

რუსული ორიენტაციის პროგრესულობას იმაში ხედავენ, რომ ამ ორიენტაციას, სუბიექტურად ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის მიუხედავად, ობიექტურად მოსდევდა და მოჰყვა კიდეც საქართველოს გადარჩენა დაღუპვისაგან თურქეთ-ირანის მხრივ. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ, ისტორიულად შექმნილი ობიექტური პირობების გამო,

[1] ჟურ. მნათობი, 1954 წ., № 1, გვ. 17.
[2] იქვე, გვ. 15.

თურქეთ-ირანთან დამოკიდებულების საკითხში რუსეთისა და საქართველოს ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. ეს დამთხვევა იმაში გამოიხატა, რომ რადგან რუსეთს თავისი საკუთარი ინტერესები უბიძგებდა ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდებას, ამიტომ მისთვის ხელსაყრელი არ იყო ამიერკავკასია და, მაშასადამე, საქართველოც, თურქეთს ან ირანს ჩაეყლაპა.

ამავე დროს, რუსეთის მხრივ საქართველოში ფეხის მოკიდება საქართველოს შესაძლებლობას აძლევდა რუსეთის დახმარებით გაეღწია აგრესიული მაჰმადიანური ქვეყნების რკალი და თავი გადაერჩინა თურქეთ-ირანის მხრივ შექმნილი გაჭრობის საფრთხისაგან. შეექმნა ობიექტური პირობები თავისი მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის, თუნდაც ნაციონალური დამოუკიდებლობის დაკარგვის პირობებში.

ანტირუსული ორიენტაციის მიმდევართ არ ესმოდათ შემდეგი მარტივი ჭეშმარიტება: რადგან ისტორიულად ობიექტური პირობები ისეთი შეიქმნა, რომ ქვეყანას ნაციონალური გადაშენებით ემუქრებოდა, ასეთ ვითარებაში ნაციონალურ გაჭრობას ნაციონალური დამოუკიდებლობის დაკარგვა სჯობდა, და რომ ნაციონალური დამოუკიდებლობის დაკარგვა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ნაციონალური თვითმყოფობის დაკარგვას. ყოველივე ამის გამო, მათ არც ის ესმოდათ, რომ პროგრესული რუსული ორიენტაციის აუცილებელი თანამგზავრი—ცარიზმის რეაქციული პოლიტიკა, მაინც ნაკლებ ტკივილებს აყენებდა ერს, მაშინ როდესაც იმ პირობებში არსებული ყველა სხვა ორიენტაცია დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობას მოკლებულ საქართველოს სიკვდილსა და გადაშენებას უმზადებდა.

ამიტომ, მარქსიზმის მიხედვით, საქართველოს მიერ რუსეთზე აღებული ორიენტაციის შეფასებაში სიმძიმის ცენტრი იქ კი არ არის: ცარიზმის პოლიტიკის გამო, მას მოჰქონდა თუ არა ქართველი ხალხისათვის დადებით შედეგებთან ერთად რაიმე ბოროტება, არამედ იმაში, თუ რომელი ს ჰ ა რ ბ ო დ ა ამ ორიენტაციის შედეგებში. სიკეთე, რომელიც რუსეთსა და რუს ხალხს საქართველოსათვის მოჰქონდა, თუ ბოროტება, რომელიც ცარიზმს და მის სატრაპებს მოჰქონდა ქართველი ხალხისათვის. ასე სდგას საკითხი.

რუსული ორიენტაციის შეცდომად მიჩნევა და მისი უარყოფა ან მაშინ შეიძლებოდა, თუ ვინმე დაამტკიცებდა, რომ ამ ორიენტაციის თანმხლები — ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის შედეგები სჯარბობდნენ დადებითს — რუსეთისა და რუსი ხალხის მიერ საქართველოსთვის მოტანილ სიკეთეს; ან მაშინ, თუ ვინმე დაამტკიცებდა, რომ მაშინდელი საქართველოსათვის არსებობდა კიდევ სხვა რაღაც ისეთი ორიენტაცია, რომელსაც მეტი სარგებლობა მოჰქონდა, ვიდრე რუსულ ორიენტაციას და ნაკლები ზიანი, ვიდრე ცარიზმს.

ამტკიცებდნენ თუ არა ამას ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრე-

ბი, როცა ისინი ამ ორიენტაციას შეცდომად და დაღუპვად მიიჩნევდნენ? რა თქმა უნდა, ისინი ამას არათუ ვერ ამტკიცებდნენ, არამედ არც შეეძლოთ მისი დამტკიცება, იმიტომ რომ სინამდვილეში ამ ორიენტაციის შედეგებში გაცილებით და მრავალჯერ დადებითი სჭარბობდა ცარიზმის სახით მის თანმხლებ უარყოფითს, რუსი ხალხის მიერ მოტანილი სიკეთე სჭარბობდა რუსეთის ცარიზმის მიერ მოტანილ ბოროტებას.

რა იყო ეს სიკეთე, რა იყო ეს დადებითი? — როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს იყო საქართველოს ხსნა უეჭველი დაღუპვისაგან თურქეთ-ირანის მხრივ; ეს იყო საქართველოში რუსეთის დამკვიდრების შედეგად ობიექტური პირობების შექმნა საქართველოს კულტურისა და მეურნეობის იმ მძლავრი აღმავლობისათვის, როგორიც ჩვენ გვაქვს მთელი XIX საუკუნის მანძილზე და როგორიც საქართველოს აღარ ჰქონია XII საუკუნის შემდეგ მთელი ექვსი საუკუნის მანძილზე.

რაც შეეხება სხვა ორიენტაციას, როგორც აღნიშნული იყო, დიახ, არსებობდა კიდევ ორი სხვა ორიენტაციის შესაძლებლობა. ეს იყო თურქული და ირანული ორიენტაცია. მაგრამ, არა გვგონია ვინმემ შესძლოს იმის დამტკიცება, რომ მათ რაიმე უპირატესობა ექნებოდათ რუსულ ორიენტაციასთან შედარებით. უარესი კი, რა თქმა უნდა, ზომაზე მეტად — თვით საქართველოს გაჭრობამდე. შეიძლება ამ ფაქტის უარყოფა? არიან ისეთი ადამიანები, რომელნიც მარჯვენასა და მარცხენას ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ, არიან „ფილოსოფიურად განათლებული“ ისეთი „სწავლულებიც“, რომელთაც საკუთარი თავის არსებობაშიც კი ეპარებათ ეჭვი. თუ ჩვენ გამოვრიცხავთ ასეთ ადამიანებს, და მხედველობაში გვექნება მხოლოდ ისინი, რომელთაც რაიმე გაეგებათ ისტორიულ მეცნიერებაში, მაშინ ამ ფაქტის უარყოფა ყოვლად შეუძლებელი გახდება.

რა ახლდა თან რუსულ ორიენტაციას უარყოფითი? — მხოლოდ და მხოლოდ ცარიზმი. სწორედ ცარიზმი და მისი სატარაპები ცდილობდნენ მოეხრჩოთ ყველაფერი ქართული ქართულ კულტურაში. ამ ცდის განხორციელებაში ცარიზმს ხელს უშლიდა, როგორც ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, მრავალი გარემოება, მათ შორის, თვით რუსეთის დამკვიდრებით ჩვენში შექმნილი ობიექტური პირობები. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმის ამ სურვილის მთლიანად განხორციელება ობიექტური პირობების გამო საერთოდ შეუძლებელი იყო, მან მაინც ერთგვარი, მაგრამ არა გადამწყვეტი ზიანი მიაყენა ქართულ კულტურას.

ამგვარად, რუსული ორიენტაციის დადებითი შედეგებია სასიკვდილოდ განწირული საქართველოს ხსნა და ობიექტური პირობების შექმნა მისი მეურნეობისა და კულტურის მძლავრი განვითარებისათვის. მისი თანმხლები უარყოფითი შედეგია: ცარიზმის რუსიფიკატორული პოლი-

ტიკის გამო ქართული კულტურის ზოგიერთი ყლორტების დაზაფრვა და მისი განვითარებისათვის ხელის შეშლა[1].

თუ რომელი: დადებითი თუ უარყოფითი, სიკეთე თუ ბოროტება სჭარბობს აქ, ჩვენი აზრით, ეს გასაგებია იმათთვის, ვისაც აქვს წარმოდგენა იმაზე, თუ რა განსხვავებაა ერის სიკვდილსა და ერის იმგვარ შევიწროებას შორის, რომლის დროსაც სხვა დადებითი ფაქტორების გავლენით იგი უფრო ძლიერდება მეურნეობრივად და კულტურულად.

ასე სდგას საკითხი. როგორც შესავლის ამ ზოგადი მიმოხილვიდანაც სჩანს, ანტირუსული ორიენტაციის ძველი მიმდევრების და ახლანდელი თანამგრძნობების საყრდენი დებულებები უნიადაგო და შემცდარია. თუ ამ მიმდინარეობის ეს ანტიმეცნიერული თვალსაზრისი აქამდე მთლიანად ისტორიის არქივს არა აქვს ჩაბარებული, თუ მის თანამგრძნობებს დღემდე კიდევ შერჩათ ხალისი აქა-იქ თავი წამოყონ მეცნიერების სახელითაც კი, ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენს ი ს ტ ო რ ი ო გ რ ა ფ ი ა შ ი სუსტი იყო რუსული ორიენტაციის პროგრესული მიმდინარეობა.

მართლაცდა, მიუხედავად იმისა, რომ სწორი იყო ამ უკანასკნელის გამოსავალი დებულებები, მის მხარეზე იყო მთელი ისტორიული წარსული, თეორიაც და პრაქტიკაც; თვით ცხოვრებამაც ეს საკითხი დიდი ხანია დადებითად გადაწყვიტა, — ყველა პოზიტიური ნიშნის ზედაპირზე ამოტანით, — მისმა მიმდევრებმა მაინც ვერ შესძლეს ისტორიული ფაქტების მეცნიერული ანალიზით, თუნდაც უკანა რიცხვით, თეორიულად ყოველმხრივ დაესაბუთებინათ იგი. მათ არ ყოფნიდათ ძალა, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოსათვის შექმნილი მძიმე საშინაო და საგარეო ურთიერთობის ანალიზით, ქვეყნის ეკონომიური და სამხედრო პოტენციალის კატასტროფიული დაცემის სურათის აღდგენით, მკითხველისათვის საგნობრივი წარმოდგენა მიეცათ უფსკრულის პირზე მდგომი საქართველოსი. ერთი სიტყვით, ისინი ვერ ახერხებდნენ მოეხდინათ მაშინდელი სიტუაციის რეპროდუქცია, ეჩვენებინათ ის, რომ საქართველოსათვის მაშინ დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობა ამოწურული იყო, და სწორედ აქ ჩაესახლებინათ რუსეთზე ორიენტაციის აღების აუცილებლობა.

ისინი ასე რომ მისდგომოდნენ საკითხს, მაშინ მათ შეეძლოთ თავიანთი მოწინააღმდეგეები, ე. ი. ანტირუსული ორიენტაციის მომხრეები, მიეყენებინათ კედელთან, ჩამოეგლიჯათ მათთვის ცრუპატრიოტიზმის ნიღაბი და დაემტკიცებინათ, რომ მათ მიერ რუსული ორიენტაციის უარყოფა სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არა ნებსით, თუ უნებლიეთ თურ-

[1] შეიძლება ვინმეს პარადოქსად მოეჩვენოს ის, რომ ერთდროულად რუსეთის დამკვიდრება საქართველოში ხელს უშლიდა ქართული კულტურის განვითარებას, და ცაროზმი კი, იმავდროულად ხელს უწყობდა მასს? ეს პარადოქსი კი არ არის და ჩვენ მას ქვემოთ გავარკვევთ. ვინც საკითხს სწორად დაინახავდა, მას პარადოქსის ბურუსი გაეფანტება და პეშმარიტება გაბრწყინდებოდა მისთვის.

ქულ-ირანულ ორიენტაციაზე დადგომას. ამით მათ შეეძლოთ, აეძულებინათ ისინი, ან უკუეგდოთ თავიანთი შემცდარი ანტირუსული პლატფორმა, ან გადასულიყვნენ მეორე შეცდომაზე, გაეშიშვლებინათ თავი, და დაეწყოთ რუსულ ორიენტაციასთან შედარებით თურქულ-ირანული ორიენტაციის „უპირატესობის“ აშკარად მტკიცება.

სამწუხაროდ, ისინი ამ გზით არ წავიდნენ. მათ ვერ გაშალეს საკითხი ვერც სიღრმეზე, ვერც სიგანეზე და თეორიული ბრძოლა შემოფარგლეს მხოლოდ ზედაპირზე, და ისიც, რუსული ორიენტაციის პროგრესულობის შესახებ უმთავრესად ლოზუნგების რახა-რუხით. მათ უძნელდებოდათ გაეგოთ, თუ მათ მოწინააღმდეგეთა შეცდომები საით და რა სიღრმით მიდიოდნენ. ამის გამო, ისინი მათ ვერ აძლევდნენ „დამსახურებისამებრ“ შეფასებას. იძლეოდნენ გაუბედავ დასკვნებს, ჩერდებოდნენ და კანკალებდნენ შუა გზაზე, და ამით საშუალებას აძლევდნენ მათ შეცდომებს გაეგრძელებინათ სიცოცხლე.

ყოველივე ამის შემდეგ, გასაკვირი როდი იყო, თუ ამ მიმდინარეობას არ ჰქონდა ძალა, არ ჰქონდა მეცნიერულად დასაბუთებული დამაჯერებლობა. პრინციპული ხასიათის საკითხებს, რომლებიც ღრმა თეორიულ ანალიზსა და დასაბუთებას მოითხოვდა, ამ მიმდინარეობას იგი ზოგჯერ უბრალო აგიტაციამდე დაჰყავდა. ასე, მაგალითად, რუსული ორიენტაციის პროგრესულობის დასაბუთებისათვის რა გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა იმ ფაქტის სავსებულდაუსრულოდ აღნიშვნას, რომ პუშკინი და ლერმონტოვი საქართველოში იყვნენ, ან რომ გრიბოედოვმა ულამაზესი ქართველი ქალი (ნ. ჭავჭავაძე) შეირთო ცოლად? ამგვარი რამ რომ ორიენტაციის პროგრესულობის მტკიცებისათვის გამოდგებოდეს, მაშინ ხალხთა ჟანდარმი ნიკოლოზ I 1837 წელს სამ დღეს იყო სტუმრად ზუგდიდში ლევან დადიანთან[1], ხოლო კახეთის ამომგდებ შაჰ-აბასს ერთი კი არა, როგორც პროფ. კ. კეკელიძემ გამოარკვია, ოთხი ქართველი ქალი ჰყოლია ცოლად[2]. ქართველი ქალები, როგორც იაზიკოვი აღნიშნავს[3], მთელ აზიაში იყვნენ განთქმული თავიანთი სილამაზით, რაც ზოგჯერ მათი ბედნიერების და ზოგჯერ უბედურების წყაროდ ხდებოდა. მაგრამ ეს ფაქტები როდი შეიძლება რაიმეს აძლევდეს მკვლევარს, როცა საკითხი ეხება ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის ან პროგრესულობის, ან მისი დამოუპველობის თეორიულ დასაბუთებას.

ამასთან ერთად, როდესაც ეს მიმდინარეობა ისტორიული ფაქტების ღრმა ანალიზით ვერ ახერხებდა რუსული ორიენტაციის პროგრესულობის თეორიულ დასაბუთებას და გადახრას იჩენდა შიშველი ლოზუნგებისაკენ, იგი ძალაუნებურად მკითხველის თვალში ერთგვარ კოსმოპოლი-

[1] კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, 1934 წ., გვ. 4.
[2] უნივერსიტეტის შრომები. 1948 წ., № 34 ა-ბ, გვ. 381.
[3] А. Цагарели, Грамоты. том I, стр. 189.

ტურ იერს იძენდა. მას ამაში ხელს ის გარემოებაც უწყობდა, რომ იგი ერთგვარ მორიდებას იჩენდა იმ უარყოფითი მხარის მეცნიერულ მხილებაში, რაც ცარიზმის მხეცური, კოლონიალური პოლიტიკის გამო თან ახლდა პროგრესულ რუსულ ორიენტაციას[1].

როგორც საფიქრებელია, ამ მიმდინარეობის ზოგიერთ წარმომადგენელს თვითონ არ ჰქონდა სრული წარმოდგენა რუსული ორიენტაციის უდიდეს პროგრესულ და მხსნელ მნიშვნელობაზე. ამის გამო, როგორც სჩანს, ისინი შიშობდნენ, რომ ამ ორიენტაციის თანმხლებმა, ცარიზმის უარყოფითი მხარეების სისრულით მხილებამ, არ დაჩრდილოს პროგრესული რუსული ორიენტაციის დადებითი მხარეები, და ამით ეს ორიენტაცია მკითხველის თვალში უარყოფით თვალსაზრისში არ გადაზარდოსო.

მათ არ ესმოდათ, რომ ეს შიში სრულიად უსაფუძვლო იყო. მათ არ ესმოდათ, რომ ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის უარყოფითი შედეგები და რუსული ორიენტაციის პროგრესულობის დადებითი შედეგები სხვადასხვა სიდიდისანი იყვნენ. მათ არ ესმოდათ, რომ პროგრესულ რუსულ ორიენტაციაში ჩათესილი სიკეთე გადამწყვეტი იყო და ცარიზმის პოლიტიკაში ჩათესილი ბოროტება კი არაგადამწყვეტი, და რომ გადამწყვეტ სიკეთესა და არაგადამწყვეტ ბოროტებას შორის დიდი განსხვავება და მანძილი რჩებოდა. ამის გამო, ისინი, თუ ორივე მხარეს გაარკვევდნენ, ცარიზმის პოლიტიკაში ჩათესილი უარყოფითი შედეგები არა თუ წამოეწეოდა რუსული ორიენტაციის პროგრესულობაში ჩათესილ დადებით მხარეს, არამედ ვერც მიუხლოვდებოდა მას. გასაგებია, რომ ამის გამო, არც საშიში იყო და არც საჭირო ვერ „დაენახათ“ მათ ცარიზმის პოლიტიკის ლაქები რუსეთ-საქართველოს ძველ ურთიერთობაში. მით უფრო, რომ მათი არ დანახვით ეს ლაქები არც დაიმალებოდნენ და არც გაქრებოდნენ, რამდენადაც ისინი წარსულის სინამდვილეში ობიექტურად არსებული მოვლენები იყო.

მაგრამ, რა თქმა უნდა, არც ის შეიძლებოდა, როგორც ამას ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრები აკეთებდნენ. ისინი ვერ ხედავდნენ უფრო დიდს და უფრო მთავარს: რუსული ორიენტაციის შედეგად საქართველოს გადარჩენას, მისი კულტურის განვითარებისათვის ობიექტური პირობების შექმნას, და ხელი ყოველთვის ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის შედეგად ნაშობი ამ ლაქებისკენ ჰქონდათ გაშვერილი. ისინი მოსთქვამდნენ და გოდებდნენ, ამუშავებდნენ და წინ ეწეოდნენ ამ ლა-

[1] რუსული ორიენტაციის პროგრესულობის თანმხლებ უარყოფით მომენტად, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ცარიზმს და მის რეაქციულ პოლიტიკას ვგულისხმობთ. ჩვენ გვესმის, რომ არც რუსული ორიენტაციის პროგრესულობა გამომდინარეობდა ცარიზმის პოლიტიკიდან და არც ცარიზმის პოლიტიკა გამომდინარეობდა რუსული ორიენტაციის პროგრესულობიდან, რამდენადაც ისინი ერთმანეთის წინააღმდეგობას წარმოადგენდნენ. ამიტომ, თუ ჩვენ მაინც რუსულ ორიენტაციასთან ვაკავშირებთ ცარიზმს, ეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იმდროინდელ პირობებში იგი მისი აუცილებელი თანმგზავრი იყო.

ქებს ისე, რომ თავს ძალდატანებული გადაკვრითი ნათქვამის გარდა, ხმას არ იღებდნენ დადებითზე და არ იძლეოდნენ მის ანალიზს. ამის გარდა, ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრებს სხვა მრავალი სახარჩობი და აქილევსის ქუსლიც ჰქონდათ. აქ უმთავრესად საინტერესო ის არის, თუ თეორიული უმწეობის გამო, როგორ იჯყლიტებოდნენ ისინი ფაქტიური მასალის ქვეშ.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ანტირუსული ორიენტაციის მომხრეთა შეცდომები იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ანგარიშს არ უწევდნენ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას და ზედაპირულად უდგებოდნენ მოვლენებს. მათ უდავოდ საქმე ჰქონდათ ისეთ მძიმე ფაქტებთან, როგორიც იყო საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვა, ცარიზმის რეაქციულ-რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად ქართული კულტურის შევიწროება და ნაციონალური ჩაგვრა. ამ ფაქტიური მდგომარეობიდან გამოსვლით, ისინი ფიქრობდნენ, რომ ყველაფერი ეს რუსული ორიენტაციის ლოგიკური შედეგი იყო; ხოლო თვით ეს ორიენტაცია საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელების მიერ ნებისმიერად აღებული კურსი.

საკითხის ამგვარად დაყენებაში ისინი უკვე უშვებდნენ პრინციპული ხასიათის მთელ რიგ შეცდომებს. მათ არ ესმოდათ, რომ თვით რუსული ორიენტაციის აღება ნებისმიერი აქტი კი არ იყო, არამედ ისტორიული აუცილებლობით ნაკარნახევი მოვლენა. არც ერთი ქვეყანა, რომელსაც საკუთარი ძალებით შეუძლია თავდაცვის მოწყობა, არ წავა მეორე ქვეყნის მფარველობაში და მით უფრო ქვეშევრდომობაში. თუ საქართველოს ეს დასჭირდა ერეკლეს დროს, და თუ ერეკლემ ეს ნაბიჯი გადადგა, ეს როდი ნიშნავს ერეკლეს მხრივ ნებისმიერ აქტს. რუსული ორიენტაცია არაფერ შუაში არ არის საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვის საკითხთან, ვინაიდან დამოუკიდებლობის ამ დაკარგვისათვის ნიადაგის მომზადება საუკუნეებით ადრე და მაშინ დაიწყო, როდესაც რუსული ორიენტაცია ან არ არსებობდა, ან იგი არსებით როლს არ თამაშობდა. რაც შეეხება ცარიზმის რეაქციულ პოლიტიკას, იგი ფაქტია. მაგრამ, მის გვერდით უფრო დიდი ფაქტი ის არის, რომ რუსულმა ორიენტაციამ საქართველო იხსნა გაქრობისაგან. ამიტომ თუ დავინახავთ პატარას, მით უფრო უნდა დავინახოთ დიდი.

მართალია, ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრებს აერთიანებდათ ამ ორიენტაციის უარყოფა, მაგრამ, ყველა ისინი ერთი აზრისა არ იყვნენ იმაში, თუ ამის შემდეგ მოქმედების რა ხაზი უნდა აერჩია საქართველოს. მათი ერთი ნაწილი იმ აზრისკენ იხრებოდა, რომ მე-18 საუკუნის საქართველოს შეეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება, და ამიტომ მას არ სჭირდებოდა არც ერთ დიდ, მეზობელ სახელმწიფოზე ორიენტაციის აღება და მისი მფარველობის ძიებაო. მეორე ნაწილი კი, რომელიც ამ „შესაძლებლობის“ დაშვებას გამორიცხავდა, იძულებული ხდებოდა

თურქულ-ირანული ორიენტაციისაკენ გადახრილიყო. აღსანიშნავია, რომ ანტირუსული ორიენტაციის არც ერთ ამ შტოს არ უცდია ფაქტებით და თეორიული ანალიზით თავისი პლატფორმის „დასაბუთება". ერთი სიტყვით, ისინი უფრო მეტს წერდნენ იმაზე, თუ „რა არ უნდა ექნა საქართველოს" (იგულისხმება რუსული ორიენტაციის აღება), ვიდრე იმაზე, თუ „რა უნდა ექნა საქართველოს".

თუ ძველ რევოლუციამდელ ისტორიოგრაფიაში აქა-იქ გამოკრთოდა ეს მოყიალე აზრი, ანტირუსული ორიენტაციის ახლანდელი თანამგრძნობნი აშკარად არც იმას ამტკიცებენ, რომ მე-18 საუკუნის მიწურულის საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება შეეძლო და არც იმას, რომ იგი თურქულ-ირანულ ორიენტაციაზე უნდა დამდგარიყო. აქ მათი თვალსაზრისი რაღაც „საიდუმლოებით" არის მოცული. ისინი მხოლოდ ერთს გაჰკივიან: შემცდარი იყო რუსული ორიენტაციაო. ამავე დროს ისინი საეჭვოდ სდუმან საკითხის დაყენებაზედაც კი, იმის შესახებ რომ, თუ რუსული ორიენტაცია იყო შეცდომა, მაშინ **რომელი ორიენტაცია** არ იქნებოდა შეცდომა.

ერთი სიტყვით, ისინი იწუნებენ რუსულ ორიენტაციას, ისე რომ სამაგიერო ორიენტაციას არ გვთავაზობენ აშკარად. როგორც ჩანს, ამას ისინი, რაღაც მოსაზრებით, სახიფათოდ მიიჩნევენ. დაწუნება ამ ქვეყნად შეიძლება, რა თქმა უნდა, ყველაფრის, თუკი მას დაუპირისპირებთ უკეთესს. როცა ისინი იწუნებენ რუსულ ორიენტაციას, ალბათ, მათაც აქვთ თავში რაღაც „უკეთესის" ვარიანტი, მაგრამ, რადგან ისინი გულმოდგინედ მალავენ მას, მკითხველს არა აქვს შესაძლებლობა ეს მათ თავში დამალული ვარიანტი უკეთესობის გამოსარკვევად შეუდაროს რუსულ ორიენტაციას.

მკითხველისათვის მხოლოდ ერთია გასაგები. რადგან დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობას მოკლებულ საქართველოს ორიენტაცია უნდა აეღო არა შორეულ მარსზე, არამედ სამი დიდი მეზობელი სახელმწიფოდან (რუსეთი, თურქეთი, ირანი) ერთ-ერთზე; თუ მათშიც რუსეთი არ უნდა ყოფილიყო, რადგან ისინი რუსულ ორიენტაციას შეცდომად მიიჩნევენ, მაშინ უბრალო არითმეტიკითაც გასაგები ხდება, თუ ამ სამი ქვეყნიდან რუსეთის გამორიცხვის შემდეგ, რომლებიღა რჩებოდა, რომელზედაც საქართველოს შეეძლო ორიენტაციის აღება. მათდა სამწუხაროდ ასე უბრალოდ ხდება მისაწვდომი მათი „საიდუმლოების" გაგება.

როგორც აღნიშნული იყო, ანტირუსული ორიენტაციის თანამგრძნობნი აშკარად და გაბედვით არ ამტკიცებენ იმას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება შეეძლო. მაგრამ, საკითხის არსის ცხადყოფისათვის დაუშვათ, რომ ისინი ამ თვალსაზრისზე დადგნენ, დაუშვათ, რომ მე-18 საუკუნის მიწურულის საქართველოს მართლაც შეეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ან-

ტირუსული ორიენტაციის მიმდევართა სასარგებლოდ სრულიად იცვლება საკითხის ხასიათი, ვინაიდან მაშინ სხვა სიბრტყეზე დგება მთელი პრობლემა. მართლაცდა, მე-18 საუკუნის მიწურულის საქართველოს რომ მართლაც შესძლებოდა დამოუკიდებლობის შენარჩუნება, მაშინ ძველი საქართველოს ხელმძღვანელთა მიერ რომელიმე გარეშე ქვეყანაზე აღებული ისეთი ორიენტაცია, რომელიც თავისი ხასიათით და შედეგებით ხელს შეუწყობდა საქართველოს ნაციონალური სუვერენიტეტის შეკვეცას და მით უფრო მისი დამოუკიდებლობის დაკარგვას, უნდა აღიარებული იქნეს შეცდომად, ხოლო, თუ ასეთი პოლიტიკა შეგნებულად ტარდებოდა იმის ცოდნით, რომ იგი საქართველოს დამოუკიდებლობას მოუსპობდა, ღალატად.

ისეთი აზრი, რომლის მიხედვითაც მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებაც რომ შესძლებოდა, იგი მაინც უნდა წასულიყო ნაციონალური სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის ლიკვიდაციაზე და შეერთებოდა დიდსა და იმდროისათვის მოწინავე მეზობელ სახელმწიფოს—არ შეიძლება გამართლებულად იქნეს მიჩნეული. ასეთი კოსმოპოლიტური თვალსაზრისი ეწინააღმდეგება მარქსიზმის მოძღვრებას ყველა დიდი და პატარა ხალხების მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნებაზე, როცა მათ ეს აქვთ და როცა მათ ეს ძალუძთ. თანაც ეს თვალსაზრისი „კულტურტრეგერობის“ ლოზუნგით წარმოადგენს მტაცებელი იმპერიალისტური ქვეყნების მიერ სხვა ხალხების ჩაყლაპვისა და მათი ნაციონალური დამოუკიდებლობის ლიკვიდაციის გამართლებას. ამიტომ, მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს, ობიექტური ფაქტორებით, რომ ნამდვილად ჰქონოდა დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობა, მაშინ მას არცერთ გარეშე ქვეყანაზე არ უნდა აეღო ისეთი ორიენტაცია, რომელიც შეზღუდავდა მის სუვერენიტეტს და სუბიექტური ფაქტორების გზით (ორიენტაციის საკითხი საგარეო პოლიტიკაში) მოემზადებდა მას დამოუკიდებლობის დაკარგვისათვის პირობებს.

მაგრამ, საკითხის მთელი არსი აქ სწორედ იმაშია, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს არ ჰქონდა დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობა. იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობის შესწავლა უდავოდ ამტკიცებს, რომ მისთვის ეს შესაძლებლობა, რასაც ანტირუსული ორიენტაციის ზოგიერთი მოძრეები თეორიულად უშვებდნენ, პრაქტიკულად გამორიცხული იყო.

მე-18 ს. II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო და საშინაო მდგომარეობის მიმოხილვა. დამოუკიდებლობის შენარჩუნების შეუძლებლობის საკითხი

მე-18 საუკუნის მიწურულის საქართველოს (ქართლ-კახეთის სამეფოს) დამოუკიდებლობის შენარჩუნება რომ არ შეეძლო, ეს კარგად ესმოდა საქართველოს ბევრ მაშინდელ მესვეურს, კერძოდ მეფე ერეკლეს. სწორედ ეს გარემოება აიძულებდა მას ეძია რუსეთის მფარველობა. რომ ეს მართლაც ასე იყო, ნათლად მტკიცდება იმ დროინდელი საქართველოს მძიმე საგარეო და საშინაო პირობების, დაქვეითებული ეკონომიური რესურსების და თავდაცვითი პოტენციალის კატასტროფული დაცემის ზოგადი მიმოხილვითაც.

საგარეო მდგომარეობა. კავკასიის მთების სამხრეთ კალთებზე მიკრულ საქართველოს საუკუნეთა მანძილზე აწვებოდა და შთანთქმითა და მოსპობით ემუქრებოდა მაჰმადიანური მსოფლიო. ეს საშიშროება განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც საქართველო აოხრებული და დაფლეთილ იქნა მონგოლთა რვაგზის შემოსევით, და როცა მის სამხრეთ-დასავლეთ ფლანგზე გაჩნდა ახალი მტაცებელი მაჰმადიანური ქვეყანა თურქეთი, რომელიც სხვა ქვეყნების დაპყრობის ხარჯზე სწრაფად იზრდებოდა.

1453 წელს თურქებმა აიღეს კონსტანტინეპოლი და ბიზანტიის იმპერია მოსპეს. 1517 წელს მათ დაიპყრეს სირია, პალესტინა, არაბეთი, ეგვიპტე. 1526 წელს ბელგრადი, შემდეგ უნგრეთი. 1543 წ. მათ დაიმორჩილეს მესოპოტამია აზიაში და ალჟირი აფრიკაში. 1672 წ. თურქებმა დაიპყრეს კამენეც-პოდოლსკი, ალყა შემოარტყეს ლვოვს და ხარკი დაადეს პოლონეთს. 1683 წელს მათ შუა ევროპაში ალყა შემოარტყეს ავსტრიის დედაქალაქს ვენას.

თურქეთი შავი და აზოვის ზღვების ბასეინის და აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიისაკენაც მოიწევდა. 1475 წელს მათ დაიპყრეს ყირიმი და აზოვი, 1514—1518 წლებში დაეუფლენ დაღესტანს. 1568 წ. თურქეთის სულთანმა სელიმ II დონის ვოლგასთან შესაერთებლად დაიწყო არხის გათხრა დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ეს არხი ახლა გადის. მას უნდოდა თურქეთის საზღვაო ფლოტი შავი ზღვიდან ამ არხით გადაეყვანა კასპიის ზღვაში და ჩრდილოეთ ირანში დესანტის გადასხმით მოულოდნელად დაერტყა სპარსეთისათვის. მაგრამ არხის მშენებლობა რუსთა

პერმანენტული თავდასხმებისა და ტექნიკური სიძნელეების გამო ჩაიშალა. 1569 წელს თურქებმა კასპიის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ასტრახანსაც უწოდეს და ალყა შემოარტყეს მას.

თურქეთის მიერ შავი და აზოვის ზღვების თითქმის მთელი სანაპიროს დაკავებით და ჩრდილოეთ კავკასიაში ფეხის მოკიდებით, დასრულდა საქართველოს ალყა. ბიზანტიის იმპერიის დაცემით საქართველო სრულიად მოსწყდა ევროპას, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში თურქეთის გაბატონებით — რუსეთს. ამგვარად, თურქეთი სამი მხრიდან (სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით) მოერკალა საქართველოს. ხოლო მეოთხე მხრიდან — სამხრეთ-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით, საქართველოს თურქეთზე არა ნაკლები მტრები ყავდა მეზობლად ირანისა და თვით თურქეთის გავლენის ქვეშ მოქცეული სახანოების სახით.

გასაგებია, რომ ამიერიდან მტრული ქვეყნების ალყაში მოქცეულ საქართველოს, თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, მძიმე ბრძოლები უნდა ეწარმოებინა აფრევრაზიის სამ **კონტინენტზე გადაჭიმულ** თურქეთის უზარმაზარი იმპერიისა და სპარსეთის მხრივ ხელყოფის წინააღმდეგ. 1639 წლის შემდეგ, როდესაც სომხეთმა დიდი ხნით დაკარგა თავისი სახელმწიფოებრიობა და გაყოფილ იქნა თურქეთსა და ირანს შორის, საქართველო რჩებოდა ერთადერთ ქვეყნად მთელს ამიერკავკასიაში, რომელიც დაუზოგავი მსხვერპლის გაღებით შეუპოვრად იცავდა თავის დამოუკიდებლობას, სახელმწიფოებრიობას, კულტურასა და ეროვნულ თვითმყოფობას.

გარდა იმ ტერიტორიებისა, რომელიც მას ჩამოაცილეს, სახანოებად და საფაშალიკოებად აქციეს და თურქეთსა და ირანს უშუალოდ დაუმორჩილეს, საკუთრივ ქართველი მეფეების გამგებლობის ქვეშ დარჩენილ ტერიტორიებზედაც ხშირ შემთხვევაში ირანელები და თურქები ბატონობდნენ. არა იშვიათი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ირანი და თურქეთი ქართლ-კახეთსა და იმერეთში თავიანთ მარიონეტკებს სხამდნენ ადგილობრივი კვისლინგებისაგან, ანდა, უშუალოდ თვითონვე ერეოდნენ საქართველოს მმართველობის საქმეში. არაიშვიათად ხდებოდა ისიც, რომ ქართლ-კახეთის ან იმერეთის სამეფო ტახტზე ასასვლელი პირის კანდიდატურის საკითხს ირანის შახები, ან თურქეთის სულთანები სწყვეტდნენ.

მე-17 და მე-18 საუკუნეების გარკვეულ პერიოდებში, ირანის შაჰის წყალობით და მისი დამტკიცებით, იჯდნენ ქართლის ან კახეთის სამეფო ტახტზე მეფეები, რომელთაც 1632 წლიდან ვიდრე 1744 წლამდე, „ვალი“, ე. ი. შაჰის „მოადგილეები“ ეწოდებოდათ. ერთი სიტყვით, ამ დროს „იწოდებოდა საქართველო „ვალისტანად სპარსთა ყაენებისა“, და თვით მეფესა საქართველოისასა უწოდებდნენ ყაენნი „ვალი გურჯისტანი-

სასა"[1]. ასეთი მეფე—„ვალი"-ები იყვნენ როსტომი, ვახტანგ მეხუთე, ერეკლე პირველი, ვახტანგ მეექვსე, იესე, კონსტანტინე, და სხვები.

1744 წელს ნადირ-შაჰმა ქართლის მეფედ თეიმურაზ მეორე დანიშნა და კახეთის მეფედ კი მისი შვილი ერეკლე მეორე. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა სპარსეთის შაჰი კახეთში მეფობას სპობდა, კახეთს სახანოდ აქცევდა და ხანად ყიზილბაშს სვამდა, ან კახეთს განჯის სახანოს უერთებდა. გასაგებია, თუ ასეთ ვითარებაში ქართლ-კახეთის როგორ „დამოუკიდებლობასთან" გვაქვს საქმე. ამ ფონზე არც იმ შეხედულებაა წარმოქმნა იყო შემთხვევითი, რომელსაც 1803 წელს ალ. ბატონიშვილი გამოთქვამდა თავის ერთ წერილში პეტრე ბაგრატიონისადმი. ამ წერილში იგი წერდა: „საქართველო აზია არის და ერანის ხელმწიფის ყოფილა და არისო". ბაბა-ხანის (რომელმაც ძალაუფლება ჩაიგდო სპარსეთში აღა-მაჰმად-ხანის სიკვდილის შემდეგ) ვეზირი კი, საქართველოს სამეფო კარზე დანიშნულ რუსეთის მთავრობის მინისტრ კოვალენსკის, საპასუხო ნოტაში წერდა: „იმ დროის დასაწყისიდან, რაც მთელი დედამიწის სფერო ოთხ ნაწილად გაიყო, საქართველო, კახეთი, თბილისი ირანის სახელმწიფოში იყო მოქცეული"[2]. ერთი სიტყვით, ირანისაგან ქართლ-კახეთის ვასალური დამოკიდებულება ისტორიული ფაქტი იყო და ამგვარი შეხედულებაც მხოლოდ მისი ანარეკლია. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ირანთან ვასალურ მდგომარეობაში მყოფ მე-17 და მე-18 საუკუნის ქართლ-კახეთის სამეფოს არ შეეძლო თავისი საგარეო პოლიტიკა თავისუფლად ეწარმოებინა.

რა თქმა უნდა, ირანისა და თურქეთისაგან ქართლ-კახეთის სამეფოების დამოკიდებულება ყოველთვის ერთნაირი სიმძიმისა არ იყო. იგი ერთხანს შეანელა 1747 წელს ნადირ-შაჰის მოკვლამ, სპარსეთში დაწყებულმა შინაარეულობამ და ლეკების, ამიერკავკასიის სახანოების და თურქეთის წინააღმდეგ ერეკლეს წარმატებითმა ბრძოლებმა. 1750 წელს ერეკლემ ალაზან-იორის შესართავთან დაამარცხა ლეკთა დიდი ჯარი, 1751 წელს ერეკლემ ერევანთან გაანადგურა აზატ-ხანის 18 ათასიანი არმია, 1752 წელს მან სასტიკი დამარცხება აგემა აჯიჭალაბის ჯარებს, 1754 წელს მჭადიჯვართან გაანადგურა ნურსალ-ბეგის ლეკთა ჯარი, 1770 წელს კი ერეკლემ ბრწყინვალედ მოიგო თურქეთთან ასპინძის ომი და სხვ. ერთგვარ წარმატებას მიაღწია იმერეთის მეფე სოლომონ პირველმაც, რომელმაც 1757 წელს თურჩთა ჯარი დაამარცხა ხრესილის მინდორზე.

მაგრამ, თურქეთ-ირანთან ბრძოლის ეს ცალკეული წარმატებები ვერ ცვლიდა საქართველოსათვის იგივე თურქეთ-ირანის მხრივ შექმნილ

---

[1] პ. იოსელიანი, ტრაქტატი ანუ პირობები მის, თუ საქართველო რა დაპირობით შეუერთდა რუსეთის იმპერიას. გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, გვ. 8.

[2] Акты, т. I, стр. 97.

მძიმე საერთაშორისო მდგომარეობას. რუსეთის ცარიზმის წამოწყებამ კავკასიისაკენ და ამიერკავკასიის საკითხით ინგლის-საფრანგეთის კოლონიზატორების დაინტერესებამ, საქართველო განხეთქილების ვაშლად აქცია დიდ სახელმწიფოებს შორის. ეს გარემოება კი, არა მარტო უფრო მეტად ართულებდა საერთაშორისო მდგომარეობას საქართველოსათვის, არამედ აჩქარებდა კიდეც, წინათ ისედაც თურქეთ-ირანის აგრესიის შედეგად მომზადებულ პირობებს დამოუკიდებლობის დაკარგვისათვის. ეს კი იმიტომ ხდებოდა, რომ ძლიერდებოდა მეტოქე ქვეყნების დაინტერესება ამიერკავკასიის და პირველ რიგში კი საქართველოს პლაცდარმით, რომელსაც დიდი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა მეტოქე სახელმწიფოების გეგმებში.

ტერიტორიისა და მოსახლეობის საკითხი. ამა თუ იმ ქვეყნის გაძლიერება-დასუსტების, თუ დამოუკიდებლობის შენარჩუნება-არშენარჩუნების საკითხში არსებითი მნიშვნელობა აქვს ტერიტორიისა და მოსახლეობის საკითხს როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად აღებულს. ტერიტორიის საკითხი არა მარტო ქვეყნის ეკონომიური რესურსების და ეკონომიური პოტენციალის საკითხია, არამედ იგი ამავე დროს სტრატეგიული საკითხიც არის. რაც შეეხება მოსახლეობის რიცხვის საკითხს, მას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქვეყნის ეკონომიური რესურსების გამოყენების და ეკონომიური პოტენციალის განაღდება-აწევის საქმეში, არამედ, აგრეთვე, წმინდა სამხედრო თვალსაზრისითაც. იგი უმნიშვნელოვანესი პირობაა არა მარტო დიელათით ქვეყნის უზრუნველყოფისათვის, არამედ ცოცხალი ძალით თავდაცვის უზრუნველყოფისათვისაც. ამიტომ, როდესაც საკითხი დგას მე-18 საუკუნის მიწურულის საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობაზე თუ შენარჩუნების შესაძლებლობაზე, სხვა ფაქტორებთან ერთად არ შეიძლება ამ საკითხის გარკვევასაც არ მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

პერმანენტული ომების და თავდასხმების პირობებში, ქართველი ხალხი ერთ ხელში ხმლითა და მეორეში გუთნით უმკლავდებოდა თავზე დატეხილ ავბედობას, და ასეთ მძიმე პირობებში იღწვოდა თავისი ეროვნული სახის შესანარჩუნებლად. მაგრამ, საუკუნეთა მანძილზე გაგრძელებულ ამ პერმანენტულ აკლება-აოხრებას მაინც თავისი გაჰქონდა. ალყაში მოქცეულ საქართველოს ეროვნულ სხეულს მაჰმადიანური ქვეყნები თანდათან ათლიდნენ ოდიდანვე მის კუთვნილ ტერიტორიებს.

მე-16 საუკუნის შუა წლებიდან ვიდრე მე-17 საუკუნის ოცდაათიან წლებამდე სამხრეთ საქართველოში თურქეთმა მიიტაცა რიზეს, ტრაპიზონის, კერასუნ-ფარნაკიის მხარე და აგრეთვე, ფოცხოვი, ჩილდირი, არტაანი, კოლა, ბორჩხა, ართვინი, შავშეთი, ოლთისი, თორთუმი, ეგდემი, ისპირი, ბაიბურთი, ასპინძა, ადიგენი, ახალქალაქი, ახალციხე, აწყური და

სხვა რაიონები[1] და სამხრეთიდან სულთანის იმპერიის საზღვრები ბორჯომის მისადგომებამდე გადმოსწია. ბათუმის და უფრო შემდეგ ჩაქვის, ციხისძირის, ქობულეთის, ერთი სიტყვით, მთელი აჭარის, აგრეთვე ფოთის, სოხუმის, ანაკლიის და ზღვისპირა სხვა ტერიტორიების მიტაცებით თურქეთმა მოსწყვიტა საქართველო შავი ზღვის სანაპიროებს. ყოველივე ამით თურქეთმა საქართველოს წაართვა ოდიდანვე მისი ტერიტორიის ერთმესამედზე მეტი.

იგივე თურქეთისა და ირანის წყალობით კახეთს მოწყდა მისი ჩრდილო აღმოსავლეთი ტერიტორიები, სადაც გამაჰმადიანებულ ქართველებთან ჩასახლებულნი იქნენ ლეკებიც, და სადაც შემდეგ წარმოიქმნა ჭარ-ბელაქანის „ლეკთა“ „თავისუფალი თემები“ და ელისუისის სასულთანოს ადგილები გადაიქცნენ ჩრდილო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სახანოების და დაღესტნელი ლეკი-აბრაგების დასაყრდენ პუნქტებად კახეთზე პერმანენტულ თავდასხმებისა და ძარცვა-რბევის მოწყობისათვის. როდესაც დაღესტნელი ლეკი-აბრაგები, წერია მაშინდელ დოკუმენტში,... „განიზრახავენ მორბევასა საქართველოსა მიწათასა, მაშინ მოიწევიან ჭარელთადმი და მიიღებენ თავისადმი მოსყიდვით მათგან საგძალთა, და ყოველივე სახმართა ნივთთა, და თვით მათცა თავისთან შეიერთებენ, და ამით განიმრავლებენ ჯართა თვისთა,... გაუფრთხილებლად და მოულოდებლად თავდასხმისა მჭს მტერთასა;... და ეგრეთვე ყოველნი იგი ლეკნი, რომელნიცა წარმოვლენ საქართველოსა შინა მორბევისა და აოხრებისათვის ოსმალოს მხარედგან, მაშინ იგინი პირველ მოიწევიან ჭარალეთადმი და მუნითგან სწორედ მოვლენ ახალციხეს“[2].

მაგრამ, საქართველომ მხოლოდ ის ტერიტორიები როდი დაკარგა, რომელზედაც თურქეთ-ირანის ვასალური სახანოები და სასულთანოები წარმოიქმნენ, ან რომელნიც საფაშალიკოების და სხვათა სახით იყვნენ შეერთებულნი მათ იმპერიებთან. თურქეთი და განსაკუთრებით კი ირანი, საკმაოდ ინტენსიურად ეწეოდნენ მიგრაციასაც. ისინი საქართველოს შიდა რაიონებში ასახლებდნენ მუსულმანებს, რათა ამ გზით, ერთი მხრივ, თავიანთი აგრესიისათვის ქვეყნის შიგნით შეექმნათ სამხედრო დასაყრდენი, და, მეორე მხრივ, ხელი შეეწყოთ ქართველი მოსახლეობის ასიმილაციისათვის. სწორედ ამ მიზნით იქნა ჩასახლებული კახეთში მარტო შაჰ-აბასის დროს 15.000 მუსულმანი.

როდესაც ტერიტორიის საკითხზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოებაც, რომ როგორც ქართლ-კახეთის, ისე იმერეთის სამეფოების მრავალი ციხე-სიმაგრე ხელში ჰქონდათ ჩაგდებული ირანელებსა და ოსმალებს, რომელთაც თავიანთი გარნიზონები ჰყავდათ იქ ჩაყენებული.

---

[1] პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954 წ., გვ. 297—302.

[2] А. А. Цагарели, Грамоты, том II, вып. I, 1898, г., стр. 207—208.

ერთი სიტყვით, საქართველო, რომლის საზღვრები ერთ დროს ყარსსა და ტრაპეზუნდს შორის სცილდებოდა სამხრეთისაკენ, ახლა მტრების მოწოლით თანდათან იკუმშებოდა და ჩრდილოეთით კავკასიის მთებისა და აღმოსავლეთით კი თბილისისაკენ იწეოდა. კერძოდ ქართლის სამეფოს საზღვრები იმდენად მცირე იყო, რომ 1770 წელს კაპიტანი იაზიკოვი წერდა: „მეფე ირაკლის სამფლობელო... ქართლი სიგრძეზე შეიძლება კაცმა ზეითად ერთნახევარ დღეში გაიაროს"[1]. ეს მით უფრო ითქმის ქართლის სამეფოს საზღვრების სიგანეზე ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით.

ესოდენ უდიდესი ტერიტორიის დაკარგვით, არა მარტო მცირდებოდა ეკონომიური რესურსები და ქვეყანა მატერიალური დოვლათის შექმნის თვალსაზრისით პოტენციალურად კლებულობდა, არამედ უარესდებოდა მისი სტრატეგიული მდგომარეობა და ტერიტორიის დაკარგვით იკარგებოდა მოსახლეობის საკმაოდ დიდი რიცხვიც.

თუ მე-13 საუკუნეში საქართველოს სამეფოს მცხოვრებთა რიცხვი 5 მილიონამდე აღწევდა, მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ხალხის მითვლით, ამ რიცხვმა მონგოლების შემოსევებით დაწყებული ავბედობით სწრაფად იწყო დაღმავალი მრუდით დაჭანება. მართალია, მცირე შუალედებში ზოგჯერ ხერხდებოდა მოსახლეობის რიცხვის საკითხში სტაბილურობის მიღწევა, ან ზოგჯერ კი უმნიშვნელო მატებაც, მაგრამ ასეთი შემთხვევები გამონაკლისი იყო და იგი ვერ სცვლიდა მოსახლეობის რიცხვის შემცირების საერთო ტენდენციას. ეს ტენდენცია კი მთელი ექვსი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა მე-13 საუკუნის დასაწყისიდან, ვიდრე მე-18 საუკუნის ბოლომდე, ე. ი. **საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე.**

მოსახლეობის რიცხვის ამ შემცირებაზე მოქმედებდა მთელი რიგი მიზეზები: 1. ტერიტორიის დაკარგვით მოსახლეობის დაკარგვა, 2. ომები, რომელიც ხშირი მოვლენა იყო, ნთქავდა და იწირავდა მოსახლეობის, კერძოდ, შრომისა და გამრავლების უნარის მქონე მოსახლეობის, მეტად დიდ რიცხვს. მარტო შაჰ-აბასთან წარმოებულ ომში 1616 წელს კახეთმა ერთი წლის განმავლობაში დაკარგა ასი ათას კაცამდე. საქართველოს ისტორია, დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის წარმოებული ომების ისტორიაა და ყველა მათი ჩამოთვლა აქ ჩვენს მიზანს არ შეადგენს. თავისთავად გასაგებია, რომ ყველა ეს ომები, თავდებოდნენ ქართველი ხალხის გამარჯვებით თუ დამარცხებით, ორივე შემთხვევაში ისინი მოითხოვდნენ დიდ მსხვერპლს, და ამიტომ მათ არ შეეძლოთ არ ემოქმედათ მოსახლეობის რიცხვის შემცირებაზე. 3. ომების, თარეშისა და დარბევის გზით სამოქალაქო მოსახლეობის გატაცება ტყვეებად. მე-16 საუკუნის შუაწლებში შაჰ-თამაზმა ქართლიდან წაიყვანა 30 ათასამდე

[1] А. А. Цагарели, Грамоты, т. I, стр. 191.

ტყვე. 1795 წელს თბილისის აკლებისა და დანგრევის შემდეგ, ქალაქისა და მისი მახლობელი სოფლებიდან აღა-მაჰმად-ხანმაც ზოგიერთი ცნობით წაიყვანა 30 ათასამდე ტყვე[1]. შემდეგ, როდესაც აღა-მაჰმად-ხანთან ტყვეების გამოსყიდვაზე მოლაპარაკება გაიმართა, ხანი თვითეულ ტყვეში 100 მანეთს მოითხოვდა[2]. ერთი სიტყვით, ომებისა და თარეშების დროს ამა თუ იმ სახით სამოქალაქო მოსახლეობის მსხვერპლი ყოველთვის მეტად საგრძნობი იყო. 4. მოსახლეობის აყრა და გადასახლება სპარსეთისა და ოსმალეთის შიდა რაიონებში. მარტო შაჰ-აბასმა 1616 წელს კახეთიდან ასი ათასამდე მცხოვრები გადაასახლა ქირმანს, მაზანდერანსა და ფერეიდანში. 5. ტყვეთა ვაჭრობა. ტყვეთა ვაჭრობამ საქართველოში ფეხი მოიკიდა მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან და ეს საშინელი სოციალური სენი მძვინვარებდა ჩვენში ვიდრე მე-18 საუკუნის მეორე ნახევრამდე. ტყვეთა ვაჭრობის შესახებ ისტორიკოსი ფადეევი წერდა: „მთელი კავკასია მონათა ბაზრად იყო გადაქცეული ...მამელუკთა და ბაღდადის გურჯების მთელი ჯარები სულ ერთიანად კავკასიელი მონებისაგან შესდგებოდა. თურქეთისა და სპარსეთის ყველა თეთრკანიანი მონა კავკასიიდან გამოჰყავდათ, თურქეთის ჰარამხანები სავსე იყო კავკასიელი ქალებით“[3]. ტყვეთა ვაჭრობას უმთავრესად ეწეოდნენ თავადები და მსხვილი ფეოდალები, რომელნიც თავს ესხმოდნენ ერთმანეთის სოფლებს, იპურდნენ მათ მცხოვრებლებს, როგორც კაცებს ისე ქალებს, და ჰყიდდნენ მათ ოსმალეთსა და სპარსეთში. მე-17 საუკუნის სამოცდაათიან წლებში 13—18 წლის ახალგაზრდა ქალს საშუალოდ 13 მანეთად ყიდდნენ, ხოლო 25—40 წლის მამაკაცს კი 10 მანეთად[4]. ყველაზე ულამაზესი ქალის ფასი კი მეტად დიდიც იყო. კაპიტან იაზიკოვის ცნობით, საქართველოდან გატაცებულ ასეთ ქალს ლეკები ოსმალეთისა და სპარსეთის ბაზარზე ზოგჯერ 5.000 მანეთადაც კი ჰყიდიდნენ[5].

ფეოდალებსა და თავადებს ირან-თურქეთის ბაზარზე ტყვეთა ხახით წელიწადში დაახლოებით 20—25 ათასი სული გაჰყავდათ გასასყიდად. ეს იყო მათი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემოსავალი, რომელიც მათ საშუალებას აძლევდათ შეეძინათ უცხოური საქონელი[6]. იგივე იაზიკოვი წერს, რომ „იმერეთში ჩვეულებად ჰქონდათ თურქებზე გაეყიდათ და გაეცვალათ რაიმე საგანში სხვადასხვა საჭიროების გამო მამრობითი და მდედრობითი სქესი, მაგრამ როგორც კი იგი (სოლომონ I.—მ. ა.) შეუდგა მმართველობას, მან ეს გაყიდვა და გაცვლა აკრძალა, რის გამოც იგი

---

[1] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, 1922 წ., გვ. 239.

[2] П. Г Бутков, Материалы для новой истории Кавказа. ч. III, стр. 264.

[3] პროფ გ. ხაჭაპურიძე, რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული მნიშვნელობა. 1955 წ., გვ. 8

[4] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, 1922 წ., გვ. 109.

[5] А. А. Цагарели, Грамоты. т I. стр. 189.

[6] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, გვ. 109.

მათი (ე. ი. თავადების.—მ. ა.) აშკარა მტერი შეიქმნა... რადგანაც მათ ამით მოაკლდათ შემოსავალი. ადგილობრივი თავადები და აზნაურები ამ აკრძალვამდე თურქებს აყიდებდნენ და უცვლიდნენ გლეხებსა და ქალიშვილებს არა მარტო ცხენსა და ხმალზე, არამედ შეზელილ იკრასა და ყველაფერ იმაზე ვისაც რა სჭირდებოდა"[1].

ტყვეთა ვაჭრობას განსაკუთრებით ფეხი მოკიდებული ჰქონდა დასავლეთ საქართველოში. ამის შესახებ ნ. დუბროვინი წერდა: „აბხაზები, გურულები და ფოთის მცხოვრებნი არ გაუშვებდნენ შემთხვევას, რათა ხელთ ეგდოთ ორივე სქესის სოფლელები და ბავშვები თურქებზე მისაყიდათ. ამ სახალხო უბედურებას ემატებოდა მათი საკუთარი თავადების ურთიერთ მტრობა; ისინი ერთმანეთს სტაცებდნენ ქვეშევრდომთ იმავე თურქებზე მისაყიდად და ამით აკმაყოფილებდნენ თავიანთ შურსა და ანგარებას. ყოველივე ეს აჩანაგებდა მოსახლეობას და თავს ატეხდა ხალხს სიღატაკეს და ჩაგვრას"[2]. ცხადია, რომ ტყვეთა ვაჭრობა არ შეიძლება არ იქნეს მიჩნეული ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად, რომელიც ხელს უწყობდა საქართველოში მოსახლეობის რიცხვის შემცირებას. ნ. ლეკი-აბრაგების თარეში ადამიანთა გასატაცებლად და ტყვეთ გასასყიდად. ტყვეებით ვაჭრობას ეწეოდნენ არა მხოლოდ ქართველი შემამულეები და თავადები, არამედ უფრო ენერგიულად ამ საქმეს ხელს ჰკიდებდნენ ლეკი-აბრაგები. ისინი განუწყვეტლივ წვრილ რაზმებად დათარეშობდნენ დღითა და ღამით მინდვრებსა და ტყეებში, სოფლებსა და დაბებში ადამიანების დასაჭერად, ტყვედ წასაყვანად და გასაყიდად. ჯამბაკურ ორბელიანი წერს, რომ ღამით სახლიდან ეზოში გამოსვლა სახიფათო იყო, რომ ჩასაფრებულ ლეკებს არ გაეცანთ ადამიანი. მას მოჰყავს მაგალითი, თუ როგორ დაესხნენ ლეკები გასატაცებლად ერთს თავადს, რომელიც „...ვახშმის შემდგომ გამოვიდა კარზე ფარაღათათ ახალუხა მასკვლავებიანს ღამეში..."[3]. იგივ ჯ. ორბელიანის ცნობით ლეკები ტყვეთა გატაცების მიზნით თბილისშიაც კი იჭრებოდნენ ქურთულად, ხოლო ზოგჯერ მთავარ შოსე გზებზე შეფეებსაც კი ესხმოდნენ თავს, თუ ისინი მცირე ამალით მიდიოდნენ[4]. იესე ოსეს შვილი კი, რომელიც ერეკლე მეორეს დროს ცხოვრობდა, თავის „თავგადასავალში" წერს, რომ ლეკების ხელში ტყვედ ჩავარდნის შიშით ხშირად ეკლესიის გალავანის აკლდამაში ვისხედით მე და ჩემი და ახუაო[5]. ერთი სიტყვით, როგორც ჩვენი დიდი მწერლის—დავით გურამიშვილის მაგალითიც ამტკიცებს, ლეკი-აბრაგები პირდაპირ ნადირობდნენ ადამიანებზე. ისინი დღისით თუ ღა-

[1] А. Цагарели, Грамоты, т. I, стр. 191.

[2] იხ. პროფ. ბ. ბაქაურიძის დასახ. შრომა, გვ. 8.

[3] ჯამბ. ორბელიანი, დაღისტნიდან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები. სარკვეის კაკაბაძის გამოცემა, 1914 წ., გვ. 20.

[4] იქვე. გვ. 21.

[5] თავგადასავალი იესე ოსეს შვილის, ს. კაკაბაძის გამოცემა, 1913 წ., გვ. 7.

ით, მინდორში სამუშაოდ გასულს თუ საკუთარ სახლში მყოფთ, იჭერდნენ ცალობით და ბითუმად და მიჰყავდათ თურქეთ-ირანის ბაზარზე გასაყიდად. ლეკი-აბრაგების ეს თარეში იყო ალბათ ერთ-ერთი მიზეზი მოსახლეობის რიცხვის კლებისა ჩვენში. 7. მოსახლეობის რიცხვის კლებადობაზე მოქმედებდა ირანის ხანებისა და თურქეთის სულთანების მიერ ხარკის სახით შეწერილ ქალ-ვაჟთა წაყვანაც მათ სამეფო კარზე. აღსანიშნავია, რომ სპარსელები და თურქები ამ საშინელ „გადასახადს“ საქართველოს, თითქმის ყოველთვის აკისრებდნენ, როდესაც კი მას იპყრობდნენ, ან მასზე თავიანთ გავლენას ავრცელებდნენ. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ ჰეროდოტე (III, 97) აღნიშნავს, რომ სპარსელები მის დროს (ძვ. წელთ აღრიცხვის V საუკუნე) კოლხებს „ახდევინებდნენ“ 5 წელიწადში ერთხელ 100 ქალსა და 100 ვაჟს. 1670-იან წლებში იმერეთის სამეფო თურქეთს ხარკში აძლევდა წელიწადში 10—20 წლის 80 ქალ-ვაჟს, გურია—46. იგივე იმერეთის სამეფო 1760-იან წლებში თურქეთს აძლევდა—60 ქალ-ვაჟს. ნადირ-შაჰმა კი 1740-იან წლებში ქართლისაგან მოითხოვა 600 ქალ-ვაჟი და ა. შ.

კ. ბოროზდინი გადმოგვცემს, რომ სამეგრელოში მისი ყოფნის დროს (1854—1861 წწ.) „აქაურებს ჯერ ისევ კარგად ახსოვდათ ოსმალოს ბატონობის სულ ახალი ხნის ამბავი. იყვნენ, ვიმეორებთ, მოხუცებიცა, რომელთაც ეს დრო ახსოვდათ. დადიანი მაშინ ხარკს აძლევდა ოსმალოს სულთანს ბიჭებითა (თუქსუსებით) და გოგოებითა; ხშირად ვეზირი ბარათს უგზავნიდა, რეცეპტის მსგავსად, და მონაწერი საფთეკო სისწორით უნდა აესრულებინა. ამ ბარათებში აღწერილი იყო ხოლმე სიმაღლე, თვალები, პირი, თმა, სხეულის სხვადასხვა ნაწილების ფორმა და მისი მსგავსი წვრილმანები, რომლებიც უნდა ჰქონოდა თუქსუსს ან ოდალიკს (ჰარამხანაში მოახლე-მონას), ფადიშახის ავხორცობის დასაკმაყოფილებლად. სპარსეთის შაჰიც უფრო მეგობრობითა სთხოვდა იმასვე. დადიანი ამ შემონათვალს ასრულებდა თავისდაუნებურადაც და მეგობრობითაც, სანამ ქუჩუკ-კაინარჯიის ზავმა 1774 წ. ამ საშინელი ხარკისაგან არ გაათავისუფლა—de jure, მაგრამ de facto ოსმალთათვის ამ საქონლის გაგზავნა დიდხანს კიდევ დარჩა...“[1].

საქართველოდან ამგვარი „ხარკის“ გზავნა, რა თქმა უნდა, იმდენად მოსახლეობის რიცხვის დაცემაზე არ მოქმედებდა, რამდენადაც მის აბუჩად აგდებისა და ნაციონალური გრძნობის შეურაცხყოფაზე. ეს იყო ეპოქა, როდესაც დამპყრობი აღმოსავლეთის ქვეყნის ხმლის ძალა აიძულებდა დაპყრობილი, ან ვასალურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის ახალგაზრდობის ერთ ნაწილს გადაქცეულიყვნენ დამპყრობთა მრუდე, სოდომური ჟინის დასაკმაყოფილებელ ტიკინებათ. არ შეიძლებოდა უფრო

[1] კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი. თ. საბოკიას თარგმანი, 1934 წ., გვ. 141.

უბედური ყოფილიყო ბედი ადამიანისა, ვიდრე ძალით ამ „პროფესიაზე“ დაყენებულთა, რომელნიც შორს, სამშობლოდან მოწყვეტილნი, ასეთ დამამცირებელ ყოფაში ატარებდნენ თავიანთ სიჭაბუკეს იმის გამო, რომ „მამაკაცი იქამდე დაქვეითდა, რომ ვაჟების სიყვარულის უკუღმართობა იგემა, მან თავისი ღმერთებიც იმდენად დაამდაბლა, რომ განიმედის მითოსი შექმნა“[1].

აღმოსავლეთი საქართველო მე-18 საუკუნის შუა ხანებამდე უგზავნიდა სპარსეთს „განიმედის ხარკს“ და ერეკლემ შესწყვიტა მისი მიცემა. როცა ჭერიმ-ხანმა, ერთი მხრით, იმ გარემოების გამოსარკვევად: კვლავ აღიარებდა თუ არა ქართლ-კახეთის სამეფო სპარსეთისაგან დამოკიდებულებას, და, მეორე მხრით კი, თავის თავად ამ „ძღვენისადმი“ ინტერესის გამო, ერეკლეს შემოუთვალა 12 წყვილი ქალ-ვაჟის გაგზავნა, ერეკლემ უარი შეუთვალა და მას ელჩებს განუცხადა: იცოდეთ, ქერიმი მე ვერ მომატყუებს, ვინაიდან თვითონ ეშმაკზე ერთი ღლით ადრე დავიბადეო. 8. მოსახლეობის შემცირებას იწვევდა სხვადასხვა ეპიდემიების გავრცელებაც, რომელიც სიღატაკის, მთებსა და ციხე-კოშკებში დახიზვნის შედეგად კიდევ უფრო მძვინვარე ხასიათს იღებდა. 1770 წ. კაპიტანი იაზიკოვი წერდა, რომ გასულ წელს მარტო თბილისში ჰირმა ექვსი ათასი სული გაწყვიტაო“[2]. 9. მოსახლეობის რიცხვს დაბლა ეწეოდა, ბუნებრივი მატების კლებადობა და მცირეწლოვან ასაკში ბავშვთა სიკვდილიანობა, რაც თავის მხრივ ქვეყნის საერთო ეკონომიური დაქვეითებისა და მოუსვენარი ცხოვრების შედეგი იყო.

ერთად აღებული, ყველა ზემოთ აღნიშნული მიზეზებით, მოსახლეობის რიცხვი როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ხანგრძლივი კლებადობის გამო კატასტროფიულ შედეგებამდე მიდიოდა. ერეკლე ცდილობდა ეს მდგომარეობა ერთგვარად შეენელებინა მეზობელი ქვეყნებიდან (მაგ. ყაბარდოდან და სხვ.) ხალხის გადმოყვანით და და მათი ჩასახლებით ქართლსა და კახეთში. მაგრამ, ეს და სხვა ამგვარი ღონისძიებანი არ შეიძლებოდა ყოველმხრივ გამართლებული ყოფილიყო, რამდენადაც იგი თვითონ შეიცავდა ადგილობრივი მოსახლეობის დენაციონალიზაციის საშიშროებას და სხვა უარყოფით შედეგებს.

ჩვენ არა გვაქვს უტყუარი სტატისტიკური მონაცემები, თუ რუსეთთან საქართველოს შეერთებისას, ან მის ახლო ხანებში, რამდენს უდრიდა საქართველოში მოსახლეობის რიცხვი. არაპირდაპირი მონაცემების მიხედვით ჩვენ სხვადასხვა მკვლევარები ამ რიცხვს სხვადასხვა ოდენობით ანგარიშობენ. ასე მაგალითად, პროფ. ალ. კაკვიძის მიხედვით, შეერთების წინ ქართლ-კახეთში უნდა ყოფილიყო დაახლოებით 380 ათასი სული

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 წ., გვ. 65.

[2] А. А. Цагарели. Грамоты, т. I, стр. 188.

მცხოვრები, იმერეთის სამეფოში—200 ათასი, სამეგრელოსა და გურიაში—120 ათასი, სულ—700 ათასი. პროფ. ვ. გუგუშვილის მიხედვით 600 ათასი, ფილიპე მახარაძის მიხედვით, რომელსაც იზიარებს პროფ. გ. ხაჭაპურიძე, 413 ათასი[1]. პროფ. ს. კაკაბაძის მიხედვით 1770-იანი წლებისათვის უნდა ყოფილიყო დაახლოებით 500.000[2]. კაპიტანი იაზიკოვის მიხედვით 1770-იან წლებში ქართლში იყო 100 ათას სულზე ნაკლები, კახეთში ამაზე მეტი[3], იმერეთში კი ასევე, 100 ათას სულზე ცოტა ნაკლები[4], ე. ი. გურიის, სამეგრელოს და აფხაზეთის გამოკლებით, დაახლოებით სულ 300 ათასი სული. ვ. ბუტკოვის მიხედვით, 1783 წ. ქართლ-კახეთში იყო 61 ათასი კომლი, 1795 წელს (აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ) კი დარჩა 35 ათასი კომლი[5].

ამგვარად, დაახლოებითი რიცხვი საქართველოში მცხოვრები ყველა მოსახლეობისა, ჩვენ შეიძლება ავიღოთ სამუალოდ 500 ათასი. ე. ი. ნახევარი მილიონი. თუ ამ რიცხვს ჩვენ შევადარებთ მე-12, მე-13 საუკუნეში საქართველოში არსებული მოსახლეობის რიცხვთან (5 მილიონი), მაშინ გამოვა, რომ ექვსი საუკუნის მანძილზე მოსახლეობას დაუკლია დაახლოებით თითქმის 9-ჯერ, ე. ი. დარჩენილა მხოლოდ 10%. გასაგებია, რომ მოსახლეობის ამგვარი დაკლება ქვეყანას ნაციონალური გაჭრობისა და გადაგვარების კატასტროფამდე მიიყვანდა, თუკი არ შეჩერდებოდა იგი და დაღმავალი მრუდე აღმავალით არ შეიცვლებოდა. მაგრამ, მაჰმადიანური ქვეყნების ოკეანეში ჩაძირულ საქართველოს, რა თქმა უნდა, არ შესწევდა ამის უნარი.

თურქეთი და ირანი ზოგჯერ ამიერკავკასიაში 100 ათასიანი არმიებით ებმებოდნენ ბრძოლებში[6]. გასაგებია, თუ საქართველოს რა ძალები შეეძლო დაეპირისპირებინა მათთვის, ისიც მაშინ, როცა მისი ეს ნახევარმილიონიანი მოსახლეობა იყოფოდა ხუთ სახელმწიფოებრივ ერთეულად: გურიის, სამეგრელოს და აფხაზეთის სამთავროდ და იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოებად. ასეთ პირობებში და ასეთი შინაგანი პარტიკულაციის დროს, როდესაც ასე შორს მიდიოდა დეცენტრალიზაცია და, როგორც ი. ბ. სტალინი წერდა, ქართველი ფეოდალები ერთმანეთს თვითონვე უსისინებდნენ ამოსაყლეტად თურქებსა და სპარსელებს, — ძნელი მისახვედრი არ არის, რომ საქართველოს დიდ ხანს აღარ შეეძლო გაეძლო მაჰმადიანური ქვეყნების დაწოლისათვის. ის გარემოე-

---

[1] პროფ. გ. ხაჭაპურიძე, რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული მნიშვნელობა, 1935 წ., გვ. 18.

[2] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, 1922 წ., გვ. 109, 228, 241.

[3] А. А Цагарели, Грамоты, т. I, стр. 191.

[4] იქვე. გვ 196.

[5] П. Г. Бутков, ч. III, 1869 г., стр. 260.

[6] П. Г. Бутков, ч. I, стр. 133.

ბა, რომ ერეკლემ აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ დედაქალაქის დასაცავად ქართლ-კახეთიდან 4 ათას კაცზე მეტი ვერ გამოიყვანა, და აქედანაც ბრძოლის დაწყებამდე ორი ათასი კაცი მეფის ნებართვის გარეშე ქიზიყის მოურავმა უკან წაიყვანა, ამის უტყუარი მაჩვენებელია.

შაჰ-აბასის, ნადირ-შაჰის, აღა-მაჰმად-ხანის მაგვარი, ან სულთანის თურქეთის ერთი, ორი ძლიერი შემოტევა და საქართველოს ბედი გადაწყვეტილი იქნებოდა. აქეთ მიდიოდა ისტორია. მას ერეკლეს ხმალი ვეღარ შველოდა. ამ მძიმე მდგომარეობაში საჭირო გახდა ერეკლეს მოქნილი დიპლომატიური პოლიტიკა და მან ბრწყინვალედ დაიჭირა კიდეც გამოცდა ისტორიის წინაშეც და საკუთარი ხალხის წინაშეც. რომ ეს ნამდვილად ასე იყო, და რომ საქართველოს ხანგრძლივ და უწყვეტ ბრძოლებში დაკოდილი არწივის მსგავსად, მაჰმადიანური ყვავ-ყორნები თავს დასჩხაოდნენ და ნისკარტს ლესავდნენ მისი საბოლოო დაჯაჯგნისა და გადაყლაპვისათვის, ეს ჩანს არა მარტო საქართველოს მოსახლეობისა და ტერიტორიის შემცირების საკითხიდან და მისი საერთაშორისო მდგომარეობის ზემოთ განხილული სურათიდან, არამედ მთელი რიგი სხვა ფაქტორებიდანაც.

ეკონომიური მდგომარეობა. განუწყვეტელი ომების გამო ქვეყანა ჭკარაგდა არა მ ა რ ტ ო დ ო ვ ლ ა თ ს, რომელიც მტერს ან ხარკისა და ნადავლის სახით მიჰქონდა და ან ადგილზე ანადგურებდა, არამედ იგი შლიდა და დაბლა ეწეოდა ამ დოვლათის კვლავწარმოების პირობებს. ეს გარემოება იწვევდა ქვეყნის საერთო ეკონომიური პოტენციალის დაცემას, მოსახლეობის გალატაკებას და ამის შესაბამისად თავდაცვის უნარიანობის შემცირებას, მტრისათვის წინააღმდეგობის გამწევი ძალებისა და ფაქტორების მოშლასა და დაძაბუნებას.

ქვეყნის ეს ეკონომიური დაცემა ერთდროულად რამდენიმე **არხით** მიდიოდა, ერთიმეორეს ერთვოდა და, საბოლოო ანგარიშით, ამწიფებდა ქვეყნის საერთო ეკონომიურ კატასტროფას. აქედან ძირითადი იყო:

1. საწარმოო ძალების ძირითადი ელემენტის განადგურება და მისი დაღმავალი მრუდით დაქანება, რაც მწარმოებელი მოსახლეობის თანდათან მზარდ შემცირებაში გამოიხატებოდა. მწარმოებელი მოსახლეობის ამ შემცირებას კი იწვევდა არა მარტო ტერიტორიის დაკარგვით, ტყვეთა გაყიდვით, ლეკი-აბრაგების გატაცებით მათი შემცირება, არამედ განუწყვეტელ თავდაცვით ომებში მათი განადგურებაც.

მწარმოებელი მოსახლეობის ამ რიცხვის შემცირებას არ შეიძლებოდა არ შეემცირებინა მარტივი კვლავ წარმოების პირობები, და, მაშასადამე, ამით არ შეემცირებინა თვით ქვეყნის ნაციონალური შემოსავალი. ამგვარად, ეს ნაციონალური შემოსავალი, როგორც მწარმოებელი ძალის შემცირების, ისე მარტივი კვლავ წარმოების სხვა პირობების მოშლის გამო, თანდათან მცირდებოდა. ეს უკვე ქვეყნის **ეკონომიური დაცემისა** და დეგრადაციის **ძირითადი ნიშანი იყო.**

2. მარტივი კვლავწარმოების პირობების მოშლას, გარდა ზემოთ აღნიშნული მიზეზისა, ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ შექმნილი პირობების გამო, მთელი სისრულით არა ხდებოდა არსებული მწარმოებელი მოსახლეობის გამოყენება. აქ სხვა მიზეზებიც არის, მაგრამ ჩვენ აღვნიშნავთ ორს: ლეკიანობის გამო მუდმივი შიშის ქვეშ ყოფნას და ომების მოლოდინში მოსახლეობის დროებით გახიზნვას. მთელი ორი საუკუნის (მე-17, მე-18) მანძილზე ლეკების მუდმივი შიშით ხალხი თავისუფლად და დროულად ვერ გადიოდა სამუშაოზე. 1770 წ. კაპიტანი იაზიკოვი ამის შესახებ წერდა: „...სახლიდან ან სოფლიდან შორს არ შეუძლიათ ხვნა, ეშინიათ ლეკების, ან დაღესტნელების თავდასხმის, რომელნიც ყაჩაღურად დაძრწიან და სანხავსა და მინდორში მათ ტყვედ იჭერენ და ჰყიდიან თურქებსა, კაბარდინელებსა და ყუბანელებზე, ხოლო ზოგჯერ კი მათ მიწური სადგომიდანაც ათრევენ... ქართლში ტყეები ცოტაა და ისიც მთებზე იზრდება, მოსახლეობა მასზე დიდ საჭიროებას განიცდის, რადგანაც ლეკების შიშით არა თუ ვერ ბედავენ ტყეში წასვლას, არამედ იმასაც კი, რომ თავის სოფელს მოცილდნენ ერთი ვერსით, — ისეთ უდიდეს შიშში ცხოვრობენ, რომ, არც სახნავად და არც სხვა რაც არ უნდა იყოს საჭიროებისათვის თავისი მიწური სადგომიდან 50 საჟენზე უთოფოდ არ გავაო“[1].

ომების მოლოდინში ხალხის მთებსა და სიმაგრეებში თვეობით გახიზნვა და ისიც უმთავრესად სამუშაო სეზონის პერიოდებში, რა თქმა უნდა, აგრეთვე არ იძლეოდა არსებული მწარმოებელი მოსახლეობის საჭიროების მიხედვით გამოყენების შესაძლებლობას. ასეთი გახიზვნები კი არც თუ ისეთი იშვიათი იყო. 1736 წელს მეფე თეიმურაზ II გრაფ ოსტერმანს წერდა: „...ჩვენი ქვეყანა უსჯულოთაგან წახდა; წმინდა მონასტრები დააქციეს და მრავალი სამღვთო კაცი და ერის კაცი დაატყვევეს და ჩვენ იმათის მძლავრობისაგან გავიხიზნეთო“[2]. გასაგებია, რომ ასეთ გახიზნვებს მოსახლეობა არ შეეძლო არ მოეწყვიტა პროდუქტიული შრომისაგან, გარდა იმისა, რომ იგი მრავალ ვაი-ვაგლახს, ხარჯებს და დოვლათის განადგურებასაც იწვევდა.

ხარკი და ნადავლი. ისეთ პირობებში, როცა ნაციონალური შემოსავლის თანდათან დაბლა დაწევის და ნაციონალური დოვლათის თანდათან დაკლების გამო მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობა ისედაც მძიმე ხდებოდა, მას უფრო ამძიმებდა ის უდიდესი ხარკი და ნადავლი, რომელიც სპარსეთსა და თურქეთს საქართველოდან მიჰქონდა. რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმის ცოდნა ზუსტად, თუ ხარკის და ნადავლის სახით ირანმა ან ოსმალეთმა მთლიანად რამდენი წაიღო, მაგრამ ცალკეული პერიოდების შესახებ შემორჩენილი ცნობები მაინც იძლევა ერთ-

[1] А. А. Цагарели. Грамоты, т. I. стр. 185.

[2] იხ. საისტორიო მოამბე, 2. დოც ალ. იოსელიანის წერილი, დოკუმენტები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან, 1946 წ., გვ. 395.

გვარ წარმოდგენას იმაზე, თუ იგი რაოდენ მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას.

ხარკი საქართველოდან გადიოდა, როგორც ნატურის სახით: აბრეშუმი, პური. პირუტყვი და ა. შ., ისევე ფულის სახით. მოსახლეობა იხდიდა სპეციალურ გადასახადს ამ ხარკის გასასტუმრებლად. დამპყრობლებს დიდი მადა ჰქონდათ და თუ სადამდე მოდიოდა ამ ხარკის მასშტაბი, ეს შეიძლება თუნდაც იქიდან წარმოვიდგინოთ, რომ ნადირ-შაჰმა ქართლ-კახეთიდან წაიღო 300 ათასი კოდი პური[1], 3 ათასი შებმული ურემი და ამის გარდა წაიყვანა კიდევ 8 ათასი ხარი. ამიტომ წერდა პაპუნა ორბელიანი, რომ ამის შემდეგ ქართლში ხარი აღარ დარჩაო[2]. იგივე ნადირ-შაჰმა ქართლ-კახეთს დააკისრა 200 ათასი თუმნის (2 მილიონ მანეთის) გადახდა. შაჰ-აბასმა კი, მარტო ერწო-თიანეთიდან ნადავლის სახით წაიყვანა 40.000 სული ცხვარი[3]. თუ მხედველობაში მივიღებთ ნადირ-შაჰის დროს კახეთის მოსახლეობის სიმცირეს, მაშინ გასაგები გახდება ყველა ამ ხარკებისა და ნადავლის გამაპარტახებელი შედეგები.

ირანი, თურქები და ლეკი-აბრაგები ერთმანეთს ეცილებოდნენ საქართველოს გაყვლეფაში. ისინი, რა თქმა უნდა, იმაზედაც არ ფიქრობდნენ, რომ მოსახლეობისათვის შეენარჩუნებინათ ეკონომიური პირობების ისეთი დონე, რომ მათ შესძლებოდათ მარტივი რეპროდუქცია, რათა ამ დამპყრობლების შემდგომ დარბევასა და თარეშამდე კიდევ შეექმნათ იმავე მასშტაბით წასართმევი და წასაღები. მათ ყველაფერი მიჰქონდათ, რაზედაც ხელი მიუწვდებოდათ. რაც გადარჩებოდა სპარსელებს, მიჰქონდათ ოსმალებს, რაც ოსმალებს გადარჩებოდა, ის მიჰქონდათ ლეკებს და ასე—შებრუნებით. ერთი სიტყვით, ამ ომებისა და თარეშის დროს მათ მიჰქონდათ არა მხოლოდ „ნაჭარბი“, რაც შეიძლებოდა ნორმალური ცხოვრების პირობებში საჭონლად გადაქცეულიყო, არამედ თვით მოსახლეობისათვის აუცილებლად საჭირო მოსახმარი საგნებიც, რითაც აქვეითებდნენ მათი ცხოვრების დონეს და შიმშილით და სიღატაკით უქმნიდნენ მათ ფიზიკური დეგრადაციის და დაღუპვის საშიშროებას.

უფრო მეტიც, მათ არა მარტო მიჰქონდათ ის, რის წაღებაც შეიძლებოდა და რასაც ისინი ხელში მოიგდებდნენ, არამედ ზოგჯერ ისინი შეგნებულად ანადგურებდნენ იმასაც, რის წაღებაც საერთოდ არ შეეძლოთ, როგორც ეს შაჰ-აბასმა მოიმოქმედა 1616 წელს კახეთის მიმართ. შაჰ-აბასის ბრძანებით მისი ყიზილბაში ჯარისკაცები ანგრევდნენ კახეთ-

---

[1] ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, 1922 წ., გვ. 162.

[2] ქართლის ცხოვრება, II, 351.

[3] ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, 1922 წ., გვ. 52.

ში ყველა სახის ნაგებობას: სახლებს, ეკლესიებს, ციხე-კოშკებს. ჰკაფავდნენ ვენახებს, თუთისა და კაკლის ხეებს.

შაჰ-აბასს უნდოდა, რომ მეურნეობისა და ბინის მოშლითა და განადგურებით აეძულებინა კახეთის ის ერთი მესამედი მოსახლეობა, რაც მის ხოცვა-ჟლეტას და სპარსეთში გადასახლებას გადაურჩა, რომ მათ მიეტოვებინათ მამა-პაპათა მიწა-წყალი, გადახვეწილიყვნენ სხვაგან და მათ მაგიერ სპარსეთიდან კახეთში გადმოსახლებული ყიზილბაშები დაპატრონებოდნენ ქვეყანას. ამ გეგმის წარმატების შემთხვევაში მერე ასეთივე ბედი ეწვეოდა ქართლს და ასე შემდეგ. მაგრამ, ქართველი ხალხის სიყვარულმა, მისმა გმირულმა თავდადებამ თავისი კერისა და თავისი მიწა-წყლისადმი ბევრ შახებსა და სულთანებს ჩაუშალათ გეგმები. როგორც კი მტერი ფეხს გადადგამდა მის მიერვე ატიალებული ქვეყნიდან, სადაც მას თავისივე ამაოხრებელი პოლიტიკის გამო თვითვე ემუქრებოდა შიმშილითა და სიცივით გაჭირვება და დაღუპვა, მთებსა და თავშესაფარებიდან ხალხი ისევ იწყებდა ბარად ჩამოსვლას, ისევ ხელს ჰკიდებდა გუთანსა და ბარს და მძიმე შრომით ისევ თავიდან იწყებდა თავისი კერისა და მეურნეობის აღდგენას. მაგრამ, სპარსეთში შაჰ-აბასებს ნადირ-შაჰები სცვლიდნენ, ოსმალეთში სულთან სელიმებს — ახალი სულთანები, დაღესტანში ნურსალ-ბეგებს—ომარ-ხანები, და ყველა ისინი ისევ საქართველოს ასტიალებლად და ასაწიოკებლად მოდიოდნენ. ისევ ბრძოლა და აოხრება ქვეყნისა, შემდეგ, ისევ შრომა და აღდგენა, და ასე დაუსრულებლად და ასე გაუთავებლად.

დამპყრობთა ტალღებმა ათეული ქალაქი (ხერთვისი, წუნდა, თმოგვი, რუსთავი, გრემი და ა. შ.) და ასეული სოფლები აღგავეს პირისაგან მიწისა. ცხადია, პერმანენტული ომების, დარბევის, დიდი ძალი ხარკისა და ნადავლის გატანის, მოსახლეობის ამოწყვეტის, გაღატაკების და საწარმოო ძალების მოშლის გამო, ერთი აოხრებიდან მეორემდე არსებულ „შესვენებათა“ პერიოდში, ვერ ხდებოდა წინათ არსებული დოვლათის, ნაციონალური შემოსავლის და საწარმო ძალების სრული მასშტაბითა და სიმძლავრით აღდგენა. ყოველივე ამის გამო, ქვეყანა დაღმა მიდიოდა უფსკრულისაკენ. იფიტებოდა მისი ეკონომიკა და თავდაცვის უნარიანობა და თანდათან მზადდებოდა ნიადაგი ნაციონალური კატასტროფისათვის.

ამ ნაციონალურ კატასტროფას იწვევდა და ამწიფებდა ქვეყნის შიგნით პოლიტიკური მდგომარეობის დაძაბვაც, რაც თავს იჩენდა ფეოდალურ-თავადურ საქართველოში კლასობრივი ბრძოლით ფეოდალებსა და გლეხებს შორის, და თვით ფეოდალებს შორის მათი ვიწრო ეგოისტური მიზნებისათვის. დამღუპველი გავლენა ჰქონდა ამ ფეოდალების ბრძოლას ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგაც, რამდენადაც იგი დაბლა ეწვეოდა ქვეყნის ეკონომიურ და თავდაცვის პოტენციალს და არ იძლეოდა ქვეყნის ეკონომიური და სამხედრო ძალების ეფექტური გაერთიანე-

ბის საშუალებას კარზე მომდგარი მტრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

გლეხობა. გლეხობა წარმოადგენდა ფეოდალური ურთიერთობის პირობებში არა მარტო ქვეყნის ეკონომიკის ძირითად საძირკველს, არამედ მუდმივი და დაჭირავებული არმიის უყოლობის პირობებში მისი თავდაცვის პოტენციალის ძირითად საყრდენსაც. ეს ძირითადი მწარმოებელი კლასი კი, რომლის ოფლზედაც ეკიდა უმთავრესად ქვეყნის ეკონომიკა, ხოლო სისხლზე—ქვეყნის თავდაცვა, ნადგურდებოდა რიცხობრივად არა მარტო ომში სიკვდილით და ტყვეთა სახით უცხოეთში გაყვანით, არამედ მას ანადგურებდა და ფიზიკური დეგრადაციის პირობებს უქმნიდა საკუთარი ფეოდალებისა და მემამულეების ურჯულო მოქცევა და ველური ექსპლოატაციაც. მემამულეები თავიანთ ყმა გლეხებს თვითნებურად ეჭცეოდნენ და მიჰყავდათ ისინი უკიდურეს მდგომარეობასა და გაღატაკებამდე.

მე-19 საუკუნის ოციან წლებში საქართველოს უმაღლესი მმართველობის საერთო კრების წარდგენაში მთავარ მმართველობის სახელზე, ჩამოთვლილი და ფორმირებული იყო კანონითა და ტრადიციით განმტკიცებული ის ვალდებულებანი, რითიაც აღმოსაჭლეთ საქართველოში განისაზღვრებოდა საბატონო ყმა გლეხისა და მისი ბატონის ურთიერთ დამოკიდებულება. მართალია, ამ წარდგინებაში ჩამოთვლილი საბატონო ყმა გლეხთა ვალდებულებანი ეხებიან მე-19 საუკუნის ოციან წლებს, მაგრამ, ისინი ძირითადში მაინც უნდა გამოხატავდნენ შეერთებამდელი პერიოდის საბატონო ყმა გლეხის მდგომარეობასაც. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ არ შეიძლებოდა ორი ათეული წლის განმავლობაში ამ ურთიერთობას თავისთავად არსებითი ცვლილება განეცადა, ხოლო ცარიზმის ბიუროკრატია ქართველი მემამულისა და ყმა გლეხის ურთიერთდამოკიდებულების საკითხში აქამდე აქტიურად არ იყო ჩარეული.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტში საბატონო ყმა გლეხისა და მებატონის ურთიერთდამოკიდებულება ასე იყო წარმოდგენილი:

1. მებატონეებს უფლება აქვთ წაართვან თავიანთ გლეხებს მიწა-მამული და გაყიდონ, აგრეთვე ფიზიკურად დასაჯონ ისინი, მხოლოდ სიკვდილით დასჯის უფლება არა აქვთ.

2. გლეხები ვალდებული არიან მოუხნან მემამულეებს მიწები, რამდენიც ამათ სჭირდებათ ბოსტნეულის, სიმინდის, ფეტვის, ქერის, ცერცვის დასათესად; დათესონ, მორწყან, გამარგლონ და გადაამუშაონ.

3. ზაფხულს, საშემოდგომო თესვისათვის გლეხებმა თავიანთი მემამულეებისათვის ზოგან 2, ზოგან 3, 5, 7 და ზოგან 9 დღე უნდა ხნან და დათესონ მდგომარეობის მიხედვით.

4. შემოდგომაზე კიდევ ორ დღეს ხნან და აწარმოონ თესვა. იმ შემთხვევაში თუ წვიმების გამო ადრინდელ ნახნავს გადაიფლის ბალახი, ისიც უნდა გადახნან და გამოთესონ.

5. მემამულის ყველა ყანები მორწყონ.

6. უნდა მომკან მემამულის პური, ქერი, მოიწიონ სიმინდი, ფეტვი და ყველაფერი ეს დადგან კალოზე, გალეწონ და მარცვალი ჩაყარონ ორმოებში, ხოლო ბზე—საბძელში, გააკეთონ ნალიები, რომლებშიც ჩაყარონ გარჩეული ტარო.

7. საჭირო შემთხვევაში გლეხები ვალდებულნი არიან ამოიღონ პური მებატონეთა ორმოებიდან, გაწმინდონ, დაფქვან და შემდეგ მიიტანონ თავიანთი ხარ-ურმით იქ, სადაც მებატონე უჩვენებს.

8. მებატონის ყველა ბაღ-ვენახი გლეხებმა უნდა შემორაგვონ და თავის დროს ბარავდნენ, პატივს აყრიდნენ, მიიტანდნენ დამზადებულ ჰიგოებს, მიუსობდნენ ვაზს, აახვევდნენ, გამოსწმენდნენ ვაზს, მორწყავდნენ, გამოთოხნიდნენ და დამწიფებულ ყურძენს მოკრეფდნენ, მოსწურავდნენ, ღვინოს თავიანთი რუმბებით გაიტანდნენ მებატონის მარანში და ჩაასხამდნენ ქვევრებში, რომლებიც გლეხებისაგანვე უნდა იყოს გარეცხილი.

9. მებატონე ანაწილებს ხარჯებს გლეხებზე შეძლების მიხედვით 5-დან 50-მანეთამდე ვერცხლით.

10. აგრეთვე თავისი საჭიროებისათვის ახდენს ასეთ განაწილებას გლეხის შეძლების მიხედვით.

11. გლეხის გაყრის შემთხვევაში მემამულე ღებულობს ე. წ. გასამყრელოს გაყრილთა ქონების მიხედვით. ქონებად იგულისხმება ცხვრები, ღორები, რქოსანი საქონელი, სახლის ავეჯი და ფულიც. თუ გლეხს მარტო ერთი უღელი ხარი ჰყავს, მებატონე აიყვანს აქედან უკეთესს; ამასთანავე, თუ გაყრას მოურავი დაესწრება, გლეხი ვალდებულია მოუმზადოს საჭუჭარი მას თავისი შეძლების მიხედვით.

12. თუ გლეხი გლეხს თავს გაუტეხს, მებატონე დამნაშავეს ართმევს ხარს.

13. აგრეთვე ჩხუბისა, გალახვისა და ტანსაცმელის შემოხევისათვის მემამულე აჯარიმებს დამნაშავეს შეძლების მიხედვით.

14. გლეხის ქვრივის გათხოვების შემთხვევაში მემამულე საქმროსაგან მისი შეძლების მიხედვით ღებულობს ე. წ. საქვრივოს 10-დან 50 მანეთამდე.

15. გლეხის ქალის გათხოვებისათვის მემამულე ან მოურავი ღებულობს ე. წ. საჩექმეს სამი აბაზიდან 40 მანეთამდე.

16. მებატონეთა სახლის, მარნისა, ბოსლის, საბძლისა თუ სხვა შრომელების შენების დროს გლეხები ვალდებულნი არიან მიიტანონ ყოველგვარი საჭირო მასალა, თვით ააშენონ, ისევე როგორც ასრულებდნენ სხვა შესაკეთებელ სამუშაოებს.

17. როცა მემამულისათვის არის საჭირო გამართოს ტვირთსაზიდი, გლეხები უნდა აძლევდნენ თუ ცხენს, თუ ვირს, ვისაც რა ჰყავს. ასევე, თუ მემამულე სადმე მიემგზავრება, ის გლეხს გამოართმევს ცხენს.

18. რამდენიც კი დასჭირდება მემამულეს შეშა, წნელი, გლეხები ვალდებული არიან მიუტანონ მას თვიურად შეიძლება თითოეულ გლეხს მოეთხოვოს 4, ხანდახან კი 5 ურემი.

19. სააღდგომოდ გლეხები მებატონეს მიუტანენ ძღვენს, საშობაოდ კი მოურავს მიუტანენ ძღვენს. თუ მოურავი არ დახვდებათ, უნდა მებატონეს მიუტანონ.

20. როცა მებატონეს სტუმარი მოუვა, მას ჩაუყენებს გლეხებს, რომლებიც ვალდებულნი არიან გაუმასპინძლდნენ მას მანამ, სანამ სტუმარი არ წავა.

21. როცა მებატონეს დასჭირდება, გლეხებს გამოართმევს ქათმებს, ბატებს, გოჭებს, კარაქს, კვერცხს მათი შეძლების მიხედვით.

22. ყველიერში თითოეულმა გლეხმა უნდა მიუტანოს მებატონეს ორი გირვანქა კარაქი და 9 კვერცხი.

23. მემამულის მიწაზე იმის მიხედვით, თუ რა მოსავალს ღებულობს გლეხი, უნდა გადაუხადოს მებატონეს ღალა და კულუხი ადგილობრივი დადგენილების მიხედვით. ცხვრის ძოვებისა და ღორის ბალახობისათვის — საბალახო.

24. თუ გლეხს ცხვარი ჰყავს, მან ყოველწლიურად უნდა აძლიოს მებატონის მეჯინიბეს თითო ცხვარი, ხოლო მიმინო-შავარდენის მეთვალყურეს (ბაზიერს) — თითო ქათამი.

25. თუ მებატონეს აქვს თევზსაჭერი ადგილები და მოისურვებს თევზსაჭერის დადგმას... გლეხები ვალდებულნი არიან ყველაფერი მოამზადონ და მოაწყონ.

26. მებატონე წაიყვანს თავისი გლეხებისაგან მწყემსს ცხვრისა და ღორების სამწყემსოდ ან მდევარს გუთნისათვის.

27. მებატონე წაიყვანს თავისი გლეხებისაგან მეჯინიბეს, ხაბაზს, მზარეულს და მოსამსახურეს.

28. მებატონე წაიყვანს მოახლედ გლეხის ქალს, შეუძლია მზითევშიაც გასცეს იგი, გააჩუქოს და კიდევაც გაყიდოს.

29. მებატონე წაიყვანს გლეხის ქალს ძიძად და დაიტოვებს სახლში მოსამსახურედ 3—4 წელს ან უფრო მეტ ხანს და რამდენსაც უნდა.

30. როცა მებატონეს სჭირდება პური ან ღვინო, მას გადასახდელად ისევე გაანაწილებს გლეხებზე, როგორც ფულს.

31. მებატონის გარდაცვალების შემთხვევაში გლეხები შეძლებისდაგვარად მის ოჯახს დახმარებას აძლევენ.

32. როცა მებატონე აწყობს ქეიფს ან ქორწილს, ყველა გლეხი ვალდებული არის ემსახუროს მას ყველა საჭიროებისათვის და თითოეული სოფელი აძლევს მას თითო ძროხას.

33. მკის დროს რამდენიმე სათავადო გლეხი ვალდებულია აძლევდეს მებატონეს საკლავ საჭონელს.

34. თიბვის დროს გლეხები ვალდებულნი არიან მოთიბონ და ჩააბარონ იგი მემამულეს იქ, სადაც ის უჩვენებს.

35. როცა მებატონე წავა სალაშქროდ, გლეხები აძლევენ მას სახარჯო ფულს, აგრეთვე ცხენს და საზიდს თავისი ხარებით და რამდენსაც დაჰყოფს ლაშქრობაში, ისინი ვალდებული არიან ემსახურონ მას ხარ-ურმით.

36. საბატონო გლეხები, რომლებიც როგორც ხელოსნები დაშორებული არიან მემამულეზე, მაგალითად: დურგლები, ხუროები, მჭედლები, ქვის მთლელები და სხვ., უნდა მუშაობდნენ მებატონისათვის უფასოდ.

37. თუ მებატონეს დასჭირდება ურემი და გუთანი, გააკეთებინებს გლეხებს.

38. ვაჭრები საბატონო გლეხებიდან, რომლებიც ქალაქად ცხოვრობენ, იხდიან ფულად გადასახადს[1].

ჩვენ არ მოვერიდეთ ამ გრძელი ისტორიული დოკუმენტის მოყვანას, იმიტომ რომ აქედან ნათლად სჩანს, თუ რამდენად მძიმე და აუტანელი იყო საბატონო ყმა გლეხთა მდგომარეობა ჩვენში, ხოლო ისინი კი, გლეხური მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ. ყოველივე ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, მხოლოდ დაცინვა იყო ალ. ორბელიანის მტკიცება, რომ ჩვენში „ბატონყმობა მამა-შვილობა იყოო“. ნამდვილად, როგორც ცნობილია, ჩვენში ბატონყმობა უფრო მძიმე იყო, ვიდრე რუსეთში. სენატორები მეჩნიკოვი და კუტაისოვი აღნიშნავდნენ, რომ „როცა ვადარებთ ერთმანეთს ქართველ და რუს საბატონო გლეხთა ბეგარებს, ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ პირველთა ბეგარები გაცილებით მრავალრიცხოვანია, ვიდრე რუს გლეხთა ბეგარები“[2]. კ. ბოროზდინი კი წერდა: „საზიზღარი იყო ბატონყმობა რუსეთში, მაგრამ შიდა გუბერნიებში არსად შევხვედრივარ ისეთს რასმე, როგორიც სამეგრელოში ვნახეო“[3]. და აი, თუ ამ რუსულ ბატონყმობას და მის თვითმპყრობელურ მთავრობას რუსეთში „შინაური თურქობად“ სთვლიდნენ, ეს მით უფრო ითქმის უფრო მძიმე ქართულ ბატონყმობაზე.

ჩვენში ბატონყმობა უფრო მძიმე კი იმიტომ იყო, რომ ხშირი ომების და მტრის დაუსრულებელი თარეშის შედეგად განცდილი ზარალის ანაზღაურებას მემამულეები და მონასტრები ცდილობდნენ ასევე დაზარალებული ყმა გლეხების ექსპლოატაციის გაძლიერების ხარჯზე. აქ მცირე როლს როდი თამაშობდა მიწის სიმცირე და ქვეყნის მოქცევა მაჰმადიანური სახელმწიფოების მტრულ რკალში, სადაც ბეგარითა და

---

[1] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), 1954 წ., გვ. 144—146. (Акты, ტ. VI. ნაწ. I, გვ. 112—113).

[2] ა. კიკვიძე, იქვე, გვ. 150.

[3] კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, 1934 წ. გვ. 140.

გადასახადებით შეწუხებულ გლეხს ასე ადვილად არ ჰქონდა გასაქცევი, და იძულებული იყო უფრო მეტი აეტანა, ვიდრე ამას რუსი გლეხი იტანდა, და ა. შ.

შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი მემამულეების ურჯულო მოქცევას, თვითონ ყმა გლეხები ადარებდნენ ხოლმე თურქობას. ჯერ კიდევ უტუ მიქავა ამბობდა: „ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთელი ჩვენი შრომის ნაყოფი იმათ (მებატონეებს.—მ. ა.) რჩებათ, მათ რომ კაცმა ჰკითხოს, გლეხს არაფერი უნდა ჰქონდეს, და რაც რამ აბადიათ, ყველაფერს არათმევენ... მათი რწმენით ჩვენ ყოველგვარ ცხოველზე უარესი ვართ. თუ ბატონს მეზობლის ქორი მოეწონა, იგი მასზე გლეხის კომლს გასცვლის, მწევარსა და მეძებარ ძაღლზე რამდენიმე კომლს სცვლის“.

ყმა გლეხებისადმი ბატონების ასეთი მოქცევა აძლევდა მიქავას უფლებას ეთქვა: „ჩვენი ბატონები იმის მაგვარად, რომ დავეფარეთ (თურქების შემოსევის დროს.—მ. ა.) ბიჭებსა და გოგუებს გვტაცებდნენ და თურქებზე ყიდდნენ. აუარებელი წაასხეს თურქებმა. თურქები წაიდნენ და ჩვენი ბატონები წინანდელზე უარესად, თურქებზე უარესად მოგვდგნენ“[1].

შეიძლება ვინმემ თქვას, უტუ მიქავას ამბები გვიანდელ პერიოდს ეკუთვნის და მე-18 საუკუნის ბატონყმობა ასეთი სასტიკი არ იყოო. ეი მე-18 საუკუნის დასაწყისის ბატონყმობაც, როგორც ის ვახტანგ VI კანონებში გამოიყურება: მუხ. 160. „თუ კაცმან ნასყიდობა ქნას,—მამული, სოფელი, საქონელი თუ პირუტყვი,—დიაღ ალალი და შესარჩენი საქმე არის, ბატონის მეტი კაცი ვერ მოუშლის, და თ უ ბ ა ტ ო ნ ი გ ა უწ ყ რ ე ბ ი ს, ს უ ლ ს გ ა რ დ ა ყ ვ ე ლ ა ზ ე ხ ე ლ ი მ ი უ წ ვ დ ე ბ ა...“[2]. 258 მუხლში კი აღნიშნულია, რომ „...ყ მ ი ს ა ყ ვ ე ლ ა ბ ა ტ ო ნ ი ს ა ა რ ი ს...“[3].

განა ცხადი არ არის, რომ ბატონის დამოკიდებულება ყმა გლეხთან „მამა შვილობა“ კი არ იყო, არამედ „შინაური თურქობა“, როგორც საერთოდ ამ ცნებას ლენინი ხმარობს გამძვინვარებული, შინაური კლასობრივი მტრის აღსანიშნავად. მე-18 საუკუნის საქართველოს ეს „შინაური თურქები“ მძიმე გადასახადებით და ბეგარით აჩანაგებდნენ გლეხობას, რითაც ძირს უთხრიდნენ ქვეყნის ეკონომიკისა და თავდაცვის ძირითად საყრდენს, თანამოქმედებდნენ წამლეკ საგარეო ფაქტორებზე და აჩქარებდნენ ქვეყნის დაშვებას ნაციონალური ამოგდების უფსკრულისკენ.

მაგრამ, როდესაც ის გლეხებიც კი, რომელთაც მიწა ჰქონდათ, ჰკარგავდნენ გადამხდელობის უნარს, ისინი იძულებულნი ხდებოდნენ მათ

---

[1] კ. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, სამეგრელო და სვანეთი, გვ. 115.

[2] ვახტანგ VI სამართლის წიგნი. 1955 წ., გვ. 90 (ხაზი ჩემია.—მ. ა.).

[3] იქვე, გვ. 116 (ხაზი ჩემია.—მ. ა.).

დასაფარავად გაეყიდათ მიწა და ამგვარად მოშლილიყვნენ როგორც ეკონომიური ერთეული. 1731 წელს ძეგელი სამონასტრო გლეხი მეითარაშვილი, რომელმაც გადასახადების დაფარვისათვის ვენახი მიჰყიდა ტფილისელ მიტროპოლიტს არსენს, ნასყიდობის სიგელში წერდა: „რა ოსმალთ საქართველო დაიჭირეს, თავად გავღარიბდით. მერმე მოგვიხდა ლეკი და ძეგვი სულ წაახდინა. ნამტნავად ჩვენ სულ დაგვატყეევეს და აგვაოხრეს. აღარაფერი აღარა შეგვრჩა რა. სალიანისა და გამოსაღებისაგან დიდი ვალი დაგვატყდა. ვეღარას გზით ღონე ვეღარ ვქენით. საქონელი აღარა შეგვრჩარა, რომ ამით ვალი გადაგვეწყვიტა. მივედით ბატონს კათალიკოზთან და ხოხელეებთან, ჩუენი სიღარიბე და საჩივარი გავასინჯეთ, ბატონის ბრძანებითა და შეკითხულობითა მოვედით, შემოგხვეწეთ და მოგყიდეთ ჩემი ნასყიდი ვენახი...“[1].

ერთი მხრივ, ომში გაწყვეტით, გაქცევით, ტყვეთ-გაყიდვით, გლეხური მოსახლეობის რიცხვის შემცირებას, და, მეორე მხრივ, ველური ფეოდალური ექსპლოატაციითა და ეკონომიური გაღატაკებით საგლეხო კომლის, როგორც ეკონომიური უჯრედის, მოშლას და გლეხის გაბოგანოებას, არ შეეძლო არ გამოეწვია სოფლის მეურნეობის დაცემა. ეს იმიტომ რომ სოფელს აკლდებოდა მუშა ხელი, და წინათ მოქმედებაში მყოფი მიწის ბევრი ნაკვეთი დაუმუშავებელი რჩებოდა. ამ დაუმუშავებლობაში, რა თქმა უნდა, მცირე როლს არ თამაშობდა ის გარემოებაც, რომ პერმანენტული ომების, თავდასხმების, გაბიზვნის და ლეკიანობის შიშით არსებული გლეხური მოსახლეობის სრული დატვირთვით გამოყენებაც არ ხდებოდა. ეს გარემოება სოფლის მეურნეობას მით უფრო აჩნევდა უარყოფით კვალს, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურები არსებითად სეზონური კულტურები იყო.

როცა გლეხს თოხი უნდა სჭეროდა ხელში, იმ დროს თურქი, სპარსელი, ლეკი და სხვა გადამთიელი ხმლით მიდიოდა. ისინი მიწის მოქმედს აიძულებდნენ მასაც თოხი ან ხმალზე შეეცვალა, ან მიეტოვებინა სამუშაო და თავი გაერიდებინა მტრისათვის. ამ გარემოებას კი არ შეიძლებოდა ხელი არ დაკლო და არ გაევერანებინა ეს სეზონური კულტურები. ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოებაც, რომ ტექნიკური თვალსაზრისით „სოფლის მეურნეობა განვითარების დაბალ დონეზე იდგა მთელი საუკუნის მანძილზე“[2]. ეს გასაგებიცაა, რადგანაც, როგორც ლენინი წერდა, საერთოდ ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი იყო ტექნიკის უკიდურესად დაბალი, რუტინული მდგომარეობა[3], და, როდესაც ამ ჩამორჩენილ ტექნიკის გამოყენებისთვისაც არ იყო საკმაო

---

[1] სარგის კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგნი V, 1913 წ., გვ. 45.

[2] პროფ. ნ. ჭოიავა, ქართლ-კახეთის ფინანსები მე-18 საუკუნეში (1701—1761 წწ.), იხ. უნივერსიტეტის შრომები, 1954 წ., № 55, გვ. 111.

[3] ვ. ი. ლენინი, ტ. 3, გვ. 209.

მუშახელი და ნორმალური პირობები, არ შეიძლება მას დაბლა არ დაეწია სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა.

ასეთ მდგომარეობაში, როდესაც გლეხის შემოსავალი კლებულობდა და გადასახადები მატულობდა, არ შეიძლებოდა მას არ მოეშალა გლეხური მეურნეობისათვის მარტივი რეპროდუქციის პირობები. გლეხი „...ხშირად ყიდის აუცილებელი პროდუქტის ნაწილსაც იმისათვის, რომ გაისტუმროს სხვადასხვა ფულადი გადასახადები“[1]. გასაგებია, რომ ყველა ამ პირობების გამო გლეხი ღატაკდება და მას ერთმევა შესაძლებლობა თუნდაც ძველ დონეზე გააგრძელოს თავისი მეურნეობა. იგი იძულებული ხდება ან გაყიდოს მიწა, როგორც ეს ზემოთ გარჩეულ შემთხვევაში იყო, ან მიმართოს მევახშეს სესხის ასაღებად.

სწორედ ეს მევახშეობა იყო, რომ როგორც სხვაგან, ისე ჩვენში, დამანგრეველად მოქმედებდა წვრილ გლეხურ მეურნეობაზე და აჩქარებდა გლეხთა გაბოგანების პროცესს. „მევახშეობა, — წერს მარქსი, — არ სცვლის წარმოების წესს, მაგრამ მას მიეკვრის როგორც პარაზიტი და მას საბრალოდ ხდის. იგი სწოვს მას, სისხლიდან სცლის და რეპროდუქციას აიძულებს სულ უფრო და უფრო უბადრუკ პირობებში სრულდებოდეს“[2].

მევახშეობას განსაკუთრებით მძიმე ხასიათი ჰქონდა ჩვენში. იმ დროს, როდესაც „...მე-18 საუკუნის დასავლეთ ევროპაში კანონით გათვალისწინებული პროცენტის უკიდურესი ნორმა არსად არ აღემატებოდა 10%-ს“, ჩვენში კანონი აწესებდა „...როგორც უკიდურეს ნორმას 12, 18, 24, 30 პროცენტს“[3]. მაგრამ, სინამდვილეში, როგორც ამაზე იმდროინდელი თამასუქები მეტყველებენ, ფულადი და ნატურალური % ხშირად სცილდებოდა კანონით დადგენილ ნორმებს და არა იშვიათად მეტად დიდ სიმაღლეს აღწევდა. მაგალითად, ზოგჯერ „პური გაისესხებოდა იმ პირობით, რომ გამსესხებელს დაუბრუნდებოდა ერთნახევარი, ორმაგი ან სამმაგი, ე. ი. პროცენტი შეადგენდა 50, 100 და 200-საც კი... ღვინო გაისესხებოდა 300 პროცენტამდეც კი... სიძვირის დროს კი გასესხებულ ფულზე აიღებოდა 267%, 333% და 400%-იც კი“[4]. ერთ იმ დროინდელ საბუთში წერია: „სამი თუმანი ერთი გორელი კაცისა არის, წელიწადში თრამეტს კოდს პურს ვაძლევ სარგებლად“[5].

ვალი ხშირ შემთხვევაში აიღებოდა გირაოს დაწინდრებით. „გირაოდ გამოიყენებოდა როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონებაც, როგორც ქონე-

---

[1] იხ. პროფ. ქ ო ი ა ვ ა ს დასახ. შრომა, გვ. 111.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, 1934 წ., გვ. 127.

[3] პროფ. ნ. ქ ო ი ა ვ ა, კრედიტი მე-18 საუკუნის საქართველოში (იხ. უნივ. შრომები, № 34 ჰ.-ჰ., 1948 წ., გვ. 27).

[4] პროფ. ნ. ქ ო ი ა ვ ა, დასახ. შრომა, გვ. 26.

[5] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, ტ. 11, № 473 (პროფ. ნ. ქოიავას დასახ. შრომა. გვ. 20).

ბა, ისე შემოსავალიც, როგორც ნივთი, ისე ადამიანიც—ყმა. საბუთებში ჩვენ ვპოულობთ გირაოს შემდეგ სახეებს: მამული, სახლი, ოთახი, ბაღი, ფურნე, ყმა, მარანი, დუქანი, წისქვილი, საეკლესიო ნივთები (ხატი, ბისონი, გვირგვინი, ჯვარი, თასი, სახარება), მარგალიტის საყურეები, ოქროს საათი და სხვა. გლეხები აგირავებდნენ თავის ქონებას და საკუთარ თავსაც კი"[1].

ცხადია, რომ ასეთ კაბალურ და განმანადგურებელ პირობებში გლეხის მიერ სესხის აღება არაიშვიათად მის უძრავ-მოძრავი ქონების და საკუთარი თავის დაკარგვით მთავრდებოდა. ამიტომ ეს გარემოებაც არ შეიძლებოდა, რომ არ გადაქცეულიყო გლეხთა გაჩანაგება-გაბოგანოების ერთ-ერთ ძლიერ და მუდმივ მოქმედ ფაქტორად.

მევახშის მიერ ხალხთა ასეთ გადატაკებასა და სისხლის ამოწოვაზე ჯერ კიდევ ლუთერი წერდა: „წარმართებს შეეძლოთ თავიანთი ჰკუით დაესკვნათ, რომ მევახშე ოთხმაგი ქურდი და კაცის მკვლელია. ჩვენ-კი, ქრისტიანები, მათ ისეთ პატივს ვცემთ, რომ თითქოს ვლოცულობთ მასზე მათი ფულის გულისთვის... ის, ვინც სხვას საზრდოს გამოსწოვს, ძარცვავს და პარავს, ისეთივე საზიზღარი მკვლელობის ჩამდენია... როგორც ის, ვინც სხვას შიმშილით ჰკლავს და ღუპავს. მევახშე ყველა ამას სჩადის და უშიშრად ზის თავის სავარძელში, მაშინ როდესაც იგი სახრჩობელაზე უნდა ეკიდოს... თურქები, მეომრები და ტირანებიც ბოროტი ადამიანები არიან, მაგრამ ისინი ხალხს არსებობას მაინც ვერ დაუშლიან და აღიარებენ, რომ ბოროტები და მტრები არიან. მათ შეუძლიათ და კიდეც უნდა ჰქონდეთ ხანდახან ზოგიერთის შებრალება. მევახშე და ძუნწი-კი ყოველნაირად იმას ცდილობს, რომ მთელი ქვეყანა შიმშილით და წყურვილით, მწუხარებით და გაჭირვებით აავსოს"[2]. ქართველ გლეხს, სრული უფლება ჰქონდა ლუთერის ამ სიტყვებით მიემართა ადგილობრივი მევახშისათვის, რომელიც მას სესხში აღებულ ვალს, პროცენტის სახით თავთან შედარებით, სამმაგი და ოთხმაგი გადაჭარბებით ახდევინებდა.

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი გლეხი, რა თქმა უნდა, ვერც თავის მევახშესთან და ვერც თავის ფეოდალთან, როცა ეს უკანასკნელი მისთვის ამავე დროს მოსამართლეც იყო, ვერ იპოვიდა სამართალს. მიემართა მეფისთვის, მეფეც გლეხს არ გამოესარჩლებოდა მემამულის ინტერესების შელახვის ხარჯზე. 1775 წელს, როდესაც ქიზიყის ერთ-ერთი მონასტრის გლეხებში მღელვარება დაიწყო, ერეკლე მეორემ ქიზიყის მოურავს რ. ანდრონიკაშვილს უბრძანა, რომ მას პირადად მიეღო სასტიკი ზომები და გაეწყვეპლა, დაეპატიმრებინა, ბორკილი დაედო, დაერბია, პირუტყვი და ქონება წაერთმია ყველა იმ ურჩი გლეხებისათვის, რომელთა მიმართაც ამგვარი

[1] პროფ. ნ. ქოიავა, დასახელ. შრომა, გვ. 29.
[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 5:7.

ზომების მიღებას თვითონ მონასტრის ხელმძღვანელი ბერი გრიგოლი მოისურვებდა. მეტად სასტიკად მოექცეით ურჩებს, წერდა ბოლოს ერეკლე, და მოიყვანეთ ისინი სრულ მორჩილებაშიო[1]. 1776 წ. აზნაურ ზუმბულიძის ყმა გლეხებს კი, რომელთაც უარი განაცხადეს თავიანთი ბატონის სამსახურზე, ერეკლემ უბრძანათ, დამორჩილებოდნენ მას და შემდეგ არავითარ შემთხვევაში არ მიეყენათ იგი საჩივრამდე[2].

რა რჩებოდა გლეხს ასეთ ვითარებაში, როდესაც მისთვის სამართლის პოვნა შეუძლებელი ხდებოდა და შექმნილ მძიმე მდგომარეობაში ადგილზე დარჩენაც, სადაც მას ბატონის ბეგარა და გადასახადი მატერიალურად აჩანაგებდა და ურჯულოს მოქცევის გამო სულიერად ადამბლებდა. ზოგიერთი გლეხი აქედან ერთ-ერთ გამოსავალს იმაში ხედავდა, რომ აყრილიყო თავისი კერიდან, გადახვეწილიყო მეზობელ საფეოდალოში, ან გაქცეულიყო უცხოეთში, საქართველოს მტრებთანაც-კი.

მართალია, სხვა ისტორიულ პირობებში, მაგრამ ერთგვარად ანალოგიურ მდგომარეობაში ჩავარდნენ ერთ დროს რომის გვიანდელი იმპერიის გლეხებიც. „რომის სახელმწიფო,—წერს ამ დროის რომის იმპერიაზე ენგელსი,—უზარმაზარ, რთულ მანქანად იქცა, მისი დანიშნულება ქვეშევრდომთა სისხლის გამოწოვა იყო, გადასახადებმა, სახელმწიფო ბეგარამ, ყოველგვარმა გამოსაღებმა თანდათან გააღატაკეს მოსახლეობის მასა... აი სად მივიდა რომის სახელმწიფო... იგი თავისი არსებობის უფლებას იმით ასაბუთებდა, რომ შიგნით წესიერებას ვამყარებ, ხოლო გარედან ბარბაროსებს ვიგერიებო. მაგრამ მისი წესიერება უარესი იყო, ვიდრე უსაშინელესი უწესობა, ხოლო ბარბაროსებს, რომელთაგანაც იგი ვითომდა მოქალაქეებს იცავდა, ეს უკანასკნელი თავიანთ მხსნელებად სთვლიდენ“[3].

საქართველოში ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც ზოგიერთი გლეხი ზემოთ გადმოცემული მდგომარეობის გამო, დაბოლოს იძულებული ხდებოდა აყრილიყო და გაქცეულიყო საქართველოს ბარბაროს მეზობლებთან—თურქებსა და ლეკებთანაც კი. ასე, მაგალითად, მე-18 საუკუნის დასაწყისის კახეთზე ვახუშტი წერს, რომ „ამ ჟამთა იწყეს გლეხთა მძლავრებისათვის ლეკთა ლტოლვად და მისლვად ლეკთათანა, რამეთუ იქლიან რაიმე მეპატრონეთა თავისთაგან და მუნ მისრულნი ეტიკობდენ და დაესხიან დაბნებთა. არვე-მროწელთა, კაცნი მოსრნიან, ტყვენი და საქონელნი წარიყვანიან“[4].

1794 წ. სოფ. ფონის თავად ჩხეიძის ყოფილმა-გლეხებმა—ნოზაძეებმა ერეკლე II მიმართეს თხოვნით. ისინი წერდნენ, რომ ჩვენი გვარი,

---

[1] Л. Пурцеладзе, Груз. крестьянск. грамоты, стр. 27.
[2] იქვე, გვ. 27.
[3] კ. მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, გვ. 189.
[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 133.

რომელიც 65 კომლს ითვლის, წინათ სამეფო ყმები ვიყავით, შემდეგ თავად ჩხეიძის ყმები გავხდით. ამჟამად 10 კომლი ვცხოვრობთ სურამში და ქართლში, დანარჩენები ჩხეიძეს გაექცნენ ზოგი იმერეთში, ზოგიც თურქეთში. თუ შეგვპირდებით, რომ არ ჩაგვაგდებთ ჩხეიძის ხელში და ისევ სამეფო ყმებად გადავგიყვანთ, მაშინ ჩვენ მოგვარეებს ჩამოვიყვანთ იმერეთიდან და თურქეთიდანო[1].

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ყურადღება ჩვენ იმ გარემოებას გვინდა მივაქციოთ, რომ თუ ზოგჯერ ზოგიერთი ყმა გლეხები თავიანთ ურჯულო მემამულეებთან ყოფნას ლეკებთან და თურქებთან გაქცევას არჩევდნენ, ეს გარემოება იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, თუ თავიანთი ბატონების მხრივ რა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ყოფილან ისინი ჩაყენებულნი.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თავადები ყმა გლეხთა მღელვარების, ან სხვა რაიმე მიზეზის გამო თვითონ გარბოდნენ იმერეთის სამეფოში ან ახალციხის საფაშალიკოში და იქიდან ლეკების დახმარებით აწყობდნენ თარეშს თავიანთ ყოფილ ყმა გლეხებზე, აგრეთვე მეზობელი თავადების ყმებზე და აზნაურებზე, იჭერდნენ და ჰყიდდნენ მათ თურქეთში, ხოლო ბავშვებსა და მოხუცებს, რომელნიც როგორც გასაყიდი საქონელი დიდ ღირებულებას არ წარმოადგენდნენ—ხოცავდნენ. როგორც დოც. დ. გვრიტიშვილი წერს, ასე იქცეოდნენ, მაგალითად, მე-18 საუკუნის ორმოციანი წლების საციციანოში თავადი პაატა და დავით ციციშვილები, მათ გაიტაცეს და იმერეთსა და ოსმალეთში გაყიდეს 155—სული. განსაკუთრებით სასტიკად მოიქცნენ ისინი ძაძის ციხის აღების დროს. როგორც მაშინდელ საბუთებში წერია, იქ თავშეფარებული მოსახლეობიდან მათ „დასახოცი დახოცეს, გასასყიდი გაყიდეს, ნახევარი ოსმალოს მიჰყიდეს და ნახევარი იმერლებსა. რაც ჩვილი ყმაწვილი იყო, რომ არავინ იყიდა, ციხიდამ გადაყარეს და ნადირ-ფრინველმა შეჭამა. რაც მონოზონი და ბერი იყო, რომ არ გაიყიდებოდა, სულ ერთ სახლში შეყარეს, ბოძები გამოუყარეს, სახლი ზედ დააქციეს და ისე უზიარებელი დახოცეს"[2]. საკუთარი თავადების მხრივ ასეთი ტერორისა და მოქცევის გამო საციციანოდან დანარჩენი გლეხები გარბოდნენ. ყოველივე ამის შედეგად, მაშინდელი საბუთების ცნობით, საციციანო ისე აოხრებულა, რომ 4 წლის განმავლობაში აქ არც ხენა-თესვა ყოფილა, არც ცეცხლი ანთებულა და არც მამლის ყივილი ისმოდაო[3].

ყველა ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო, არა მარტო მოსახლეობის რიცხვი მცირდებოდა საქართველოს სამეფო და სამთავრო ხელისუ-

---

[1] История классовой борьбы в Закавказьи, Сборник статей, 1930 г., стр. 188 (იხ. ს. კაკაბაძის წერილი).

[2] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955 წ., გვ. 230.

[3] იქვე, გვ. 231.

ფლების ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე, არამედ იღეოდა მათი დოვლათი, დაბლა მიდიოდა საწარმოო ძალები და ხალხი სასტიკ სიღარიბეში ვარდებოდა. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის 70-იან წლებში ფრანგი მოგზაური შარდენი საქართველოზე წერდა: „ღარიბები თითქმის შიშველ-ტიტველი დადიან, მათი სიღატაკე უმაგალითოა, უმრავლესობას მხოლოდ სრულიად უვარგისი ქეჩა თუ მოეპოვება და მით იფარავს ტანს... ადამიანი, რომელსაც პერანგი და შარვალი აქვს, მდიდრად ითვლება, თითქმის ყველა ფეხშიშველია“[1], კაპიტანი იაზიკოვი ერთი საუკუნის შემდეგ წერდა: „იმერლები საერთოდ მეტად ღარიბი ხალხიაო“[2]. აღმოსავლეთ საქართველოზე კი იგივე იაზიკოვი წერდა: „უბრალო ხალხი მეტად ღარიბულად იკვებება, ერთ ნაჭერ ხორცს თვეში ერთხელ თუ მოხარშავენ, პურს შეჰამადში აწობენ, მათი ჩვეულებრივი საჭმელია ჩახარშული ცერცვი. აზნაურები მათ ცოტა ჰყავთ, თავადები ბევრი, მაგრამ თავადთა დიდი ნაწილი ისე ღარიბია, რომ მთელი დღე უქმელნი სხედან“[3].

მოსახლეობის რიცხვის შემცირებამ და სიღარიბემ გააპარტახა სოფლები. ზოგიერთ მათგანში მხოლოდ 2—3 კომლი დარჩა[4]. კატასტროფულად იკლო ქალაქის მოსახლეობის რიცხვმაც. 1770 წელს, იაზიკოვის ცნობით, ქ. ქუთაისში, როცა იქ თურქეთის გარნიზონი იდგა, „თითქმის ყველა მცხოვრებნი თურქები იყვნენ“[5]. როდესაც რუსეთის არმიის დახმარებით იმავე წელს ქუთაისი თურქებისაგან განთავისუფლებული იქნა, მუსულმანი მოსახლეობა ქუთაისიდან გაიკრიფა. შემდეგ ქალაქმა ხელახლა იწყო მოშენება და 1772 წელს მასში უკვე 50 კომლი იყო. დიდად იკლო ქართლ-კახეთის ქალაქების მოსახლეობის რიცხვმაც. 1781 წელს, ქალაქ ახალგორში 88 კომლი იყო, თბილისში 1780 წელს 3478 კომლი, ხოლო გორში 1794 წელს 227 კომლი[6]. ერეკლე II იძულებული გახდა, რომ ქალაქ თბილისსა და გორში მოსახლეობის დამაგრების მიზნით 1784 წელს გამოეცა ბრძანება, რომლის თანახმადაც იმ მოქალაქეებს, რომელნიც აღნიშნული ქალაქებიდან სხვა ადგილებსა და ქვეყნებში გადასახლდებოდნენ, მათ მამულები ჩამოერთმეოდათ და ხაზინის სასარგებლოდ გაიყიდებოდა[7]. მე-18 საუკუნეში ქალაქის მოსახლეობა ყველაზე დიდ %-ს 1770-იან წლებში იძლეოდა, და მაშინაც იგი დაახლოებით მხოლოდ 12% უდრიდა[8].

---

[1] პროფ. გ. ხაჭაპურიძე, რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული მნიშვნელობა, 1955 წ., გვ. 7.

[2] А. А. Цагарели, Грамоты, ტ. I, გვ. 194.

[3] იქვე, გვ. 190.

[4] იქვე, გვ. 194.

[5] იქვე.

[6] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, 1922 წ., გვ. 227—228.

[7] Д. Пурцеладзе, Грузинские крестьянские грамоты. 1882 г., стр. 42.

[8] პროფ. ნ. კოზლოვა, ქართლ-კახეთის ფინანსები XVIII საუკუნეში (1701—1761 წწ.), უნივერ. მრომები, № 55, 1954 წ., გვ. 111.

სახელმწიფო შემოსავალი. გასაგებია, რომ მოსახლეობის და კერძოდ მწარმოებელი მოსახლეობის კატასტროფულ შემცირებას, ნაცვონალური შემოსავლის დაცემას და პერმანენტული ომების და თარეშების დროს თურჩი, სპარსელი და ლეკი-ავარაგების მიერ ნაციონალური დოვლათის გატაცებას, აგრეთვე ქვეყნის შიგნით მემამულეთა მიერ გლეხების ველურ ექსპლოატაციას არ შეიძლებოდა არ მოეშალა და არ დაეცა ქვეყნის ეკონომიკა. აქ გასაკვირველი ეს დაცემა კი არ არის, არამედ ის, თუ ასეთ ვითარებაში მაინც როგორ შეინარჩუნა მან ერთგვარი დონე და ასე თუ ისე მაინც თავი როგორ გაჭრონდა მას ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. ჯერ კიდევ ი. ჭავჭავაძე წერდა: „ვთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა", მაგრამ „საკვირველი ეს არის,—რა ჭონებამ გაუძლო ამისთანა ყოფას? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ჭონებით უძღვებოდა ამოდენა მებსადა სიხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტერად არ აღგვილიყო,—და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდაო"[1].

ქვეყნის ეკონომიკის ძირითად წყაროს მაინც დაქვეითების გზაზე დამდგარი სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა. ხელოსნობა შედარებით სუსტად იყო განვითარებული. მართალია, სამთო-მეტალურგიულმა წარმოებამ ერეკლე II დროს ერთგვარ აღმავლობას მიაღწია და წლიურად ალავერდისა და ახტალის საწარმოები 10—15 ათასამდე ფუთ სპილენძსა და 60—90 ფუთამდე ვერცხლს იძლეოდნენ, საიდანაც სახელმწიფოს წლიურად დაახლოებით 60 ათას მანეთამდე შემოსავალი ჰქონდა, მაგრამ ეს მაღაროები 1785 წელს ომარ-ხანმა და 1795 წელს კი აღა-მაჰმადხანმა აოხრეს და დაანგრიეს. გარეშე მტერი არა თუ ანგრევდა მადანის მომპოებელ წარმოებას, არამედ ამ დანგრევის შიშით იზღუდებოდა თვით ამგვარი ტიპის საწარმოების ახალი რიგის მშენებლობაც. როგორც კაპიტანი იაზიკოვი გადმოგვცემს, იმერეთის მეფე სოლომონ I მას უცხადებდა, რომ იმერეთში მიაგნეს მადანს, მაგრამ სოლომონს ეშინიან ხელი მოჰკიდოს მის დამუშავებას, რადგანაც ეს გამოიწვევს ამ მადნებით თურქეთის დაინტერესებას და ამის გამო გააძლიერებს იმერეთის აოხრების და ოკუპაციის საფრთხესო[2].

ერთი სიტყვით, საგარეო სიტუაციას, გარედან მოწყობილ ხანგრძლივ ომებსა და თარეშებს და ქვეყნის შიგნით ურთიერთის და მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ფეოდალების გაუთავებელ ბრძოლებს, მოსახლეობის შემცირებას და უმა გლეხების ექსპლოატაციის თანდათან გაძლიერებას არ შეეძლო ქვეყანა არ დაეყენებინა ეკონომიური დეგრადა-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, 1938 წ., გვ. 8.

[2] А. А. Пагарели, Грамоты, т. I, стр. 193.

ციის გზაზე. ამის გამო სრულიად გაუმართლებელია ზოგიერთი მკვლევარის ცდა, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში დაინახოს რაღაც ეკონომიური აღმავლობა და ამ საფუძველზე აქედან გამოიყვანოს დასკვნა ეკონომიური ჩიხის საკუთარი ძალებით დაძლევის შესახებ. ამის საბუთად მათ უნდათ გამოიყენონ: 1. ბაჟების, გადასახადების და შემოსავლის სხვა დარგებიდან სახელმწიფო შემოსავლის ზრდა, 2. ვაჭრობის გაფართოება, 3. ზოგიერთი წვრილი და იქამდე არ არსებული ქარხნული ტიპის საწარმოების შექმნა.

პირველ შემთხვევაში, ისინი ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოს შემოსავლის ზრდა, თუნდაც მას ადგილი ჰქონდეს (ჩვენ ვამბობთ, თუნდაც, იმიტომ რომ ზუსტი სტატისტიკური მონაცემები ამ საკითხზე ჩვენ არც მე-18 საუკუნის I და არც II ნახევრის შესახებ არა გვაქვს), ყოველთვის არ ემთხვევა ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის და ნაციონალური დოვლათის ზრდას, რადგანაც შეიძლება სახელმწიფოს გასავალი ხარჯების ზრდის გამო სახელმწიფოს შემოსავლის ზრდა მოხდეს ბაჟების, გადასახადების და შემოსავლის სხვა წყაროების გადიდებით და დამატებით მაშინაც კი, როდესაც არა თუ არ იზრდება ქვეყნის ნაციონალური შემოსავალი, არამედ კლებულობს კიდეც (რა თქმა უნდა, გარკვეულ დონემდე).

როგორც პროფ. ნ. ჭოიავამ გამოარკვია, მე-18 საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოში „ადგილი აქვს დაბეგრილ საქონელთა რაოდენობის ზრდას, ბაჟების განაკვეთების ზრდას"[1]. ამავე ხანებში გადიდდა შემოსავლის ზოგიერთი სხვა წყაროს განაკვეთიც[2]. გაჩნდა ჯარიმების ზოგიერთი ახალი სახეები[3]. უნდა ვიფიქროთ ისიც, რომ შემოსავალი დარბევებიდან და აგრეთვე კონფისკაციებიდან გაიზარდა[4]. მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა იმასაც, რომ, როგორც 1786 წელს ბურნაშევი წერდა, ქ. თბილისი მეტად მძიმე გადასახადებით იყო დაბეგრილი. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავალში გარკვეული წილი შეჰქონდათ განჯისა და ერევნის სახანოებსაც, რომელნიც 1760-იანი წლებიდან კვლავ შეიქმნენ საქართველოს ვასალებად. იაზიკოვის ცნობით (1770 წ.), განჯის ხანი ერეკლეს აძლევდა წელიწადში 10 ათას მანეთს და ერევნის ხანი კი 30 ათას მანეთს. ბურნაშოვის ცნობით კი (1786 წ.) თვითეული მათგანი ერეკლეს 50 ათას მანეთს აძლევდა. სახელმწიფო შემოსავალი დიდად გაზარდა 1777 წელს ერეკლეს მიერ ქსნის საერისთავოს ხელში ჩაგდებამაც. ყოველივე ეს

---

[1] ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, VIII, 1954 წ., გვ. 341.
[2] იქვე, გვ. 344.
[3] იქვე, გვ. 351.
[4] А. А. Цагарели, Грамоты, т. I, стр. 186.

იმას ნიშნავს, რომ მარტო სახელმწიფო შემოსავლის ზრდაზე დაყრდნობით არ შეიძლება ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის და ეკონომიური აღმავლობის მტკიცება.

რაც შეეხება ვაჭრობის გაფართოებას, ყოველთვის არც იგი არის ეკონომიური განვითარების და ნაციონალური შემოსავლის ზრდის მაჩვენებელი. „ძველს რომში,—წერს მარქსი,—რესპუბლიკის უფრო გვიან პერიოდში განვითარდა უკვე ვაჭრული კაპიტალი უფრო მაღალ დონემდე, ვიდრე როდესმე წინათ ძველ ქვეყანაში, ისე რომ სამრეწველო განვითარების არავითარ პროგრესს არ ჰქონია ადგილი“[1]. „ამგვარად, სავაჭრო კაპიტალი, როდესაც იგი უპირატესად გაბატონებული არის, ძარცვა-გლეჯის სისტემას გამოხატავს,—მისი განვითარება როგორც ძველი, ისე ახალი დროის მოვაჭრე ხალხებში, უშუალოდ დაკავშირებული იყო ხომ ძალადობით ძარცვა-გლეჯასთან, მეკობრეობასთან, მონების მოტაცებასთან, კოლონიების დამონებასთან; ასე იყო კართაგენში, რომში, უფრო გვიან ვენეციელებში, პორტუკალელებში, ჰოლანდიელებში და სხვა“[2]. ამიტომ ამბობს მარქსი,—„ვაჭრული კაპიტალის დამოუკიდებელი განვითარება შებრუნებულ შეფარდებაშია საზოგადოების საერთო ეკონომიურ განვითარებასთან“[3].

ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ საქართველოშიც სწორედ ამგვარ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, რადგანაც საქართველო კი არ ძარცვავდა, არამედ საქართველოს ძარცვავდნენ, საქართველოში კი არ შემოჰყავდათ ტყვეები და შემოჰქონდათ ნადავლი, არამედ პირიქით.

მაგრამ, მაინც მე-18 საუკუნის II ნახევარში ვაჭრობის ერთგვარი გაფართოება ჩვენში არ უნდა იყოს ეკონომიური აღმავლობის და ნაციონალური შემოსავლის ზრდის მაჩვენებელი. ეს იმიტომ, რომ ვაჭრობის ეს გაფართოება ხდებოდა: 1. ქალაქის და სოფლის მოსახლეობის კლებადობის და მათი გაღატაკების პირობებში. 2. სოფლის მეურნეობის დაცემის პირობებში. 3. ნაციონალური დოვლათის დატაცების და ომების და ლეკთა თარეშის დროს მისი განადგურების პირობებში. 4. სახელმწიფო ბიუჯეტის არა საკმარისობის პირობებში, როცა ერეკლე სესხობდა ხან რუსეთში, ხან ევროპაში.

ვაჭრობის ეს განვითარება ალბათ იმით აიხსნება, რომ: 1. სახელმწიფო შემოსავლების (გადასახადები, ბაჟები და სხვა) აკრეფა თანდათან ნატურიდან ფულადზე გადადიოდა და ახლა უშუალო მწარმოებელი ყიდდა იმასაც, რასაც წინათ სახელმწიფოს ნატურით აბარებდა. 2. როგორც პროფ. ჭოიავას მიერ გამოქვეყნებული სპბაჟო საქონლის სიიდან

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, გვ. 289.
[2] იქვე, გვ. 288.
[3] იქვე, გვ. 285.

ჩანს[1], მნიშვნელოვანი წონა ამ საქონელში ჰქონდა გარედან (რუსეთი, ოსმალეთი, ირანი და დაღესტანი) მოტანილ და აგრეთვე სატრანზიტო საქონელს, რომელიც საქართველოს გზით უცხოეთში გადიოდა. საერთოდ „საგარეო ვაჭრობას სპატიო ადგილი ეკავა, იგი კიდეც სჭარბობდა საშინაო ვაჭრობას"[2]. საგარეო ვაჭრობაში ამ დროს ყველაზე მეტი ხვედრითი წონა ჰქონდა რუსეთთან ვაჭრობას, რასაც ხელს უწყობდა ოსეთის (დარიალის) გზის გახსნაც.

რაც შეეხება მესამე არგუმენტს, მართალია ის გარემოება, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში მთელი რიგი წვრილი მასშტაბის საქარხნო ტიპის საწარმოები გაჩნდნენ, როგორც, მაგალითად, საპნისა და ზეთის გამოსახდელი ქარხნები, ოქრო-ვერცხლის და ტყვიის ნაკეთობათა საწარმოები და სხვა. თავისთავად, რა თქმა უნდა, ეს გარემოება მეტად მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც იგი საფუძველს აგებდა საქარხნო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის ჩვენში. მაგრამ მათი ხვედრითი წონა ქვეყნის საერთო ეკონომიკაში ჯერ კიდევ იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო, რომ იგი ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის ზრდის და საერთო ეკონომიური აღმავლობის ნიშნად გამოდგეს, მართალია, ეს იყო სიახლეც და აღმავლობაც წარმოების ერთ და იმდროისათვის პატარა დარგში. მაგრამ, ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი ძარღვი— სოფლის მეურნეობა გაუთავებელი საგარეო ომების, ლეკთა თარეშის, ტყვეთა გაყიდვის, ფეოდალთა შინაგანი ჭიშპობის, მოსახლეობის აყრა-გადასახლების და მისი რიცხვის შემცირების, ველური ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერების და ხალხის სიღატაკის მატების წყალობით — უკან იხევდა. ეკონომიურ აღმავლობაზე ლაპარაკი კი, თუ არ იზრდება ქვეყნის ნაციონალური შემოსავალი და ნაციონალური დოვლათი, შეუძლებელია. ეს მით უფრო შეუძლებელია მაშინ, როცა ნაციონალური შემოსავლის და ნაციონალური დოვლათის საკითხში მეურნეობის გადამწყვეტი დარგების დეგრადაციის გამო ეკონომიური ბარომეტრი პირიქით პროცესს უჩვენებს.

ამგვარად, ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავლის ერთგვარი ზრდა მე-18 საუკუნის II ნახევარში შექმნილ საგარეო და საშინაო მდგომარეობის გართულებით, და ამის გამო ბიუჯეტის საგასაყლო ნაწილის გადიდებით იყო გამოწვეული. აქ ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდა პატარა ქვეყნისათვის უდიდესი სამეფო დინასტიის შენახვას და წინაპირობათან შედარებით სამეფო კარზე ფუფუნებისკენ მიდრეკილების გაძლიერებასაც. ამ უკანასკნელის შესახებ 1770 წელს კაპიტანი იაზიკოვი წერდა,

---

[1] იხ. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების VIII ტ. პროფ. ნ. ჭოიავას წერილი — ქართლ-კახეთის ფინანსები მე-18 საუკუნეში. გვ. 333—336.

[2] პროფ. ნ. ჭოიავას სტატია, უნივ. შრომები, № 55, 1955 წ., გვ. 112.

რომ ერეკლეს სასახლეში სპარსულ ყაიდაზე ფუფუნებით ცხოვრობენ თავის ქვეშევრდომთა გაღატაკების ხარჯზეო[1].

სახელმწიფო შემოსავლის ეს ერთგვარი მატება მაინც ვერ ფარავდა გასავლის ხარჯებს, რადგანაც გართულებული საგარეო და საშინაო მდგომარეობის გამო გასავალი შემოსავალზე უფრო სწრაფად იზრდებოდა. გასავლის ამ ზრდას იწვევდა წინა პერიოდთან შედარებით უფრო დიდი მასშტაბის თავდაცვითი ღონისძიების გატარება. ციხეების, გზების, ხიდების, და სხვა სამხედრო ხასიათის ნაგებობათა მშენებლობა, საომარი არაღის დამზადება და შეძენა[2], „მორიგე“ ჯარში ზოგიერთ თანამდებობათა პირებისათვის ჯამაგირის მიცემა[3], დაჭირავებულ ლეკთა რაზმებისათვის ხელფასის გაცემა[4], ომის და თავდასხმების დროს წაყვანილ უპატრონო ტყვეთა გამოსყიდვისათვის დახმარების გაღება. ერეკლეს დროს მარტო ქიზიყიდან 30 წლის განმავლობაში გატაცებული ტყვეების გამოსყიდვაზე დახარჯული იყო 370 ათასი მანეთი[5]. მოხელეთათვის ანარიცხები სახელმწიფო შემოსავლიდან, ეკლესია (კათალიკოზი), რომელსაც მიჰქონდა სახელმწიფო შემოსავლიდან გარკვეული წილი, პენსიები ზოგიერთ წარჩინებულ პირებზე, გაჩუქებები, ძღვენები, ხარკები (მაგ., ომარ-ხანს) და სხვა.

ჩვენ არ გვაქვს ზუსტი ცნობები თუ რას უდრიდა საერთო ჯამით სახელმწიფოს ან გასავალი, ან შემოსავალი. შემოსავლის შესახებ არსებობს ორი—ურთიერთ დიდად განსხვავებული ცნობა. კაპიტან იაზიკოვის გადმოცემით ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავალი 1770 წლისათვის უდრიდა 150.000 მანეთს, ბურნაშოვის ცნობით კი ეს შემოსავალი 1786 წლისათვის უდრიდა 400.000 მანეთს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მე-12 საუკუნეში საკუთრივ საქართველოს სახელმწიფო ფეოდალი შემოსავალი (ყმადნაფიც ქვეყნების გარდა) ფულის იმ დროინდელი მაღალი კურსის პირობებში უდრიდა 3.750.000 მანეთს[6], მაშინ გასაგები გახდება, თუ ამ მხრივ როგორ წასულა ქვეყანა უკან, თუნდაც, რომ მე-18 საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სახელმწიფო შემოსავლისათვის ჰეშმარიტებასთან უფრო ახლო მყოფად ჩვენ ბურნაშოვის ცნობა მივიჩნიოთ.

გაზრდილი სახელმწიფო გასავლის დასაფარავად შემოსავლის შინაგანი წყაროების უფრო მეტად დაძაბვა იმ დროს, როცა გადასახადის მრავალი გადამხდელი გაჩანაგების გამო საერთოდ ჰკარგავდა გადამხდე-

---

[1] А. А. Цагарели, Грамоты, ტ. I, გვ. 184.

[2] იხ. პროფ. ნ. ჭოიავას წერილი ეკონომიკის ინსტიტუტის შრომებში (VIII, გვ. 321).

[3] П. Бутков, დასახ. შრომა, ნაწ. 1, გვ. 288.

[4] იქვე, გვ 337.

[5] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, 1922 წ., გვ. 184.

[6] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1948 წ., გვ. 217.

ლობის უნარს, შეუძლებელი ხდებოდა. საჭმეს ვერ შველოდა საბოლოო ანგარიშით ვერც მონეტის გაფუჭება. „მე-18 საუკუნის საქართველოში,—წერს პროფ. ნ. ჭოიავა,—ადგილი ჰქონდა მეფის მიერ მონეტის გაფუჭებას. მონეტის გაფუჭება საფინანსო ღონისძიებას წარმოადგენდა. მეფე მას მიმართავდა შემოსავლის გადიდების მიზნით. მონეტის გაფუჭების შედეგად მისი რეალური ღირებულება უფრო დაბალი იყო, ვიდრე მისი ნომინალური ღირებულება. მონეტის გაფუჭება საუკუნის მანძილზე რამდენიმეჯერ მოხდა და საუკუნის მანძილზე აბაზის წონა შემცირდა 7,5 გრამიდან 3 გრამამდე, ე. ი. 2,5-ჯერ"[1]. მონეტის ამგვარი გაყალბება ცნობილი ფაქტია ისტორიაში, მაგრამ არსებითად მას არ შეუძლია დიდი ეკონომიური ეფექტის მოცემა მისი გამყალბებლისათვის. „მრავალჯერაა დამტკიცებული,—წერს კ. მარქსი,—რომ მეფე, როდესაც მონეტის გაყალბებას იწყებს, თვითონვე ზარალობს ამით, რასაც იგი ერთხელ იგებს პირველ ემისიაზე, ჰკარგავს იმდენჯერ, რამდენჯერაც გაყალბებული მონეტა მასვე უბრუნდება ხარკებისა და სხვა სახით"[2].

სახელმწიფოს გასავალი ხარჯების დასაფარავად, უკეთესი მერმისის მოლოდინში, მე-18 საუკუნის მეფეები იძულებულნი ხდებოდნენ აეღოთ საშინაო და საგარეო სესხები. ჯერ კიდევ 1753 წ. მეფე თეიმურაზს და ვრეკლეს ჰქონდათ ვინმე მიგდისის ვალი 8.600 მინალთუნი (მანეთი). დარეჯან დედოფალს კი ალა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე ჰქონდა 14.000 მინალთუნი ვალი. გიორგი XII კი 1800 წელს ვინმე მელიქ შაჭროს ვალი ჰქონდა 4000 მინალთუნი[3]. საერთოდ, ერეკლე ხშირად მიმართავდა შინაგანი სესხის აღებას ერთჯერად 250—2000 მინალთუნამდე.

ამგვარი საშინაო სესხები საკმარისი არ იყო სახელმწიფო საჭიროების დასაკმაყოფილებლად და სახელმწიფო გასავლის დასაფარავად. ამის გამო მე-18 საუკუნის საქართველოს მეფეები ხშირად მიმართავდნენ როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, ისე რუსეთს სესხის მისაღებად. ჯერ კიდევ ამ მიზნით 1713 წელს ევროპაში გაემგზავრა საბა სულხან ორბელიანი. მან 1714 წ. საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV სთხოვა ქართლის სამეფოსათვის 300.000 ეკიუ სესხად, მაგრამ ვერაფერი ვერ მიიღო[4]. 1781 და 1782 წლებში ერეკლეს ჰქონდა ცდები სესხი მიეღო ავსტრიის იმპერატორ იოსებისაგან, მაგრამ არც ამ ცდებიდან გამოვიდა რამე[5].

ქართლის მეფე თეიმურაზი და განსაკუთრებით კი ერეკლე მეორე

---

[1] პროფ. ნ. ჭოიავა, კრედიტი XVIII საუკუნის საქართველოში (უნივ. შრომები, № 34 a-ი, 1948 წ., გვ. 34).

[2] კ. მარქსი, ფილოსოფიის სიღატაკე, გვ. 139.

[3] იხ. პროფ. ნ. ჭოიავას ზე'ით დ.სახ. შრომა, გვ. 33.

[4] იხ. მღვდელი მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათალიკობისა ქართველთა შორის, 1902 წ., გვ. 321.

[5] Д. Чхаборов, Грузия и Россия, 1919 г., стр. 77.

გულმოდგინედ ცდილობდნენ სესხის მიღებას რუსეთის იმპერატორებისაგან. 1760-იან წლებში რუსეთის იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულთან სესხის სათხოვნელად გაემგზავრა ერეკლეს მამა თეიმურაზი, მაგრამ მისი ეს ცდა უშედეგოდ დარჩა[1]. 1771 წელს ერეკლემ ამავე მიზნით პეტერბურგს გაგზავნა ანტონ კათალიკოსი და შვილი ლეონი, მათთვის გატანებულ წერილში ერეკლე წერდა ეკატერინე II: „...რა ერთიც ვითხოვოთ ვედრებით, რომ ხაზინიდამ სესხად ჩვენის ჯარისათვისაც თეთრი გვებოძოს, და ისევე მიირთვას ყოვლად"[2].

ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ერეკლეს დავალებით გარსევან ჭავჭავაძე 1796 წლის 7 მარტს მოახსენებს ეკატერინე II, რომ ერეკლე „...სთხოვს თქვენს იმპერატორების დიდებულებას, რათა უბოძოთ მას სესხად ერთი მილიონი რუბლისა, ყაელითა, ვითარსაცა ინებებთ დანიშვნად"[3]. 1797 წლის 11 ივნისს ერეკლეს დავალებით გარსევან ჭავჭავაძე რუსეთის იმპერატორ პავლეს სთხოვს, რომ ერეკლეს მიეცით „...სესხის სახედ ჯამთა რაერთსაცა ინებებთ"[4]. 1800 წ. გიორგი XII პეტერბურგში სწერს გარსევან ჭავჭავაძეს, რომ: „მრავალგზის მოგწერე მე, რომ მათის დიდებულების უმაღლესის კარის ხაზინიდამ ვალის სახედ ითხოვო ოცი ათასი თუმანი, რაოდენისაც დროს განწესებას ინებებენ"[5]. რუსეთი თვითონ ცდილობდა დასავლეთ ევროპაში სესხის მიღებას და, ცხადია, ასეთ პირობებში იგი საქართველოს დახმარებას ვერ გაუწევდა. ამგვარად, სამეფო ბიუჯეტის ხაზით ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობა მეტად მძიმე რჩებოდა. შინაგანი რეზერვები უკიდურესობამდე იყო დაძაბული და გარედანაც ამ მხრივ ეფექტური დახმარების შესაძლებლობა არსად ჩანდა.

ქვეყნის შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობა. საგარეო გართულებებს, გაუთავებელ ომებს, ღეკთა განუწყვეტელ თარეშებს, ტერიტორიის დაკარგვას, მოსახლეობის რიცხვის კატასტროფულ შემცირებას, ეკონომიური დონის დაწევას, სამხედრო თავდაცვითი პოტენციალის დაცემას, თურქეთ-ირანის აგრესიას, მათ მუდმივ სამხედრო მუქარას და პოლიტიკურ შანტაჟს საქართველოზე გავლენის მოსახდენად, არ შეეძლოთ არ შეექმნათ ქვეყანაში ნერვიული მდგომარეობა, არ გაეძლიერებინა და არ გაერთულებინა ქვეყნის შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობა. ეს ფაქტორები მით უფრო ძალუმად მოქმედებდნენ პოლიტიკური სიტუაციის გართულებაზე, რომ ფეოდალური ურთიერთობა ამ დროს

---

[1] А. А. Цагарели, Грамоты, т. I. стр. 12.
[2] А. А. Цагарели, Грамоты, т. II, стр. 83.
[3] იქვე, გვ. 125.
[4] იქვე, გვ. 139.
[5] იქვე, გვ. 171.

თავის უკანასკნელ სტადიაში—ლპობისა და ნგრევის სტადიაში იყო შესული.

ამ გარემოებათა გამო, ბრძოლა, როგორც გაბატონებულ და ექსპლოატირებულ კლასებს შორის, ისე თვით გაბატონებული კლასების ცალკე ჯგუფებს შორის ერთმანეთთან და სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ, თანდათან უფრო მკაცრი და დაუნდობელი ხდებოდა. აქ მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა თვით სამეფო კარზე ატეხილ ინტრიგასა და მიკერძოებასაც. ყველა ეს ფაქტორები ერთმანეთში იხლართებოდა, ქვეყნის საშინაო ვითარებები საგარეო მდგომარეობის გართულებას უწყობდა ხელს, და პირიქით. დრო ორივე ხაზით ამ გართულებათა სასარგებლოდ მოქმედებდა და ქვეყანა თანდათან მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა. ყველაფერი ეს შეუძლებელს ხდიდა ისედაც დალეულ ადამიანთა და ქვეყნის მატერიალური რესურსების გაერთიანებას და ერთიანი გეგმით გარეშე მტრის წინააღმდეგ მათ გამოყენებას, რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელია ანტაგონისტური კლასების შემცველ ქვეყნებში.

საქართველოს ისტორია არავითარ გამონაკლისს არ წარმოადგენს და მასშიც მრავალი მაგალითი მოიპოვება იმისა, თუ თავადები და ფეოდალები ურთიერთშორის ჭიშპობის, ურთიერთის ქონების მიტაცების, ან მტრის მიერ საკუთარი მამულის აოხრებისაგან გადარჩენის მიზნით, როგორ გადადიოდნენ მტრის მხარეზე, როგორ ეხმარებოდნენ მას იარაღით ხელში საკუთარი ქვეყნისა და საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში, და როგორ ასრულებდნენ მეგზურის როლს მტრის ურდოებისათვის[1].

გასაგებია, რომ ფეოდალთა ამ ბრძოლებს, რომელნიც ესოდენ დამღუპველად მოქმედებდნენ ქვეყნის მდგომარეობაზე, საფუძვლად ედო მათი კლასობრივი და ვიწრო ეგოისტური ინტერესები. იგივე ინტერესები ედო საფუძვლად მათ ურჯულოს მოქცევასაც ყმა გლეხობის მიმართ, რომელთა უდიერი ექსპლოატაციით და გაჩანაგებით ისინი ქვეყანას აცლიდნენ ძირითად ეკონომიურ ძარღვს და თავდაცვის პოტენციალს. ქვეყნისა და სამეფო ხელისუფლების ინტერესები მოითხოვდნენ ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას, ფეოდალთა ინტერესები კი—მის შესუსტებას. ამ ნიადაგზე ერეკლეს დროს მეტად დაიძაბა მდგომარეობა მსხვილი ფეოდალური სათავადოების პატრონებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. საგარეო ურთიერთობის გართულება ერეკლეს ზღუდავდა გაეტარებინა რადიკალური ღონისძიებანი თავგასულ ფეოდალთა ასალაგმად. ამდენად ეს ფეოდალები არ შეიძლება

---

[1] იხ. ი. სტალინი, ტ. II, გვ. 318; საქართველოს ისტორია (სახელმძღვანელო), 1948 წ., გვ. 328, 329, 372, 410; ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, 1922 წ., გვ. 149; დუბროვინი, ტ. II, გვ. X.

დაინტერესებულნი ყოფილიყვნენ საგარეო ურთიერთობის ხაზით მდგომარეობის შენელებაში.

მეფესა და ფეოდალებს შორის შინაგანი პოლიტიკის ხაზითაც არსებობდა ერთგვარი წინააღმდეგობა ყმა გლეხთან დამოკიდებულების საკითხში. მაშინ, როდესაც ფეოდალთა უდიერ ექსპლოატაციას გლეხი თითქმის მონურ მდგომარეობამდე, გაბოგანოებასა და აყრა-გაქცევამდე მიჰყვანდა, ერეკლე მოითხოვდა ყმა გლეხისა და ბატონის ურთიერთობა დარჩენილიყო ბატონყმობის ძველად არსებულ ფორმებში, და ასე თუ ისე ასატან მდგომარეობაში, როცა გლეხს შესაძლებლობა ექნებოდა მარტივი რეპროდუქციისა, ამიტომ ეკონომიურ ერთეულად დარჩენისა და ქვეყნისათვის სამხედრო სამსახურის გაწევისა. პირიქით მდგომარეობას კი, როცა ომებითა და ლტოლვა თარეშით გლეხის სახლ-კარი და მეურნეობა დაბლა იწვედა, ბატონის სასარგებლოდ ფეოდალურ ბეგარათა და გადასახადთა მატებას, რა თქმა უნდა, გლეხი სწრაფად მიჰყავდა გაბოგანოებისა და პაუპერიზმისაკენ.

ერეკლეს ასეთი პოლიტიკა, რა თქმა უნდა, არც იმის მტკიცებას ნიშნავს, რომ ის „გლეხთა მეფე“ იყო და არც იმისას, რომ იგი ბატონყმობას ებრძოდა, როგორც ეს ზოგიერთ მეისტორიეს ჰგონია. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი წინააღმდეგი იყო ყმა გლეხისადმი იმგვარი მოქცევისა, რომელსაც გლეხი, როგორც სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიური და სამხედრო დასაყრდენი, გაჭრობასა და გადაშენებამდე მიჰყავდა. ძველ რომში სენეკაც წინააღმდეგი იყო მონებისადმი უდიერი მოქცევისა, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა იმას, რომ ვინმემ იგი საერთოდ მონობის მოწინააღმდეგედ მონათლოს.

ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფეოდალებს შორის წინააღმდეგობა ინასკვებოდა საგარეო და სამშინაო პოლიტიკის სხვა არსებით საკითხებშიც. ეს წინააღმდეგობანი არა მხოლოდ აქუცმაცებდნენ ქვეყნის ნაციონალურ ძალებს კარზე მომდგარი მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევად, არამედ ურთიერთ ბრძოლით ისინი ფლანგავდნენ კიდეც ამ ნაციონალური ძალების გარკვეულ კოეფიციენტს.

ყოველივე ამის გამო, თვით ცხოვრების ლოღიკა არწმუნებდა ერეკლეს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს აღარ ძალუძდა რუსეთიდან სამხედრო და ეკონომიური დახმარების მიღების გარეშე თურქეთის, ირანის და ავრეთვე ლეკი-ბრაგებისათვის წინააღმდეგობის გაწევა და ქვეყნისათვის დამოუკიდებელი არსებობის გაგრძელება. ამიტომ ერეკლე დაბეჯითებით თხოვდა რუსეთის მთავრობას არა მარტო სესხს, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, არამედ ჯარით დახმარებასაც. 1771 წელს ერეკლე წერდა ეკატერინე II-ს: „და გვებოძოს ჯარი რიცხვით ოთხი ათასი განსწავლებული, და თუ სულ განსწავლებული არ იყოს, ნახევარი გა-

უსწავლებელი იყოს და ნახევარი განსწავლებული"[1]. ამ „გაუსწავლებელი" ჯარის თხოვნა იმის მაჩვენებელია, რომ ერეკლეს მოსახლეობის რიცხვის შემცირების გამო აღარ ყოფნიდა ძალები, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ადამიანთა „ნედლი" რეზერვებიც კი ქვეყნის დასაცავად.

1772 წ. ერეკლე კაპიტან ლეოვს, რომელიც მასთან რუსეთის მეფის რწმუნებულად იყო, სთხოვდა ჯარით დახმარებას და წერდა: „...გაფიცებთ ღმერთსა და ხელმწიფეს, რომ რაც შეგეძლოს, ჩვენს უმსახურობას ნუ მიხედავ, და გაისარჯე, და რომელიც ქვემორე დაიწერება, ამაზედ შეგვეწიე, თვარემ სხვა წამალი ჩვენს დიდის ხნის სნეულებას არა არგებს რა. ხომ ხედავს მაღალშობილება ჩვენის ქვეყნის შეწუხებას და გლოვას, რას მწუხარებით ვიმყოფებით და როგორი შფოთი და ვაების ხმა არის განფენილი. პირველად ესე, როგორადაც ჩემის ძძს და ჩემის შვილისათვის გამიტანებია მოხსენებანი მისის დიდებულობის მიმართ, რომ ყმად დაგვიჭიროს და დაგვაფაროს საფარველი თვისი, როგორადაც მოგვიხსენებია, და ეს იქნება ჩვენი სრულიად დაფარვა, და მაშინ ვიქნებით ყოველითურთ გამოხსნილი მტერთაგან"[2]. 1773 წლის 16 მარტს ერეკლე წერდა ნ. პანინს, რომ ჩვენ ვთხოვთ რუსეთის იმპერატორს „...ეცადოს, ჩვენ და ჩვენის ქვეყნის ამდენი სულნი ქრისტიანენი ბარბაროზთ უღლისაგან გამოიხსნას, და გვამყოფოს უმდაბლესი ყმა და მოსამსახურე, მოხსენებულისა მოწყალებით..."[3].

ერეკლეს ეს თხოვნა იმით დასრულდა, რომ 1783 წ. ქალაქ გიორგიევსკში (ჩრდილოეთ კავკასია) დადებულ იქნა რუსეთის მფარველობაში საქართველოს (ქართლ-კახეთის სამეფოს) შესვლის შესახებ ორმხრივი ვალდებულების ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით ქართლ-კახეთის სამეფო ჰკარგავდა დამოუკიდებლობას საგარეო ურთიერთობის სფეროში, მოვალე იყო საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ძალით რუსეთის მეფის მხარეზე გამოსულიყო, და მეფის კანდიდატურა დასამტკიცებლად რუსეთის იმპერატორისათვის წარედგინა. სხვა საკითხებში ქვეყანა სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. თავის მხრივ რუსეთის მთავრობა მოვალედ იხდიდა თავს დაეცვა საქართველო გარეშე მტრების თავდასხმისაგან, მუდმივად ჰყოლოდა აქ ორი ბატალიონი ჯარი ოთხი ზარბაზნით და ომის შემთხვევაში კი გადმოეყვანა სხვა საჭირო ძალები. რუსეთი აგრეთვე იკალებდა, რომ სამხედრო და დიპლომატიური გზით შეეცდებოდა საქართველოს დაბრუნებოდა მტრების მიერ წინათ მიტაცებული ტერიტორიები. ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა რუსეთის მხრივ ქართლ-კახეთის დასახმარებლად ფინანსიურ ვალდებულებას.

1783 წლის ხელშეკრულება ნიშნავდა რუსეთის მიერ ფეხის მოკი-

---

[1] А. А. Цагарели, Грамоты, т. II, стр. 83.
[2] იქვე, გვ. 87.
[3] იქვე, გვ. 90.

დებას კავკასიის მთების სამხრეთით, და, მაშასადამე, ხელსაყრელი პლაცდარმის შექმნას თურქეთისა და ირანის აგრესიის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ტერიტორიიდან საომარი ოპერაციების გასაშლელად. ამ გარემოების გამო, თურქეთმა, ირანმა, დაღესტანისა და ჭარ-ბელაქნის ლეკებმა გააძლიერეს დაწოლა საქართველოზე. ზოგიერთი „ვაი ისტორიკოსის“ მტკიცება, რომ თუ არა ეს ხელშეკრულება მტრები არ აეშლებოდნენ საქართველოსო, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს რამდენადაც ისინი უკვე საუკუნეთა მანძილზე იყვნენ აშლილნი და საქართველო უკვე დაღუპვის პირას ყავდათ მიყვანილი. ეს ისტორიკოსები არ უფიქრდებიან იმას, რომ თვით ეს ხელშეკრულება ლოგიკური შედეგი იყო ამ მტრების აშლილობისა, და არა პირიქით. სხვაგვარად არ შეიძლება აიხსნას, თუ ერეკლე, როგორც ეს ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ხელშეკრულებამდე 11 წლით ადრე რატომ ეხვეწებოდა რუსეთის მთავრობას „ყმად დაგვიჭირე და თქვენი საფარველი დაგვაფარეო“.

ამ ხელშეკრულებამ კი არ აუშალა მტრები საქართველოს, არამედ გააძლიერა უკვე აშლილი მტრების დაწოლა მასზე. ეს ორი გარემოება კი სრულიად სხვადასხვა რამ არის. პირველ შემთხვევაში, როცა ამ ხელშეკრულებას მიიჩნევენ მტრების აშლის მიზეზად, საქმე ისე გამოჰყავთ, რომ, თითქოს საქართველოს ეს მტრები წინათ არ ყოფილიყვნენ აშლილნი. თითქოს საქართველო გულითად და მუდმივ მეგობრობაში ყოფილიყოს თურქეთთანაც, ირანთანაც, ლეკებთანაც, და თითქოს ასევე შეეძლო მას დარჩენილიყო მომავალშიც ეს ხელშეკრულება და რუსეთი რომ არ გამოჩენილიყო კავკასიის სცენაზე. საკითხის ამგვარი დაყენების პრინციპული შეცდომა იმაშია, რომ მისმა მომხრეებმა არ იციან, ან რატომღაც არ უნდათ, რომ იცოდნენ, რომ ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში დიდსა და მცირე, ძლიერსა და სუსტ სახელმწიფოებს შორის საერთოდ არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო რაღაც ხანგრძლივი მეგობრობასა და ხელშეუხებლობაზე დამყარებული კეთილმეზობლური ურთიერთობა.

ისტორია საერთოდ იმას ამტკიცებს, რომ არც ერთ დიდ სახელმწიფოს არ დაზარებია გაეძარცვა, დაეხარკა ან გადაეყლაპა მცირე სახელმწიფო, თუკი დარწმუნებული იქნებოდა, რომ რაიმე მიზეზის გამო იგი მას ყელში არ გაეჩხირებოდა, და თუ ხელთ იგდებდა შესაფერ დროსა და პირობებს. რატომ უნდა დამდგარიყო ამ კანონის საწინააღმდეგო სასწაულის ხანა მე-18 საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან საქართველოსათვის, რატომ უნდა ჩაეგოთ ხმალი და დაეჩლუნგებინათ კბილები მის მტრებს ახლა, როცა ისინი აქამდე საუკუნეთა მანძილზე ფლეთდნენ მას გადასაყლაპავად, გაუგებარია.

საკითხის ამგვარ დაყენებაში ფაქტიური შეცდომა იმაშია, რომ ისინი ივიწყებენ, თუ რატომ ბორგავდნენ შაჰ-აბასის, ნადირ-შაჰის, თურქეთის ან ლეკების ურდოები საქართველოში, და რატომ სწვავდნენ და ბუ-

გავდნენ ისინი მას, მაშინ, როცა 1783 წლის ხელშეკრულება ჯერ კიდევ პუნებაში არ არსებობდა. ამგვარად, აქ საქმე ეხება მტრის აშლილობის გაძლიერებას, რომელიც ამ ხელშეკრულების გარეშეც გარდუვალი იყო პრინციპში, მაგრამ შესაძლებელი იყო დროში დაგვიანების მხრივ. ერთი სიტყვით, აქ საკითხი ეხება არა პრინციპს, არამედ დროის მიხედვით მის დაჩქარებას. ეს გარემოება კი საბოლოო ჯამში საქართველოსათვის არაფერს არ სცვლიდა, ვინაიდან არსებითად რა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ საკუთარი თავის ამარად დატოვებულ საქართველოს წინააღმდეგ უკანასკნელ სასიკვდილო დარტყმებს მაჰმადიანური მხეცი ორიოდე წლით უფრო გვიან წამოიწყებდა, თუ უფრო ადრე. ასე დგას საკითხი.

აქ საქმე იმაში იყო, რომ თუნდაც მოგვიანებით, შენელებულიყო ამ მხეცის სასიკვდილო დარტყმების ძალა, და, თუ ის ერთსა და ორს არის ასეთ დარტყმას მოახერხებდა, მას ვეღარ მოესწრო მესამე და მეოთხე. ერთი სიტყვით, 1783 წლის ხელშეკრულების მინუსი ის იყო, რომ მან მხოლოდ დაიჩქარა საქართველოსათვის ომარხანის და აღა-მაჰმად-ხანის მხრივ ჭრილობების მიყენება, რომელსაც ამ ხელშეკრულების გარეშეც საერთოდ საქართველო ვერ აიცდენდა, თუ ომარ-ხანისა და აღა-მაჰმად-ხანის მიერ არა, ხან-ომარის და მაჰმად-ხან-აღას მიერ მაინც, ამ ხელშეკრულების გარეშე, ამ დაგვიანებულ ჭრილობებს კი გარდუვალად საქართველოს სიკვდილი მოჰყვებოდა. ამ ხელშეკრულების დადებითი უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა კი იმაშია, რომ მან დაგვიანებით, მაგრამ მაინც საქართველო იხსნა სიკვდილისაგან იმით, რომ ყველა ამ აღებსა და ომარებს მოჰკვეთა საქართველოსათვის დასარტყმელად აწეული სასიკვდილო ტორები.

ის, ვინც ამ ორ გარემოებას ერთმანეთისაგან ვერ არჩევს და საერთოდ უარყოფითად მიიჩნევს 1783 წლის ხელშეკრულებას, მას დიდად არ წაუდგამს ფეხი წინ ბიბლიური ადამისაგან. იგი ობიექტურად მიდის იმგვარ დასკვნამდე, რომ საქართველოსათვის სიკვდილი სჯობდა ომარ-ხანისა და აღა-მაჰმად-ხანის მიერ ნაადრევად მიყენებულ ჭრილობებსო. ამავე დროს ამ ხალხს გონების სიჩლუნგე აძლევდათ გამბედაობასაც და ართმევდათ სირცხვილის გრძნობასაც, ლოგიკური გზით არსებითად ამგვარი მტკიცებაც გამოსცლოდათ და თანაც თავი წარმოედგინათ „პატრიოტების“ პოზაში.

მართლაცდა, როგორ შეიძლება ამა თუ იმ ქვეყანამ დამოუკიდებლობის შენარჩუნების ვარაუდი იმაზე ააგოს, რომ მტაცებელი მეზობლები, რომელნიც იქამდე მას ათლიდნენ ტერიტორიებს, სწყვეტდნენ ხალხს, აძარცვავდნენ, ბუგავდნენ ქვეყანას, ერთი მშვენიერი დღიდან ისინი აბრამის ბატკნებად გადაიქცეოდნენ და ხელს აღარ ახლებდნენ მსხვერპლს, რომელიც გუშინ მათ მიერვე იყო გაფატრული? განა ეს ზღაპარი, ავადმყოფი ილუზია და სისულელე არ არის? განა ეს არ არის იმგვარი სასწაულის რწმენა, რომ მშიერი მგელი რატომღაც უარს იტყოდა მის

კლანჭებში ჩავარდნილი და თავდაცვის საშუალებას მოკლებული მსხვერპლის შეჭმაზე? განა ძნელია იმის გაგება, რომ აგრესიული მეზობლებისგან ქვეყნის დამოუკიდებლობის უტყუარ გარანტიას მხოლოდ თვით მისი თავდაცვისათვის საჭირო სამხედრო და ეკონომიური პოტენციალის საკმარისობა იძლევა, და, როდესაც ეს არ არის, მაშინ არ არის არც დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობა? განა ცხადი არ არის, რომ საქართველოს მტრები აუშალა არა 1783 წლის ხელშეკრულებამ, არამედ საკუთარმა სისუსტემ, ვინაიდან თუ ამ ხელშეკრულებამ ომარხანი საქართველოს წინააღმდეგ 1785 წელს აშალა და აღა-მაჰმად-ხანი კი 1795 წელს, ეს ხელშეკრულება რომ არ ყოფილიყო, მაშინ იგივე ომარხანი მას აეშლებოდა არა 1785 წელს, არამედ, ვთქვათ, 1789 წელს. აღა-მაჰმად-ხანი კი, არა 1795 წელს, არამედ, ვთქვათ, 1796 წელს? ხომ არ ფიქრობს ვინმე, რომ ექვსი საუკუნის განმავლობაში სისხლისაგან დაცლილი ქვეყანა, ორიოდე წელში რაღაც სასწაულით თავის სასარგებლოდ შესცვლიდა საშინაო და საგარეო მდგომარეობას, რომელიც მის კეთილ სურვილებზე სრულიადაც არ იყო დამოკიდებული. აქვს ვისმე ამის გარანტია, აქვს ვისმე ამის ნიშნები? მე-18 საუკუნის მიწურულის საქართველოში არც ამის გარანტია იყო, არც ამის ნიშნები, მე-20 საუკუნის ზოგიერთ ისტორიკოსთა თავებში კი ისინი საიდანღაც ჩასახლდნენ. მაგრამ, რას უშველიდა მე-20 საუკუნის და ისიც ფანტაზიის გარანტიები მე-18 საუკუნის საქმეებს.

ვთქვათ, მე-18 საუკუნის საქართველოს მესვეურებიც მისცემოდნენ ასეთ ილუზიებს, მაგრამ, როცა სინამდვილის მიმართ ეს ილუზიები ბერწი აღმოჩნდებოდა, მაშინ რით ხვდებოდა საქართველო ამ დაგვიანებულ ომარ-ხანებსა და აღა-მაჰმად-ხანებს, თუ მათი ძალისათვის მას არ შეეძლებოდა უფრო ძლიერი, ან თანაბარი ძალა დაეპირისპირებინა? ხომ არ ფიქრობს ვინმე, რომ ეს დაგვიანებული ომრები და აღები ტკბილი სიტყვით გაბრუნდებოდნენ უკან, ან მათთვის სიმღერებისა და კონცერტების მოწყობით, როგორც ამას ერთხანს მოგიჟო ნერონი ფიქრობდა მის წინააღმდეგ ამხედრებული ალბასა და ვინდექსის ჯარების დასაძლევად?

საბედნიეროდ, ნიჭიერი პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი ერეკლე არაფრით არ გავდა მოარტისტო და მოსულელო ნერონს. მან იცოდა ომის ძალაც, მისი ჭირიც, მისი „მუსიკაც“ და მისი ვარამიც. სწორედ საკუთარი და მტრის ძალების აწონ-დაწონვამ და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის საკუთარი სამხედრო და ეკონომიური ძალების არასაკმარისობის ფაქტის შეგნებამ მიიყვანა ერეკლე 1783 წლის ხელშეკრულებამდე. ამაში ერეკლე არ შემცდარა, ამაში სცდებიან მისი ახლანდელი კონსულტანტები. მართლაცდა, რომ საქართველოსათვის თავდაცვის ყველა რესურსების ამოწურვის კარზე იყო მისული, და ამასთან დაკავშირებით, დამოუკიდებლობის შენარჩუნების ჟამიც მილეული,

ეს, გარდა ყველაფერი იმისა, რაც ამ საკითხზე ჩვენ ზემოთ ვთქვით, მტკიცდება ამ ხელშეკრულების შემდეგ მომხდარი კონკრეტული მოვლენების ანალიზიდანაც.

ავიღოთ იგივე ომარ-ხანის საკითხი და ამ თვალსაზრისით გავარკვიოთ იგი. 1785 წლის სექტემბრის პირველ ნახევარში ერეკლემ ცნობა მიიღო, რომ ხუნძახის ბატონი ომარ-ხანი 20.000-იანი არმიით ალპირებს კახეთზე თავდასხმას. რუსეთის ის ორი ბატალიონი ჯარი, რომელიც 1783 წლის ტრაქტატით იყო შემოყვანილი საქართველოში, პოლკოვნიკ ბურნაშოვის სარდლობით სწრაფად წავიდა თბილისიდან და განლაგდა სიღნაღში. მალე სიღნაღში ჩავიდა თვითონ ერეკლეც, რომელსაც იქ 1000 ჯარისკაცამდე ჩაჰყვა. მეფემ უაზროდ მიიჩნია ბურნაშოვის 2 ბატალიონი და თავისი ამ ათასი ჯარისკაცით შებმოდა მტერს მდინარე ალაზანზე, მეტი ძალები კი ახლა იქ მას არ ჰყავდა. ომარ-ხანმა 15 სექტემბერს 11.000 კაცით გადმოლახა ალაზანი, შემდეგ იორი და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გაემართა თბილისის მიმართულებით. ერეკლემ დატოვა სიღნაღი და ჯარით გამოეშურა თბილისისაკენ. ბურნაშოვის განცხადებით, ერეკლე შიშობდა, რომ თუ ომარ-ხანი თბილისს ძალგებოდა, გარეუბნის (ავლაბრის) მოსახლეობა იმდენად უკმაყოფილო იყო მძიმე გადასახადებით, რომ მტერს არ გაუწევს წინააღმდეგობასო[1].

ომარ-ხანი აერიდა თბილისს. ყარაიაში გადალახა მტკვარი, შემდეგ ალგეთი, ჰპყვა მდინარე დებედას ხეობას, მივიდა ახტალაში და გაანადგურა ვერცხლის მომპოებელი სარეწები, გაძარცვა ეკლესია, გაწყვიტა 640 კაცამდე, ტყვედ იგდო 860 სული და წავიდა ლორის მიმართულებით.

20 სექტემბრისათვის ერეკლემ ძლივს შეკრიბა თბილისში 5 ათასი ქართველი და 3 ათასი კაცით წავიდა მარნეულის მიმართულებით. ეს ჯარი იმდენად მცირე იყო, რომ ერეკლე ომარ-ხანთან ვერც პირდაპირ შებმას ბედავდა და ვერც მის დევნას. ბურნაშოვის გადმოცემით ჯარში მოშლილი იყო დისციპლინაც. არ შეეძლო რა საკუთარი ძალებით ქვეყნის შიგნით შემოჭრილი მტრის განდევნა, ერეკლე 25 სექტემბერს ჯ. პოტიომკინისათვის გაგზავნილ წერილში წერდა, რომ თურქებისა და ლეკების გაერთიანებულ და მრავალრიცხოვან ძალებთან ბრძოლაში ჩვენ გავნადგურდებით, და, თუ 12—15 დღეში არ მოგვაშველებთ თქვენს ჯარებს, ქვეყანა დაიღუპებაო[2].

ლორის აოხრების და იქ ყველაფრის მოსპობის შემდეგ, რის მოსპობაც შეიძლებოდა, ომარ-ხანი ახალციხეში შეუერთდა სულეიმან-ფაშას ჯარებს. ეს გაერთიანებული ჯარები 300—700 კაცამდე ჯგუფე-

[1] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. II, стр. 140.

[2] იქვე, გვ. 142.

შად იყოფოდნენ, თავს ესხმოდნენ სოფლებს, სძარცვავდნენ, სწვავდნენ და ბუგავდნენ მათ. თან მიჰყავდათ საქონელი და ტყვეები. კონსტანტინოპოლში რუსეთის დემარშის გამო—შეწყვეტილიყო საქართველოზე თურქეთისა და ლეკების თარეში და იქიდან დოვლათის გატაცება, პორტამ ის ღონისძიება მიიღო, რომ თავისი მძარცველები გააფრთხილა: ხელი არ ახლოთ ხარს, თუ ის წევს და არ აიძულოთ ზეზე წამოდგომაო. აოხრების, სიკვდილის და ტყვედ ჩავარდნის შიშის გამო, მცხოვრებთა ერთი ნაწილი თავისი საცხოვრებელი ადგილიდან იყრებოდა და გარბოდა ყარსში, შუშაში, ყიზლარში, მოზდოკში და სხვაგან[1].

ომარ-ხანმა იმერეთსაც უწია და იქ მთელი რიგი სოფლები ააოხრა, გადაწვა და ტყვეებისა და ქონების დიდი ნადავლით დაბრუნდა ახალციხეში. ომარ-ხანის მთელი ამ თარეშის მანძილზე საკმაო ძალების უყოლობის გამო ერეკლემ ვერ გაბედა, რომ მას პირისპირ ბრძოლაში შებმოდა. ომარ-ხანი მხოლოდ მაშინ გაეცალა საქართველოს, როცა ერეკლემ ომარ-ხანს 10.000 მანეთი მისცა ლეკთა ჯარის უფროსებზე დასარიგებლად და თვითონ მას კი წლიური „ჯამაგირი" დაუნიშნა 5000 მანეთის რაოდენობით.

რის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ქვეყნის შიგნით შემოჭრილი ომარ-ხანი 3—4 თვეს თავისუფლად დათარეშობდა და ერეკლემ მისთვის წინააღმდეგობის გაწევა ერთხელაც კი ვერ შესძლო და ბოლოს ქვეყნის ამპარტახებელი მოძალადე „ჯამაგირის" დანიშვნით გაირიდა? რა თქმა უნდა, ეს მაჩვენებელია ქვეყნის თავდაცვითი ძალების დაშრეტისა. ძნელი არ არის ისეთი „ბრძენების" მოძებნა, რომელნიც ქვეყნის თავდაცვითი ძალების ამ დაშრეტასაც 1783 წლის ხელშეკრულებით „ახსნიან".

ომარ-ხანის შემოსევა იმას კი არ ამტკიცებს, რომ 1783 წლის ხელშეკრულება შეცდომა და ზედმეტი იყო, როგორც ამას ზოგიერთი შუბლმაგარი მეისტორიე ცდილობს, არამედ პირიქით. ომარ-ხანის შემოსევამ საგნობრივად დაამტკიცა, რომ ქვეყანას საკუთარ ფეხებზე დგომა აღარ ძალუძდა, და მას აუცილებლად უნდა ეძია მფარველი და დამხმარე გარეთ, თუ მას არ უნდოდა, რომ ამგვარ ომარ-ხანებს იგი გათავებამდე ეჯიჯგნათ და ისიც სრულიად დაუსჯელად. ეს სრულიად მარტივი ჭეშმარიტება არ ესმის ზოგიერთ „ვაი მკლევარს".

მეორე საგნობრივი მაგალითი, რომელმაც უბედურებით დაამტკიცა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის საკუთარი ძალები აღარ ყოფნიდა, ეს არის 1795 წლის კრწანისის ტრაგედია. აღა-მაჰმად-ხანის საქართველოზე გამოლაშქრების ამბავი, თუ უფრო დიდი

---

[1] Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. II, стр. 150.

ხნით არა[1], 8 თვით ადრე მაინც დანამდვილებით იყო ცნობილი როგორც ერეკლესათვის, ისე რუსეთის ხელისუფლებისათვისაც. ასე მაგალითად, 1795 წლის 27 იანვარს ერეკლე გრაფ-ბეზბოროდკოს წერს, რომ ჩემი თხოვნა „...მინისტრის, ჩემისა ქნიაზ გარსევან ჭავჭავაძის მიერ განეცხადების ბრწყინვალებასა თქვენსაო"[2]. ხოლო გარსევან ჭავჭავაძე, საგარეო საქმეთა კოლეგიისათვის (რომელსაც ბეზბოროდკო ხელმძღვანელობდა) გადაცემულ დოკუმენტში აღნიშნავდა: „ვინაიდან ცვლილებისაგან ქამისა განძლიერდა აღა-მაჰმად-ხან და დაუახლოვდა უკვე სამზღვართა ჩვენთა ...და აჭვს განზრახვა, რათა საქართველო მოიყვანოს იმ მდგომარეობაში, ვითარცა ყოფილა ქამსა სპარსეთის ყაენებისასა მძლავრებით"[3]. ამავე წერილში აღნიშნული იყო, რომ ერეკლეს ეკონომიურად უჭირს თავისი ჯარის სურსათით უზრუნველყოფა „...და ამ მიზეზით აღარ შეძლებელ არს თავისის ხარჯით განმზადებად სურსათისა უმაღლესისა ხელმწიფის ჯარისათვის". ამიტომ რუსეთმა, აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ წარმოგზავნილი მაშველი ჯარი თავისი ხარჯით უზრუნველყოსო.

ჯერ კიდევ იმავე 1795 წლის დასაწყისში აღა-მაჰმად-ხანმა ოფიციალურად განუცხადა პრეტენზია პორტას საქართველოზე[4]. იმავე წლის მარტში აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ხანები, რომელნიც ერეკლესთან ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ, ერეკლეს ფულად დახმარებას აძლევენ აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ომისათვის[5]. დარეჯან დედოფალი კი, 6 ივნისს, ეკატერინე II წერდა „...ცრემლით გევედრები უდიდებულესო ხელმწიფეო, შეიწყალენ ესოდენნი ქრისტიანენი... მოგვეცეს შეწევნა უძლეველითა მხედრობითაო".

ამგვარად, როგორც რუსეთის მეფეს, ისე ერეკლეს საკმაო დრო ჰქონდათ მომზადებულნი შეხვედროდნენ აღა-მაჰმად-ხანის საქართველოზე თავდასხმას. როგორც ცნობილია, რუსეთის ცარიზმმა ამისათვის დროულად არ მიიღო ზომები. ეკატერინე II მხოლოდ 1795 წლის 4 სექტემბერს მისცა განკარგულება კავკასიის ხაზის სარდალს გუდოვიჩს, რომ იგი 4 ბატალიონით და არტილერიით დახმარებოდა აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ერეკლეს. 6 დღის შემდეგ აღა-მაჰმად-ხანი თბილისს შემოადგა და ეს განკარგულება კი გუდოვიჩმა მხოლოდ 1 ოქტომბერს მიიღო, როცა კრწანისის ტრაგედია უკვე დამთავრებული იყო[6]. მაგრამ, როგორ მოამზადა თავდაცვისათვის ერეკლემ ქვეყანა და რა ძალა დაუპირისპირა მან 8 თვის შემდეგ კარზე მომდგარ აღა-მაჰმად-ხანის 35 ათასიან არმიას?

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1948 წ., გვ. 412.

[2] А. А. Цагарели, Грамоты, т. II, стр. 116.

[3] იქვე, გვ. 117.

[4] Бутков, დასახ. შრომა, ნაწ. III, გვ. 249.

[5] იქვე, გვ 251.

[6] იქვე, გვ. 259—261.

ერეკლემ დედაქალაქის დასაცავად ქართლ-კახეთიდან ძლივძლივობით მოუყარა თავი 4000-მდე კაცს. მაგრამ აქედან ბრძოლის დაწყებამდე 2000 კაცი უკან, კახეთში გააპარა მეფის სიძემ, ქიზიყის მოურავმა რევაზ ანდრონიკაშვილმა. ერეკლეს მოუშველა იმერეთის მეფე სოლომონ II 3000 კაცით. ასე რომ, საბოლოო ანგარიშით ერეკლემ შესძლო მხოლოდ 5000 კაცი დაეპირისპირებინა აღა-მაჰმად-ხანის 35000 კაცისათვის. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა კატასტროფული შედეგებით დამთავრდა ეს ომი საქართველოსათვის.

აღსანიშნავია, რომ კრწანისის ომის დროს თავდაცვისათვის მზადებაში არა მარტო ცალკეული ფეოდალები იჩენდნენ უხალისობას, არამედ თვით მეფის საკუთარი შვილებიც კი. ისინი განცხრომაში იყვნენ თავიანთ საუფლისწულოებში და დიდად არ დარდობდნენ ქვეყნის ბედისათვის. ზოგიერთი მათგანი სულაც არ მოშველია „მოხუცებულ ლომს". იულონი არც თვითონ წამოვიდა დასავლეთ ქართლიდან და არც ჯარი გამოგზავნა. იოანემ ქსანიდან მხოლოდ 50 კაცი ჩამოიყვანა, ვახტანგმა არაგვიდან კი მხოლოდ 300. ტახტის მემკვიდრე გიორგი კახეთში ნებივრობდა, როცა 75 წლის მოხუცი ერეკლე კრწანისში ხმალს აელვარებდა და სიკვდილს ებრძოდა ქვეყნის სიცოცხლისათვის.

განა კიდევ უფრო მკაფიო ფაქტია საჭირო, ვიდრე ომარ-ხანის თავისუფალი თარეშობა და კრწანისის ტრაგედია იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველო ამ დროს ღრმა შინაპოლიტიკურ კრიზისსა და სამხედრო პოტენციალის კატასტროფულ დაცემას განიცდიდა, და ამიტომ აღარ ძალუძდა დამოუკიდებლობის შენარჩუნება? სამართლიანად წერს პროფ. ს. კაკაბაძე, რომ „აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ დაამტკიცა, რომ ფეოდალური დროის წესი ქვეყნის მართვა-გამგებლობისა უკვე შეუძლებლად ხდიდა სამეფოს დაცვას გარეშე მტრებისაგან" და რომ ამიტომ „...ქვეყანა თანდათან უფსკრულისკენ მიეჭანებოდა"[1].

ერეკლე ამ გარემოებას კარგად ხედავდა და ამიტომ იყო, რომ კრწანისის ომის შემდეგაც იგი ასე დაჟინებით მოითხოვდა რუსეთისაგან სამხედრო დახმარებას. 1797 წ. 16 აპრილს იგი იმპერატორ პავლეს წერდა, რომ ოთხი ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი ორი-სამი წლით მოგვეცითო[2]. ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ კი, გიორგი XII 1798 წლის 30 ივნისს პავლეს წერდა: „...უკეთუ დიდებულებისა თქვენისა საფარველი მე და ჩემს სამეფოს ახდილი გვექნება, მაშინ მეცა და სამეფოცა ჩემი ესე ვითარითა უბედურებითა განსაზღვრულ ვიქნებით"[3]. იმავე წლის ოქტომბერში კი გიორგი XII პავლეს სთხოვს 3000 ჯარის კაცს ზარბაზნებითა და ხარჯით მუდმივად საქართველოში დასაყენებლად[4]. ყველაფერი

[1] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, 1922 წ., გვ. 240.
[2] А. А. Цагарели, Грамоты, ч. II, стр., 132.
[3] იქვე, გვ. 152.
[4] იქვე, გვ. 157.

ეს იმაზე მეტყველებს, რომ საკუთარ თავდაცვით შესაძლებლობას აღარ ძალუძდა ქვეყნის დაცვა გარეშე მტრისაგან, და მაშასადამე, მისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაც.

მუდმივად რუსეთის ჯარის ჩაყენების მოთხოვნა და ისიც **რუსეთის** შეიარაღებით და ხარჯით, იმის მაჩვენებელი იყო, რომ ქვეყანა განიცდიდა არა მარტო ცოცხალი ძალის მხრივ ნაკლებობას, არამედ შეიარაღებითაც და ფინანსებითაც. ასეთ ვითარებაში, როცა ერთი ქვეყანა მეო**რეს სთხოვს**, მოდი და მუდმივად შენი ჯარით, შენი შეიარაღებით და **შენი** ჯერით მე დამიცავიო, რა თქმა უნდა, ქვეყნის დამოუკიდებლობის გადარჩენა შეუძლებელი იყო. ასეთ თხოვნაში თავისთავად არის ჩაშარხული დამოუკიდებლობის შეუძლებლობის აღიარება.

ანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოების ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ქვეყანა, რომელიც ასეთ პირობებში იცხოვრებდა მეორე ქვეყნის უანგარო დაცვას, და გასაკვირველი არაფერია, თუ რუსეთის ცარიზმსაც აქ პირველ რიგში თავისი საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა.

მაგრამ, თუ საქართველომ 1783 წლის ხელშეკრულების შემდეგ მალე დაკარგა დამოუკიდებლობა და ცარიზმის გუბერნიად გადაიქცა, ამ აქტის დაჩქარება მზადდებოდა ობიექტური ხასიათის შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ურთიერთ გადახლართვით. საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაცემას ერთგვარად აჩქარებდა იგივე ფაქტორების ნაყოფი—ქვეყნის შიგნით შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია და კერძოდ, ინტრიგა და კინკლაობა მრავალრიცხოვანი[1] სამეფო ტახტის ირგვლივ, რაც განსაკუთრებით ორ გარემოებაში იყრიდა თავს.

1791 წელს დედოფლის გავლენით ერეკლემ შეცვალა ტახტის მემკვიდრეობის წესი. ამ ახალი წესით ტახტი მამიდან შვილზე კი აღარ გადადიოდა, არამედ გვარში უფროსზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ თუ ერეკლეს შემდეგ მისი უფროსი შვილი გიორგი გახდებოდა მეფედ, გიორგის შემდეგ ტახტი გადავიდოდა არა გიორგის უფროს შვილ დავითზე, არამედ გიორგის მომდევნო ძმა იულონზე და ა. შ. ეს წესი მართალია მალე ერეკლემ თვითონვე გააუქმა, მაგრამ ეს გაუქმებული წესიც ერეკლეს შემდეგ ინტრიგების წყაროდ იქცა ერეკლეს შვილების ხელში მათი უფროსი ძმის (გიორგის) და მისი შვილების წინააღმდეგ. ამ გარემოებამ მცირე არევ-დარევა როდი შეიტანა ერეკლეს სიკვდილის შემდეგ დინასტიურ ბრძოლაში.

1792 წელს ერეკლემ ქართლ-კახეთის სამეფოს სხვადასხვა კუთხეში საუფლისწულო მამულები და ყმები გაუყო თავის შვილებს. უფროსს—გიორგის მისცა 4000 ყმა. დანარჩენ ხუთ ვაჟიშვილს (იულონს, ვახტანგს, მირიანს, ფარნაოზს და ალექსანდრეს) 1003 თითოეულს. ეს იყო ქვეყნის

[1] ერეკლეს ჰყავდა 15 შვილი და 40-ზე მეტი შვილიშვილი (იხ. **Акты**, ტ. I, გვ. 199—200).

დეცენტრალიზაციის გაღრმავება. ამიერიდან ბატონიშვილები თავიანთ საუფლისწულოებში ჩასხდნენ და შეიქმნენ თავადური პარტიკულიარიზმის წამქეზებლად. ისინი ახლა ნაკლებ უგდებდნენ ყურს სამეფო ხელისუფლების ამოცანებს, როგორც ეს მათ კრწანისის ომის დროს გამოამჟღავნეს.

შეუთანხმებელმა მოქმედებამ განსაკუთრებით იჩინა თავი 1798 წლის 11 იანვარს თელავში ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ. მეფის გარდაცვალება უფროსმა შვილმა გიორგიმ ქიზიყში შეიტყო. იგი მაშინვე შეუდგა ქიზიყის, ყახახის, ბორჩალოს და გორის მოსახლეობის თავის ერთგულებაზე დაფიცებას[1], და თელავში ჩავიდა მხოლოდ მამის სიკვდილის მეორმოცე დღეს, როდესაც ერეკლეს მცხეთაში მოასვენებდნენ. თელავში მან სასახლეში თავმოყრილ ხალხს ალყა შემოარტყა და ფიცი მიაღებინა თავის ერთგულებაზე[2]. გიორგის ერთგულების ფიცი მისცეს ძმებმაც (ალექსანდრეს გარდა).

მეფედ გამოცხადების შემდეგ, გიორგიმ ძმების დასაწყნარებლად ტაქტიკური მოსაზრებით, დაამტკიცა წინათ ერეკლეს მიერ შემოღებული ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესი, რომლის მიხედვითაც, როგორც აღნიშნული იყო, გიორგის შემდეგ მეფედ იქნებოდა არა მისი შვილი დავითი, არამედ თვით გიორგის მომდევნო ძმა იულონი. ამავე დროს 1798 წლის ოქტომბერში რუსეთის იმპერატორ პავლესადმი გაგზავნილ წარდგინებაში გიორგი მას სთხოვდა, რომ ტახტის მემკვიდრედ ჩემი შვილი დავითი დამიმტკიცეო[3]. 1799 წლის 18 აპრილის ბრძანებით პავლემ, თანახმად 1783 წლის ტრაქტატისა, გიორგი მეფედ დაამტკიცა, ხოლო თანახმად თვით გიორგის თხოვნისა, მემკვიდრედ მას შვილი დავითი დაუმტკიცა[4].

როდესაც ტახტის მემკვიდრედ დავითის დამტკიცების ამბავი გიორგის ძმებმა შეიტყვეს, ისინი უფრო აქტიურ მოქმედებაზე გადავიდნენ გიორგისა და მისი შვილების წინააღმდეგ. მათთვის ნათელი გახდა, რომ ტახტის დაბრუნებას თუ შესძლებდნენ ისინი, მხოლოდ ძალით. ალექსანდრე ბატონიშვილმა, რომელსაც, როგორც უმცროსს, მცირე მამული ჰქონდა, გიორგისგან მოითხოვა, რომ მას საუფლისწულოდ მისცემოდა ყახახი. მიიღო რა უარი, იგი სპარსეთის მბრძანებელ ბაბა-ხანის შვილ აბასმირზასთან გაიქცა. მას უნდოდა სპარსეთის არმიის დახმარებით გამოეღაშქრა საკუთარი ძმისა და ქვეყნის წინააღმდეგ და ყიზილბაშთა ხიშტის წყალობით ტახტი დაებრუნებინა თავისთვის და თავის დანარჩენი

---

[1] Бутков, დასახ. შრომა, ნაწ. III, გვ. 307.

[2] ა. კაკვიძე, საქართველოს ისტორია, 1954 წ., გვ. 19.

[3] А. А. Цагарели, Грамоты, т. II, стр. 156.

[4] Бутков, ნაწ. III, გვ. 313.

ძმებისათვის მორიგეობით, როგორც ამას ერეკლეს მიერ დადგენილი მემკვიდრეობის ახალი წესი ითვალისწინებდა.

აქ დარჩენილ უფლისწულთა შორის პარტიკულიარიზმმა თავის უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ერთი იჩემებდა სურამსა და მის ახლო მდებარე ტერიტორიას (ფარნაოზი), მეორე მთელ ქართლს (იულონი), მესამე არაგვის ყოფილ საერისთავოს (ვახტანგი), მეოთხე გარე კახეთს (მირიანი).

თავის მხრივ კონტრზომების მიღებას ცდილობდა მეფე გიორგი XII. 1800 წლის 30 აპრილს მან დარეჯან დედოფალს (ერეკლეს მეუღლეს—თავის დედინაცვალს) ჩამოართვა მამულები და თავის ცოლს, დედოფალ მარიამს გადასცა. დარეჯანს კი თვეში 822 მანეთისა და 50 კაპ. „პენსია“ დაუნიშნა[1]. თვეში თვითეულისათვის 30 მანეთის გადახდით დაიჭირავა 1200 ლეკი და შეიყვანა ისინი თავის მცველ რაზმში. ამ რაზმის დახმარებით იგი ცდილობდა თავი დაეზღვია რაიმე მოულოდნელობისაგან ძმების მხრივ. დაძაბულობა უფლისწულებს შორის დღითი დღე მატულობდა და საქმე აშკარა შეიარაღებულ შეტაკებამდე მიდიოდა. 1800 წლის ივლისის ბოლო რიცხვებში ერეკლეს შვილები ვახტანგი, იულონი და ფარნაოზი 3000 კაცისაგან შემდგარი ჯარით თბილისს მოადგნენ. ისინი გიორგის მომხრეთა და რუსის ჯარის დახმარებით განდევნილი იქნენ ქალაქის მისადგომებიდან.

ისედაც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ქვეყანა უფლისწულების ხელში ომებისა და ტერორის ასპარეზად გადაიქცა. 1800 წ. 21 სექტემბერს თვითონ მეფე გიორგი XII გორის მოურავს ოთარ ამილახვარს წერდა: „იმ დღესაც მოგწერეთ და ახლაც გწერთ, თუ ან ჩვენი ბატონყმობა გინდა, ან ჩვენი ერთგული ხარ, ახლა გამოგიჩნდება, რომ არც ფარნაოზი შეუშვა გორში და არც ფარნაოზის კაცნი და არც არა დაანებო გორიდამა. თუ ან ფარნაოზი და ან ფარნაოზის კაცნი გორში შეგიშვია, ჩვენს ბატონყმობაზე და ჩვენს ერთგულებაზე ხელაღებული იქნებიო.—ფარნაოზის კაცებს ნურაფრით ნუ დაზოგამ. დასტური გაქვს—ჯოხით, კეტით, ქვით და იარაღით, თოფით, ხმლით, დამბაჩით, ნურაფრით ნუ დაზოგამ და ნურც შეუშვებ და თუ რომ დაიჭერ და დაჭერილს გამოგეგზავნი და ხელში ჩაიგდებ, ისა სჯობს“[2]. ასე გადავიდა თავისი ძმების წინააღმდეგ შეტევაზე ქვითა და თოფით მეფე. ტახტის მემკვიდრე მეფის შვილი დავითი კი იმავე წლის 12 დეკემბერს თავის ძმას თელავში წერდა: თუ მანდ შენი ბიძები (ე. ი. ერეკლეს შვილები. — მ. ა.) მოვიდნენ, თოფი ესროლე, როგორც ლეკებსო[3].

---

[1] Бутков, დასახ. შრომა, ნაწ. III, გვ. 319.

[2] ალ. ქაჯაია, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე). 1954 წ., გვ. 22. Акты, ტ. I, გვ. 153—154).

[3] „მოამბე“, 1900 წ. № 4, გვ. 13.

გასაგებია, რომ სამხედრო და ეკონომიური თვალსაზრისით ისედაც დასუსტებული ქვეყნის წინააღმდეგ, რომელსაც თან ერთვოდა შინა პოლიტიკური მდგომარეობის ასეთი უკიდურესი დაძაბვაც, არ შეიძლებოდა არ გაემხნევებინა ოდიდანვე საქართველოს ავი მეზობლები. მართლაცდა, ახალი ძალით ამოღოღდნენ სცენაზე ნადირ-შაჰების „შთამომავალნი“ და საქართველოსთვის კარგად ცნობილი ძველი ომარ-ხანებიც. ისინი ცდილობდნენ ქვეყნის შიგნით შექმნილი გართულებული პოლიტიკური მდგომარეობის თავიანთ სასარგებლოდ გამოყენებას.

1798 წლის სექტემბერში ახალციხის ფაშას წაქეზებით ლეკები აოხრებენ და ბუგავენ კახეთის სოფლებს. მათ ხელთ იგდეს და ახალციხეში ტყვედ წაიყვანეს თბილისის მოურავი თავადი ე. ციციანოვი[1], რომლის გამოხსნაშიაც მათ შემდეგ მოითხოვეს 3000 მანეთი[2]. ამავე წლის ოქტომბერში საქართველოს ჩამოაცილა და თვითონ შეიერთა ერთი მოსაზღვრე პროვინცია ერევნის ხანმა[3]. ხოლო იმავე წლის ივნისში აღა-მაჰმად-ხანის ძმისწული ბაბა-ხანი გიორგი XII უგზავნის ფირმანს და მოითხოვს, რომ იგი (ბაბა-ხანი) ალიარებულ იქნეს საქართველოს უმაღლეს მბრძანებლად. გიორგი იძულებულია ბაბა-ხანს ძღვნად გაუგზავნოს 6 ათასი მანეთი[4].

1799 წელს ბაბა-ხანი კვლავ მოითხოვს ქართლ-კახეთზე სპარსეთის უმაღლესი ხელისუფლების ალიარებას და წინადადებას აძლევს გიორგი XII, რომ მან მძევლად გაუგზავნოს პავლეს მიერ ტახტის მემკვიდრედ დამტკიცებული თავისი უფროსი შვილი, რუსეთის არმიის გენერალი დავითი[5]. იმავე წელს გიორგი XII რუსეთის იმპერატორს პავლეს გულდაწყვეტილი სწერს, რომ სპარსეთი გვავიწროებს და „...დღესაც იმათი ელჩი შინ გვიზის და შვილსა გვთხოვს... სანატრელს პაპას ჩვენს მეფეს თეიმურაზს ერთის შვილის მეტი არა ჰყვანდა (ე. ი. ერეკლე) და ქვეყნის ხსნისათვის მისცა იმათ (ნადირ-შაჰს), და მე ამდენის ჩემის შვილებიდამ რომ ერთი, ამდენის ჩემის ქვეყნის ხსნისათვის, მივსცე-რა იქნება, თუ თქვენი მოწყალება ადრე არ შეგვეწევა? მაგრამ, რომელიც ჩემი პირშო შვილი არის და თქვენს სამსახურსა შინა მყოფი ღენერალ-მაიორი (დავითი) იმას მთხოვენ, და ჩემის შვილობით რომ გამოვიმეტო და მივსცე, თქვენს სამსახურში მყოფის ღენერალ-მაიორის მიცემა როგორ ძალმიცს?“[6] გიორგიზე ზეგავლენის მოსახდენად, რათა ის ამგვარ დათმობაზე წასულხყო, ბაბა-ხანი საქართველოს საზღვრებისაკენ აგზავნის ჯარებს თავისი შვილის აბას-მირზას სარდლობით.

---

[1] Бутков, დასახ. შრომა, ნაწ. III, გვ. 310.
[2] Цагарели, Грамоты, II, стр. 160.
[3] Бутков, დასახ. შრომა, ნაწ. III, გვ. 316.
[4] იქვე, გვ. 309.
[5] იქვე, გვ. 317.
[6] А. А. Цагарели, Грамоты, т. II, стр. 186—187.

მალე დაღესტანში თავი კვლავ წამოყო ომარ-ხანმაც. 1800 წლის 30 ოქტომბერს მან გადმოლახა მდინარე ალაზანი და 20.000 არმიით კახეთში შემოიჭრა. ამ დროს მასთან იყო ტახტის მაძიებელი ალექსანდრე ბატონიშვილიც. თბილისში მყოფი რუსეთის ჯარის ორი ბატალიონი გენერლების ლაზარევის და გულიაკოვის სარდლობით სიღნაღში ჩავიდნენ, სადაც მათ გიორგი XII ჯარები შეუერთდნენ, რომელთაც მისი შვილი იოანე სარდლობდა. ომარ-ხანმა და ალექსანდრე ბატონიშვილმა მდინარე იორის მარცხენა ნაპირით დაიწყეს მოძრაობა თბილისის მიმართულებით. რუს-ქართველთა შეერთებულმა ძალებმა, სიღნაღი დატოვეს, გარე კახეთში სოფ. კაკაბეთის დასწვრივ, მდ. იორის ნაპირზე (ნიახურასთან), დაეწივნენ ომარ-ხანის ჯარებს და აიძულეს ის ბრძოლა მიეღო. ამ ბრძოლაში ომარ-ხანი სასტიკად განადგურდა. მან მოკლულთა და დაჭრილთა სახით რამდენიმე ათასი კაცი დაკარგა. ბრძოლაში დაიჭრა ალ. ბატონიშვილიც. გადარჩენილი ნაწილებით ომარ-ხანი დაღესტანში დაბრუნდა, სადაც მალე გარდაიცვალა კიდეც[1] ,ალ. ბატონიშვილი კი ყარაბახში გაიქცა იბრეიმ ხანთან.

იმავე ხანებში, როცა უცხო ძალებზე დაყრდნობით გიორგი XII გარედან უტევდა უმცროსი ძმა ალექსანდრე ბატონიშვილი, დანარჩენი ძმები მას უტევდნენ შიგნიდან. ცდილობდნენ სამეფოს ხარჯზე თავიანთი საუფლისწულო მამულების გაზრდას. ამ მხრივ ისინი ედავებოდნენ ერთმანეთსაც და ებრძოდნენ გიორგისაც ტახტისათვის.

ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის ასეთმა გართულებამ, როცა მისი ეკონომიკაც მოშლილი იყო და თავდაცვის პოტენციალიც დაცემული, მეფე გიორგი XII დაარწმუნა, რომ ქვეყანას დამოუკიდებლობის შენარჩუნება და გარეშე მტრისაგან თავდაცვა 1783 წლის მფარველობით ტრაქტატის პირობებში არ ძალუძდა. მკვლევარნი, რომელნიც ამ ტრაქტატის საფუძველზე ხშირად აკრიტიკებენ რუსეთის მეფეებს, რომ ისინი საქართველოს ტრაქტატით გათვალისწინებულ სამხედრო დახმარებას არ უწევდნენ, თვითონ არ უწევენ ანგარიშს იმას, რომ თვით ეს ტრაქტატი წმინდა სამხედრო თვალსაზრისით არა სრულყოფილი აღმოჩნდა და ვერ გაუძლო ცხოვრების პრაქტიკულ გამოცდილებას. ჩვენ აქ იმისი თქმა არ გვინდა, რომ რუსეთის მეფეები დიდ მოწადინებას იჩენდნენ ამ ტრაქტატის სამხედრო მუხლების შესრულებაში, პირიქით. ის გარემოება, რომ მათ ის ორი ბატალიონიც კი, რომელიც ტრაქტატის ძალით საქართველოში მუდმივად უნდა ყოფილიყო, 1787 წელს რუსეთში წაიყვანეს, იმას ნიშნავს, რომ ისინი თვითონ არღვევდნენ ტრაქტატის სამხედრო მუხლებს. ჩვენ აქ სხვა გარემოებას გვინდა მივაქციოთ ყურადღება: რუსეთის მეფეებს სურვილიც რომ გამოეჩინათ ტრაქტატით ნაკისრი სამხედრო ვალდებულების შესრულებაში, შეძ-

[1] Бутков, დასახ. შრომა, ნაწ. III, გვ. 326.

ლოთ თუ არა მათ მოეწყოთ საქართველოს (ქართლ-კახეთის სამეფოს) ეფექტური დაცვა გარეშე მტრისაგან? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა.

როგორც ცნობილია, ტრაქტატით საქართველოში მუდმივად უნდა ყოფილიყო ორი სრული ბატალიონი ოთხი ზარბაზნით, ომის შემთხვევაში კი რუსეთს უნდა გადმოესროლა აქ მსხვილი სამხედრო ძალები ქართლ-კახეთის სამეფოს დასაცავად. სწორედ ამ უკანასკნელ გარემოებაში არის იმდროინდელი პირობებისათვის სამხედრო თვალსაზრისით ამ ტრაქტატის აქილევსის ქუსლი.

როგორც ცნობილია, ჩვენში მაშინ ხშირ შემთხვევაში არ ხდებოდა ფრონტის აღება და პოზიციური ომები, რომ მცირე ძალებით, დიდი ძალების მოლოდინში, შესაძლებელი ყოფილიყო მტრის შეჩერება რაღაც გარკვეულ ზღუდეებზე და ქვეყნის სიღრმეში მისი არ შემოშვება. შეტაკება გრძელდებოდა საათობით და ხან დღეებით. გამარჯვებული რჩებოდა ის მხარე, რომელიც ამ შეტაკებაში მოიწვლილ მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას გაანადგურებდა და გზას გაიხსნიდა ქვეყნის ცენტრებისაკენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავდამცველ მხარეს ჯარები თავისი ქვეყნის საზღვრებში, ან ყოველ შემთხვევაში, მისგან არა დიდი მანძილით უნდა ჰყოლოდა თავმოყრილი, რომ სწრაფად გადაესროლა ისინი ბრძოლის ადგილზე.

შეეძლო რუსეთს ამის შესრულება ისეთ პირობებში, როცა: 1. უახლოესი პუნქტი ჯარების გადმოსროლისა—კავკასიის სამხედრო ხაზი, საქართველოდან ასეული კილომეტრებით იყო დაცილებული და ერთ თვემდე უნდოდა იქიდან თბილისში ჯარების გადმოყვანას[1]. 2. როცა კავკასიის სამხედრო ხაზსა და საქართველოს შორის გზები იკეტებოდა გვიან შემოდგომიდან გაზაფხულამდე. 3. როცა შეუძლებელი ხდებოდა ომის დაწყების (ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმის) დროის ზუსტი განსაზღვრა. ჩვენი აზრით, ასეთ პირობებში, რუსეთს არ შეეძლო ქართლ-კახეთის სამეფოს თავდაცვისათვის ეფექტური დახმარება გაეწია. 1783 წლის ხელშეკრულება სრულიად ვარგისი იყო იმ შემთხვევაში, რომ იგი შეტევითი ომებისათვის ყოფილიყო გამიზნული, რადგანაც შეტევის დაწყება შემტევ მხარეზეა დამოკიდებული, და ემორჩილება გეგმას, ჯარების რაოდენობის განსაზღვრას, მის წინასწარ გადმოყვანას, სურსათის, შეიარაღების, ტრანსპორტის მომზადებას და სხვ. 1783 წლის ხელშეკრულება კი საქართველოს სჭირდებოდა თავდაცვისათვის და ამდენად სამხედრო თვალსაზრისით იგი არსებით ნაკლს შეიცავდა.

ამ ნაკლის გამოსწორება იმით შეიძლებოდა, რომ რუსეთს აქ მუდმივად დაებანდებინა დიდი ძალები. მაგრამ, იზამდა ამას ცარისტული რუსეთი, დააბანდებდა იგი ამდენ სამხედრო ძალებს აქ, და გასწევდა იგი

[1] 1799 წლის 20 ოქტომბერს ეგერთა პოლკით მოხდოკიდან წამოსული გენერალი ლაზარევი თბილისში ჩამოვიდა 26 ნოემბერს, თვე და ექვსი დღის შემდეგ (იხ. Бутков, ნაწ. III, გვ. 316—317).

ამდენ ხარჯებს მარტოოდენ მფარველობითი ხელშეკრულების ბაზაზე? რა თქმა უნდა, არა. ცარისტული რუსეთის მიერ ასეთი მასშტაბით ძალების დაბანდება და ხარჯების უანგარო გაწევა, თუ მას აქ ამის შესაბამისი ეკვივალენტის მიღების შესაძლებლობა არ ექნებოდა—ზღაპარია. ვერავითარი კატეგორიული დრესირებით ცარიზმი ასეთი ჰუმანური ვერ გახდებოდა და არც არავის აქვს უფლება მისგან ამის მოთხოვნისა, რამდენადაც ასეთი რამე, ანტაგონისტური კლასების შემცველ ქვეყნებში საერთოდ არ ხდება.

რა უნდა ექნა ასეთ პირობებში გიორგი XII, როცა: 1. გარეშე მტრის მოსვლას ფრონტი არა ჰქონდა და არ იცოდა, თუ ქართლ-კახეთის სამეფოს როდის და სად დაარტყამდა ან სპარსი, ან ოსმალი, ან ლეკი. თვითონ გიორგის ქვეყნის ეს მძიმე მდგომარეობა კარგად ჰქონდა შეგნებული. 1798 წლის 11 ოქტომბერს იგი ბეზბოროდკოს წერდა: „თქვენმა უგანათლებულესობამ იცის, როგორის მეზობლებითა ვართ გარეშეცული, ან იმათ ჩვენზე რაოდენის ხარისხით მეტი აქუსთ ძალი. ერთს მეზობლად ის სპარსნი არიან, რომელთაც წარსულს წელიწადს ასე მოგვაოხრეს, რომ დღესაც ჩვენ და ჩვენს დაგლახავებულს ხალხს ერთმანეთი ვეღარ გვიპოვნია, მეორედ ოსმალნი, რომელთაც წარსულ თვეს ლეკის ჯარი აიყვანეს და მრავალს ტყვესთან ჩვენი დისწული თავადი ციციანოვი დაიჭირეს და დღესაც ახალციხეს ტყვეთ ჰყავთ. მესამედ ლეკნი“[1]. 2. როცა ქვეყნის შიგნით, ძმებს შორის ტეროროსი და შეიარაღებული შეტაკების დაწყებით გაიხსნა, მეორე, არანაკლებ საზღვრების არ მქონე და საშიში შინაგანი ბრძოლის ფრონტი. როცა ისინი, როგორც თვითონვე სწერდნენ, ლეკებივით არ ინდობდნენ ერთმანეთს, და როცა მათ ირგვლივ დაჯგუფდნენ ფეოდალური საზოგადოების მაშინდელი ზედაფენებიც. 3. როცა ქვეყანა განადგურებული იყო ეკონომიურად და დაცემული სამხედრო თვალსაზრისით, რაც გიორგის აიძულებდა 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული ჯარის (2 ბატალიონის) ზევით მოეთხოვა მუდმივად საქართველოში დასარჩენად კიდევ რამდენიმე ბატალიონი. ასე მაგალითად: 1799 წელს გიორგი XII წერს პავლეს: „გარნა, ყოველად უმოწყალესო ხელმწიფევ, ინებე კვალად უმეტეს მოწყალებით მოხედვა საფარველსა ქვეშე თქვენსა შემოვრდომილისა სამეფოსა ზედა ჩემსა და დაადგინე აქა ე ქ ვ ს ი ა თ ა ს ი მხედრობა თქვენისა დიდებულებისა მისაქცეველად და განსაჭარვებლად მტრისა ჩვენისა, ჩვენთა მავნებელთა ფიქრთა, იყოფებოდეს მარად ჩვენს შორის თვინიერ ყოველისა უკუნქცევისა“[2]. 1800 წლის 10 დეკემბერს კი, გიორგი XII მუსინ-პუშკინს უცხადებს, რომ რაც ახლა აქ თქვენი ჯარია, იმის ზევით კიდევ საჭირო არის 3000 კაცი[3].

[1] А. А. Цагарели, Грамоты, т. II, стр. 154.
[2] იქვე, გვ. 186.
[3] იქვე, გვ. 190.

რა თქმა უნდა, გიორგის არავითარი უფლება არა ჰქონდა ტრაქტატით გათვალისწინებული რაოდენობის ზევით მოეთხოვა კიდევ მუდმივად საქართველოში დასარჩენად თითქმის ორჯერ და სამჯერ მეტი ჯარი. ამავე დროს გიორგი, არ შეიძლებოდა დარწმუნებული ყოფილიყო იმაში, რომ მისი ეს თხოვნა უეჭველად შესრულებული იქნებოდა. გამოცდილება გიორგის ამის საფუძველს არ აძლევდა. ყველაფერი ეს კი იმაში არწმუნებდა გიორგი XII, რომ რადგან შექმნილ ვითარებაში დამოუკიდებლობის შენარჩუნება საქართველოს არ შეეძლო, მას ან უნდა ზურგი შეექცია რუსეთისათვის, რადგანაც 1783 წლის ტრაქტატი სამხედრო თვალსაზრისით მის მთავარ მუხლში ნაკლულოვანი აღმოჩნდა (მუდმივად საქართველოში არსებული ჯარის მცირე რაოდენობით განსაზღვრის გამო), ან უნდა მას საქართველოს ბედი თურქეთ-ირანის ხელში ჩაეგდო, სადაც მას დაღუპვა ელოდა. დაბოლოს, ან უნდა შეეცვალა 1783 წლის ტრაქტატი საქართველოთი რუსეთის ცარიზმის უფრო მეტად დაინტერესების მიმართულებით. იგი ამ უკანასკნელ გზას დაადგა, რომელიც შექმნილ მდგომარეობაში სხვა შესაძლებლობაზე უკეთესი იყო. ამით მან დაამტკიცა, რომ „ზაქიჰამიაში“ მომენტისათვის ალღოს სწორი აღების საკმაოდ დიდი უნარი იმალებოდა.

საკითხი ეხებოდა საქართველოთი რუსეთის ცარიზმის უფრო მეტად დაინტერესების საშუალებათა გამონახვას, რომლის დროსაც ცარიზმი დიდ ძალებს გადმოისროდა აქ საქართველოს დასაცავად. მაგრამ, არა ცარიზმის მფარველობაში მყოფ საქართველოს დასაცავად, არამედ ცარიზმის ქვეშევრდომობაში მყოფ საქართველოს დასაცავად. გიორგი XII ამ გზით წავიდა და რუსეთის ცარიზმს 1783 წლის მფარველობითი ხელშეკრულების ნაცვლად, 1800 წლის 17 ნოემბრის ქვეშევრდომობითი ხელშეკრულების თავისი პროექტი შესთავაზა.

იმ ტიპის მკვლევარებს, რომელთაც არ ძალუძთ ორ ბოროტებას შორის ნაკლები ბოროტების ამორჩევა, გიორგის ამ ნაბიჯში შეცდომებსაც „იპოვნიან“ და პირდაპირ ღალატსაც. ეს ისეთი მკვლევარები არიან, რომელნიც წვიმას გაურბიან და ქარაშხალში ექცევიან, გუბეს გაურბიან და ზღვაში იხრჩობიან, ნათქვამია, როცა კაცს თავს სჭრიან, მან ქოჩორზე არ უნდა იდარდოსო. საქართველოსათვის თავის მოსაჭრელად დიდი ხანია ქარქაშიდან ამოღებული იყო თურქული, სპარსული და ლეკური ხმალიც. მაგრამ, როცა ერთმანეთის წინააღმდეგ ხმალი თვითონ უფლისწულებმაც იშიშვლეს, ამით მათ დაჩქარეს ამ თურქულ-ლეკურ-სპარსული ხმლების საქართველოს კისერზე ახლა უკვე სასიკვდილოდ დაშვება. არიან მოვლენები, რომელნიც ითმენენ და გარკვეულ პერიოდში ჰყლაპავენ დროს. მაგრამ არიან ისეთნიც, რომელნიც ებრძინებიან დროში განსაზღვრულ მიჯნას.

ვაგლახი ისტორიული პირობების გამო მაჰმადიანური დარტყმებით დაკოდილი საქართველო ეჭვსი საუკუნე იდო სარეცელზე. ამ ხნის გან-

შავლობაში მისმა საზღვრებმა ყარსსა და ტრაპეზუნდიდან ბორჯომის მისადგომებამდე გადმოიწია, გიშის წყლიდან[1] დაახლოებით ახლანდელ ლაგოდეხის რაიონის სამხრეთ საზღვრამდე, მოსახლეობის მიხედვით 5 მილიონიდან ნახევარ მილიონამდე. ასევე გაიღია მისი ეკონომიური შესაძლებლობანი. მსოფლიო ისტორიაში ძნელია მოიძებნოს ისეთი მეორე ქვეყანა, რომელიც ნაციონალური განლევის ასეთ ხანგრძლივ აგონიაში ყოფილიყო. და აი, გიორგი XII დროს, ის უკანასკნელ მოკვნაზე აღმოჩნდა. ახლა მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში ისევ სწორი ორიენტაციის აღებას შეეძლო ეშველა მისთვის.

1798 წლის 10 მარტს დარეჯან დედოფალი რუსეთის იმპერატორ პავლეს სწერდა: „...მეფემან ჩვენმან, დღესა აღსასრულისასა თვისისახა განშმეორა მე ჩვეულებრივი ბრძანება თვისი რათა თავი ჩემი შეილებითურთ თვისით მარადის ვამყოფო უმაღლესსა საფარველსა ქვეშე"...[2] ე. ი. ერეკლემ მიანდერძა: დარჩით მარად რუსეთის ერთგულნიო. გიორგი XII ამ საკითხში არსებითად გააგრძელა ერეკლეს პოლიტიკა, და ყველა ქვაზიპატრიოტების წინააღმდეგ, რომელთაც არ ესმოდათ მომენტის წამლეკი საფრთხე, და არ უნდოდათ ნაწილის დაკარგვა, როცა მთელი იკარგებოდა, გაბედულად შესცვალა რუსეთთან 1783 წლის მფარველობითი ხელშეკრულება 1800 წ. 17 ნოემბრის ქვეშევრდომობითი ხელშეკრულებით (პროექტით). ეს უკვე ნიშნავდა საქართველოსათვის დამოუკიდებლობის მოსპობას, მაგრამ, როგორც ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რაც არ უნდა პარადოქსად მოგვეჩვენოს ჩვენ, იგი იყო ერთადერთი გზა, რომ არ მოსპობილიყო საქართველო და დამოუკიდებლობის დაკარგვის პირობებშიც შეენარჩუნებინა მას თავისი ნაციონალური თვითმყოფობა.

ზოგიერთი ჩვენი ისტორიკოსები სიზუსტეს არ იჩენენ, როცა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვას ხან რუსეთის იმპერატორ პავლეს 1801 წლის 18 იანვრის მანიფესტის აქტის შედეგად მიიჩნევენ (რომელიც თბილისში იმავე წლის 16—17 თებერვალს გამოცხადდა), ხან კი, როგორც ალექსანდრე პირველის 1801 წლის 12 სექტემბრის აქტის შედეგს. უდგებიან რა მხოლოდ ამ კუთხით საკითხს, ისინი ან დუმილით უვლიან გვერდს გიორგი XII მიერ თავის ელჩებისათვის 1799 წლის 7 სექტემბერს მიცემულ ინსტრუქციას და მის (გიორგის) 1800 წლის 17 ნოემბრის ნოტას რუსეთის მთავრობისადმი (ე. წ. „Просительные пункты"), ანდა არამართებულ შეფასებას აძლევენ მათ. სინამდვილეში, არსებითად, საქართველოს დამოუკიდებლობაზე გიორგი XII მიერ ნებაყოფლობითი ხელის აღება ამ დოკუმენტებშია ფიქსირებული. თუ რა გარემოებამ მიიყვანა გიორგი XII ამგვარი ნაბიჯის გადადგმამდე, და რა შინაგანი და გარეშე ფაქტორები მოქმედებდნენ მასზე, ამის შესახებ ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ.

[1] იხ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, 1919 წ., გვ. 11.
[2] А. Цагарели. Грамоты, т. II, стр. 149.

ეს დოკუმენტი (პეტერბურგში გასაგზავნ ელჩებისათვის გიორგის მიერ 1799 წლის 7 სექტემბერს მიცემული რწმუნება) იმდენად მნიშვნელოვანია ამ საკითხის გაგებისათვის, რომ ჩვენ იძულებული ვართ იგი მთლიანად მოვიყვანოთ:

„წელსა ჩღეთ, სეკდემბრის ზ. ჩვენ მიერ მოცემულნი წინაშე მათის იმპერატორების დიდებულების წასაყენებელნი აზრი-მოხსენებანი, რომელიცა ჩვენგან წარვლინებულთა ჩვენს ერთგულთ ყმათ უფალთ დებ-პანთ მოგეცათ:

უმსხვერპლეთ ყოველი სამეფო და სამფლობელოი ჩემი უზაკველითა და ქრისტიანებრითა ჰეშმარიტებითა მსხვერპლებითა, და დაუდევნ არა თუ მფარველობასა ქვეშე უდიდებულესსა დიდსა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტსა, არამედ დაანებეთ სრულსა ნებასა და მზრუნველობასა მათსა, რათა ამიერიდგან დაიდვას სამეფო ქართლოსიანთა საიმპერიოდ რუსეთისად წესითა მით ვითარცა სხვანი იგი რუსეთსა შინა ჰყრობილნი პროვინციანი სარგებლობენ.

შემდგომად მსხვერპლებისა ყოვლად უმდაბლესად წარუდგინეთ იმპერატორსა დიდსა რუსეთისასა, რათა ყამსა მისგან საქართველოსა სამეფოს სრულსა ძალასა და ნებასა შინა თვისსა მიღებისასა განამხნოს ჰუნკტსა ამას თხოვილი ჩემი ყოველად უმოწყალესითა ა ღ თ ქ მ ი თ ი თ ა წ ე რ ი ლ ი თ ა, ვითარმედ სახლსა შინა ჩემსა არა აღაყენოს მეფენი, გარნა ოდენ ამის მემკვიდრითი-მემკვიდრედ-ვითარცა წინაპარნი ჩემნი.

ეგრეთვე ითხოვეთ ყოვლად მოწყალისა კელმწიფისაგან ყოვლად უმდაბლესად თქვენ მიერ მირთმეულითა წერილითა ყოვლისა რუსეთისა იმპერიასა შინა საშესაბამო აგარაკნი ჩემთვის და ძეთა ჩემთათვის საბოლოოდ და სამკვიდროდ, რომლისაცა ბოძება იქმნების ჩემთვის უმწვერვალესისა შეკრულებისა ნიშნად.

მეფე საქართველოისა გიორგი.

ესრეთვე ითხოვეთ ჯამაგირისა შესაბამისა სახითა შემდგომად სრულყოფისა ზემორე მოხსენებულთა აზრთასა.

მეფე სრულიად საქართველოისი გიორგი

თავადი გარსევან ჭავჭავაძე"[1].

1800 წლის 17 ნოემბრის ნოტა („Просительные пункты") ძირითადად იმეორებდა 1779 წლის 7 სექტემბრის „ინსტრუქციის" დებულებებს, იმ განსხვავებით, რომ იგი ოფიციალურად შედგენილი და წარდგენილი იყო მეფის, დიდებულების, სამღვდელოებისა და ხალხის სახელით და წარმოადგენდა აღნიშნული „ინსტრუქციის" ზოგიერთი დებულების გაფართოებასა და დაზუსტებას. იქ ეწერა, რომ საქართველო სამუდამოდ შედის რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში, რომ იცნობენ რუსეთის

[1] А. Цагарели, Грамоты, ტ. II, გვ. 187—188.

იმპერატორს საკუთარ ხელმწიფედ და თვითმპყრობელად, დაემორჩილებიან ყველა მის კანონსა და ბრძანებას, რომელიც რუსეთის თანაბრად გავრცელდება ქართლ-კახეთის მოსახლეობის ყველა ფენაზე. გადასცემენ რუსეთის არმიის განკარგულებაში ყველა სიმაგრეებსა და ციხეებს, რუსეთის მთავრობას სამეფოს მთელ შემოსავალს. ერთი სიტყვით, ამიერიდან რუსეთი ხდებოდა ბატონ-პატრონად და პასუხისმგებლადაც ქართლ-კახეთის საგარეო და საშინაო მდგომარეობისათვის, მისი ფინანსების, მისი კანონმდებლობის, მისი მთელი შინაგანი წყობის, მისი ეკონომიკისათვის და ა. შ.[1]

ასეთ ვითარებაში, რა რჩებოდა ქართლ-კახეთის სამეფოების დამოუკიდებლებიდან, რომელიც შემდეგ 1801 წლის 18 იანვრის და 12 სექტემბრის მანიფესტებმა მოსპეს? იყო ვითომდა რაღაც წვრილმანები, როგორც მაგალითად ის, რომ მილიცია უნდა ყოფილიყო ეროვნული ტანსაცმელით, რომ ციხეების კომენდანტებად უნდა ყოფილიყვნენ ქართველები, რომ საქართველოში მოჭრილ ფულს უნდა ჰქონოდა რუსულ-ქართული წარწერა და ერთ მხარეზე რუსეთის იმპერატორის გვირგვინის გამოხატულება, მეორეზე კი—ქართული სამეფო ღერბის. ყველაზე მთავარი მაინც, რაც ამ „დამოუკიდებლობიდან“ რჩებოდა, ის იყო, რომ რჩებოდა ჯამაგირიანი მეფე, რომელსაც ქვეყანა რუსეთის ცარიზმის კანონებით უნდა ემართა და ამაში ხელფასიც რუსეთისავე სალაროდან მიეღო და მემკვიდრეობით გადაეცა ეს „მეფობა“ თავისი შვილებისათვის.

ერთი სიტყვით, არსებითად ეს „მეფეები“ ხდებოდნენ რუსეთის ქვეშევრდომობაში პროვინციის (როგორც ეს გიორგი XII 1779 წ. 7 სექტემბრის ინსტრუქციაშია) უფლებით შესული „ქართლ-კახეთის სამეფოს“ მუდმივი, მემკვიდრეობითი მმართველები. ამიტომ, ცხადია, რომ

„Раз самыя главныя права власти переходили к Россіи, то царская власть была бы уже формой без содержанія, своего рода скорлупой выеденного яица“[2].

ასეთი პირობებით შესცვალა გიორგი XII 1783 წლის ტრაქტატი. ეს პირობები, როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, წარდგენილი იყო ნებაყოფლობით თვით მეფის, დიდებულების, სამღვდელოების და ხალხის სახელით რუსეთის მთავრობისათვის გარსევან ჭავჭავაძის მიერ 1800 წლის 17 ნოემბერს. იგი. ყველა პუნქტებში მოიწონა იმპერატორმა პავლემ 19 ნოემბერს და 23 ნოემბერს გამოეგზავნა გიორგი XII საბოლოო რატიფიკაციისათვის. მაგრამ, არ დაუცადა რა ამ რატიფიკაციას თბილისში და შემდეგ პეტერბურგში მის უკან დაბრუნებას, პავლემ 1800 წლის 18

[1] Акты, ტ. I, გვ. 179—181. Авалов, Присоединение Грузии к Россіи, 1906 წ., გვ. 197.

[2] З. Авалов, Присоединение Грузии к Россіи, 1906, стр. 199.

დეკემბერს ხელი მოაწერა და 1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგში, ხოლო 16—17 თებერვალს თბილისში გამოაცხადეს მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებასა და გუბერნიის სახით რუსეთთან მისი შეერთების შესახებ.

ეს იყო რუსეთის ცარიზმის მხრივ არა მარტო მზაკვრობა, არამედ დიპლომატიური უტაქტობაც. ქვეყანა, იძულებული თავისი საშინაო და საგარეო მდგომარეობით, თვითონ ნებაყოფლობით მიდიოდა დამოუკიდებლობის ლიკვიდაციაზე, მხოლოდ სამეფო ტიტულის აჩრდილის შენარჩუნებით და ზოგიერთი იმ წვრილმანებით, რომელიც ზემოთ იყო აღნიშნული. ასეთ ვითარებაში, თვით რუსეთის ცარიზმისათვის არც რაიმე საშიშროებას შეიცავდა, და მისი ინტერესების არც რაიმე არსებით შელახვას საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის სამეფო ტიტულის აჩრდილის, თუნდაც დროებით შენარჩუნება. ან მილიციის ქართული ტანსაცმელი, ფულზე ქართული წარწერა და სხვა ასეთები. ამიტომ, რაიმე არსებითი გარემოებანი არც პავლეს და შემდეგ არც ალექსანდრე I არ აიძულებდათ მათ მანიფესტი იმ სახით გამოეცათ და გამოეცხადებინათ, როგორც ეს მათ მოიმოქმედეს. აქ, რა თქმა უნდა, საბუთად არ გამოდგება, რომ მეფობის მოსპობით მათ უნდოდათ ტახტის მაძიებელთა ერთი მხარე (ერეკლეს შვილები) დაემშვიდებინათ, როცა მათ მეფობის ფუტკარის მოსპობით ორივე მხარე (გიორგის შვილებიც) უკმაყოფილო გაიხადეს და დედოფალ მარიამის ხანჯალიც გენ. ლაზარევის მკერდში ჩაარჭვეს.

ერთი სიტყვით, 1801 წლის 18 იანვრის და 12 სექტემბრის მანიფესტიც გამოწვლინება იყო არა მარტო დიპლომატიური შეცდომის, არამედ ცარიზმის ადრეული, დიდმპყრობელური შოვინიზმისაც, და იმისაც, რომ მას არ სურდა ანგარიში გაეწია სხვა ხალხთა თავმოყვარეობისა და ნაციონალური თავისებურებებისათვის.

მაგრამ, ყველაფერმა ამან ჩვენ არ უნდა გადაგვაგდოს მეორე უკიდურესობაში 1801 წლის 18 იანვრის და 12 სექტემბრის მანიფესტების შეფასების დროს, როგორც ეს ზოგიერთ ისტორიკოსს ემართება. ისინი ამ მანიფესტებში ხედავენ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობას. ისე გამოყავთ საქმე, რომ თუ არა რუსეთი და თუ არა ეს მანიფესტები, ხალ-ქართველო დამოუკიდებლობას არ დაკარგავდაო. არიან ისეთი „ბრძენებიც“, რომელნიც, ერთი მხრივ, იმას ამტკიცებენ, რომ მე-18 საუკუნის მიწურულის საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება არ შეეძლო, და, მეორე მხრივ, იმასაც, რომ მას ეს დამოუკიდებლობა რუსეთმა ზემოაღნიშნული მანიფესტების შედეგად მოუსპოო.

ჩვენ უკვე ზემოთ ვნახეთ, რომ ქართლ-კახეთის სამეფო თავისი მძიმე სამხედრო და ეკონომიური მდგომარეობისა, მოსახლეობის რიცხვის კატასტროფიული შემცირებისა, განუწყვეტელი ომებისა და თავდასხმებისა, მაჰმადიანური ქვეყნების მხრივ შექმნილი ჩაყლაპვის საფრ-

თხისა და შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობის უაღრესად გართულების გამო, თვითონ იყო იძულებული ხელი აეღო დამოუკიდებლობაზე. 1801 წლის 18 იანვრის და 12 სექტემბრის მანიფესტებმა კი არ მოუსპო საქართველოს დამოუკიდებლობა, არამედ ობიექტურად შექმნილმა ისტორიულმა პირობებმა, თურქეთ-ირან-დაღესტნისაგან შექმნილმა განადგურების საფრთხემ და შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობის გართულებამ. ამ მანიფესტების ბრალი აქ იმაშია, რომ ეს მოვლენა (ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვა), რომელიც არც საერთოდ რუსეთს, და არც მის ამ მანიფესტებს არ შეუმზადებიათ, მათ ის უხეში ფორმებით გააფორმეს და დაამთავრეს.

ზ. ავალიშვილმა, რომელსაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაგებაში ბევრი ჩავარდნები და პოლიტიკური შეცდომები ჰქონდა, ზოგ რამეში ადვილად მიაგნო ჭეშმარიტებას. ეხება რა გიორგი XII მიერ პავლე I შეთავაზებულ პირობებს დამოუკიდებლობის ლიკვიდაციისა და რუსეთის ქვეშევრდომობაში ქართლ-კახეთის სამეფოს მუდმივად შეყვანის შესახებ, იგი წერს: „Очевидно, что если бы форма соединения Грузии с Россией, предложенная грузинскими уполномоченными и принятая предварительным соглашением русского и грузинского правительств, получила окончательную ратификацию и потверждение „в обоюдном императорском акте", как это обещано было императором, история увидела бы добровольное не только по существу, но и по форме присоединение Грузии к России, на началах, принятых обеими договоривающимися сторонами"[1].

მაგრამ, მიუხედავად რუსეთთან საქართველოს შეერთების ფორმის ამ უხეშობისა, ეს შეერთება მაინც ერთადერთი გზა იყო, რომელმაც დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობას მოკლებული საქართველო იხსნა გარდუვალი დაღუპვისაგან.

ამგვარად, როგორც მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საგარეო, საშინაო, სამხედრო და ეკონომიური მდგომარეობის ამ ზოგადი ანალიზიდან ჩანს, მას აღარ ძალუძდა დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ყოველივე ამის გამო ცხადია, რომ სრულიად უსაფუძვლო იყო ანტი-რუსული ორიენტაციის მომხრეების ძირითადი გამოსავალი დებულება, როცა ისინი თეორიულად უშვებდნენ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნების სინამდვილეში არ არსებულ და პრაქტიკულად გამორიცხულ შესაძლებლობას. ამგვარი „შესაძლებლობა" კი, რომელსაც ობიექტურ სინამდვილეში არა აქვს საყრდენი და არ გამომდინარეობს მისგან, არც არის შესაძლებლობა, რადგანაც დაშვებულია გონების მიერ ისე, რომ არ მოეპოვება შესაძლებლობის სუბსტრატი თვით სინამდვილეში, რომლის ასახვასაც იგი უნდა წარმოადგენდეს.

[1] З. Авалов, Присоединение Грузии к России, 1906, стр. 195.

ერთი სიტყვით, რეალურ საფუძველს მოკლებული ამგვარი „შესაძლებლობა“ არის მხოლოდ ანტი-რუსული ორიენტაციის მომხრეთა ფანტაზიის ნაწარმოები, რომელსაც არ ამტკიცებს და არ ამაგრებს მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ობიექტური მდგომარეობა, და იგი ამიტომ, მოხსნილი უნდა იქნეს სინამდვილისადმი მისი წინააღმდეგობის გამო.

როგორც სჩანს, ანტირუსული ორიენტაციის მომხრეები, თვითონვე გრძნობდნენ, რომ მათ მიერ დაშვებულ შესაძლებლობას მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს მდგომარეობიდან აღებული ფაქტები არ წყალობდნენ. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ეს დებულება მთელი მათი კონცეფციის ძირითადი საყრდენი იყო, მათ არ უცდიათ ფაქტებით და იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობის ანალიზით მისი დასაბუთება. ისინი მხოლოდ აპრიორულად აღიარებდნენ ამ შესაძლებლობის არსებობას, როგორც თავისთავად ცხადი ისეთი ჭეშმარიტებისას, რომელსაც, თითქოსდა, თავისი ამ სიცხადის გამო დამტკიცებაც არ სჭირდებოდა. აქ იყო სწორედ ანტი-რუსული ორიენტაციის მომხრეთა აქილევსის ქუსლი, ვინაიდან სწორედ მათი ამ გამოსავალი დებულების არარეალობა აძლევდა შემცდარ მიმართულებას მთელ მათ შემდგომ ხელოვნურ კონსტრუქციებსა და მსჯელობას.

არ ძალუძდათ რა ფაქტებით საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობის დამტკიცება, ანტი-რუსული ორიენტაციის მომხრეები შეგნებულად გაურბოდნენ თვით ამ საკითხის აშკარად და პატიოსნად დასმას. ისინი ცდილობდნენ მიკიბულ-მოკიბული გზით ეგრძნობინებიათ მკითხველისათვის, რომ რუსეთზე ორიენტაციის აღებამ საქართველო დამოუკიდებლობის დაკარგვამდე მიიყვანა. ამიტომ, იგი ამ დამოუკიდებლობას არ დაკარგავდა ამ ორიენტაციაზე რომ არ დამდგარიყოო.

საკითხის ამგვარად დაყენებით, მათ უნდოდათ ისეთ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ მკითხველი, რომ მას თვითონ დაესვა თავისთვის საკითხი: რადგან ეს ასე ყოფილა, მაშინ რა სჯობდა საქართველოსათვის, ის, რომ რუსული ორიენტაციის აღებით (1783 წ. ხელშეკრულება) მას 1801 წელს დამოუკიდებლობა დაეკარგა, თუ ის, რომ რუსული ორიენტაციის უკუგდებით მას დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინაო. ანტირუსული ორიენტაციის მომხრეთა აზრით, აქ მთავარი სწორედ ის იყო, რომ მკითხველი თვითონ მიეყვანათ საკითხის ამგვარად დაყენებამდე. რადგანაც, ცხადი იყო, რომ ამის შემდეგ მკითხველი უპირატესობას ანტი-რუსულ ორიენტაციას მისცემდა.

ეს კი რომ ისტორიულად მართლაც ასე ყოფილიყო, ე.ი. საქართველოს რომ დამოუკიდებლობის შენარჩუნება მართლაც შესძლებოდა, რა თქმა უნდა, მაშინ მკითხველიც სწორი იქნებოდა. მაგრამ, საქმეც იმაშია, რომ ისინი მკითხველს სწორედ ამ გამოსავალ დებულებაში ატ-

ყუებდნენ იმით, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნების შეუძლებლობას ისინი მას აპრიორულად შესაძლებლად აჩვენებდნენ. ამაში იყო მათი მეცნიერული სიყალბის მთელი საიდუმლოება.

ერთი სიტყვით, თუ ისტორიულად შექმნილი ობიექტური ვითარება მაშინ საქართველოს მბრძანებლობით ჰკარნახობდა, რომ დამოუკიდებლობის შენარჩუნების საკითხი შენთვის მოხსნილია, მისი შენარჩუნება შენ აღარ ძალგიძს, აირჩიე საით გინდა წახვლა: რუსეთისაკენ, თურქეთისაკენ თუ ირანისაკენო. ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრები, ეყრდნობოდნენ რა ფანტაზიაში ნაშობ და სინამდვილეში არ არსებულ დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობას, ისტორიული ვითარებით დაყენებულ ამ ალტერნატივას, არსებითად, ასეთი შემხვედრი კონტრწინადადებით ხვდებოდნენ: არა, უკაცრავად, ჩვენ დამოუკიდებლობის შენარჩუნება გვინდაო. ამგვარ მოთხოვნას, რა თქმა უნდა, მაშინ ექნებოდა ფასი, რომ ძალაში იყოს იდეალიზმის ცნობილი პრინციპი, გონება კარნახობდეს ობიექტურ სინამდვილეს კანონებს და იგი ადამიანის სურვილისა და მოთხოვნის მიხედვით მიმდინარეობდეს და იცვლებოდეს.

ასეთია ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრების მეცნიერული „სიღრმე" და თეორიული აზრ-დიდება. როგორც ვხედავთ, მათ არც ფაქტები წყალობდათ და არც საღი დასკვნები თავიანთი ძირითადი გამოსავალი დებულების მტკიცების დროს.

რატომ იყო ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრებისათვის ძირითადი გამოსავალი დებულება მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნების ფიქტიურობის ფაქტიურ შესაძლებლობად მოჩვენება? იმიტომ, რომ ასეთი პოზიციის დაკავება მათ საშუალებას აძლევდათ შენიღბულიყვნენ ცრუპატრიოტიზმის ხალბუტველით და მკითხველისათვის ეგრძნობინებინათ, რომ თუ ჩვენ რუსული ორიენტაციის წინააღმდეგნი ვართ, ეს იმიტომ, რომ ამ ორიენტაციამ ჯერ შეუზღუდა საქართველოს სუვერენიტეტი (1783 წლის ხელშეკრულება) და შემდეგ კი, ხელი შეუწყო, რომ მას დამოუკიდებლობა დაეკარგა და 1801 წლიდან რუსეთის გუბერნიად გადაქცეულიყო. ჩვენი აზრით კი სჯობდა, რომ საქართველოს ეს ორიენტაცია არ აეღო და შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობაო.

მეცნიერულად ეს თვალსაზრისი სრულიად უსუსურია, იმიტომ რომ იგი აპრიორულად ეყრდნობოდა გამოსავალი დებულების (საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა შეეძლო) დაუმტკიცებლობას. როგორც მშენებლობაში არ შეიძლება საძირკვლის გარეშე რაიმე შენობის აგება, ისე მეცნიერებაში არ შეიძლება გამოსავალი დებულების დამტკიცების გარეშე მასზე სხვადასხვა ვარაუდების დაშენება, როგორც ამას ისინი ამ შემთხვევაში უშვებდნენ.

ეს თვალსაზრისი ამავე დროს ცილისწამებლურიც იყო, რადგანაც

მას საქმე ისე გამოჰყავდა, თითქოს რუსული ორიენტაციის მომხრენი წინააღმდეგი ყოფილიყვნენ ძველ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა. სხვაც არა იყოს რა, ერეკლესათვის, რომელსაც ხელის გული ხმლის ტარზე შემოაცვდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლებში, ბრალის დადება ანტიპატრიოტიზმში და იმაში, რომ მან საქართველოს დამოუკიდებლობა თითქოს და თავისი გულუბრყვილო პოლიტიკის შედეგად მოუსპო, არათუ რაღაც წარმოუდგენელი გაუგებრობა იყო, არამედ კიდევ რაღაც მეტი.

სხვა მიზეზი, რომლის გამოც ანტირუსული ორიენტაციის მომხრეები იძულებული იყვნენ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნების სინამდვილეში არ არსებული შესაძლებლობა აპრიორული დაშვებით შესაძლებლად მოეჩვენებინათ, ის იყო, რომ ისინი ამით ნიღბავდნენ თავიანთ თურქულ-ირანულ ორიენტაციას. მართლაცდა, სუბიექტურად მათ სწამდათ თუ არ სწამდათ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ეს ერთი იყო, რომ ისინი იძულებული იყვნენ ეს ასე მოეჩვენებინათ, ეს კი—მეორე.

რომ ეს, მართლაც ასე იყო, ამ გარემოებას ჩვენ ახლავე დავინახავთ. დაუშვათ, მათ შეეგნოთ, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს მისი მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობის და კატასტროფულად დაცემული ეკონომიური და სამხედრო პოტენციალის გამო არ შეეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ მაშინ საქართველოს ან ძალით დაიპყრობდა რომელიმე ძლიერი სახელმწიფო: რუსეთი, თურქეთი, ირანი, ანდა იგი, ამ დაპყრობამდე ნებაყოფლობით თვითონ უნდა შეერთებოდა რომელიმე მათგანს. თუ ამ სამი დიდი ჭვეყნიდან რომელი მათგანი მოასწრებდა საქართველოს დაპყრობას, ეს, რა თქმა უნდა, თვით საქართველოზე არ იყო დამოკიდებული. საქართველოზე დამოკიდებული იყო მხოლოდ ის, რომ ამ დაპყრობამდე, რომელიმე მათგანს ნებაყოფლობით შეერთებოდა. მაგრამ რომელს? აი კითხვა, რომლისათვისაც მათ პასუხი უნდა გაეცათ. რადგან ისინი რუსული ორიენტაციის წინააღმდეგი იყვნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ მათი შეხედულებით საქართველო არ უნდა შეერთებოდა რუსეთს. მაშ რომელს? გასაგებია, რომ ორი დანარჩენიდან ერთ-ერთს, ე. ი. ან თურქეთს, ან ირანს. ასეთი იყო ანტირუსული ორიენტაციის მიმდევართა თურქულ-ირანული ფინში, თუ ისინი არ დაადგებოდნენ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნების სინამდვილეში არ არსებულ და მხოლოდ მათ ფანტაზიით შექმნილ გზას.

ამგვარად, ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრებს რუსული ორიენტაციის უარყოფის „დასაბუთების" ცდის დროს შეიძლება მხოლოდ ორი შემცდარი გზა ჰქონოდათ. რუსული ორიენტაციის უკუგდება მათ ან იმით უნდა „დაესაბუთებინათ", რომ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება შეეძლო, ამიტომ არ სჭირდებოდა მას არც რუსეთისა

და არც რომელიმე სხვა ქვეყნების მფარველობია ძიება, მათზე ორიენტაციის აღება. ანდა, თუ ისინი, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნების ამ მათ მიერვე გამოგონებულ „შესაძლებლობას“ უარყოფდნენ, მაშინ მათ რუსული ორიენტაციის უკუჯდება იმით უნდა „დაესაბუთებინათ“, რომ საქართველოს ერჩივნა რუსეთის მაგიერ ორიენტაცია აეღო ან თურქეთზე, ან ირანზეო.

ანტირუსული ორიენტაციის მომხრეთა შორის იყვნენ ისეთნიც, რომელნიც ფიქრობდნენ, რომ საქართველოს შეეძლო მესამე გზა გაემოენახა. ეს მესამე გზა თითქოს ის იყო, რომ მას შეეძლო ინგლისის ან საფრანგეთის მფარველობაში შესულიყო და მათ კოლონიად გამხდარიყო. მაგრამ, ჯერ ერთი, რით იქნებოდა უკეთესი საფრანგეთის ან ინგლისის კოლონიად გადაქცევა? ის, ვინც საქართველოს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიიდან ამ შეხედულებას რეგვენუნად ელოლიავებოდა, როგორც სჩანს მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ ინგლის-საფრანგეთის კოლონიალური პოლიტიკის მთელ ვერაგობასა და გამაპარტახებელ ხასიათზე.

დასავლეთზე ორიენტაციის აღების ამ დამღუპველ შეხედულებას რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში სასტიკად ებრძოდა ქართველი ინტელიგენციის ყველაზე მოწინავე ნაწილი. ასე, მაგალითად, 60-იან წლებში ნიკო ნიკოლაძე წერდა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ რაკი საქართველო თავის სვე-ბედს თუნდაც თანამედროვე რუსეთს დაუკავშირებს, იგი უფრო მალე მიაღწევს თავისი მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფარველად ეყოლება (აღარაფერს ვამბობთ მფლობელობაზე) ევროპის რომელიმე ერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ოსმალეთსა და სპარსეთზე, რომლებთანაც კავშირს საქართველოში არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი მოწადინებული არ არისო“[1].

ცნობილია, რომ დასავლეთზე ორიენტაციის პოლიტიკას ატარებდა ნ. ჟორდანიაც, რომელმაც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ დაჰყვიროდა: დასავლეთის იმპერიალისტებთან შეკრა კავშირი და რენეგატულად გაჰყვიროდა: დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო. მაგრამ ისიც ცნობილია, თუ მოკლე ხანში (1919—1920 წწ.) როგორ მოახერხეს ინგლისელებმა 26 მილიონი ფუთი მარგანეცის გატანა საქართველოდან და რამდენი სისხლი და ცრემლი დაღვარა ქართველმა ხალხმა მათი პარაშის პერიოდში. ასეთ პირობებში, მხოლოდ დიმიტრი ჭიაბროვის მსგავს მოღალატეს შეეძლო „ენუგეშებინა“ ინგლისური „დეენტლემენობით“ ქართველი ხალხი. 1919 წ. დ. ჭიაბროვი წერდა:

---

[1] ანა ნიკოლაძე, რუსი რევოლუციონერი დემოკრატები და ქართული ლიტერატურა, 1954 წ., გვ. 276.

„Но раз уж милость, так милость. Положимся на милость англичан, которые изобрели слово „джентльмен", т. е. человек, уважающий и свою и чужую честь. Положимся на их симпатии к нам и на данное ими слово, которое, конечно, они сумеют сдержать"[1].

მაღე ინგლისელების „დეენტლმენობა" საქართველოს მიმართ იმაში გამოიხატა, რომ მენშევიკური მთავრობის მეთაურებს ფეხებს უწყობდნენ მაგიდაზე, ხოლო „სიმპატია" კი იმაშია, რომ ტყვიით გახვრიტეს არა მარტო ალიოშა ჯაფარიძე, არამედ სხვა მრავალი ქართველი პატრიოტებიც. გასაგებია, თუ რას იზამდნენ ისინი, მათ რომ მე-18 საუკუნის დამლევს ხელში ჩავარდნოდათ საქართველო თავისი ნახევარი მილიონი მცხოვრებით, თუკი ისეთი დიდი და ისეთი ძლიერი ძველი კულტურის და ნაციონალური ტრადიციის მქონე ქვეყანა, როგორც ინდოეთია, ინგლისმა ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ მას განთავისუფლების შემდეგაც 15—20 წელიწადი სჭირდება, რომ თავისი ნაციონალური ენა სახელმწიფო ენად აღადგინოს.

მეორეც, ინგლისის ან საფრანგეთის კოლონიად საქართველო ვერ გადაიქცეოდა, რადგან ამ სახელმწიფოებს ამიერკავკასიაში ფეხის მოსაკიდი ადგილი არ ჰქონდათ. უფრო მთავარი კი ის არის, რომ მათ აქ არ დაუშვებდნენ მეტოქე სახელმწიფოები, არც რუსეთი და არც თურქეთ-ირანი. მართალია, ინგლისსა და საფრანგეთს არ აწყობდათ რუსეთის დამკვიდრება ამიერკავკასიაში, მაგრამ, როდესაც თვითონ მათ იმ დროს რეალურად არ შეეძლოთ მისი ოკუპირება, ისინი ცდილობდნენ თურქეთისა და ირანის დახმარებით განედევნათ რუსები კავკასიასა და კერძოდ საქართველოდან[2]. ასე რომ, იმ დროს ინგლისსა და საფრანგეთს საქართველოში დასამკვიდრებლად არც რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ, და რომ ჰქონოდათ იგი კიდეც, ეს გზა საქართველოსათვის უარესობის გარდა არავითარ უპირატესობას არ შეიცავდა, და ამიტომ, ეს ვარიანტი, როგორც უარესიც და როგორც შეუძლებელიც, გამორიცხული უნდა იქნეს.

ამგვარად, ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრებს რჩებოდათ ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული ორი შემცდარი გზა რუსული ორიენტაციის უარსაყოფად. გავარკვიოთ ისინი შედეგების მიხედვით. ავიღოთ პირველი გზა—საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნების თეორიაში (და არა სინამდვილეში, პრაქტიკაში) დაშვებული შესაძლებლობა.

ვთქვათ, საქართველოს მაშინდელ მესვეურებსაც ზოგიერთ ისტორიკოსთა მსგავსად ყალბად ეფიქრათ, რომ საქართველოსთვის დამოუკიდებ-

---

[1] Димитрий Чиабров, Грузия и Россия, 1919 г., стр. 58.

[2] იხ. ე. ბურჯულაძე, საქართველოს დაყოფისა და დამონების ინგლისელ-თურქ დამპყრობთა გეგმების ჩაშლა, 1953 წ., გვ. 18—27.

ლობის შენარჩუნების შესაძლებლობა სინამდვილეში გამორიცხული არ იყო. რა მოხდებოდა მაშინ? რა თქმა უნდა, სინამდვილის საწინააღმდეგო მათი ასეთი ყალბი ფიქრი ობიექტურ მოვლენათა მსვლელობას ვერ შესცვლიდა. იგი ვერც საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის საჭირო საშინაო და საგარეო ვითარებას შექმნიდა და ვერც სამხედრო და ეკონომიურ პოტენციალს გაზრდიდა.

ეს კი იმიტომ მოხდებოდა, რომ აზრი არ კარნახობს ობიექტურ სინამდვილეს კანონებს და იგი ვინმეს სურვილის და ჯიუტობის მიხედვით არ იცვლება. ამიტომ მოხდებოდა ის, რომ მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესების უიმედო და უტოპიურ მოლოდინში, სამიდან (თურქეთი, რუსეთი ,ირანი) ერთ-ერთი ძალით დაიპყრობდა მას. გასაგებია, თუ რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა საქართველო, თუ მას თურქეთი ან ირანი დაიპყრობდა. თუკი მას ცარიზმი დაიპყრობდა ბრძოლის ველზე, მას, რა თქმა უნდა, ის გზა სჯობდა, რომლითაც იგი რუსეთს შეუერთდა. ასეთი იქნებოდა სინამდვილეში ამ პირველი გზის შედეგები.

როგორი იქნებოდა მეორე გზის შედეგები? ამ მეორე გზით საქართველო „ნებაყოფლობით“ უნდა გადაქცეულიყო ან თურქეთის საფაშოდ, ან ირანის სახანოდ. ორივე შემთხვევაში, მას ძალით დაიპყრობდა თუ „ნებით“ შეიერთებდა ირანი ან თურქეთი (უფრო კი ეს უკანასკნელი), იგი მივიდოდა გაჭრობამდე.

ასეთი იქნებოდა ეპილოგი მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და მდიდარი კულტურის მჭონე ქვეყნისა. იგი ერთხელ და სამუდამოდ ამოვარდებოდა ისტორიის არენიდან და მსოფლიოს გეოგრაფიული რუკიდან. როგორც ეს დაემართათ ერთ დროს ისტორიაში ისეთ ცნობილ ქვეყნებს, როგორიც იყო ასირია, ფინიკია, ეგვიპტე და ათეულობით სხვა ქვეყნები. ცხადია, რომ ისტორიის არენიდან გამქრალი საქართველო, შემდეგ ვეღარც ბარათაშვილსა და ჭავჭავაძეს და ვერც მსოფლიო მასშტაბის გოლიათს მისცემდა ქართულსა და მსოფლიო კულტურას. ამის უდავო საბუთია თურქეთის ხელში მოქცეული ქართული რაიონების ხვედრი და იმ სხვა ხალხების ბედი, რომელნიც წინათ თურქეთის დაპყრობამდე მცირე აზიაში ცხოვრობდნენ, და რომელნიც ამ დაპყრობის შემდეგ გადაგვარდნენ და დაიკარგნენ, როგორც ნაციონალური ერთეულები.

ეი, საით ურჩევდნენ მე-18 საუკუნის საქართველოს წვასლას „პატრიოტიზმის“ ჭურჭში გახვეული ზოგიერთი ისტორიკოსები, როცა ისინი დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობას მოკლებულ საქართველოს, რუსული ორიენტაციის გზით წასვლასაც შეცდომად უთვლიდნენ. ძნელი გასაგები არ არის, რომ საქართველოს მაშინდელ მესვეურებსაც, რომ მთისავით ეფიქრათ და დამოუკიდებლობის შესაძლებლობას მოკლებული საქართველო, რუსული ორიენტაციის უარყოფით, თურქეთისა და ირანის გასაგლეჯად დაეტოვებინათ, მაშინ ისინი ჩაი-

დენდნენ ყველაზე მძიმე ნაციონალურ ღალატს, რადგანაც გამოვიდოდნენ საქართველოს გაქრობისა და გადაშენების ხელშემწყობთა როლში.

ერთი სიტყვით, საგარეო პოლიტიკაში ასეთი ხაზის აღებით, ისინი უარეს მოუტანდნენ საქართველოს, ვიდრე მას ეს მოუტანა თემურ-ლენგმა, შაჰ-აბასმა, აღა-მაჰმად-ხანმა და საქართველოს ყველა ამწიოკებელმა ერთად. უდავოდ, ქართველი ხალხის ბედნიერებად (და არა უბედურებად, როგორც ამის დამტკიცებას ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრები ლამობდნენ) უნდა იქნეს მიჩნეული ის ფაქტი, რომ ამ ისტორიულ მოსახვევზე, როცა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, მას სათავეში ედგნენ ისეთი ადამიანები (კერძოდ ერეკლე II), რომელნიც უკეთესად ერკვეოდნენ მაშინდელ საქართველოსათვის შექმნილ კრიტიკულ საგარეო და საშინაო მდგომარეობის რეალურ ვითარებაში, ვიდრე შემდეგ, პროფესორობის ჩინით აღჭურვილი და არქივში გაწაფული მათი უარმყოფელი დიპლომიანი მეცნიერები.

ამგვარად, ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრები, მიუხედავად იმისა, მათ ეს უნდოდათ თუ არა, და მათ ეს შეგნებული ჰქონდათ თუ არა, არსებითად თურქულ-ირანულ ორიენტაციასა და ამით ნაციონალური ღალატის გზაზე დგებოდნენ. საქმეს, რა თქმა უნდა, ვერ შველოდა ის, რომ ისინი სტარტს იღებდნენ თითქოს და პატრიოტული ელფერით და ძველი საქართველოსათვის უკეთესობის მდომელთა სახით. ნამდვილად, როცა ისინი, დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობას მოკლებულ საქართველოს, რუსული ორიენტაციით წასვლასაც უკრძალავდნენ, ამით მას მოსპობისა და გადაშენების თურქულ-ირანულ უფსკრულში აგდებდნენ. ამიტომ, ფინიშში მიდიოდნენ როგორც მისი მტრები და ნაციონალური ღალატის მჭადაგებლები. ასეთი იყო მათი „პატრიოტიზმისა“ და „გულშემატკივრობის“ მედალის მეორე და ნამდვილი მხარე.

ანტირუსული ორიენტაციის მომხრეები არათუ ჯეროვნად არ აფასებდნენ ერეკლეს პოლიტიკურსა და დიპლომატიურ ნიჭს, რომელმაც რთულ საერთაშორისო და საშინაო ვითარებაში, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების ყველა რესურსები ამოწურვამდე იყო მისული, სწორად განსაზღვრა საქართველოს ხსნის ერთადერთი შესაძლებელი გზა რუსეთზე ორიენტაციის აღებით, არამედ ისინი მზად იყვნენ სრულიად დაუსაბუთებლად მისთვის ბრალიც კი დაედოთ ნაციონალურ ღალატში და გამოეცხადებინათ იგი მე-18 საუკუნის საქართველოს „კვისლინგად“. ამგვარ პოზიციამდე, ერთი მხრივ, მათ აქანებდათ მათი კლასობრივი მდგომარეობა და, მეორე მხრივ კი, მეთოდოლოგიურად ყალბი თეორიული წანამძღვრები, რომელნიც თავის მხრივ საწყისს „ერთიანი ნაკადის“ თეორიიდან იღებდნენ.

„ერთიანი ნაკადის“ თეორია და რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხი

„ერთიანი ნაკადის“, ანუ ანტაგონისტური კლასების მშვიდობიანი თანამშრომლობის თეორიას მისი სხვადასხვა ვარიაციებით და სახელწოდებებით, ორნახევარი ათეული საუკუნის ისტორია აქვს. სოციოლოგიის ისტორიამ არ იცის სხვა ისეთი თეორია, რომელსაც ასე დიდხანს „ეცოცხლოს“ და ამ ხნის მანძილზე ყოველთვის ასეთი ქმედითი უარყოფითი ხასიათი ჰქონოდეს, როგორც ეს ამ თეორიას აქვს.

იგი შეიქმნა ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში, ყბადაღებულ რომაელ სენატორ მენენიუს აგრიპას მოძღვრებით. გამოიარა ყველა ისტორიული ჭარიშხალი და თავის სრულ აყვავებას მიაღწია თანამედროვე ოპორტუნისტული პარტიების, კერძოდ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატთა ლიდერების მოძღვრებაში. მისი ასეთი გამძლეობა იმით აიხსნება, რომ იგი, ერთი მხრივ, ებჯინება პოლიტიკის ძირითად საკითხებს, ექსპლოატატორული და ექსპლოატირებული კლასების ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს, და, მეორე მხრივ კი, ნაციონალურ საკითხს. ძველ ქართულ პუბლიცისტიკაში ეს თეორია დამკვიდრდა „საერთო ნიადაგის“ და „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორიის სახელდებით.

ამ თეორიის ძირითადი აღფა და ომეგა იმაში მდგომარეობს, რომ, მისი მტკიცებით, ერთი და იგივე ნაციის მდიდრებსა და ღარიბებს, ექსპლოატატორებსა და ექსპლოატირებულთ შორის არ არის ინტერესთა არავითარი წინააღმდეგობა, არავითარი სხვაობა. რომ მათ, როგორც ერთი და იგივე ხალხის სხვადასხვა ნაწილთ, ერთნაირად ვნებთ ან ერთნაირად რგებთ ყველაფერი, რის გამოც რაც კარგია ერთისათვის, ის კარგია მეორისათვის, და პირიქით, რაც ცუდია ერთისათვის, იგი ისევე ცუდია მეორისათვის. საკითხის ამგვარად დაყენების გამო, ეს თეორია საშუალებას აძლევდა ყველა დროისა და ფორმაციის და ყველა ქვეყნის გაბატონებულ ექსპლოატატორულ კლასებს, რომ მათ საკუთარი ინტერესები ხალხის ინტერესების სახელით გამოეტანათ. ნამდვილად კი ისინი, ხალხის ინტერესებისა, სამშობლოსა და „პატრიოტიზმის“ ნიღაბში თავიანთ საკუთარ კლასობრივ ინტერესებს ახვევდნენ.

მარქსი, ეხება რა ლუი ნაპოლეონის დროის საფრანგეთის გაბატონებული კლასების და მათი ინტერესების დამცველი არმიის ამგვარ დემაგოგიურ ტაქტიკას, წერს: „ბრწყინვალე მუნდირი მათი საარღუმო ტანსაცმელი იყო, ომი—მათი პოეზია, ფანტაზიაში გაფართოებული და დამრ-

გვალებული პარცელა—სამშობლო, ხოლო პატრიოტიზმი — საკუთრების გრძნობის იდეალური ფორმა"[1]. ამავე დროს, დემაგოგიური მიზნით, ეს კლასები და მათი იდეოლოგები არა მარტო რყვნიდნენ პატრიოტიზმის ცნებას და საკუთარი, კლასობრივი ინტერესების „წვენით" აკეთებდნენ „სამშობლოს სიყვარულს", არამედ მკვდრეთით აღადგენდნენ ძველ დროსა და ძველ გმირებს, რათა გამოეყენებინათ ისინი ახალი დროის თავიანთი საკუთარი ინტერესების განაღდებისა და მშობიარობისათვის. „კამილ დემულენი, დანტონი, რობესპიერი, სენ-ჟიუსტი, ნაპოლეონი—ძველი საფრანგეთის რევოლუციის როგორც გმირები, ისე პარტიები და მასები—რომაულ ტანსაცმელში და რომაული ფრაზებით ანბორციელებდნენ თავიანთი დროის ამოცანას—ბორკილებისაგან განთავისუფლებას და თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების შექმნას... მაგრამ ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის შექმნისთანავე გაჰქრნენ წარღვნის წინადროინდელი გოლიათები და მათთან ერთად მკვდრეთით აღმდგარი რომაელები—ბრუტუსები, გრაკხები, პუბლიკოლები, ტრიბუნები, სენატორები და თვით კეისარიც"[2].

ასეთია ამ თეორიის დემაგოგიური ხასიათი. იგი მოჭედობს წარსულისა და აწმყოს სახელით, „სამშობლოს სიყვარულით". ჩქმალავს კლასობრივ წინააღმდეგობას, კლასობრივ ბრძოლას, ექსპლოატაციას, და გაბატონებული კლასების საკუთარი კლასობრივი ინტერესები საგარეო და საშინაო პოლიტიკაში გამოაქვს ხალხის, ერის და „პატრიოტიზმის" სახელით. ნამდვილად კი, მარქსიზმის მიხედვით, მას შემდეგ რაც ესა თუ ის ხალხი ანტაგონისტურ კლასებად დაიყო, მათ საერთო ჰარმონიულ ინტერესებზე ლაპარაკი არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკაში აღარ შეიძლება იქამდე, ვიდრე ეს ექსპლოატატორული კლასები არ მოისპობა და ახალი, სოციალისტური ერი არ წარმოიქმნება.

ამიტომ, მარქსიზმი ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში გამორიცხავს ლაყბობას „ერის საერთო ინტერესებზე" როგორც ერთნაირად კარგზე ან ერთნაირად ცუდზე ერის ანტაგონისტური კლასებისათვის. ჯერ კიდევ მარქსი დასცინოდა ბონაპარტეს, და წერდა, რომ „ბონაპარტეს სურს ყველა კლასის პატრიარქალურ კეთილისმყოფლად დასახოს თავისი თავი. მაგრამ მას არ შეუძლია ერთს მისცეს ისე, რომ მეორეს არ წაართვასო"[3]. ლენინი კი სწერდა, რომ „მარქსიზმი „ინტერესებზე" მსჯელობს კლასობრივ წინააღმდეგობათა და კლასობრივი ბრძოლის საფუძველზე, რომლებიც თავს იჩენენ ყოველდღიური ცხოვრების მილიონობით ფაქტებით. წვრილი ბურჟუაზია ოცნებობს და ლაყბობს წინააღმდეგობათა მოდუნებაზე, ამასთან აყენებს „საბუთებს", რომ მათი

---

[1] კ. მარქსი, თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, 1954 წ., გვ. 143—144.
[2] იქვე, გვ. 10—11.
[3] იქვე, გვ. 147.

გამწვავება „მავნე შედეგებს“ იწვევს“[1]. ამით აიხსნება, რომ როგორც ლენინი სხვა ადგილზე წერს, „ობივატელისათვის მნიშვნელობა აქვს, სად დგანან ჯარები, ვინ იმარჯვებს ამჟამად. მარქსისტისათვის კი მნიშვნელობა აქვს, რის გულისათვის სწარმოებს ეს ომი“[2].

ვისაც არ ესმის ერთი და იგივე ერის ანტაგონისტური კლასების ინტერესთა წინააღმდეგობის ეს რადიკალური დაპირისპირება, მას, რა თქმა უნდა, არც ის შეუძლია გაიგოს, თუ რუსეთ-იაპონიის და შემდეგ პირველ მსოფლიო ომში რატომ წამოაყენეს ბოლშევიკებმა „პორაყენცობის“ ლოზუნგი, საგარეო ომში „საკუთარი მთავრობის“ დამარცხების ლოზუნგი და რაში იყო მისი ისტორიული მნიშვნელობა.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ „ერთიანი ნაკადის“ თეორია დიამეტრალურად ეწინააღმდეგება მარქსიზმს და წარმოადგენს წმინდა წყლის ოპორტუნიზმს, ვინაიდან „ოპორტუნიზმში მთავარია კლასების თანამშრომლობის იდეა“[3]. ამავე დროს, არც იმის გაგებაა ძნელი, თუ რა კავშირი აქვს „ერთიანი ნაკადის“ თეორიას ნაციონალიზმსა და სოციალ-შოვინიზმთან. ვინაიდან, როგორც ლენინი წერდა: „...სწორედ ოპორტუნისტული მიმდინარეობა გახდა სოციალ-შოვინიზმის მთავარი დასაყრდენი“[4].

რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხის გაშუქებისას, როგორც ცნობილია, ცარიზმის მოსაყდრე რუსი ისტორიკოსები მიდიოდნენ ველიკორუსულ ნაციონალიზმამდე, ხოლო ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი ვარდებოდა ადგილობრივ ნაციონალიზმში. გასაგებია, რომ ასეთ თვალსაზრისზე მდგომ ისტორიკოსებს არ ძალუძდათ მეცნიერულად გაეგოთ და ობიექტურად გადმოეცათ ამ ურთიერთობის ხასიათი. ამაში მათ ხელს უშლიდათ ნაციონალიზმი, რომელიც მეთოდოლოგიურად ეყრდნობოდა „ერთიანი ნაკადის“ თეორიას. ამიტომ, ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, დაგვეშვა თემის ვიწრო ფარგლებიდან გასვლა, სპეციალურად შევჩერებულიყავით „ერთიანი ნაკადის“ ამ თეორიის გარჩევაზე, ცალკე თავი მიგვეძღვნა მისთვის და გვეჩვენებინა მთელი მისი რეაქციულ-შავრაზმული ხასიათი. ეს მით უფრო საჭიროდ დავინახეთ, რომ არა მარტო რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხში დაშვებული შეცდომების, არამედ საერთოდ ისტორიული მეცნიერების ფრონტზე დაშვებული ბევრი სხვა შეცდომებისა და ჩავარდნის სათავეც მეთოდოლოგიურად სწორედ „ერთიანი ნაკადის“ ყბად აღებული თეორიიდან იღებს საწყისს. ამ თეორიას, როგორც ი. სტალინი წერდა, „ცრუ რწმენის ხასიათი“ ჰქონდა მიღებული. იგი

---

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 267.
[2] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 29.
[3] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 286.
[4] იქვე, გვ. 377.

ერმად იყო გამჯდარი ინტელიგენციის ერთ ნაწილში, რომელთაც ადვილად ვერ დააღწიეს მას თავი, და რომელთაგან ზოგიერთს იგი დღემდეც დაჰყვება საკუთარი აჩრდილივით.

როგორც აღნიშნული იყო, იგი ყველა ქვეყნისა და ყველა ფორმაციების ექსპლოატატორულ კლასებს უწევდა სამსახურს და აძლევდა შესაძლებლობას, რომ მათ თავიანთი ინტერესები გამოეტანათ ერის სახელით და „ცრუ პატრიოტიზმის“ ლოზუნგებით, რათა ამგვარი დემაგოგიით დაჯერებული ადამიანები ჩაებათ თავიანთ ვიწრო ეგოისტურ-კლასობრივ ინტერესების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ამ საერთო კანონზომიერებიდან გამონაკლისი, არც ჩვენში შეიძლებოდა მომხდარიყო. ამიტომ, თუ საქართველოს ფეოდალური და ბურჟუაზიული კლასებიც, გამომდინარე თავიანთი საკუთარი კლასობრივი ინტერესებიდან, ცდილობდნენ ანტირუსული ორიენტაციისათვის მიეცათ „პატრიოტიზმის“ სახელი, და საკუთარი ინტერესები მოენათლათ ეროვნულ ინტერესებად, აქ საერთოდ გასაკვირველი არაფერი არ არის.

უბედურება აქ მხოლოდ იმაშია, რომ ეს უბრალო ჭეშმარიტება არ ესმოდა ბევრ იმ მკვლევარს, რომელნიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე მუშაობდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ისინი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებს ისე „არკვევდნენ“, რომ კრინტსაც არ ძრავდნენ ამ საკითხისადმი კლასობრივი მიდგომის პრინციპზე, და ამიტომ ორივე ფეხებით დგებოდნენ ზემოაღნიშნულ „ერთიანი ნაკადის“ ბურჟუაზიულ თეორიაზე და მასზე აგებულ „ცრუ პატრიოტიზმის“ თვალსაზრისზე.

ყოველივე ამის შედეგად, მათ ეგონათ, რომ ამ ურთიერთობაში ერთი მხრიდან, ერთი და იგივე ინტერესებით გამოდიოდა მთლიანად რუსეთი, რუსი ხალხი, და მეორე მხრიდან კი ასევე, საქართველო, ქართველი ხალხი. მათ არ ესმოდათ, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი, როგორც ორივე მხარისათვის ერთდროულად ნაციონალური და საგარეო ურთიერთობის საკითხიც, ისევე არ იდგა კლასობრიობის გარეშე, როგორც არ შეიძლებოდა მის გარეშე მდგარიყო მათი ქვეყნების საშინაო პოლიტიკის საკითხები. მათ არ ესმოდათ, რომ ნაციონალური საკითხიც და საგარეო პოლიტიკაც ძირითადად ისაზღვრება საშინაო პოლიტიკის ხასიათით. და რომ ამ მხრივ, როგორც ამას მართებულად შენიშნავს პროფ. ნ. ბერძენიშვილი, არ შეიძლებოდა რაიმე გამონაკლისი ყოფილიყო საქართველოსათვის[1].

ერთი სიტყვით, საგარეო პოლიტიკის საკითხები ისევე არ შეიძლებოდა ე რ თ ნ ა ი რ ა დ მისაღები ან უარსაყოფი ყოფილიყო ამა თუ იმ ქვეყნის ანტაგონისტური კლასებისათვის, როგორც არ შეიძლება ე რ თ-

[1] შრომები, 1, 1955 წ., გვ. 155, 179.

ნაირად მისადები ან უარსაყოფი ყოფილიყო მათთვის მათი ქვეყნების საშინაო პოლიტიკა. რადგან ეს ასეა, გასაგებია, რომ არც რუსეთის მხრიდან შეიძლებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისადმი ერთნაირი დამოკიდებულება ჰქონოდათ რუსეთის საზოგადოების ყველა კლასებს და არც საქართველოს მხრიდან.

მაგრამ, იმის გამო, რომ ამ მკვლევარებს ეს საკითხი ასე არ ესმოდათ და იდგნენ „ერთიანი ნაკადის“ თეორიის თვალსაზრისზე, მათ ამ ურთიერთობაში რუსეთის მხრიდან შერჩათ მხოლოდ ცარიზმი და დაეკარგათ რუსი ხალხი. მათ არ ესმოდათ, რომ ტამბოველ ყმა გლეხსა და პეტერბურგელ მუშას არ შეიძლებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისათვის იმავე თვალსაზრისით შეეხედათ, როგორც მას ცარიზმი და მისი სატრაპები უყურებდნენ.

შეიძლება თქვან, რუსეთის მხრიდან პოლიტიკას ამ ურთიერთობაში ქმნიდნენ ცარიზმი და მისი სატრაპები, და აქ, ტამბოველ გლეხს და პეტერბურგელ მუშას უშუალოდ არავინ არაფერს ეკითხებოდაო. ეს მართალია, მაგრამ ჯერ ერთი, ეს გარემოება მაინც არ იძლევა იმის უფლებას, რომ ჩვენ ცარიზმის პოლიტიკა ამ საკითხში მთელი რუსი ხალხის პოლიტიკად გამოვაცხადოთ. და მეორეც, არ შეიძლება იმის თქმაც, რომ სხვა ხალხებთან დამოკიდებულებაში ცარიზმის პოლიტიკაზე არავითარ გავლენას არ ახდენდა რუსეთის გლეხობა და შემდეგ კი განსაკუთრებით რუსეთის მუშათა კლასი.

აქ ხომ ლაპარაკი არ არის იმაზე, თუ ვის ეკუთვნოდა წარმმართველი როლი ამ პოლიტიკაში. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ გარდა ცარიზმის პოლიტიკისა იყო თუ არა სხვაგვარი პოლიტიკაც, სხვაგვარი მიდგომაც ამ საკითხში. და რადგან „სასახლეებში სხვანაირად აზროვნებენ, ვიდრე ჭოხებში“ და ასეთი სხვაგვარი პოლიტიკაც იყო, მაშინ რატომ უნდა მოვნათლოთ ცარიზმის პოლიტიკა მთელი რუსი ხალხის პოლიტიკად. განა სინამდვილესთან უფრო ახლო არ ვიქნებით, თუ ჩვენ აქ დავინახავთ ორ პოლიტიკას, ორ რუსეთს, და ერთმანეთისაგან განვასხვავებთ ცარიზმისა და რუსი ხალხის პოლიტიკას?

ნეკრასოვი რუს გლეხზე წერდა: „სამშობლო ქვეყანავ! დამისახელე ერთი კუთხე, რომ შენი მხვნელი და მთესველი გლეხი არ ჰკვნესოდესო?“ განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუსის ეს გლეხი, რომელიც თვითონ იდრიცებოდა და იჭყლიტებოდა ბატონყმობის უღელქვეშ (ხოლო ასეთი გლეხები რუსეთის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ), იმავე პოლიტიკისა იყო მოცემულ საკითხში, როგორისაც რომანოვების დინასტია და რუსი ფეოდალები? რა თქმა უნდა, არა. ჯერ კიდევ გერცენი აკრიტიკებდა ცარიზმის კოლონიალურ და ნაციონალურ პოლიტიკას და წერდა, რომ ამაში ბრალი არ მიუძღვის რუს ხალხს და ამიტომ, „ყველა ისინი, რომელთაც არ ძალუძთ გამოყონ რუსეთის მთავრობა რუსი ხალხისაგან, მათ არაფერი არ გაეგებათო“.

მით უფრო არ შეიძლება ეს ითქვას რუსეთის რევოლუციურ მუშათა კლასზე. ამ კლასმა თავისი წარმოქმნიდანვე ბრძოლა გაუმართა ცარიზმის შოვინისტურ პოლიტიკას. ხოლო, უფრო შემდეგ, როდესაც რუსეთის ეს პროლეტარიატი დადგა სოციალისტური თეორიის გზაზე, მან უფრო მეტად გააძლიერა ბრძოლა ცარიზმის კოლონიალური და ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ. მისი პოლიტიკა ამ საკითხში რადიკალურად დაუპირისპირდა რუსი ბურჟუაზიის პოლიტიკას.

„პანსლავიზმი,—წერდა ლენინი,—რომლის საშუალებითაც მეფის დიპლომატიას უკვე არა ერთხელ ჩაუდენია თავისი გრანდიოზული პოლიტიკური ყალთაბანდობა, კადეტების ოფიციალური იდეოლოგია გახდა. რუსეთის ლიბერალიზმი ნაციონალ-ლიბერალიზმად გადაგვარდა. იგი „პატრიოტიზმში“ ეჯიბრება შავ რაზმს“[1]. რუსი ბურჟუაზიის ეს პანსლავიზმი და „პატრიოტიზმის“ ქურქში გახვეული შოვინიზმი სრულიად უცხო იყო რუსეთის მუშათა კლასისათვის. „რუსეთში,—წერდა შემდეგ ლენინი,—ერთადერთი კლასი, რომელსაც შოვინიზმის სენი ვერ გადასდებს, პროლეტარიატია. ...საერთოდ და მთლიანად რუსეთის მუშათა კლასი ხელშეუვალი აღმოჩნდა შოვინიზმის მხრივ“[2].

რუსეთის ამ მუშათა კლასს კარგად ესმოდა, რომ „არ შეიძლება სოციალისტური იყოს ის პროლეტარიატი, რომელიც ურიგდება „თავისი“ ერის სულ მცირედ ძალადობას სხვა ერების მიმართ“[3]. **პირიქით, მან** იცოდა, რომ თვით რუსი ხალხის ინტერესები, რუსეთის ეკონომიური აყვავებისა და განვითარების ინტერესები, „...მოითხოვს ქვეყნის განთავისუფლებას სხვა ხალხების მიმართ ველიკორუსების ძალადობისაგან“[4].

ლენინი წერდა, რომ რუსეთის ცარიზმმა, მემამულეებმა და ბურჟუაზიამ თავიანთი კლასობრივი ინტერესებისათვის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ხაზით ბევრი ისეთი რამ მოიმოქმედეს, რომელიც შემარცხვენელი იყო ველიკორუსული ეროვნული ღირსებისათვის. საშინაო პოლიტიკაში ეს იყო „...დიდი რბევა-აწიოკება, სახრჩობელათა რიგები, საწამებელი ადგილები, დიდი შიმშილობანი და დიდი მლიქვნელობა ხუცესების, მეფეების, მემამულეების და კაპიტალისტების წინაშე“[5]. საგარეო პოლიტიკაში ველიკორუსული ეროვნული ღირსების **შემარცხვენელი** მოქმედება მჟღავნდებოდა იმაში, ამბობს ლენინი, რომ „...მემამულე-თავადაზნაურებს გლეხები საომრად მიჰყავდათ, რათა ჩაეხშოთ უნგრეთის, პოლონეთის, სპარსეთის, ჩინეთის თავისუფლება,... იმავე მემამულეებს,—ამბობს შემდეგ ლენინი,—კაპიტალისტების დახმარებით, ჩვენ მივყავართ საომრად, რათა ჩაახშონ პოლონეთი და უკრაინა, რათა დათრ-

---

[1] ვ. ლენინი. თხზ., ტ. 21, გვ. 386.
[2] იქვე, გვ. 387.
[3] იქვე, გვ. 385.
[4] იქვე, გვ. 114.
[5] იქვე, გვ. 112.

კუნონ დემოკრატიული მოძრაობა სპარსეთსა და ჩინეთში, რათა გააძლიერონ ჩვენი ველიკორუსული ეროვნული ღირსების შემარცხვენელი რომანოვების, ბობრინსკების, პურიშკევიჩების ხროვა"[1].

მაგრამ, ძველი რუსეთი მარტო რომანოვების, ბობრინსკების და პურიშკევიჩების როდი იყო. და, რუსეთშიც მარტო სახრჩობელებით, რბევა-აწიოკებით, უცხო და საკუთარი ხალხის ჩაგვრით გამოწვეული ველიკორუსული ეროვნული გრძნობის შემარცხვენელი მოვლენები და ფაქტები როდი იყო. რუსეთში იყო ბევრი ისეთი მოვლენები და ფაქტებიც, რომელიც ველიკორუსული ეროვნული გრძნობის სიამაყეს წარმოადგენდა, იქმნებოდა რუსი ხალხის მიერ და ეკუთვნოდა მას და მის მოწინავე ადამიანებს.

ამიტომ „...ჩვენთვის ყველაზე მეტად გულსატკენია,—წერდა ლენინი,—ვხედავდეთ და ვგრძნობდეთ, თუ რა ძალადობას, ჩაგვრასა და აბუჩად აგდებას განიცდის ჩვენი მშვენიერი სამშობლო მეფის ჯალათების, თავადაზნაურობისა და კაპიტალისტების მხრივ". მაგრამ, ამავე დროს, ამბობს ლენინი „ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ეს ძალადობა წინააღმდეგობას ხვდებოდა ჩვენი წრიდან, ველიკორუსების წრიდან, რომ ამ წრეშ წარმოშვა რადიშჩევი, დეკაბრისტები, 70-იანი წლების რევოლუციონერი-რაზნოჩინელები, რომ ველიკორუსმა მუშათა კლასმა 1905 წელს შექმნა მასების ძლიერი რევოლუციური პარტია, რომ ამავე დროს ველიკორუსმა გლეხმა დაიწყო დემოკრატად გადაქცევა, დაიწყო ხუცესისა და მემამულის დამხობა... ჩვენ აღსავსენი ვართ ეროვნული სიამაყის გრძნობით, რადგან ველიკორუსმა ერმა ა გ რ ე თ ვ ე შექმნა რევოლუციური კლასი, მ ა ნ ა ც დაამტკიცა, რომ მას უნარი შესწევს მისცეს კაცობრიობას თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის დიადი ნიმუშები"[2].

„და ჩვენ,—ამბობს შემდეგ ლენინი,—ველიკორუსი მუშები, აღსავსენი ვართ ეროვნული სიამაყის გრძნობით, ჩვენ გვსურს რადაც უნდა დაგვიჯდეს თავისუფალი და დამოუკიდებელი, თავისთავადი, თვითმყოფი, რესპუბლიკური, ამაყი ველიკორუსეთი, რომელიც თავის ურთიერთობას მეზობლებთან აგებს თანასწორობის ადამიანურ პრინციპზე და არა პრივილეგიების პატონყმურ, დიდი ერის დამამცირებელ პრინციპზე"[3].

ყოველივე ამის შემდეგ, განა უაზრობა არ არის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში იმის ვერ დანახვა, რომ ამ საკითხში რუსეთის მოსახლეობის სხვადასხვა კლასებს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ, და თუ გაარჩევ ერთს, უნდა გაარჩიო მაშინ მეორეც. თუ დანახავ იქ ველიკორუსული ეროვნული ღირსების შემარცხვენელ მოვლე-

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 112.
[2] იქვე, გვ. 111—112.
[3] იქვე, გვ. 113.

ნებს, რასაც ცარიზმი, მემამულეები და კაპიტალისტები ქმნიდნენ, უნდა დაინახო მაშინ ისიც, რაც ველიკორუსული ეროვნული ღირსების სიამაყეს წარმოადგენდა, და რასაც რუსი ხალხი და მისი მოწინავე ადამიანები ჰქმნიდნენ. თუ დაინახავ იქ რუს მემამულეს და რუს კაპიტალისტს, უნდა დაინახო მაშინ რუსი გლეხიც და რუსი პროლეტარიც. თუ დაინახავ იქ შენი ნაციონალური და კლასობრივი თავისუფლების მტერს— ცარიზმის, რუსი მემამულეების და კაპიტალისტების სახით, მაშინ უნდა დაინახო იქ შენი ნაციონალური და კლასობრივი თავისუფლებისათვის მებრძოლი რუსი პროლეტარიატიც.

მართლაცდა, გასაცარი თვალები ჰქონდათ ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრებს, რომელნიც ძველ რუსეთში მხოლოდ მტრებს ხედავდნენ და ამ მტრებზე უფრო ძლიერ მეგობრებს კი ვერა. განა ეს არ ამტკიცებს იმას, რომ მიუხედავად მათ მიერ ამ საკითხისადმი მიდგომაში კლასობრიობის უარყოფისა, ობიექტურად ისინი მაინც კლასობრივ თვალსაზრისზე იდგნენ. ვინაიდან ცარიზმის, რუსი მემამულეების და რუსი ბურჟუაზიის დასამხობად აღმდგარ რუს მუშათა კლასში ისინი თავიანთ მეგობარს ვერ ხედავდნენ, სწორედ იმიტომ, რომ ქართველ მუშათა კლასთან ერთად ამ რუსი მუშათა კლასის ბრძოლას ქართველი ბურჟუაზიის და მემამულეების დამხობაც მოსდევდა და მოჰყვა კიდეც თან.

მართლაცდა, რუსი და ქართველი მუშათა კლასი და მისი ბელადები ხომ საჯაროო აცხადებდნენ, და არამც თუ აცხადებდნენ, პრაქტიკულადაც იბრძოდნენ ცარიზმის მიერ არა რუსი ხალხების ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ და მისი ლიკვიდაციისათვის. განა ლენინი არ იყო, რომ წერდა: „არც ერთი პრივილეგია არც ერთი ერისათვის, არც ერთი ენისათვის! არავითარი შევიწროება, არავითარი უსამართლობა ეროვნული უმცირესობის მიმართ"[1]. მაშ, თუ ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრებს თავიანთი ბურჟუაზიისა და მემამულეებისათვის არ უნდოდათ რუსეთისაგან ნაციონალური „განთავისუფლების" მოპოვება საქართველოში კლასობრივი ჩაგვრის მთელი კორპუსის ხელშეუხებლად დატოვებით, მაშინ ისინი რატომ არ უკავშირდებოდნენ და რატომ ორიენტაციას არ იღებდნენ რუს და ქართველ მუშათა კლასზე, რომელთა ბრძოლასაც ერთდროულად მოჰქონდა ნაციონალური და კლასობრივი განთავისუფლება?—არ იცოდნენ?—სცდებოდნენ? თუ სცდებოდნენ, მაშინ ანტირუსული ორიენტაცია უნდა იყოს გამოცხადებული შემცდარად და დამღუპველად და არა რუსული, როგორც ამის დამტკიცებას ისინი ცდილობდნენ.

მაგრამ, აქ საქმე შეცდომაში კი არ არის, არამედ იმაში, რომ სეპარატისტული მახინაციებით შექმნილ „დამოუკიდებელ საქართველოში"

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 88.

მათ უნდოდათ ევროპის იმპერიალიზმის ეგიდით შეენარჩუნებინათ ქართველი ბურჟუაზიისა და მემამულეების ბატონობა ქართველი ხალხის ინტერესების საზიანოდ. განა ვისმე შეეძლო ამის საწინააღმდეგოს დამტკიცება? განა ვისმე შეეძლო იმის დამტკიცება, რომ ევროპის იმპერიალიზმის ეგიდით შექმნილ „დამოუკიდებელ საქართველოში“ დაემხობოდა ბურჟუაზიისა და მემამულეების ბატონობა და შეიქმნებოდა მუშებისა და გლეხების ხელისუფლება? ასე შეეძლოთ ეფიქრათ მხოლოდ ისეთ ყეყეჩებს, რომელნიც დაუწყებდნენ ლოდინს, რომ ევროპის იმპერიალიზმი რატომღაც აქ გაილაშქრებდა მემამულეებისა და ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ და მუშებსა და გლეხებს „დაეხმარებოდა“ ხელისუფლების აღებაში.

ყოველივე ამის შემდეგ, განა ცხადი არ არის, რომ ანტირუსული ორიენტაცია, მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესთა ნაყური და სოციალისტური რევოლუციისათვის ზურგის შექცევა იყო. ვინაიდან მაშინ რუსეთისაგან მოწყვეტილად და რუსეთისაგან დამოუკიდებლად ეს რევოლუცია წარმოუდგენელი იყო ჩვენში. ამიტომ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ზოგიერთი გზააბნეული „მკვლევარის“ ლოლიაობა ანტირუსული ორიენტაციისადმი, ეს იყო სინანული იმის გამო, რაც მოხდა, და არქივის მტვერში შეზელილი ნიანგის ცრემლებით წუხილი იმაზე, რაც არ მოხდა.

საიდან მოდიოდა თეორიულად ამგვარი ხასიათის შეცდომები? ამ შეცდომების ძიძა ისევ ის წყეული „ერთიანი ნაკადის“ ბურჟუაზიული თეორია იყო. ეს თეორია მოსვენებას არ აძლევდა ზოგიერთ დაბალი „მარქს“ მკვლევართ და იყო „პურად გამხდარი მათი მეცნიერული არსობისა“.

ლენინი წერდა: „...ისტორია გვიჩვენებს ბრძოლას ხალხთა და საზოგადოებათა შორის, ავრეთვე მათ შიგნით, გარდა ამისა კიდევ რევოლუციისა და რეაქციის, მშვიდობისა და ომების, შეჩერებისა და სწრაფი პროგრესის თუ დაცემულობის პერიოდების ცვლას. მარქსიზმმა მოგვცა სახელმძღვანელო ძაფი, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ კანონზომიერება ამ მოჩვენებითს ლაბირინტსა და ჭაოსში; ესაა: კლასობრივი ბრძოლის თეორია“[1].

„ერთიანი ნაკადის“ თეორია, ე. ი. კლასთა თანამშრომლობის თეორია უარყოფდა და უარყოფს სწორედ კლასობრივი ბრძოლის ამ თეორიას. ამით მისი მომხრეები თვითვე ისპობდნენ საშუალებას გამოსულიყვნენ სოციალურ მოვლენათა ამ მოჩვენებითი ლაბირინტიდან და კლასობრივი ბრძოლის თეორიის საშუალებით ეპოვნათ მისი გასაღები.

როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ (გვ. 92), ლენინი წერდა, რომ ველიკორუსული ეროვნული ღირსების სიამაყეს სწორედ ის შეადგენს, რომ

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 53.

რუსი ხალხი, მისი ყველაზე საუკეთესო შვილები, მონურად ქედს არ იხრიდნენ ცარიზმის, რუსი მემამულეების და კაპიტალისტების კლასობრივი ჩაგვრის და ძალადობის წინააღმდეგ. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ,— ამბობდა ლენინი,—ეს ძალადობა წინააღმდეგობას ხვდებოდა ჩვენი წრიდან, ველიკორუსების წრიდან, რომ ამ წრემ წარმოშვა რადიშჩევი, დეკაბრისტები, 70-იანი წლების რევოლუციონერი რაზნოჩინელები, შექმნა რევოლუციური პარტია, რევოლუციური კლასი, დაიწყო ხუცების და მემამულის დამხობა და ა. შ.

თუ გამოვალთ ლენინის ამ დებულებიდან და, მისი ჰეშმარიტი ხასიათის გამო, უნდა კიდეც გამოვიდეთ იქიდან, მაშინ გასაგებია, რომ ჩვენი, ქართული ეროვნული ღირსების სიმაყეც მკვლევარს უნდა მიეჩნია ქართველი გლეხობისა და ქართველი მუშების ბრძოლა მთითვე მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ვინაიდან სწორედ ამ ბრძოლას მიჰყავდა ისტორია წინ, სწორედ იგი იყო სოციალური წინსვლის ბერკეტი, სწორედ იგი არ აძლევდა ისტორიულად ჩვენს ცხოვრებას გაქვავების, ხავსის მოკიდების და „ადამ და ევას დროინდელ“ საფეხურზე გაყინვის შესაძლებლობას. ეს ბრძოლა ამავე დროს მაჩვენებელი იყო ქართველი ხალხის რევოლუციური აღმზნებისა, რაც ლენინის მიხედვით საერთოდ ერის ეროვნული ღირსების ძირითად საუნჯეს შეადგენს.

1914 წელს ლენინი იხსენებდა რა ჩერნიშევსკის ცნობილ სიტყვებს: „საცოდავი ერი, მონების ერი, თავიდან ბოლომდე ყველა მონაა“—წერდა: „აშკარა და ფარულ მონა-ველიკორუსებს (მონებს მეფის მონარქიის მომართ) არ უყვართ ამ სიტყვების გახსენება. ჩვენი აზრით კი, ეს იყო სიტყვები სამშობლოს ნამდვილი სიყვარულისა, ისეთი სიყვარულისა, რომელიც კაეშანს შეუპყრია, რომ ველიკორუსი მოსახლეობის მასებში რევოლუციურობა არ არის. მაშინ ეს რევოლუციურობა არ იყო. ახლა იგი ცოტაა, მაგრამ უკვე არის“[1].

„ერთიანი ნაკადის“ თეორიის მიმდევრები ლაპარაკობდნენ ჩვენში არა კლასობრივ ბრძოლასა და ქართველი მემამულის და კაპიტალისტის ძალადობისათვის წინააღმდეგობის გაწევაზე ქართველი გლეხისა და მუშის მხრივ, არამედ გულმოდგინედ ჩქმალავდნენ მას. ისინი მიჰყვებოდნენ ჯერ კიდევ ალექსანდრე ორბელიანის მიერ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გადმოცემულ მტკიცებას ბატონყმობის „მამაშვილური ხასიათზე ჩვენში“ და არსებითად ავრცელებდნენ მას მთელ ისტორიულ პერიოდზე. მათ უხერხულად მიაჩნდათ ქართველი ხალხის მხრივ ქართველი მემამულეების და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაზე ლაპარაკი. ისინი ცდილობდნენ საქმე ისე წარმოედგინათ, რომ ჩვენში ყველა ჯურის ექსპლოატატორებს და ექსპლოატირებულებს შორის იყო „მამაშვილობა“.

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 112.

კერძოდ ალ. ორბელიანის ეს ხაზი შემდეგ გააგრძელეს ქართველი ბურჟუაზიის ნაციონალისტურმა პარტიებმა. როგორც 1904 წელს ი. ბ. სტალინი წერდა, ეს პარტიები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ქართველი მუშები, რომ ბურჟუაზიის დაღუპვა საქართველოს დაღუპვას ნიშნავდა. ამ პარტიებმა, კერძოდ „ნაციონალ-დემოკრატებმაო", წერს ამხანაგი სტალინი „...აქეს ქართველი პროლეტარიატი და ურჩიეს „მუშებისავე სასარგებლოდ" გაეძლიერებია როგორმე ქართველი ბურჟუაზია. ისინი ბევრი ეხვეწნენ ქართველ პროლეტარებს: ნუ ღუპავთ „საქართველოს" (თუ ქართველ ბურჟუაზიას?), დაივიწყეთ „შინაური უთანხმოება", დაუძმობილდით ქართველ ბურჟუაზიასო"[1].

„დაძმობილება" ბრძოლის მაგიერ, „მამაშვილობა"—ძალადობისათვის წინააღმდეგობის გაწევის მაგიერ, ასეთი იყო ამ უკუღმართი თეორიის ალფა და ომეგა. ეს ბურჟუაზიული თეორია ახლაც ბოგინობს ზოგიერთ მკვლევართა თავში შეცდენილი სახით. ისინი თავიანთ „გამოკვლევებში" პირდაპირ არ ამბობენ, რომ კლასობრივი ბრძოლის თეორიას უარვყოფთო. მაგრამ, სოციალურ მოვლენათა გადმოცემის დროს დუმილით უვლიან გვერდს თვითონ ამ კლასობრივ ბრძოლას, და ამით ადასტურებენ, რომ ისინი დგანან „ერთიანი ნაკადის" თეორიაზე.

რა იყო ძირითადი სიმახინჯე ამ თეორიაში? პირველყოველისა ის, რომ იგი ამცირებდა ქართველ ხალხს. ეს არ ესმოდა და არ ესმის იმას, ვისაც არ ესმოდა ის, თუ რატომ აკუთვნებდა ლენინი ეროვნული ღირსების სიამაყის საგანძურში პირველ ადგილს სწორედ კლასობრივ ბრძოლას, სწორედ კლასობრივი ჩაგვრისათვის წინააღმდეგობის გაწევას.

კლასობრივ ბრძოლასა და კლასობრივი ძალადობისათვის წინააღმდეგობის გაწევას, ერის ეროვნული სიამაყის საგანძურში პირველი ადგილი იმიტომ ეკუთვნის, რომ:

1. რადგან კლასობრივი ჩაგვრა უსამართლობაა, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა სამართლიანია. კლასობრივი ბრძოლა და კლასობრივი ძალადობისათვის წინააღმდეგობის გაწევა, უკვე იმის მაჩვენებელია, რომ ამ სამართლიანობის გაგებამდე ამაღლებულია ერის უდიდესი ნაწილი. ვინაიდან, კლასობრივ საზოგადოებაში ექსპლოატირებულნი, ყოველთვის და ყოველგან ერის უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ.

2. კლასობრივი ბრძოლა იმის მაჩვენებელია, რომ ექსპლოატირებულ პირს ასე თუ ისე უკვე შეგნებული აქვს თავისი მძიმე მდგომარეობის უშუალო მიზეზი, მიგნებული ჰყავს ნამდვილი მტერი და მისაკუთრებული აქვს საკუთარი თავი. ყოველივე ამით, მას ინერტიული მდგომარეობისა და დაუსრულებელი ლოდინისათვის სასწაულით ხსნაზე თავი

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 34.

აქვს დაღწეული და თავისთავშივე აქვს მონახული ხსნის ეს იმედი და ძალა. ასეთი პირი კი უკვე ერთგვარად მაღლა დგას მონურ მდგომარეობაზე, ვინაიდან „...მონა, რომელსაც თავისი მონობა შეუგნია და თავისი განთავისუფლებისათვის ბრძოლა დაუწყია, სანახევროდ უკვე მონა აღარაა“[1]. ხოლო ერის უმრავლესობის (ექსპლოატირებული კლასების) აწევა, თუნდაც სანახევროდ მონურ მდგომარეობაზე მაღლა, არ შეიძლება არ იყოს ეროვნული სიამაყის საგანძურში პირველ ადგილზე. „არავინ არის დამნაშავე იმაში,—წერდა ლენინი,—თუ ის მონად დაიბადა; მაგრამ მონა, რომლისთვისაც არა თუ უცხოა მისწრაფება თავისი თავისუფლებისაკენ, არამედ კიდეც ამართლებს და აფერადებს თავის მონობას... ასეთი მონა არის გულისწყრომის, ათვალწუნებისა და ზიზღის კანონიერი გრძნობის გამომწვევი ტუტუცი და ხეპრე“[2]. გასაგებია, რომ ასეთი ტუტუცი და ხეპრე ადამიანებით ერი ვერ იამაყებს. კლასობრივი ბრძოლა და კლასობრივი ძალადობისათვის წინააღმდეგობის გაწევა კი იმის მაჩვენებელია, რომ ასეთი ტუტუცი და ხეპრე ადამიანები ერს ნაკლები ჰყავს, და, მაშასადამე, მეტი აქვს საამაყო.

3. ლენინი ეროვნული სიამაყის საგანძურში განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა რევოლუციური მუშათა კლასის შექმნას და კაცობრიობის თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის დიად ნიმუშებს. მუშათა კლასის შექმნით და სოციალიზმისათვის ბრძოლით ერი მაღლდება თავის ვიწრო ეროვნულ ინტერესებზე მაღლა და ამით იგი არა მარტო უფრო ფართოდ იწყებს ბრძოლას თავისი ეროვნული ინტერესებისათვის, ვიდრე ამის შესაძლებლობა მას წინათ ჰქონია ოდესმე, არამედ იგი მთელ თავის ისტორიაში პირველად იწყებს ფართო, მასიურ ბრძოლას საკაცობრიო იდეალებისათვისაც. მაგრამ, ამ იდეალებისაკენ, პრაქტიკულადაც და თეორიულადაც, ერი მიდის არა „მამაშვილობისა“ და „დაძმობილების“ გზით, არამედ მძიმე კლასობრივი ბრძოლებით თავისივე შიგნით, თავის ორ ნაწევარს შორის, ვიდრე იგი ექსპლოატატორული კლასების მოსპობით ერთ მთლიანობაში არ მოაქცევს თავის ეროვნულ ინტერესებსაც, რომელიც წინათ ყოველთვის გათიშული და წინააღმდეგობრივი იყო. გასაგებია, რომ ეროვნულ ინტერესთა ამ ერთიანობის მიღწევა ხდება სოციალიზმისათვის მუშათა კლასის ხელმძღვანელობით წარმოებულ კლასობრივ ბრძოლაში, და მას ხელს უშლის „ერთიანი ნაკადის“ თეორია, „მამაშვილობა“ და „დაძმობილება“.

4. კლასობრივი ბრძოლა და კლასობრივი ძალადობისათვის წინააღმდეგობის გაწევა არის ანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოების მოძრაობის ბერკეტი წინ. რამდენადაც მძაფრია იგი, იმდენად უფრო ჩქარია ამა თუ იმ ხალხის განვითარება შემდგომ უფრო მაღალ ფორმაცია-

---

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 84.
[2] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 112.

ზე გადასვლა, და, პირიქით. რამდენადაც დუნეა იგი, იმდენად დუნეა თვით განვითარებისა და წინსვლის პროცესი. ამიტომ, კლასობრივი ბრძოლის გამძაფრება და კლასობრივ მტერთან ყოველგვარი „მამაშვილობისა“ და „დაძმობილების“ უკუგდება, უარყოფითი წვლილი კი არის ეროვნული ღირსების სალაროში, არამედ დადებითი.

ასეთია ის ზოგიერთი ძირითადი მოტივები, რომლის გამოც კლასობრივი ბრძოლა და კლასობრივი ძალადობისათვის წინააღმდეგობის გაწევა აღიარებულია ერის ეროვნული ღირსების საგანძურის პირველი რიგის სიმაყეთ.

რა ზიანს აყენებს „ერთიანი ნაკადის“ თეორია ეროვნული ღირსების საგანძურს? იმას, რომ კლასობრივი ბრძოლის უარყოფით **ართმევს მას** იმ ძირითად სიმდიდრეს, იმ ძირითად სიამაყეს, რომელსაც ლენინი კლასობრივ ბრძოლასა და კლასობრივი ძალადობისათვის წინააღმდეგობის გაწევას აკუთვნებდა. აღარიბებს ეროვნული ღირსების სალაროს. ამცირებს ერს, რადგან კლასობრივი ბრძოლის უარყოფით იგი იმას ამტკიცებს, **რომ ერის უმრავლესობა** (ე. ი. მისი ექსპლოატირებული კლასები) ყოველთვის იყვნენ **გაქვავებულ**, მონურ მდგომარეობაში, **რომელთაც ვერ მიაღწიეს თავიანთი ამ მონური** მდგომარეობის და მისგან თავის განთავისუფლებისათვის **ბრძოლის** საჭიროების შეგნებას. ვერ გადაიზარდნენ „თავისთავათ კლასებიდან“, „კლასებად თავისთვის“ და ამიტომ, ლენინის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, დარჩნენ ყოველთვის ტუტუცებად და ხეპრეებად. არის თუ არა ეს ერის დამცირება? რა თქმა უნდა, არის.

საცაარი აქ მხოლოდ ის არის, რომ ამ თეორიის მომხრეებს ჰყოფნიდათ გამბედაობაც და უვიცობაც, ერის ღირსების ეს ესოდენ დამამცირებელი „ერთიანი ნაკადის“ თეორია გამოეტანათ „პატრიოტიზმის“ სახელით. ერთი სიტყვით, იმის მაგიერ, რომ კლასობრივი ბრძოლის და კლასობრივი ძალადობისათვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტები მათ ორივე ხელით შეეტანათ ეროვნული ღირსების საგანძურში, როგორც მისი მთავარი დიდება, ისინი მას ორივე ხელით ისროდნენ გარეთ, როგორც თითქოს ერის „დამამცირებელსა“ და მისთვის რაღაც უცხო მოვლენას.

ი. ბ. სტალინი, ეხებოდა რა რუს მუშებში კლასობრივი ბრძოლების შედეგად წარმოქმნილ რევოლუციურ მოძრაობას, წერდა, რომ „...ყოველივე ეს უნერგავს (და არ შეიძლება არ უნერგავდეს!) რუს მუშებს რევოლუციური ეროვნული სიამაყის გრძნობას, რომელსაც შეუძლია მთები დასძრას, შეუძლია სასწაულები მოახდინოს“[1]. განა ძნელი გასაგებია, რომ კლასობრივი ბრძოლის უარყოფას ჩვენ თვით რევოლუციის უარყოფამდე მივყევართ, რადგან იგი სწორედ კლასობრივი ბრძოლის გზით მზადდება და წარმოადგენს მხოლოდ მის კულმინაციას. განა ძნე-

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 13, გვ. 26.

ლი გასაგებია, რომ კლასობრივი ბრძოლის თეორიაზე ხელის აღება, ეს არის ეროვნული სიამაყის ყველაზე ძვირფას საგანძურზე ხელის აღება. განა ძნელი გასაგებია, რომ თუ რუსეთს შეუძლია იამაყოს სტენკა რაზინებით, პუგაჩოვებით, ხალტურინებით, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ უტუ მიქავებით, კოჩა თოდუებით, არსენებით, მ. ჩოდრიშვილებით, მ. ბოჭორიძეებით და სხვ. მაგრამ, ეს ადამიანები ამოზიდული არიან კლასობრივი **ბრძოლის** ნიადაგზე და მეორედ დაბადებულნი მის ცეცხლში, და თუ უარყოფთ კლასობრივ ბრძოლას, მაშინ უნდა უარვყოთ მათი ცეცხლფარეშებიც და გავაღატაკოთ ეროვნული სიამაყის საუნჯე.

საერთოდ, ყველა ხალხის ისტორიაში კლასობრივი ბრძოლის და კლასობრივი წინააღმდეგობის დამადასტურებელი მოვლენები და ინტერესები, წერს ლენინი, „...თავს იჩენენ ყოველდღიური ცხოვრების მილიონობით ფაქტებით“[1]. აქედან ზოგიერთი ყველაზე მძაფრი მაგალითები შემონახულია მათ ისტორიულ წყაროებში, მხატვრულ ლიტერატურაში, ფოლკლორში და სხვა. ეს ასეა საერთოდ, ეს ასე იყო ჩვენშიაც.

მხატვრული ლიტერატურიდან ამაზე მეტყველებს ჩვენში ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“, დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“, ეგნატე ნინოშვილის „სიმონა“, და ა. შ., ფოლკლორში „არსენას ლექსი“, ისტორიული წყაროებიდან ზ. ჭიჭინაძის მიერ შედგენილი „ბატონყმობის ფაქტიური მასალები“ და სხვა მრავალი. ამგვარი ხასიათის წყაროები ჩვენ გვიხატავენ საქართველოში ექსპლოატირებული კლასების მეტად მძიმე მდგომარეობას. ასე მაგალითად, იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით, სამეგრელოში რაიმე დანაშაულისათვის, რომელიც ზოგჯერ შეიძლებოდა მეტად უმნიშვნელოც ყოფილიყო, მემამულეები ყმებს თვალებს თხრიდნენ გახურებული რკინით, ან ჭრიდნენ ხელებსა და ფეხებს გავარვარებული ნაჯახით. ყმა გლეხებს სჯიდნენ აგრეთვე ხაჯალურით, ხუნდით, დილეგში ჩაგდებით.

ა. ბოროზდინი, რომელიც სამეგრელოსა და სვანეთის სამთავროების უკანასკნელ ისტორიას გადმოგვცემს, მოჰყავს უტუ მიქავას სიტყვა, რომელშიაც სამეგრელოს გლეხთა მძიმე მდგომარეობაა აღწერილი. „ამ ერთი წლის წინად,—ამბობდა მიქავა,—ჩვენს ქვეყანას ოსმალთა ჯარი შემოესია, მტერმა გაანიავრწყლა ყველაფერი, რაც ხელში მოხვდა. შველა არსაიდან გვჭონია; რუსის ჯარმა თავი დაგვანება, ხოლო ჩვენი ბატონები იმის მაგიერ რომ დავეფარნეთ, ბიჭებსა და გოგოებს გვტაცებდნენ და ოსმალებზე ჰყიდდენ. აუარებელი წაასხეს ოსმალებმა ოსმალეთში. ოსმალები წავიდნენ და ჩვენი ბატონები წინანდელზე უარესად, ოსმალებზე უარესად, მოგვდგნენ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთელი ჩვენი შრომის ნაყოფი იმათა რჩებათ; მათ რომ ცაცხა ჰკითხოს, გლეხს არაფერი უნდა ჰქონდეს, და რაც რამ აბადია, ყველაფერს ართმევენ თუ მოხერხებით არა, ძალით მაინც. ჩვენ ამას

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 267.

შევეჩვიენით. ამას კიდევ თქვენი ჰირი წაუღია, ააჭმე ის გახლავთ, რომ ...მათის აზრით, რა პირუტყვი გნებავსთ, ჩვენ არ გვჯობდეს! ვსთქვათ, ბატონს მეზობლის მიმინო მოეწონა, ადგება და ერთ კომლ გლეხს აძლევს მეზობელს, ოღონდ კი იმან ეს მიმინო დაუთმოს; მწევრის ან მეძებრისათვის რამდენსამე კომლს აძლევს. პირუტყვები უფრო მეტად ფასობენ, ვიდრე ადამიანები... ჩვენს ბატონებს ვემალებოდით, და როცა დევნა დაგვიწყეს და ძაღლებით ნადირობდნენ ჩვენზე, ერთად შევერთდით და ძალას ძალა დავუპირისპირეთ“[1].

იგივე ბოროზდინი სამეგრელოს ყმა გლეხთა მდგომარეობაზე ასეთ ამბავსაც გადმოგვცემს: ჩემთან მოვიდა ერთი ქალი და განმიცხადა: „მე მოჯალაბე გახლავართ ამა და ამ თავადისა, მისგან ორი შვილი გამიჩნდა: ბიჭი და გოგო. მერე აიღო და მავან მებატონეს მიმყიდა. წინანდელმა მებატონემ ჩემი შვილები ვიღაც-ვიღაცეებს მიჰყიდა. ახალ ბატონის ხელში სამი შვილი გამიჩნდა და ახლა უნდა ეს შვილები გამიყიდოს. ჯერ უფროს შვილისაგან იწყებს. რომ გაიგო, მე ჩივილს ვაპირებდი, დამეშუქრა, შენ თვითონ აფხაზეთში გაგყიდიო“[2].

არის თუ არა აქ კლასობრივი ჩაგვრის მეტად უხეში და შემაძრწუნებელი ფორმები? რა თქმა უნდა, არის. მაგრამ, საკუთარი თანამემამულისადმი ასეთი ურჯულო მოქცევა რასობრივი და ეროვნული ნიშანი კი არ არის, არამედ იგი საყოველთაო მოვლენაა ყველა ხალხებისათვის ისტორიული განვითარების გარკვეულ საფეხურზე, იგი მახინჯი სოციალურ-კლასობრივი მდგომარეობის ნაყოფია. მისთვის პასუხს არ აგებს არც ერთი ხალხი არც იურიდიულად და არც მორალურად, ვინაიდან პასუხისგებაში ვერ მისცემ ისტორიას და მისი ობიექტური კანონზომიერების შედეგებს.

ამაზე არანაკლებ შემზარავი სურათი, ჩვენ ანტაგონისტური კლასობრივი ფორმაციების უკლებლივ ყველა ხალხის ისტორიაში გვაქვს. ათ თუნდაც, თორმეტი დაფის კანონი ავიღოთ რომში. ანდა თუნდაც, საფრანგეთი ავიღოთ. საფრანგეთის გლეხები მათი ბატონების ურჯულო მოქცევამ შუა საუკუნეებში გამხეცებამდე მიიყვანა. იმდროინდელი მწერალი ლაბრიუიერი წერდა: „აქა-იქ თქვენ ხვდებით გარეულ მხეცებს, ხვდებსა და ძუებს, შავებს, სრულიად დამწვართ მზისაგან: მათ მიწისაკენ დაბლა დაუხრიათ თავიანთი მოკაკული ზურგი და უძლეველი დაჟინებით ამუშავებენ მას; მათ გააჩნიათ რაღაც დანაწევრებული მეტყველება მაგვარი და, როცა წელში გაიმართებიან, დაინახავთ ადამიანის სახეს. და, მართლაც, ესენი ხომ ადამიანები არიან; ღამით ისინი იმალებიან თა-

[1] კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, თარგმანი თ. სახოკიასი, 1934 წ., გვ. 114—115.

[2] იქვე, გვ. 139—140.

ვიანთ ბუნაგებში, სადაც ცხოვრობენ და იკვებებიან შავი პურით, წყლითა და ბალახის ძირებით“[1].

საფრანგეთის გლეხების ამ მძიმე მდგომარეობით აიხსნება, რომ ჟაკერიას აჯანყების დროს (XIV საუკუნე), როგორც ეს გადმოცემულია ჟან დე ვენეტის „ქრონიკაში“, ისინი „...ყველა წარჩინებულ მამაკაცთ, რომელთაც ხელთ იგდებდნენ, და თავის საკუთარ სენიორებსაც კი, შეუცოდებლად ხოცავდნენ და სპობდნენ. არ კმაყოფილდებოდნენ რა ამით, აზნაურთა სახლებსა და ციხე-სიმაგრეებს მიწასთან ასწორებდნენ, და რაც უფრო ღირსია სინანულისა, წარჩინებულ მანდილოსნებს და მათ ჩვილ ბავშვებს, რომელთაც ხელთ იგდებდნენ, წამებით ხოცავდნენ“[2]. ამავე ომის დროს მემამულეები ყმა გლეხებს და ყმა გლეხები კი მემამულეებს შამფურზე აგებდნენ და ცეცხლზე მწვადივით სწვავდნენ.

ასეთი შემზარავი ხასიათის მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება ყველა ქვეყნისა და ყველა ხალხის ისტორიიდან. ისინი საყოველთაოდ ცნობილია ყველა განათლებული ადამიანისათვის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მონათმფლობელურ და ფეოდალურ ფორმაციებში სამოქალაქო ომებში, რევოლუციებში, აგრეთვე კლასობრივი ბრძოლისა და ჩაგვრის შედეგად უფრო მეტი ადამიანები დაიღუპნენ, ვიდრე საგარეო ომებში. ეს საგარეო შეტევითი ომებიც ისევ გაბატონებული კლასების ინტერესებისათვის წარმოებდა და არა ხალხის ინტერესებისათვის.

რას ნიშნავს საერთოდ ასეთ პირობებში „ერთიანი ნაკადის“, ანუ „საერთო ნიაღაგის თეორია“ და სადამდე შეიძლება მან მიიყვანოს მისი მიმდევრები? ამ თეორიამ მისი მიმდევრები შეიძლება მიიყვანოს მრავალ სავალალო და სულელურ დასკვნებამდე. კერძოდ კი იქამდე, რომ:

1. მათ დაამახინჯონ ისტორია, „მამა-შვილობად“, „და-ძმობილებად“ მიაჩნევინონ მკითხველს ექსპლოატატორის და ექსპლოატირებული პირის დამოკიდებულება მაშინ, როცა სინამდვილეში ექსპლოატატორი პირის მხრივ ექსპლოატირებული პირის მიმართ იყო მგლური, მხეცური დამოკიდებულება.

2. ექსპლოატატორული კლასის დამოკიდებულება ექსპლოატირებულ კლასთან საერთოდ და ყველა ხალხებში უკლებლივ ასეთ მხეცურ და მგლურ ხასიათს ატარებს, რის ბაზაზედაც კლასობრივი ბრძოლა აუცილებლობით წარმოიქმნება. ასეთ ვითარებაში კლასობრივი ბრძოლის თეორიის უარყოფა რომელიმე ხალხში იმას ნიშნავს, რომ მათ თავი გამოიყონ მსოფლიოს ყველა ხალხებისათვის დამახასიათებელ ისტორიული პროცესის ზოგადი და საყალდებულო კანონზომიერებიდან, და თავიანთვის, რაღაც საკუთარი, განსაკუთრებული გზა „შექმნან“ ისტორიული „განვითარებისათვის“.

---

[1] შუა საუკუნეების ისტორია. 1949 წ., ნაწ. II, გვ. 413.

[2] Хрестоматия по истории средних веков, т. II, 1950 წ., გვ. 51.

3. „ერთიანი ნაკადის“ თეორია არსებითად კლასობრივი საზოგადოების უარყოფასა და პატრიარქალური წყობილების მუდმივობის მტკიცებამდე მიდის, ვინაიდან შეუძლებელია ისეთი ანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოება, სადაც არ იყოს, ამა თუ იმ სიძლიერით, ფარული ან აშკარა კლასობრივი ბრძოლა და კლასობრივი ძალადობისათვის წინააღმდეგობის გაწევა. „დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია. თავისუფალი და მონა, პატრიცი და პლებეი, ბატონი და ყმა, ოსტატი და ჭარგალი, მოკლედ—მჩაგვრელი და ჩაგრული მუდმივ ანტაგონიზმში იყვნენ ერთმანეთთან, ეწეოდენ შეუწყვეტელ—ხან მალულ, ხან აშკარა ბრძოლას,—ბრძოლას, რომელიც ყოველთვის თავდებოდა მთელი საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნით ან მებრძოლ კლასთა საერთო დაღუპვით“. ასეთია, მარქსიზმის პირველი საპროგრამო დოკუმენტის—„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ დასაწყისი. ცხადია, რომ „ერთიანი ნაკადის“ თეორია კლასთა ბრძოლის უარყოფით, რადიკალურ წინააღმდეგობაში ვარდება მარქსიზმის ამ პირველ საპროგრამო დოკუმენტის პირველსავე აბზაცთან.

4. კლასობრივი ბრძოლის თეორიის უარყოფის დროს, შეუძლებელი ხდება ფორმაციებისა და ანტაგონისტური კლასების დაღუპვის აზსნა. ხომ ფაქტია ამ ფორმაციების და ამ კლასების დაღუპვა? მაგალითად, ხომ დაიღუპა ინდოეთში მონათმფლობელური, საფრანგეთში—ფეოდალური, რუსეთში—ბურჟუაზიული კლასი? მაგრამ, რამ დაღუპა ინდოეთის მონათმფლობელური კლასი, თუ არა ინდოეთის მონათა კლასის ბრძოლამ; საფრანგეთის ფეოდალური კლასი, თუ არა საფრანგეთის ყმა გლეხთა ბრძოლამ, რუსეთის ბურჟუაზიული კლასი, თუ არა რუსეთის მუშათა კლასის ბრძოლამ? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ინდოეთის მონათმფლობელური კლასი დაღუპა ჩინეთის მონათა კლასის ბრძოლამ, საფრანგეთის ფეოდალური კლასი—ინგლისის გლეხთა ბრძოლამ, რუსეთის ბურჟუაზიული კლასი—გერმანიის მუშათა კლასის ბრძოლამ? ან, ხომ არ შეიძლება იმის ფიქრი, რომ ისტორიული პროცესი წესრიგდება ზეციდან ფუფაცას ძალით? როგორც ცნობილია, ღმერთი ყველაზე გვიან განდევნილ იქნა სოციოლოგიიდან და ისიც მხოლოდ მარქსიზმის, კერძოდ, მარქსისტულად გაგებული კლასობრივი ბრძოლის თეორიის წყალობით, ვინაიდან სწორედ ეს თეორია იყო, ლენინის თქმით, სახელმძღვანელო ძაფი სოციალურ მოვლენათა ლაბირინტსა და ქაოსში გზის გასაკვლევად. განა ცხადი არ არის, რომ კლასობრივი ბრძოლის თეორიის უარყოფით „ერთიანი ნაკადის“ თეორიას კარებიდან გაგდებული ღმერთი ფანჯრიდან ისევ შემოჰყავს ისტორიაში?

ერთი სიტყვით, ეს თეორია მრავალ სისულელემდე მიდის. მან საზოგადოების რევოლუციურად გარდაქმნა ან მებრძოლ კლასთა საერთო დაღუპვა ან უნდა უარყოს, რაც მისი მხრიდან სიბრმავე იქნება, ან თუ არ უარყოფს, მაშინ „საზოგადოების ეს რევოლუციურად გარდაქმნა და

მებრძოლ კლასთა დაღუპვა“ მან უნდა ახსნას რაღაც სხვა გზით. მაგრამ, ამ გარემოების ასახსნელად არავითარი სხვა გზა არ არსებობს, გარდა მის მიერ უარყოფილი კლასობრივი ბრძოლის თეორიისა. ასეთია ის ჩიხი, რომელშიაც აქ „ერთიანი ნაკადის“ თეორია ექცევა.

5. კლასობრივი ბრძოლის უარყოფა ნიშნავს იმას, რომ ექსპლოატირებულ პირში კლასობრივი თავდაცვის გრძნობაზე, რაც მისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, თითქოს უფრო ძლიერია რაღაც „ნაციონალური სული“. ამ „ნაციონალურმა სულმა“ მას ხელი არ აღამართინა თავისი ექსპლოატატორის წინააღმდეგ, რომელიც მას მისი შრომის ნაყოფის წართმევით შიმშილით ახრჩობდა და პირუტყვივით ჰკლავდა. ყველაფერი ეს კი თურმე იმიტომ ხდება, რომ ეს მისი ჯალათი მისი თანატომელი იყო. ეს არის, არც მეტი არც ნაკლები—რასიული თეორია, კლასობრივი ბრძოლის რასობრივი ბრძოლით შეცვლის თეორია. სწორედ ეს თეორია „ეყრდნობა“ „ნაციონალურ სულს“. მაგრამ, ამ თეორიის **უბედურება** იმაშია, რომ, როგორც ი. ბ. სტალინი წერდა, „...არავითარი „ნაციონალური სული“ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს“[1].

ამავე დროს, „ერთიანი ნაკადის“ თეორიის მიმდევართა წინაშე არ შეიძლება არ დაისვას ამგვარი კითხვა: თუ ექსპლოატირებულ პირში იმდენად ძლიერია „თანატომელობის“ გრძნობა, რომ იგი კლასობრივი ჩაგვრის ნიადაგზე წინააღმდეგობას არ უწევს მისადმი თავის „თანატომელი “ექსპლოატატორის მხეცურ მოქმედებას, მაშინ რატომ გაჰქრა თვითონ ამ ექსპლოატატორში იგივე „ნაციონალური“ გრძნობა, რომ ასე მხეცურად არ მოქცეოდა ის თავისსავე „თანატომელ“ ექსპლოატირებულ პირს? მაშინ რატომ გაკვეთეს ოთხად პუგაჩოვი რუსეთში, რატომ აბამდნენ ზოგჯერ ყმა გლეხებს კევრში საქართველოში („სურამის ციხე“) და რატომ ცეწავდნენ დავალიანებულ პირს რომში იმდენ ნაჭრად, რამდენი კრედიტორის ვალიც მას ემართა? განა ცხადი არ არის, რომ აქ, ამ თეორიის, კიდევ ერთი ზედმეტი საბრჭობია?

6. ნაციონალური „ერთობის“ ბაზაზე ანტაგონისტური კლასების ინ**ტერესთა ჰარმონიის ქადაგება** არის როგორც მარქსიზმის სრული უარყოფა, ასევე ნაციონალური საკითხის უპირატესი მნიშვნელობის აღიარება სოციალიზმისათვის მუშათა კლასის კლასობრივი ბრძოლის წინაშე. მაშინ როდესაც, როგორც ლენინი წერდა, „სინამდვილეში „ევროპის ცხოვრების საკითხთა“ შორის სოციალიზმს პირველი ადგილი უკავია, ხოლო ნაციონალურ ბრძოლას—მე-9“[2]. იგივე საკითხზე სტალინი წერდა, რომ „ნაციონალური საკითხი არის პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხის ნაწილი, პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის ნაწილი“[3].

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 52.

[2] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 64.

[3] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, 1951 წ., გვ. 57.

7. კლასობრივი ბრძოლა და კლასობრივ ინტერესთა ერთიანობა აკავშირებს სხვადასხვა ქვეყნების მუშათა კლასს და საფუძვლად ედება საერთო ფრონტის შექმნას იმპერიალიზმის წინააღმდეგ. „ერთიანი ნაკადის“ თეორია კი კლასობრივი ბრძოლის უარყოფით სთიშავს ერთმანეთისაგან სხვადასხვა ქვეყნების მუშათა კლასს, რითაც ხელს უწყობს რევოლუციურ მოძრაობას და ხელს უწყობს იმპერიალიზმს.

8. კლასობრივი ბრძოლის შეცვლა „ერთიანი ნაკადის“, ანუ კლასთა თანამშრომლობის თეორიით, საფუძველი ხდება „პატრიოტიზმის“ ყოველგვარი შერყვნისა, ვინაიდან სწორედ „ერთიანი ნაკადის“ თეორია აძლევს შესაძლებლობას ექსპლოატატორულ კლასებს „პატრიოტიზმის“ ნიღბით და ერის სახელით გამოიტანონ საკუთარი კლასობრივი ინტერესები.

9. კლასობრივი ბრძოლის თეორიის უარყოფა და „ერთიანი ნაკადის“ თეორიაზე დადგომა ხდება საფუძვლად ყოველგვარი ოპორტუნიზმისა, ნაციონალიზმისა და სოციალ-შოვინიზმისა. „ოპორტუნიზმისა და სოციალ-შოვინიზმის,—წერდა ლენინი,—იდეურ-პოლიტიკური შინაარსი ერთი და იგივეა: კლასების თანამშრომლობა მათი ბრძოლის ნაცვლად“[1].

ასეთია „ერთიანი ნაკადის“ თეორიის, კლასთა „მშვიდობიანი თანამშრომლობის“ თეორიის ალფა და ომეგა, მისი რეაქციონურ-შავრაზმული ხასიათი. შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, ამ თეორიის უფრო მეტად გაშლა და მისი სხვა უარყოფითი მხარეების აღნიშვნა, მაგრამ, მოტანილი ფაქტები და ანალიზიც საკმარისია იმის გასაგებად, თუ ვის სამსახურშია იგი. ამ „თეორიით“ და მასზე აგებული „პატრიოტიზმის“ ლოზუნგით წარმოებდა ყველა აგრესიული ომები, მათ შორის იმპერიალისტური ომები. იგი უდევს საფუძვლად ყველა სახის ექსპლოატაციის გამართლებას, წარმოადგენს ყველა ჯურის ოპორტუნიზმის ქვაკუთხედის, მათ შორის მემარჯვენე სოციალისტებისა, რომელთაც უნდათ ანტაგონისტური კლასების „მშვიდობიანი თანამშრომლობით“ მიაღწიონ სოციალიზმს.

ეს „თეორია“, მართალია, ძლიერ „ბებერია“, თითქმის 2500 წლისა, მაგრამ, ამავე დროს, ყოველთვის „ახალგაზრდაა“. იგი სასიცოცხლო შეშხაპუნებას იღებს ისტორიის არენაზე გამოსულ ყოველი ახალი ექსპლოატატორული კლასისგან, რომლის იდეოლოგებიც ამ „თეორიის“ „ექიმები“ არიან.

ამ თეორიის ალფა და ომეგა გენიალურად გახსნა ი. ბ. სტალინმა 1927 წელს. „ძველი „თეორია“,—წერდა იგი,—იმის შესახებ, რომ ექსპლოატირებულთ არ შეუძლიათ არსებობა უექსპლოატატორებოდ, ისე როგორც თავსა და სხეულის სხვა ნაწილებს არ შეუძლიათ არსებობა უკუპოდ,—არ არის მარტო ძველ ისტორიაში ცნობილი რომაელი სენა-

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 376.

ტორის, მენენიუს აგრიპას კუთვნილება. ეს „თეორია“ ახლა წარმოადგენს საერთოდ სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური „ფილოსოფიის“, განსაკუთრებით კი—იმპერიალისტურ ბურჟუაზიასთან კოალიციის სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის ქვაკუთხედს. ეს „თეორია“, რომელმაც ცრურწმენის ხასიათი მიიღო, წარმოადგენს ახლა ერთ-ერთ უაღრესად სერიოზულ დაბრკოლებას კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის გარევოლუციურების გზაზე. ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია ის ფაქტი, რომ მან სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ამ ყალბ „თეორიას“[1].

გასაგებია, რომ ამ „თეორიას“ ჩვენში არა აქვს არავითარი კლასობრივი ბაზა. მიუხედავად ამისა, თუ იგი ზოგჯერ, აქა-იქ ზოგიერთ „არქაულ თავში“ აღმოჩნდება, ეს მხოლოდ ბურჟუაზიული იდეოლოგიის გადმონაშთი და თეორიული ატავიზმია.

ნებსით თუ უნებლიეთ ამ თეორიის პლატფორმაზე დადგომა იყო და არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმ ჩავარდნებისა, რომელნიც „მოიმკო“ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ზოგიერთმა ძველმა და ახალმა მკვლევარმა. ეს იმიტომ მოხდა, რომ მათ კვლევა-ძიებაში ორიენტაციის და საგარეო ურთიერთობის საკითხი სრულიად მოწყვეტილი აღმოჩნდა კლასობრივი ბრძოლის საკითხებიდან, ქვეყნის საშინაო მდგომარეობასა და საშინაო პოლიტიკიდან. ყოველივე ამის გამო, საგარეო ორიენტაციისა და საგარეო ურთიერთობის საკითხებმა დაკარგეს მათი წარმომქმნელი მიზეზები. სამაგიეროდ „შეიძინეს“ რაღაც დამოუკიდებელი და მეტაფიზიკური თვითარსობა. ამის შედეგად ისინი ორივე ქვეყნის მხრიდან დაყვანილ იქნენ რუსი და ქართველი მეფეების და მათი ელჩების რაღაც პირად საქმიანობასა და მოტყუება-არმოტყუების ცდის დიპლომატიურ მაქინაციებამდე. ასეთი მიდგომის წყალობით ამ მკვლევარებმა ვერც ისტორიულ მეცნიერებას გაუგეს რამე და ვერც დიპლომატიას და თავი ამოყვეს გატეხილ გობთან.

გასაგებია, რომ მათ მიერ არჩეული ასეთი მანკიერი მეთოდოლოგიის წყალობით, ისინი არც შეიძლებოდა არ აღმოჩენილიყვნენ ჭეშმარიტების მოპირისპირე პოლუსზე. ეს ჭეშმარიტება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში, სწორედ კლასობრივი ბრძოლის თეორიაზე დაყრდნობით, გენიალური სიცხადით გახსნა ჯერ კიდევ თავის ადრინდელ ნაწერებში ი. ბ. სტალინმა. სტალინის ეს დებულებები რატომღაც უგულვებელყოფილი იყო ამ თემაზე მომუშავე ზოგიერთ მკვლევართა მიერ. ალბათ ან იმიტომ, რომ ეს დებულებები არ ეთანხმებოდა მათ კონცეფციას, ან კიდევ იმიტომ, რომ არ უნდოდათ „კრედიტორად“ ჰყოლოდათ გენიოსი, მაშინაც კი, როცა საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობანი მათ ჭეშმარიტების საწინააღმდეგო მიმართულებით მიაჭანებდათ.

---

[1] ი. სტალინი, ხოხ., ტ. 10, გვ. 258—259.

ი. ბ. სტალინი და რუსეთ-საქართველოს ძველი ისტორიული ურთიერთობის გაგებისა და შეფასების საკითხი

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი, ერთი მხრივ, განეკუთვნება საგარეო ურთიერთობის სფეროს, რამდენადაც იგი ორი ქვეყნის დამოკიდებულების საკითხი იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ძევს ნაციონალურ საკითხთა სფეროში, რამდენადაც იგი ეროვნულად ორი სხვადასხვა ხალხის დამოკიდებულების საკითხი იყო. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება აძლევდა საშუალებას ი. ბ. სტალინს მოექცია ეს საკითხი ნაციონალურ საკითხთა რკალში და ამ თვალსაზრისით გაერკვია იგი.

ი. ბ. სტალინი, უპირველეს ყოვლისა, ნაციონალურ საკითხს ხსნის, ზეკლასობრიობის საბურველს და აყენებს მას კლასობრიობის ნიადაგზე. იგი წერს: „ყველაფერი იცვლება... იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრება და მასთან ერთად იცვლება „ნაციონალური საკითხიც“. სხვადასხვა დროს სხვადასხვა კლასები გამოდიან ბრძოლის მოედანზე,—ყველა კლასს კი თავისებურად ესმის „ნაციონალური საკითხი“. მაშასადამე, „ნაციონალური საკითხი“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინტერესებს ემსახურება, სხვადასხვა ელფერს იღებს იმის მიხედვით, თუ რომელი კლასი და როდის წამოაყენებს მას“[1].

საკითხის ამგვარი დაყენებით ი. ბ. სტალინი ნაციონალურ საკითხს კლასობრივ საკითხად, კლასობრივი ბრძოლისა და კლასობრივი ინტერესების საკითხად მიიჩნევს. უდგება რა ამ თვალსაზრისით რუსეთთან საქართველოს დამოკიდებულების საკითხს, ი. ბ. სტალინი აღნიშნავს, რომ ამ საკითხს საქართველოს ექსპლოატატორული კლასები (ფეოდალები და ბურჟუაზია) უდგებოდნენ თავიანთი საკუთარი კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით.

ი. ბ. სტალინი წერს: „იყო ჩვენში, მაგალითად, ეგრეთწოდებული, თავადაზნაურობის „ნაციონალური საკითხი“, როცა—„საქართველოს რუსეთთან შეერთების“ შემდეგ—ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიების და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, იუკადრისა „უბრალო ქვეშევრდომობა“ და მოინდომა „საქართველოს განთავისუფლება“. ამით მას უნდოდა „სა-

[1] ი. სტალინი. თხზ., ტ. I, გვ. 37.

ქართველოს“ სათავეში ქართველი მეფეები დათა-
ვადაზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად მათთვის
გადაეცა ქართველი ხალხის ბედიღბალი! ეს იყო
ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმი“[1].

ნაციონალიზმი კი საერთოდ, როგორც ცნობილია, თავისი ხასიათით მხოლოდ ექსპლოატატორული კლასების იდეოლოგიაა. იგი იცავს მათ ინტერესებს, მაგრამ ღუპავს ქვეყანას. ჯერ კიდევ მარქსი და ენგელსი წერდნენ, რომ „ნაციონალიზმმა რომი და საბერძნეთი დამხობამდე მიიყვანაო“[2]. ექსპლოატირებული კლასებისათვის კი, რომელნიც როგორც წესი პატრიოტიზმის დამცველი კლასებია, ნაციონალიზმი მტრული იდეოლოგიაა. ამიტომ ნაციონალიზმის თუნდაც ოდნავი გაიგივება პატრიოტიზმთან დაუშვებელია.

აი, რით აიხსნება, რომ ჩვენშიაც ფეოდალურ-მონარქიულ „ნაციონალიზმში“ გამოხვეული იყო თავადაზნაურობისა და ტახტის მაძიებელ ბაგრატიონთა ვიწრო ეგოისტური და კლასობრივი ინტერესები, და არა პატრიოტიზმი, და არა ქართველი ხალხის ინტერესები. ეს მტკიცდება არა მარტო საკითხისადმი ზოგადი მეთოდოლოგიური მიდგომით: რომ ყველა ეპოქაში და ყველა ქვეყანაში ექსპლოატატორული კლასები არასოდეს არ იცავენ ეროვნულ ინტერესებს თავისი საკუთარი კლასობრივი ინტერესების შელახვის ხარჯზე, არამედ ჩვენამდე მოღწეულ კონკრეტულ ისტორიული ფაქტებითაც. ბაგრატიონთა ტახტის ყველაზე თავგამოდებული მაძიებელი, ერეკლე II შვილი ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელიც ხან სპარსეთის და ხან თურქეთის ხიშტის დახმარებით ცდილობდა ტახტის დაბრუნებას, 1805 წელს სპარსეთიდან დარეჯან დედოფალს წერდა: „თუკი მათ (ე. ი. რუსებს) სურთ, რომ მე მოვიდე მათთან, დასვან ერთი ჩვენი ოჯახის რომელიმე პირი მეფედ და მაშინ ჩვენ მოვალთ და ვემსახურებით ხელმწიფეს... თუკი ხელმწიფე გაბედნიერებას ისევე ჩვენ სახლს, ისეთ საქმეებს ვიჩვენებთ, რომ არავითარ აღშფოთებას ადგილი არ ექნება“[3].

როგორც ვხედავთ, აქ ალ. ბატონიშვილი ზრუნავს ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენისათვის, და თუ ეს მოღწეული იქნება, მაშინ იგი მზადაა თვით მიეხმაროს რუსეთის ცარიზმს იმაში, რომ მისი ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ არავითარ აღშფოთებას საქართველოში არ ექნეს ადგილი. აქ, რა თქმა უნდა, ხალხისა და ქვეყნის ინტერესები ისევე არ არის დაცული, როგორც იგი არ იყო დაცული იმ ფეოდალებში, რომელნიც, როგორც ი. ბ. სტალინი წერდა, „...საუკუნეთა განმავლობაში ეომე-

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 32.

[2] მარქსი და ენგელსი, ანტიეროობის შესახებ, გვ. 16.

[3] Акты, ტ. II, გვ. 169, 1868 წ.

ბოდნენ და ანადგურებდნენ ერთმანეთს, ერთიმეორეს უსისინებდნენ სპარსელებსა და თურქებს[1].

ქართველი ფეოდალების ერთი ჯგუფის მიერ მეორე ჯგუფისათვის სპარსელებისა და თურქების წასისინება, რა თქმა უნდა, აოხრებდა და უკან ეწეოდა საქართველოს, ასუსტებდა მას. იგივე ალ. ბატონიშვილი 1806 წ. დიდის კმაყოფილებით სწერდა შამშადილის მოურავს, რომ შახმა გასცა „ბრძანება ქართლში ჯარის ნაწილი გაგზავნონ ზოგიერთი ხანების სარდლობით, რომ გააძარცვონ ქართლი და დასაჯონ მოწინააღმდეგეები. მე თქვენ გარწმუნებთ და ღმერთს გეფიცებით, რომ მისი უდიდებულესობა, შახი, არ შესცვლის ამ განზრახვას"...[2].

ყოველივე ამის შემდეგ, ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, რომ სამშობლოსა და ხალხის სიყვარული (პატრიოტიზმი) ის კი არ არის, რომ „გიყვარდეს" და ახრჩობდე, „გიყვარდეს" და ასუსტებდე საკუთარ ქვეყანას, არამედ ის, რომ გიყვარდეს და ხელს უწყობდე მის გაძლიერებას, მის აყვავებას, მოგჭონდეს მისთვის სარგებლობა. ჯერ კიდევ ჩერნიშევსკი აშბობდა, რომ პატრიოტიზმი მარტო საკუთარი ქვეყნის „ცარიელი სიყვარული" კი არ არის, არამედ მისთვის სარგებლობის მოტანაც. არაეითარი პატრიოტიზმი არ არის იქ, სადაც ქვეყნის ინტერესები ეწირება ცალკე პირების თუ ცალკე კლასების ეგოისტურ ინტერესებს.

რადგან საქართველოსთვის ისტორიული ვითარების ავბედობით XVIII საუკუნის დამლევს ისეთი გარემოება შეიქმნა, რომ მას დამოუკიდებლად არსებობა აღარ შეეძლო, პატრიოტიზმი მაშინ საგარეო პოლიტიკაში იმ ქვეყანაზე ორიენტაციის აღებაში მდგომარეობდა, რომელიც შედარებით ნაკლებ ტკივილებს მიაყენებდა მას. ასეთი ქვეყანა კი იყო რუსეთი და არა თურქეთი და ირანი. გასაგებია, რომ ამგვარ ვითარებაში ერეკლეს რუსული ორიენტაციის წინააღმდეგ ბრძოლა, რასაც ფეოდალების და უფლისწულების ერთი ჯგუფი ეწეოდა, ხელს უწყობდა საქართველოს გადაყვანას თურქულ ან ირანულ ორიენტაციაზე. თურქული ან ირანული ორიენტაციის შედეგად კი საქართველოს ჩაგდებას მათ ხახაში არ შეეძლო უფრო უარესი არ მოეტანათ საქართველოსათვის, ვიდრე ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რომელიც რუსული ორიენტაციის უფრო მეტ დადებით შედეგებთან ერთად გარდუვალად მოყვებოდა მას თან. ამიტომ, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ აქ პატრიოტიზმი რუსული ორიენტაციის მიმდევართა მხარეზე იყო და არა მათ მოწინააღმდეგეთა მხარეზე. ეს გარემოება კარგად ჰქონდა შეგნებული ერეკლეს და ქართველი ხალხის იმ მოწინავე ნაწილს, რო-

[1] ი. ჯ ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 518.
[2] Акты, ტ. II, გვ. 172.

მელნიც რუსეთთან აკავშირებდნენ საქართველოს მომავლის ბედ-იღბალს.

ამით აიხსნება, რომ რუსული ორიენტაციისადმი დაპირისპირებულმა ფეოდალურ-მონარქიულმა „ნაციონალიზმმა“ ჩვენში ხალხის ფართო მასები ვერ ჩაითრია და შესამჩნევი კვალი ვერ დასტოვა, „თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თავად-აზნაურობის ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში“[1]. ეს სუსტი მოძრაობა მალე წაშალეს ცხოვრების ტალღებმა, ხალხისაგან იზოლირებამ, „...საქონლის წარმოების განვითარებამ, ბატონყმობის გადავარდნამ, საგლეხო ბანკის დაარსებამ, კლასთა ანტაგონიზმის გაძლიერებამ ქალაქსა და სოფელში, სოფლელი ღარიბების გაღონიერებულმა მოძრაობამ და სხვა ამისთანებმა“. ყოველივე ამ გარემოებამ, დაასკვნის ი. ბ. სტალინი, „სასიკვდილოდ ლახტი დაკრა ქართველ თავადაზნაურობას და, მასთან ერთად, „ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმს“[2].

ქართველ ფეოდალთა ეს ჯგუფიო, წერს შემდეგ ი. ბ. სტალინი, „ორად გაიყო, ერთმა უარყო ყოველივე „ნაციონალიზმი“, ხელი გაუწოდა თვითმპყრობელობას, მიიღო მისგან თბილი ადგილები, იაფფასიანი კრედიტი და ამით დაამთავრა „საქართველოს განთავისუფლებისათვის“ ბრძოლა. მეორე ჯგუფმა „...დაიმეგობრა ქართველი ეპისკოპოსები და არჩიმანდრიტები და, ამგვარად, კლერიკალიზმის კალთას შეაფარა ცხოვრებისაგან დევნილი „ნაციონალიზმი“. ეს ჯგუფი დიდი გატაცებით ახალებს დანგრეულ ქართულ ეკლესიებს (ეს მთავარი მუხლია მისი „პროგრამისა!“)—„ნაშთებს ძველი დიდებისას“—და მოწიწებით ელის სასწაულს, რომელმაც უნდა განახორციელოს მისი ბატონყმურ-მონარქიული სურვილები“[3].

როგორც ვხედავთ, ი. ბ. სტალინის გაგებით, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული თავადაზნაურთა ეს „მოძრაობა“ გამოხატავდა არა ხალხის ინტერესებს, არამედ თავიანთ საკუთარ კლასობრივ ინტერესებს, და იყო არა პატრიოტიზმი, არამედ „ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმი“.

ამ პერიოდში (XIX საუკუნის 60-იან წლებამდე) რუსეთის დამკვიდრებამ საქართველოში ბევრი დადებითი შედეგი მოიტანა. რუსეთმა თურქეთს წაართვა და საქართველოს დაუბრუნა ახალციხე, ახალქალაქი, აწყური, არტაანი, ყარსი, ფოთი და წინათ თურქეთის მიერ მიტაცებული ზოგიერთი სხვა ტერიტორიები. შეწყდა საქართველოზე ირანის, თურქეთის და ლეკების თავდასხმები და ქვეყანამ მოისვენა პერმანენტული

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 33.
[2] იქვე.
[3] იქვე.

რებისაგან. ქართველმა გლეხმა ხმალი ქარჩაში ჩაგო და ორივე ხელით ჩაეჭიდა გუთანსა და თოხს. ქვეყანა მოღონიერდა ეკონომიურად, გაიზარდა მოსახლეობის რიცხვი, გაფართოვდა ვაჭრობა, მოშენდა წინათ დაცარიელებული ქალაქები. ასეთ პირობებში, მიუხედავად ცარიზმის რეაქციულ-რუსიფიკატორული პოლიტიკისა, სწრაფად დაიწყო აღმავლობა და განვითარება ქართულმა კულტურამ.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, თვით ხალხის მიერ კეთდებოდა და მათ თვალწინ ხდებოდა. ასეთ ვითარებაში ქართველ თავადაზნაურთა ანტირუსული ორიენტაცია, მათი დემაგოგიური ლოზუნგები „პატრიოტიზმზე", რომელშიაც ფაქტიურად, როგორც ი. ბ. სტალინი წერდა, გამოყენული იყო მათი საკუთარი ინტერესები და მათი „ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმი"—ქართველი ხალხის მხრივ მხარდაჭერას ვერ პოულობდა. მისთვის ერთობ ცხადი იყო რუსეთთან შეერთების სიკეთის გადაწონვა იგივე რუსეთის ცარიზმის ბოროტებაზე, ამიტომ აღმოჩნდა ეს ანტირუსული „მოძრაობა" იზოლირებული. „საკმარისი იყო,—წერს ი. ბ. სტალინი,—ოდნავ მოხვედროდა საზოგადოებრივი ცხოვრების ტალღები ამ ისედაც სუსტ „მოძრაობას", რომ ძირიანად დაენგრია იგი"[1].

თავადაზნაურობის ამ დანგრეული „ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმის" ადგილი შემდეგ ჩვენში დაიკავა ბურჟუაზიულმა ნაციონალიზმმა. ამ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმში ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესები იყო გახვეული. მაგრამ იგიც, ისევე როგორც თავადაზნაურობის „ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმი" მასების მოსატყუებლად დემაგოგიური მიზნით ისევ „სამშობლოს სიყვარულის", „სამშობლოს ხსნის" და სხვა ამგვარი „პატრიოტული" ლოზუნგებით გამოდიოდა. პატრიოტიზმის ამგვარი გაყალბება საერთოდ დამახასიათებელია ბურჟუაზიისათვის, განსაკუთრებით კი იგი დამახასიათებელია ჩაგრული ერის ბურჟუაზიისათვის.

ი. ბ. სტალინი წერს: „ნორჩი ბურჟუაზიისათვის ძირითადი საკითხია ბაზარი. თავისი საქონლის გასაღება და სხვა ეროვნების ბურჟუაზიასთან კონკურენციაში გამარჯვება—ასეთია მისი მიზანი. აქედან გამომდინარეობს მისი სურვილი—უზრუნველყოს თავისთვის „თავისი", „მშობლიური" ბაზარი. ბაზარი პირველი სკოლაა, სადაც ბურჟუაზია ნაციონალიზმს სწავლობს"[2]. მაგრამ ჩაგრული ერის ბურჟუაზიას არ ყოფნის ძალები დაისაკუთროს „თავისი", „მშობლიური" ბაზარი, გააძევოს იქიდან სხვა ეროვნების ბურჟუაზია. ამისათვის საჭირო ხდება მან თავისი საკუთარი კლასობრივი ინტერესები საერთო ეროვნული ინტერესების სახელით და „პატრიოტიზმის" დროშით გამოიტანოს. სხვა საშუალება მას არა აქვს საერთო ფრონტით მოაწყოს ბრძოლა უცხო კაპიტალის წინააღმდეგ, და

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 33.
[2] ი. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 328—329.

იგიც იძულებული ხდება ამ გზას დაადგეს. ამ საკითხის შესახებ ი. ბ. სტალინი წერს: „ჩაგრული ერის ყოველმხრივ შეკიწროებული ბურჟუაზია ბუნებრივად იწყებს მოძრაობას. იგი „მშობლიურ ქვედა ფენებს“ მიმართავს და „სამშობლოზე“ იწყებს ყვირილს, თავის საკუთარ საქმეს საერთო სახალხო საქმედ ასაღებს. იგი არმიას იკრებს „თანამემამულეთაგან“, ვითომდა „სამშობლოს“ ინტერესებისათვის“[1]. ასეთია საერთოდ ჩაგრული ერის ბურჟუაზიის „პატრიოტიზმში“ გახვეული მისი საკუთარი კლასობრივი ინტერესები. ასეთი იყო „პატრიოტიზმში“ გახვეული ქართული ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესებიც.

„როცა ნორჩმა ქართველმა ბურჟუაზიამ იგრძნო, — წერს ი. ბ. სტალინი,— თუ რა ძნელია მისთვის თავისუფალი კონკურენცია „უცხოელ“ კაპიტალისტებთან, ქართველი ნაციონალ-დემოკრატების პირით აიტირნდა დამოუკიდებელ საქართველოზე. ქართველ ბურჟუაზიას უნდოდა საბაჟო წრე შემოევლო ქართული ბაზრისათვის, ძალით გაედევნა ამ ბაზრიდან „უცხოელი“ ბურჟუაზია, ხელოვნურად აეწია საქონლის ფასები და ასეთი „პატრიოტული“ ხრიკებით ლელო გაეტანა გამდიდრების მოედანზე.

ასეთი იყო და არის მიზანი ქართველი ბურჟუაზიის ნაციონალიზმისა!“[2].

აქ ი. ბ. სტალინი სრული სიცხადით გადმოგვცემს, თუ რაში მდგომარეობდა ქართველი ბურჟუაზიის ნაციონალიზმი და რატომ სჭირდებოდა მას „დამოუკიდებელი საქართველო“. ამ დამოუკიდებელი საქართველოდან, როგორც იგი წერს, ქართველ ბურჟუაზიას უნდოდა გაედევნა „უცხო“ ბურჟუაზია, ამ გზით მიეღწია მონოპოლიისათვის ბაზარზე. მონოპოლიის გზით მიეღწია ფასების აწევისათვის (ე. ი. მყიდველის უფრო მეტად გაყვლეფისათვის), და ფასების აწევის გზით კი საკუთარი თავის გამდიდრებისათვის. ყველაფერ ამას კი, ე. ი. საკუთარი თავის გამდიდრებას და საკუთარ თანამემამულეთა უფრო მეტად გაყვლეფას, ქართველი ბურჟუაზია აკეთებდა სამშობლოს „კეთილდღეობისა“ და „პატრიოტიზმის“ ლოზუნგით. აი რისთვის სჭირდებოდა თურმე მას რუსეთისაგან დამოუკიდებელი საქართველო და აი რა ჰკვებავდა მის ანტირუსულ ორიენტაციას.

ეს მარტივი ჭეშმარიტება, ესოდენ ცხადად გარკვეული ი. ბ. სტალინის მიერ, ვერ გაიგეს ზოგიერთმა ქონდრის კაცებმა, რომელთაც მეცნიერებაში თან ჰქონდათ მოტანილი დიდი ამბიცია და მცირე ამუნიცია. მათ არ ესმოდათ, რომ პატრიოტიზმის ცნებას რყვნიდნენ ექსპლოატატორული კლასები და მასში ხშირად დემაგოგიური მიზნით ანტიპატ-

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 329.
[2] ი. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 33—34.

რიოტულ იდეებსა და მისწრაფებებს ახვევდნენ თავიანთი კლასობრივი და ეგოისტური ინტერესების შესატყვისად.

ამგვარად, ზემოთ ჩვენ ვნახეთ, თუ რატომ ატიტინდა ქართველი ბურჟუაზია რუსეთისაგან „დამოუკიდებელ საქართველოზე“ და რა მიზანს ისახავდა იგი ამით. ი. ბ. სტალინი წერს: „...ამ მიზნის განხორციელებას ძალა უნდოდა, ძალა კი პროლეტარიატში: მარტო პროლეტარიატს შეეძლო სული ჩაედგა ბურჟუაზიის გამოფიტული „პატრიოტიზმისათვის“. საჭირო იყო პროლეტარიატის მიმხრობა,—და აი, სცენაზე გამოვიდნენ „ნაციონალ-დემოკრატები“. ბევრი ტყვია-წამალი დახარჯეს მათ მეცნიერული სოციალიზმის დასარღვევად, ბევრი აბაგეს სოციალ-დემოკრატები და ურჩიეს ქართველ პროლეტარებს დაშორებოდნენ მათ, აქეს ქართველი პროლეტარიატი და ურჩიეს „მუშებისავე სასარგებლოდ“ გაეძლიერებია როგორმე ქართველი ბურჟუაზია. ისინი ბევრი ეხვეწნენ ქართველ პროლეტარებს: ნუ ღუპავთ „საქართველოს“ (თუ ქართველ ბურჟუაზიას?), დაიცწყეთ „შინაური უთანხმოება“, დაუძმობილდით ქართველ ბურჟუაზიასო და სხვა ამისთანები. მაგრამ ამაოდ! ბურჟუაზიის პუბლიცისტების ტკბილმა ზღაპრებმა ვერ დააძინა ქართველი პროლეტარიატი! ქართველი მარქსისტების დაურიდებელმა იერიშმა და, უფრო კი, მედგარმა კლასობრივმა შეჯახებამ, რომელმაც ერთ სოციალისტურ რაზმად აქცია რუსი, სომეხი, ქართველი და სხვა პროლეტარები,—თავზარი დასცა ჩვენს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს და ბრძოლის ველიდან გააძევა ისინი.

„შერცხვენილი სახელის აღსადგენად“ საჭირო იყო „ფერი მაინც ეცვალათ“ ჩვენს გაქცეულ პატრიოტებს, ტანისამოსი მაინც ჩაეცვათ სოციალისტური, თუ სოციალისტურ აზრებს ვერ შეითვისებდნენ. და მართლაც, სცენაზე ამოცურდა არალეგალური... ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური—უკაცრავად მოხსენებაა—„სოციალისტური“ ორგანო „საქართველო!“ ასე უნდოდათ მოეხიბლათ ქართველი მუშები! მაგრამ გვიანღა იყო! ქართველმა მუშებმა ისწავლეს შავისა და თეთრის გარჩევა, ისინი ადვილად მიხვდნენ, რომ ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა მარტო „ფერი იცვალეს“ და არა აზრები, რომ გაზეთ „საქართველოს“ მარტო სახელი აქვს სოციალისტური.—დიახ, მიხვდნენ ამას და სიცილი მიაყარეს საქართველოს „მხსნელებს“! გაუცრუვდათ იმედი „საქართველოს“ დონ კიხოტებს!“[1].

როგორც ვხედავთ, აქ ი. ბ. სტალინი მისთვის დამახასიათებელი ანალიზის გასაოცარი ძალითა და სიღრმით იძლევა ქართველი ბურჟუაზიის ანტირუსული ორიენტაციის ახსნას და მისი ნაციონალისტური პარტიების დემაგოგიურ ტაქტიკას, რომელთაც „ბევრი ტყვია-წამალი დახარჯეს მეცნიერული სოციალიზმის დასარღვევად“ და „ერთიანი ნაკადის“ თეო-

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 34–35.

რიის ბაზაზე ექსპლოატატორული და ექსპლოატირებული კლასების „მამაშვილური“ შერიგებისათვის. მათ უნდოდათ ქართველი პროლეტარიატის და მისი სოციალ-დემოკრატიის მედგარი ბრძოლა საკუთარი, უცხო ბურჟუაზიის და ცარიზმის წინააღმდეგ, შეეცვალათ ბრძოლით რუსეთის წინააღმდეგ, უცხო ბურჟუაზიის წინააღმდეგ და შერიგებად საკუთარ ბურჟუაზიასთან. ამას ისინი აკეთებდნენ საკუთარი კლასობრივი ინტერესებისათვის, რათა, როგორც ამხანაგი სტალინი წერდა: „ასეთი „პატრიოტული“ ბრიკებით ლელო გაეტანათ გამდიდრების მოედანზე“.

პატრიოტიზმის ცნების საერთოდ ამგვარი შეყენის გამო ლენინი წერდა: „ბატონო საზოგადოებავ!—გინდა თქვა „პატრიოტების“ ყველა ამ ფრაზის გამო. არ დაუკვეთოთ ფრაზებს, უშჯობესია ნახოთ, ვისთვისაა ხელსაყრელი“[1]. და ი. ბ. სტალინმა გენიალურად გაარკვია, თუ მართლაცდა, ვისთვის იყო ხელსაყრელი ანტირუსულ ორიენტაციაში ჩაქსოვილი ეს „პატრიოტიზმი“.

ნახევარი საუკუნეა, რაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში ქართველი ბურჟუაზიის ანტირუსულ ორიენტაციას და მასში ჩაქსოვილ „პატრიოტიზმს“ ამგვარი გაგება და შეფასება მისცა ი. ბ. სტალინმა. საინტერესოა: არ იცოდნენ, ვერ იგებდნენ, თუ არ აწყობდათ ეს შეფასება მეცნიერების ზოგიერთ იმ ჰეროსტრატებს, რომელთაც ქართველი ბურჟუაზიის ნაციონალისტური პარტიების ამ ანტირუსულ ორიენტაციაში რაღაც „პატრიოტიზმი“ ელანდებოდა? ხომ არ ფიქრობდნენ, ჩამორჩენილი აზრების ეს ექსპლოატატორები, რომელნიც ღრუბელივით ისრუტავდნენ ყოველივე არქაულს, და ზურგი ჰქონდათ შექცეული ნამდვილი მეცნიერებისათვის, რომ აქ, ამ შეფასებასა და გაგებაში, ყველაფერი „რიგზე არ იყო“ თეორიულ სიღრმისა და პატრიოტული ნორმების დაცვის მხრივ? განა ცხადი არ არის, რომ ვისაც ქართველი ბურჟუაზიის და ფეოდალების ანტირუსულ ორიენტაციაში „საქართველოს ხსნა“ ელანდებოდა, იგი, როგორც ი. ბ. სტალინი წერდა, ნამდვილად იმსახურებდა დაცინვას და „ნეტარხსენებული“ დონ კიხოტის ორეულის სახელს?

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ბურჟუაზიის, ნაციონალისტური პარტიების ამ მახინჯი იდეების ქადაგებამ მტკიცედ ვერ მოიკიდა ფეხი ქართველ ხალხში. ერთი მხრივ, როგორც ი. ბ. სტალინი წერს, ამ გარემოებას ის უწყობდა ხელს, რომ „ქართველმა მუშებმა ისწავლეს შავისა და თეთრის გარჩევა, ისინი ადვილად მიხვდნენ, რომ ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა მარტო „ფერი იცვალეს“ და არა აზრები, ...მეორე მხრივ, ჩვენი ეკონომიური განვითარება თანდათან ხიდსა სდებს ქართველი ბურჟუაზიის მოწინავე წრეებსა და „რუსეთს“ შორის, ეკონომიურად და პოლიტიკურად აკავშირებს ამ წრეებს „რუსეთთან“ და ამით ნიადაგს

[1] ვ. ლენინი. თხზ., ტ. 19, გვ. 40.

ურყევს ისედაც შერყეულ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს. ეს მეორე ლახტი ჩვენს ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს"[1].

ასეთი იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისადმი ჩვენში ფეოდალური და ბურჟუაზიული კლასების დამოკიდებულება და მისი ნამდვილი და მოჩვენებითი მიზნები. მაგრამ ამ კლასების დამოკიდებულებაც გარჩევით როდი იწერება ეს საკითხი, აქ საჭირო ხდება გარჩეულ იქნეს ქართველი პროლეტარიატის დამოკიდებულებაც.

ამ საკითხზე ი. ბ. სტალინი წერდა: „ბრძოლის მოედანზე გამოვიდა ახალი კლასი, პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი,—და მასთან ერთად დაიბადა ახალი „ნაციონალური საკითხი" პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს „ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ს ა კ ი თ ხ ი". რამდენადაც პროლეტარიატი გაირჩევა თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიისაგან, იმდენადვე გაირჩევა პროლეტარიატის მიერ წამოყენებული „ნაციონალური საკითხი" თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის „ნაციონალური საკითხისაგან"[2].

როგორც ვხედავთ, აქ ი. ბ. სტალინი კვლავ იმ გარემოებას უსვამს ხაზს, რომ ერთი და იგივე ერის თავადაზნაურობას, ბურჟუაზიას და პროლეტარიატს, ყველა კლასს თავისი „ნაციონალური საკითხი" აქვს და მათი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც თვითონ ეს კლასები თავიანთი კლასობრივი ძდგომარეობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. აქედან ცხადი ხდება, რომ „ერთიანი ნაკადის" თეორიით, ან როგორც ეს ქართულ პუბლიცისტიკაში იწოდებოდა კლასების „საერთო ნიადაგის" თეორიით ნაციონალური საკითხისადმი მიდგომა ანტიმეცნიერულია, დაუშვებელია.

აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ ვინც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაგების საკითხში არ დგას პროლეტარიატის „ნაციონალური საკითხის" თვალსაზრისზე, მაშინ იგი დგას ან ფეოდალურ (თავადაზნაურულ), ან ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე. ვისაც ეს სტალინური დებულება არ ესმის, მან ფეხი არ უნდა მიდგას ისტორიული მეცნიერების კარებთან.

ასეთია ჰეშმარიტება, ასეთია ის სხვადასხვა გზები, რომლითაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაგების საკითხისაკენ მიდიოდნენ ჩვენში ფეოდალური და ბურჟუაზიული კლასები, მუშათა კლასი და მისი პარტია. თუ ფეოდალურ და ბურჟუაზიულ კლასებს ამ საკითხის გაგებასა და შეფასებაში მაინც საერთო შეხების წერტილები ჰქონდათ, თუ ორივე ისინი უარყოფდნენ ამ ურთიერთობის დადებითი შედეგების გადაწონას უარყოფითზე, თუ ორივე მათ საკუთარი კლასობრივი და ვიწრო ეგოისტური ინტერესები ამოძრავებდათ, როდესაც რუსეთისაგან დამოუკიდებელ საქართველოზე გაჰყვიროდნენ, თუ ორივე მათ დემაგოგი-

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. I გვ. 35.
[2] იქვე.

ური მიზნით „ნაციონალური საკითხი“ ერის საერთო ინტერესების სახელით გამოჰქონდათ; მათგან საერთოდ ნაციონალური საკითხის, და კერძოდ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხის გაგებაში პრინციპულად სრულიად განსხვავებული პოზიცია ეჭირა საქართველოს მუშათა კლასს, რომელსაც რევოლუციური სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობდა.

როგორც ცნობილია, ი. ბ. სტალინი არის ნაციონალური საკითხის უდიდესი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი. მან შემდგომ განავითარა და გაალრმავა მარქსის, ენგელსის და ლენინის შეხედულებები საერთოდ ნაციონალურ საკითხზე, კერძოდ, როგორც ის თავის ადრინდელ შრომებში უწოდებდა, პროლეტარიატის „ნაციონალურ საკითხზე“. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, რამდენადაც იგი ნაციონალური საკითხის სფეროში იყო მოქცეული, ი. ბ. სტალინი განიხილავდა არა იზოლირებულად, არა როგორც რაღაც თავისთავად და ცალკე აღებულ საკითხს, არამედ როგორც ნაციონალურ საკითხში მუშათა კლასის პოლიტიკის საერთო საკითხის ნაწილს.

საქართველო, ისე როგორც რუსეთის ყველა განაპირა მხარე, განიცდიდა ცარიზმისა და მისი სატრაპების მხრივ ნაციონალურ ჩაგვრას. ამიტომ საქართველოს მუშათა კლასს არ შეეძლო კლასობრივი ბრძოლა მეფის მთავრობის, ბურჟუაზიის და მემამულეთა ხელისუფლების დასამხობად ისე ეწარმოებინა და წარემართა, თუ იმავდროულად იგი მასთან არ დაკავშირებდა ცარიზმის ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლას, მისი რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას. ეს გასაგებიც არის. ისეთ მრავალეროვან პოლიციურ სახელმწიფოში, როგორიც ცარიზმის რუსეთი იყო, არ შეიძლებოდა, ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიაში შემავალი ჩაგრული ერების მუშათა კლასს და, მეორე მხრივ კი, თვითმჩაგვრელი ერის მუშათა კლასს არ გამოემუშავებინათ ერთი საერთო პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში. ამ პოლიტიკას ერთნაირად უნდა დაეცვა მჩაგვრელი და ჩაგრული ერების მუშათა კლასის და ყველა მშრომელის ინტერესები და ხელი შეეწყო მათი საერთო ბრძოლისათვის პროლეტარული რევოლუციისათვის, სოციალიზმისათვის.

სხვაგვარი დაყენება ნაციონალური საკითხისა რუსეთის მუშათა კლასს არ შეეძლო, ვინაიდან, როგორც ი. ბ. სტალინი ჯერ კიდევ 1904 წელს წერდა, „...ეგრეთწოდებული „საბოლოო“ გადაჭრა „ნაციონალური საკითხისა“, ე. ი. „განთავისუფლება“ რუსეთის „უცხო“ ერებისა, საზოგადოდ რომ ვთქვათ, შეუძლებელია იმ დრომდე, სანამ პოლიტიკური ბატონობა ბურჟუაზიის ხელშია“[1]. რუსეთის მუშათა კლასის მიერ აღებული ხაზის მიხედვით, ნაციონალური საკითხის სრული გადაჭრა პროლეტარული რევოლუციის გზით ცარიზმისა და ბურჟუაზიის დამხობის შემ-

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 48.

დეგ შეიძლებოდა. ამიტომ, ცხადია, რომ ნაციონალური საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის საკითხზე დამოკიდებული საკითხი იყო და იგიც ამ დიქტატურის მომზადებისა და მიღწევის ინტერესებს უნდა დაქვემდებარებოდა.

„არის შემთხვევები,—წერს ი. ბ. სტალინი,—როდესაც ცალკეული დაჩაგრული ქვეყნების ნაციონალური მოძრაობა ეჯახება პროლეტარული მოძრაობის განვითარების ინტერესებს. თავისთავად ცხადია, ასეთ შემთხვევაში დახმარებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ერების უფლებათა საკითხი არის არა განკერძოებული და თვითკმარი საკითხი, არამედ ის არის პროლეტარული რევოლუციის საერთო საკითხის ნაწილი, რომელიც ექვემდებარება მთელს და მოითხოვს მის, ნაწილის, განხილვას მთელის თვალსაზრისით“[1].

მაგრამ, საერთოდ თუ ავიღებთ ზოგიერთ იმ დამოკიდებულ და კოლონიალურ ქვეყნებს, სადაც ნაციონალური მოძრაობა ვერ უკავშირდება პროლეტარულ მოძრაობას ამ უკანასკნელის ან ჯერ კიდევ არ არსებობის, ან ჯერ კიდევ საკმაოდ მოუმწიფებლობის გამო, იქ დამოუკიდებლობის მიღწევისათვის ნაციონალური მოძრაობა იმდენად არის პროგრესული, რამდენადაც იგი არაპირდაპირი გზით ასუსტებს და არყევს იმპერიალიზმის საფუძვლებს.

ნაციონალური საკითხის ეს დაკავშირება პროლეტარიატის დიქტატურის მომზადების და იმპერიალიზმის საფუძვლების შერყევის საკითხთან ვერ გაიგეს ქართველმა სოციალ-ფედერალისტებმა. ეს სოციალ-ფედერალისტებიო, წერს ი. ბ. სტალინი, დაჟინებით გვეკითხებიან: „სასარგებლოა თუ საზარალო პროლეტარიატისათვის ნაციონალური დამოუკიდებლობაო? მოგვეცით გადაჭრილი პასუხი“[2]. ი. ბ. სტალინი წერს, რომ ერთ დროს სწორედ ასე ახირებულად აყენებდნენ კითხვას რუსი მეტაფიზიკოსებიც, რომელნიც ასევე გადაჭრით პასუხს მოითხოვდნენ კითხვაზე: „სასარგებლოა თუ საზარალო წვიმა მოსავლისათვისო“[3].

საკითხის ამგვარი დაყენებით სოციალ-ფედერალისტებს უნდოდათ, რომ, თუ პროლეტარიატისათვის სასარგებლოა ნაციონალური დამოუკიდებლობა, მაშინ რატომ არ ხართ სეპარატისტებიო. ხოლო, თუ ისინი ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს მიიღებდნენ, მაშინ დაჰკრავდნენ ბუკსა და ნაღარას და დაიწყებდნენ ცმუკვას საქმეში ჩაუხედავ ადამიანთა „ბრმა პატრიოტულ“ გრძნობებზე სათამაშოდ. აი, შეხედეთ, სოციალ-დემოკრატები (ბოლშევიკები) საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების წინააღმდეგნი არიანო. აღსანიშნავია, რომ ასეთი რეციდივე-

---

[2] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, 1951 წ., გვ. 58.

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 50.

[3] იქვე, გვ. 49.

ბის გათრევის მადა ზოგიერთ „მიუდგომელ“ მკვლევარს დღემდე არა აქვს დაკარგული.

თუ ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის მიუხედავად, რუსეთთან საქართველოს ყოფნას უდიდესი დადებითი შედეგები ჰქონდა წინათ, მით უფრო შემდეგ, როდესაც რუსეთის მუშათა კლასმა დაიწყო მზადება ცარიზმის, მემამულეების და ბურჟუაზიის ხელისუფლების დასამხობად, რუსეთისაგან საქართველოს ჩამოცილება ეს მხოლოდ ზურგის შექცევა იქნებოდა რევოლუციისათვის. ამ რევოლუციას კი, როგორც ამას ქართველი მარქსისტები ასე ბრწყინვალედ ითვალისწინებდნენ, ქართველი ხალხისათვის უნდა მოეტანა (და მოუტანა კიდეც) ერთდროულად ნაციონალური და სოციალური განთავისუფლება.

ნაციონალური ჩაგვრისაგან „განთავისუფლება“, მაგრამ დიდი ხნის მანძილზე სოციალური ჩაგვრის დატოვება, რაც აუცილებლობით მოჰყვებოდა რუსეთისაგან საქართველოს მიერ ამგვარი „თავისუფლების“ მოპოვებას, ეს მხოლოდ ექსპლოატატორული კლასებისათვის იქნებოდა სასარგებლო, და არა ქართველი ხალხისათვის. ყოველივე ამის გამო, გასაგებია თუ რა უაღრესად რეაქციული და დამღუპველი იყო ქართველი ხალხისათვის, მისი მომავლისა და მისი კულტურისათვის ყველა ის ჭრელი სეპარატისტული გეგმები და ვარაუდები, რომელსაც ჩვენში ბურჟუაზიული და წვრილი ბურჟუაზიული პარტიები აყენებდნენ. ახლა ბრმებისათვისაც კი გასაგებია, თუ ვინ იყვნენ მართლები, ბოლშევიკები თუ ყველა სხვა ბურჟუაზიული და წვრილი ბურჟუაზიული პარტიები; ვინ იყვნენ საქართველოს გულშემატკივარნი, მისი პატრიოტები— ბოლშევიკები, რომელთაც ერთდროულად მოხსნეს თავის ხალხს ყოველგვარი ნაციონალური და სოციალური ბორკილები, თუ სხვა პარტიები, რომელნიც რუსეთისაგან ჩამოშორებით ხალხს ერთი ხელით რაღაც ნაციონალურ „განთავისუფლებას“ ჰპირდებოდნენ და მეორე ხელით კი დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებს ეპატიჟებოდნენ იგივე ნაციონალური „განთავისუფლებისათვის“ ევროპული იმპერიალიზმის ბორკილების შემოსადებად.

1904 წელს ქართველ ნაციონალისტთა გაზეთ „საქართველოში“ (№ 8, გვ. 8), რომელიც პარიზში ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოდიოდა და საქართველოში არალეგალურად ვრცელდებოდა, ვიღაც გზააბნეული „ბრძენი“, „სეპარატისტის“ ფსევდონიმით წერდა: „საქართველო ელის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ევროპის სახელმწიფოთა პროტექტორატობით,... ჩვენი ბედი და მომავალი რუსეთს კი არა, ევროპას უნდა შეუკავშიროთ; იმაშია ჩვენი ეროვნული ხსნა, ეს არის ქართველის მოვალეობა მამულის წინაშე და ღმერთმა გვაშოროს ყოველგვარი კომპრომისი რუსეთთან“. თუ ცარიზმის პოლიტიკა საქართველოს მიმართ „ვაის“ ნიშნავდა, ყველა ეს ჭონდრის კაცუნა სეპარატისტები **ურჩევდნენ საქართველოს: გაეყარე ცარიზმის „ვაის“ და შეეყარე უფრო უარეს**

დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების „უის“, ამაშია შენი „ეროვნული ხსნაო“.

ქართველი ხალხისათვის ამ ჟამისა და ხოლერის მქადაგებლებს არ ვსმოდათ იმ ბრძნული პოლიტიკის ღრმა აზრი, რომელსაც ატარებდნენ საქართველოს ბოლშევიკები ი. ბ. სტალინის მეთაურობით ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ხსნისათვის. ეს პოლიტიკა გამოდიოდა იქიდან, რომ რუსეთი მარტო ცარიზმი არ იყო, და რომ რუსეთში მარტო ის ძალები არ იყვნენ, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ სხვა ხალხების ნაციონალურ და კოლონიალურ ჩაგვრაში. ეს პოლიტიკა გამოდიოდა იქიდან, რომ რუსეთი უკვე დიდი ხანი იყო, რაც ორ რუსეთად იყო გაყოფილი. ერთი იყო რომანოვების, რუსი მემამულეების და კაპიტალისტების რუსეთი, და მეორე პროლეტარული რუსეთი, მუშათა კლასის რუსეთი, რომელთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო გაჩაღებული. „წავიდა ის დრო,—წერდა ი. ბ. სტალინი 1905 წლის დასაწყისში,—როცა თამამად იძახდნენ: „ერთი და განუყოფელი რუსეთიო!“. დღეს ბალღმაც კი გაიგო, რომ „ერთი და განუყოფელი“ რუსეთი არ არსებობს“. „ჩვენს წინ გადაშალა,—წერს ი. ბ. სტალინი შემდეგ,—დიდებული სურათი ორ რუსეთს შორის, ბურჟუაზიულ რუსეთსა და პროლეტარულ რუსეთს შორის ბრძოლისა“[1]. 1904 წლის თებერვალში რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის ერთ-ერთ პროკლამაციაში, რომლის ავტორობა ა. წულუკიძეს უნდა ეკუთვნოდეს, ეწერა: „რუსეთი სხვაა და რუსეთის თვითმპყრობელობა სულ სხვაა, პოეტის თქმისა არ იყოს,—„შუა უზის დიდი ზღვარიო“[2].

როგორი იყო რომანოვების, რუსი მემამულეების და რუსი კაპიტალისტების რუსეთი რუსეთის შემადგენლობაში მოქცეულ არარუსი ხალხებისათვის? რუსეთსო, წერდა ვ. ი. ლენინი, „...სამართლიანად უწოდებენ „ხალხთა საპყრობილესო“[3]. რუსეთშიო, აღნიშნავდა ლენინი, „ველიკორუსები შეადგენენ მოსახლეობის მხოლოდ 43%, ე. ი. ნახევარზე ნაკლებს, ყველა დანარჩენი კი უუფლებოა, როგორც უცხოტომელი. რუსეთის 170 მილიონი მოსახლეობიდან დაახლოებით 100 მილიონი დაჩაგრული და უუფლებოა“[4]. აი ამ რუსეთშიო, ამბობდა ლენინი, „მეფის მონარქია გამორიცხავს ეროვნებათა თავისუფლებასა და თანასწორუფლებიანობას და გარდა ამისა მთავარი ბურჯია ბარბაროსობის, მხეცობისა და რეაქციისა როგორც ევროპაში, ისე აზიაშიც“[5].

მეფის მთავრობას კარგად ესმოდა, თუ რა სარგებლობა მოჰქონდა

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 61.

[2] ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები 1904—1905 წწ., 1939 წ., გვ. ?

[3] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 111.

[4] იქვე, გვ. 371.

[5] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 283.

მისთვის შავრაზმულსა და ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს. ამიტომ ატარებდა იგი თავის მხრივ შავრაზმული ნაციონალიზმის პოლიტიკას, და ხელს უწყობდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გაძლიერებას რუსეთში შემავალ არარუს ხალხთა ერთმანეთის წინააღმდეგ, რათა ძალებისა და ყურადღების აქეთ გადატანით, შეესუსტებინა ამ ხალხის ბრძოლა ნაციონალური და სოციალური განთავისუფლებისათვის. სხვა ფაქტორებისა და ცარიზმის ამგვარი პოლიტიკის შედეგად, წერდა 1913 წ. ვ. ი. ლენინი, ჩვენ მივიღეთ „მეფის მონარქიის უხეშად მებრძოლი და შავრაზმული ნაციონალიზმი და შემდეგ. ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ნაციონალიზმის—ველიკორუსულის... უკრაინულის, პოლონურის... ქართულის, სომხურის და სხვათა ნაციონალიზმის გამოცოცხლება“[1].

რუსეთის თვითმპყრობელობაო, წერდა ი. ბ. სტალინი 1904 წელს, „...ავაზაკურად სდევნის რუსეთის „უცხო“ ერების ნაციონალურ კულტურას, მათ ენას, ზნე-ჩვეულებას, დაწესებულებებს. თვითმპყრობელობა ართმევს მათ აუცილებელ მოქალაქეობრივ უფლებებს, ყოველმხრივ ავიწროებს,—ფარისეველურად სთესავს მათ შორის შურსა და მტრობას, ერთმანეთის სისხლს აღრევინებს და მით აშკარად გვიჩვენებს, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის ერთადერთი მიზანია ერთმანეთის გადაამტეროს რუსეთის ერები“[2].

ასეთი იყო ცარიზმის, რუსი მემამულეების და რუსი კაპიტალისტების პოლიტიკა რუსეთის არარუსი ხალხების მიმართ. მაგრამ, რატომ სჭირდებოდათ მათ ასეთი პოლიტიკა? ლენინი წერს: „...მეფის მონარქიის რეაქციული და ბარბაროსული მთავრობის განსამტკიცებლად“[3]. სტალინი წერდა, იმიტომ სჭირდებათ, რომ „...უფრო კარგად დააშოროს ერთმანეთს რუსეთის პროლეტარები, რომ უფრო კარგად დააჭუცმაცოს მთელი რუსეთის პროლეტარიატი წვრილ ნაციონალურ ჯგუფებად და მით სამარე გაუთხაროს მუშათა კლასობრივ თვითშეგნებას, მათ კლასობრივ გაერთიანებას“[4].

თუ ცარიზმი, რუსი მემამულეები და კაპიტალისტები ასე უდიერად და ბარბაროსულად ექცეოდნენ არარუს ხალხებს, იქნებ ისინი, სამაგიეროდ, კარგად ექცეოდნენ საკუთარ ხალხს? ასე კითხვის დაყენებას მოსაზღვებელ კლასში ასწავლიან, მაგრამ ამბობენ, იგი „ერთიანი ნაკადის თეორიის“ მომხრეებსაც სჭირდებათ, რადგანაც, მათ ჰგონიათ, რომ ცარიზმის, მემამულეების და კაპიტალისტების რუსეთი „სამოთხე“ იყო ყველა რუსისათვის და „ჯოჯოხეთად“ იგი მხოლოდ არარუსებისათვის იყო გადაქცეულიო. ვნახოთ ეს მოკლედ მაინც, ფაქტებით.

---

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 290.
[2] ი. სტალინი, თხზ., ტ. I. გვ. 36.
[3] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 5.
[4] ი. სტალინი, თხზ., ტ. I. გვ. 36.

ნეკრასოვი თავის ცნობილ ლექსში: „ფიქრები საპარადო მისასვლელთან“, რომელიც 1872 წელს ჟურნალ „კრებულში“ (№ 7) დაიბეჭდა ქართული პროზაული თარგმანით, წერდა: „სამშობლოვ ქვეყანავ! დამისახელე ერთი კუთხე, რომ შენი მხვნელი და მთესველი გლეხი არ ჰკვნესოდეს? ჰკვნესის მინდორში და გზებში, ჰკვნესის სატუსაღოში და საპატიმროში, ციმბირში შებორკილი; ჰკვნესის ძნის ქვეშ და ურემ ქვეშ, ჰკვნესის თავის ღარიბ ჭოხშიაც და მზის ნათელიც კი სიხარულად არ მიაჩნია; ჰკვნესის ყოველ პატარა მიყრუებულ ქალაქში სუდისა და პალატის კარებთან... საცა კი ხალხია, კვნესა მოისმისო“.

ი. ბ. სტალინი კი 1901 წელს წერდა: „კვნესის მუდამ შიმშილით დასიებული რუსეთის გლეხკაცობა, გაღატაკებული აუტანელი გადასახადებით და მსხვერპლად შეწირული ჩარჩ-ბურჟუებისათვის, „კეთილშობილი“ მემამულეებისათვის. კვნესიან წვრილი მოქალაქეები, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების წვრილი მსახურები, წვრილი მოხელეები, საზოგადოდ ის მრავალი წვრილი მოქალაქეობა, რომელიც, როგორც მუშათა კლასი, არ არის საარსებო პირობით უზრუნველყოფილი და საბუთი აქვს იყოს უკმაყოფილო თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით“[1]. ლენინი 1914 წელს წერდა: „...ცარიზმი არა თუ ჩაგრავს მოსახლეობის... 9/10-ს ეკონომიურად და პოლიტიკურად, არამედ ამასთან ერთად ხრწნის, სპობს, პატივსა ხდის, რყვნის მას, რომ აჩვევს სხვა ხალხთა ჩაგვრას, რომ აჩვევს თავისი სირცხვილის დაფარვას თვალთმაქცური, ვითომდა პატრიოტული ფრაზებით“[2]. ასეთი იყო ცარისტული რუსეთი რუსი ხალხის 9/10-სათვის.

რომელ რუსეთს გაურბოდნენ ჩვენი სეპარატისტები, როდესაც ისინი ხელს უწვდიდნენ ევროპის იმპერიალიზმს? ისინი გაურბოდნენ ორივე რუსეთს, უფრო კი რევოლუციურ რუსეთს, ვიდრე ცარისტულ რუსეთს. ეს გარემოება შემდეგ პრაქტიკულად დაამტკიცა ნ. ჟორდანიამ, როცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მან განაცხადა: „დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო“, საქართველო მოსწყვიტა საბჭოთა რუსეთს და დასავლეთის იმპერიალისტებს მიუგდო საჯიჯგნად.

მართლაცდა, ვინ აძალებდათ სეპარატისტებს და ანტირუსული ორიენტაციის სხვა მოღაშქრეებს: გინდათ თუ არა ჯვარი დაიწერეთ ცარისტულ რუსეთზე, შეიყვარეთ და გუნდრუკი უკმიეთ მასო, როცა თვითონ რუსმა ხალხმა ხელი აღმართა თავის მახრჩობელაზე, და, როგორც 1905 წელს ი. ბ. სტალინი წერდა, ცარიზმის ოროვიანი ურჩხული თვითონვე გამოიწვია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში[3]. თუ გძულს ცარიზმი, ებრძოლე მას. მიეშველე რუს პროლეტარიატს,

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 21.
[2] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 113.
[3] ი. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 176.

რომელიც თვითონ პირველი სწვდა ცარიზმს ყელში. ებრძოლე არა მარტო ცარიზმს და მის ორ მთავარ ფეხს—რუსეთის მემამულეებსა და ბურჟუაზიას, არამედ ცარიზმის ყველა იმ ბაშიბუზუკებსაც, რომელნიც წყალ-წყალა რეფორმებით თვითმპყრობელობის დაკერებას ცდილობდნენ მისი გადარჩენის მიზნით.

ის გარემოება, რომ საქართველოს ყველა ბურჟუაზიული და წვრილი ბურჟუაზიული პარტიები ვერ იჩენდნენ უნარს ებრძოლათ რუს პროლეტარიატთან ერთად ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, იმით აიხსნება, რომ ყველა ისინი ექსპლოატატორული კლასების ინტერესების გამომხატველნი იყვნენ და ეშინოდათ და უფრთხოდნენ სოციალისტურ რევოლუციას, რომელიც იმ დროს რუსეთში მზადდებოდა. 1913 წელს ლენინი წერდა: „სოციალიზმი დღეს მიიმართება ქვეყანაში, რომელსაც რუსეთი ეწოდება“[1]. ამიტომ, შემთხვევითი როდი არის, რომ რამდენადაც რუსეთში ეს სოციალისტური რევოლუცია მწიფდებოდა, იმდენად იზრდებოდნენ ჩვენი ქვეყნის გაბატონებულ კლასებში ანტირუსული ორიენტაციის მომხრენიც.

რუსი პროლეტარიატი უშუალოდ თვითონ არ განიცდიდა ნაციონალურ ჩაგვრას, იგი ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ აღსდგა კლასობრივი ჩაგვრის ლიკვიდაციისათვის, ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური წყობის ძირფესვიანი შეცვლისათვის. ასეთ პირობებში, საქართველოს ბურჟუაზიული და წვრილი ბურჟუაზიული პარტიები, რომელთაც უნდოდათ ნაციონალური საკითხი თავიანთი ბურჟუაზიისა და მემამულეების სასარგებლოდ ისე მოეგვარებინათ, რომ ძირფესვიანი ძვრების გარეშე დაეტოვებინათ მთელი სოციალური კორპუსი, მათი კლასობრივი ინტერესების მთელი ბადე, ცხადია, ისინი რუს პროლეტარიატთან კავშირზე ვერ წავიდოდნენ და არც წავიდნენ. ამასთან, მათ არ ესმოდათ, რომ რუსეთში შექმნილი ვითარების გამო, ნაციონალური საკითხი სოციალური საკითხისაგან დამოუკიდებლად და მასზე ადრე ვერ გადაწყდებოდა, ვინაიდან სოციალური საკითხის გადაწყვეტა თვითონ ედო საფუძვლად ნაციონალური საკითხის გადაწყვეტას, და არა პირიქით. მათ არ ესმოდათ, რომ ერთადერთი სწორი გზა შექმნილ ვითარებაში ნაციონალური საკითხის გადაწყვეტისა, ის გზა იყო, რომელზედაც საქართველოს მუშათა კლასი დაადგა ლენინურ-სტალინურმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა, რომელთაც ვ. ი. ლენინის მოწაფე ი. ბ. სტალინი წინამძღოლობდა.

ერთი სიტყვით, ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებს თავიანთი კლასობრივი ინტერესებით შეზღუდულობა არ აძლევდათ შესაძლებლობას ეპოვათ სწორი ხაზი ნაციონალური საკითხის გადაწყვეტაში. ისინი მოღალატურად ურჩევდნენ ქართველ ხალხს, რომ მას თავისი

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 31.

ნაციონალური განთავისუფლებისათვის მოკავშირე ეძებნა ევროპის კაპიტალისტებში, და არა აქვე, რუსეთის პროლეტარიატში, საკუთარსა და რუსეთის გლეხობაში. მათ არ ესმოდათ, რომ „ჩვენს დროში მხოლოდ პროლეტარიატი იცავს ერთა ნამდვილ თავისუფლებას და ყველა ერის მუშების ერთიანობას“[1]. ყოველივე ამის გამო, იმ დროს, როდესაც რუსეთის ყველა ერის პროლეტართა გაერთიანებული და მეგზარი ბრძოლებით ნიადაგი უკვე მზადდებოდა რუსეთის ხალხების ურჩხულის წასაქცევად, ამ „პატრიოტებმა“ სწორედ მაშინ გააძლიერეს ტიტინი: აქ ედგილზე არაფერი გამოდის, იქ ევროპაშია „ჩვენი ეროვნული ხსნაო“.

ამგვარად, მაშინაც, როცა აქ „ცარიზმის მხეცი“ ჯერ სასიკვდილოდ იყო დაჭრილი და მაშინაც, როცა მან სული დალია, ისინი საქართველოს ეჯიქებოდნენ დასავლეთი ევროპის იმპერიალისტური მხეცის **ახალი ხახისკენ**. ამ ახალი ბატონების ხელში საქართველოს თავიდან უნდა დაეწყო, ახლა უკვე დასავლეთის იმპერიალიზმის „კულტურტრეგერობის“ ნიღაბქვეშ, თავისი ნაციონალური და სოციალური ჩაგვრა, თავისი ტანტალოსის ტანჯვა.

ისინი, თავიანთი მოღალატური პოლიტიკის შედეგად, არსებითად მიდიოდნენ ასეთ მდგომარეობამდე: დეე საკუთარი და რუსეთის პროლეტარიატის მსახვრელი ხელი ასცდეს ჩვენს კაპიტალისტებს და „ბარონებს“ და სამაგიეროდ დასავლეთის იმპერიალიზმის კბილები და თათები ჩაეჭიდოს ჩვენს მუშებსა და გლეხებს, ჩვენს ხალხს, საქართველოს. ასეთი იყო მათი „პატრიოტიზმის“ ალფა და ომეგა, მისი კლასობრივი საფუძველი.

ამგვარი „პატრიოტიზმის“ „ფერი“ და „გემო“ კარგად იცოდნენ მუშებმა, მათმა რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიამ და ისინი დაუღალავად იბრძოდნენ ბურჟუაზიის ამ დემაგოგიური და დამღუპველი გეზის წინააღმდეგ. 1913 წელს ლენინი წერდა: „...სოციალ-დემოკრატიამ მთელი ენერგიით უნდა გააფრთხილოს ყველა ეროვნების **პროლეტარიატი** და მშრომელი კლასები არ მოტყუვდნენ „თავიანთი“ ბურჟუაზიის ნაციონალისტური ლოზუნგებით, ბურჟუაზიისა, რომელიც მოთაფლული ან მგზნებარე სიტყვებით „სამშობლოს“ შესახებ ცდილობს გათიშოს პროლეტარიატი და ააცილოს მისი ყურადღება ბურჟუაზიის ოინებს“[2].

სწორედ ასეთი მოთაფლული ენით იყო აღჭურვილი და „სამშობლოს ხსნის“ ლოზუნგებით შეიარაღებული ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ვიღაც გზა აბნეული დონ კიხოტი, რომელიც იმავე გაზეთ „საქართველოში“ „სეპარატისტის“ ფსევდონიმით ედავებოდა სოციალ-დემოკრატებს (ბოლშევიკებს) თეორიისა და სოციალური პროგნოზის საკითხებში და

---

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 88.

[2] ვ. იქვე, გვ. 282.

წერდა: „საინტერესოა ჭეშმარიტად, რომელი ისტორიული მაგალითით ხელმძღვანელობთ, როდესაც ჰფიქრობთ, რომ ახლანდელი აბსოლუტური რუსეთი ისკუპებს და პირდაპირ სოციალ-დემოკრატიულ რესპუბლიკად გადაიქცევა, ისეთ რესპუბლიკად ,რომ ჯერ ისეთი თავისუფლება და სამართლიანი წესწყობილება დიდი ხნის კულტურის ევროპასაც კი არ მოლანდებოდეს“[1].

აი, მთელი გონება-შეზღუდულობა ამ „მაგალითების კაცისა“. მას არ ესმის ობიექტურ მოვლენათა განვითარების ტენდენცია. იგი ალბათ დედამიწის ტრიალსაც არ იჯერებდა და მოითხოვდა „დამანახვეთო“. ვინ შეეძლო მისთვის დაენახვებინა მოვლენა, რომელიც მომავალში უნდა დაბადებულიყო. სამაგიეროდ, იგი კარგად ხედავდა პარიზსა და ლონდონს, ბერლინსა და რომს და იქით ეწეოდა საქართველოს ბედ-იღბალს. ასეთ ადამიანებს თვითონ ცხოვრებამ დასცინა და არა თუ დაანახვა ის, თუ როგორ „ისკუპა რუსეთმა“ და როგორ მოექცა მსოფლიო მასშტაბით სოციალურ მოვლენათა სათავეში, არამედ ისიც, თუ როგორ დაეხმარა იგი თავის აღმოსავლეთის და დასავლეთის მეზობლებს, რომ მათაც „ესკუპათ“ წინ. ახალი სოციალისტური ცხოვრებისაკენ, მაშინ როცა მათი ნაქები დასავლეთი ევროპა ისევ კაპიტალიზმის კუდზე დარჩა.

ქართველი მარქსისტების მიერ დაკავებული პოზიციის ასეთი კრიტიკით, მათ უნდოდათ უნდობლობა დაეთესათ მათი პოზიციის მიმართ მასებში, დაეხატათ ისინი უტოპისტებად, ფანტაზიორებად. ასევე უსაყვედურებდა რუსეთში ვ. ლენინს პ. კიევსკი, რომ თქვენს მიერ დაკავებული პოზიცია ნაციონალური საკითხის გადაწყვეტაში ჰგავს „...მარსზე 10.000 დესეტინის უფასოდ მიღების უფლებასო“[2].

ქართველ სეპარატისტებს ნაციონალურ საკითხში ქართველი მარქსისტების პოზიციის ამგვარი ხასიათის კრიტიკით უნდოდათ დაეფარათ და „დაესაბუთებინათ“ თავიანთი საკუთარი ხაზი დასავლეთ ევროპის იმპერიალისტურ ქვეყნებზე კურსის აღებისა. ისინი ამ მიზნის მიღწევისათვის არ ერიდებოდნენ არათუ „აბდა-უბდის მონაბლანის“ „არგუმენტებად“ მოთრევას, არამედ აშკარად პირდაპირ ცილისწამებასაც. იგივე გზით „საქართველო“-მ 1904 წ. თავის ერთ-ერთ ნომერში (№ 11) მოათავსა ხელმოუწერელი სტატია სათაურით: „უკიდურესი ნაციონალიზმის ნიმუშები“. ამ სტატიაში ზოგიერთ სხვა რუს ბოლშევიკთან ერთად თვით ლენინიც კი გამოცხადებულია „უკიდურეს რუს ნაციონალისტად“. ამგვარი თაღლითობით სეპარატისტებს უნდოდათ მასებისათვის ეგრძნობინებინათ: აი, ხედავთ, ქართველ მარქსისტებს უნდათ ნაციონალური საკითხი რუსი ბოლშევიკებისა და რუსეთის მუშათა კლასის დახმარებით

---

[1] იხ. გაზეთი „საქართველო“, 1904 წ., 1 იანვარი, № 8, გვ. 7.

[2] ვ. ლენინი. თხზ., ტ. 23, გვ. 35.

გადაწყვეტა, მაშინ როდესაც მათი ბელადი „უკიდურესი ნაციონალისტიაო".

ამგვარ ცილისწამებას უპირისპირდებოდა ლენინისა, სტალინის, ბოლშევიკების პრინციპული, ნათელი, ყველასათვის გასაგები დაყენება ნაციონალური საკითხისა და ბოლშევიკური პარტიის გადაწყვეტილებანი ამ საკითხზე. ამ გარემოების გამო ცილისწამების კამპანიამ სასურველი შედეგი ვერ მოუტანათ მათ ორგანიზატორებს და ვერ ჩამოაცილა არარუსი ხალხები რუსეთის მუშათა კლასს. ი. ბ. სტალინი წერდა: „რევოლუცია რუსეთში ვერ გაიმარჯვებდა, და კოლჩაკი და დენიკინი ვერ დამარცხდებოდნენ, რუს პროლეტარიატს რომ არ ჰქონოდა თანაგრძნობა და დახმარება ყოფილი რუსეთის იმპერიის ჩაგრული ხალხების მხრით"[1].

ეს ნდობა და მხარდაჭერა რუსი მუშათა კლასისათვის არარუსი ხალხების მხრივ შედეგი იყო იმ სწორი პოლიტიკისა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის და ერთა თვითგამორკვევის საკითხისადმი ეჭირათ რუსეთის მუშათა კლასს და მის ბელადებს. როგორი იყო ეს პოლიტიკა? 1904 წელს ი. ბ. სტალინი წერდა: „...ეგრეთწოდებულ „ნაციონალურ განმათავისუფლებელ" მოძრაობას, საერთოდ რომ ვთქვათ, მხარი არ დაუჭერს პროლეტარიატი, რადგან ყველა ასეთი მოძრაობა დღემდის ბურჟუაზიის სასარგებლოდ ხდებოდა, და პროლეტარიატს კი კლასობრივ თვითშეგნებას ურყვნიდა და უმახინჯებდა. ...მაგრამ ეს როგორც ზემოთაც ვთქვით, ზოგადი შეხედულებაა. ეს მაინც არ გამორიცხავს იმას, რომ შესაძლებელია იმნაირად მოეწყოს ეკონომიური და პოლიტიკური პირობები, რომ „უცხო" ერების ბურჟუაზიის მოწინავე წრეებმა „ნაციონალური განთავისუფლება" მოინდომონ. შესაძლებელია აგრეთვე, რომ ასეთი მოძრაობა სასარგებლო დარჩეს პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების განვითარებისათვის"[2].

მაშასადამე, ცარიზმის რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფის მოთხოვნის ან არ მოთხოვნის საკითხი იმის მიხედვით უნდა წარმართულიყო, თუ ეს მოთხოვნა გამოყოფაზე ან არ გამოყოფაზე რამდენად უწყობდა ხელს პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების ამაღლებას, რევოლუციური მოძრაობის განვითარებას, სოციალიზმისათვის ბრძოლის საქმის წინ წაწევას.

იმპერიალიზმის პერიოდის რუსეთში კი ობიექტური ვითარება ისეთი შეიქმნა, რომ რუსეთისაგან გამოყოფა უდავოდ ნიშნავდა სოციალისტური რევოლუციის მზადებისათვის ზურგის შექცევას და ხელის შეწყობას არა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობისათვის, არამედ დაქვეითებისათვის.

რა უნდა ექნა ასეთ პირობებში რუსეთის იმპერიაში შემავალი მჩაგვ-

---

[1] ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, 1951 წ., გვ. 62.

[2] ი. სტალინი, თხზ., ტ I, გვ. 48—49.

რელი ან ჩაგრული ერების პროლეტარიატს? აღნიშნული კურსი ჩაგრული ერების რუსეთისაგან გამოყოფაზე, როგორც აღნიშნული იყო, ეს ნიშნავდა სოციალისტური რევოლუციის მზადებისათვის ხელის შეშლას, რევოლუციურ ძალთა დაშალვას და ამდენად ცარიზმის გამაგრებას. არ აღნიშნული კურსი რუსეთის იმპერიიდან ჩაგრული ერების გამოყოფაზე, ეს იქნებოდა მხარის დაჭერა ცარიზმის ნაციონალური ჩაგვრის პოლიტიკისათვის. ეს იქნებოდა ნაციონალური მოძრაობათა ძალების არ გამოყენება ცარიზმის, შემამუსრებლის და ბურჟუაზიის ძლიერების შესარყევად.

როგორც ჩვენ აქ ვხედავთ, თეორიულად საკმაოდ რთულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, რის გამოც აქ შეუძლებელი ხდებოდა რაიმე გაზეპირებული ფორმულით გამოსავალის მოძებნა. ლენინისა და სტალინის გენიის სიდიადემ უშველა ამ საქმეს, მათი გონების ძალამ მოძებნა ამ „პარადოქსიდან“ დიალექტიკური გამოსავალი. „თუ კი სადმე საჭიროა,—წერდა ამხანაგი სტალინი,—საკითხის დიალექტიკურად დაყენება, ეხ საჭიროა სწორედ აქ, ნაციონალურ საკითხში“[1].

ეს დიალექტიკური გამოსავალი კი იმით იქნა მოძებნილი, რომ მოცემულ საკითხში სხვადასხვა ტაქტიკურ-პოლიტიკური ამოცანები დაესახათ ჩაგრული და მჩაგვრელი ერის პროლეტარიატს რუსეთში. მაგრამ ამ ტაქტიკურ-პოლიტიკური ამოცანების ეს სხვადასხვაობა არა თუ ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს, არამედ ავსებდნენ ერთმანეთს, იცავდნენ როგორც ცალკე ხალხების ნაციონალურ ინტერესებს, ისე სოციალისტური რევოლუციის მზადების ინტერესებს, სოციალიზმისათვის ბრძოლის ინტერესებს. კონკრეტულად საკითხის ეს დიალექტიკური გადაწყვეტა იმაში მდგომარეობდა, რომ რუს მუშათა კლასს უპირობოდ მხარი უნდა დაეჭირა მეფის რუსეთისაგან არარუს ეროვნებათა გამოყოფისათვის, ხოლო არარუს ეროვნებათა მუშებს პირობითად უნდა დაეყენებინათ მეფის რუსეთისაგან თავიანთი ქვეყნების გამოყოფა.

ამ აზრის ცხადყოფისათვის ლენინს ასეთი მაგალითი მოჰყავს: „შეცდომა მუშებს რომ უპირობოდ მხარი არ დაეჭირათ ნორვეგიელების გამოყოფის თავისუფლებისათვის, ისინი შოვინისტებს, იმ შეცდომა მემამულეთა შოვინიზმის თანამონაწილენი იქნებოდნენ, რომელთაც სურდათ ნორვეგია ძალით, ომით „შეენარჩუნებინათ“. ნორვეგიელ მუშებს გამოყოფის საკითხი რომ პირობითად არ დაეყენებინათ, ე. ი. ისე, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებსაც ჰქონოდათ უფლება გამოყოფის წინააღმდეგ ხმის მიცემისა და პროპაგანდისა, ნორვეგიელი მუშები ამით ინტერნაციონალისტების მოვალეობას დაარღვევდნენ და ვიწრო, ბურჟუაზიულ ნორვეგიულ ნაციონალიზმში ჩაეფლებოდნენ. რატომ? იმიტომ, რომ გამოყოფას აწარმოებდა ბურჟუაზია და არა

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 338.

პროლეტარიატი! იმიტომ, რომ ნორვეგიელი (როგორც ყოველი სხვა) ბურჟუაზია ყოველთვის ცდილობს გათიშოს თავისი და „უცხო“ ქვეყნის მუშები! იმიტომ, რომ ყოველი დემოკრატიული მოთხოვნა (მათ შორის თვითგამორკვევაც) შეგნებული მუშებისათვის ექვემდებარება სოციალიზმის უმაღლეს ინტერესებს“[1].

ადამიანები,—წერს ლენინი,—რომლებიც არ ჩაჰკვირვებიან საკითხს, „წინააღმდეგობას“ ხედავენ იმაში, რომ მჩაგვრელ ერთა სოციალ-დემოკრატები დაბეჯითებით მოითხოვდნენ „გამოყოფის თავისუფლებას“, ხოლო ჩაგრულ ერთა სოციალ-დემოკრატები—„შეერთების თავისუფლებას“. მაგრამ ცოტაოდენი დაფიქრება ცხადყოფს, რომ სხვა გზა ინტერნაციონალიზმისაკენ და ერების შეერთებისაკენ, სხვა გზა ამ მიზნისაკენ არსებული მდგომარეობიდან არ არის და არც შეიძლება იყოს“[2].

საკითხის ამგვარად დაყენებით, დაძლეულ იქნა ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც მოჰქონდა როგორც არ გამოყოფის, ისე გამოყოფის ლოზუნგს. ამიტომ, განმარტავს ლენინი: „ჩვენ რომ მონღოლების, სპარსელების, ეგვიპტელებისა და გამოუკლებლივ ყველა ჩაგრული და არასრულუფლებიანი ერის გამოყოფის თავისუფლებას მოვითხოვთ, სრულიადაც არა იმიტომ, რომ ჩვენ მათი გამოყოფის მომხრენი ვართ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მომხრენი ვართ თავისუფალი, ნებაყოფლობითი, და არა ძალდატანებითი, დაახლოებისა და შეერთებისა. მხოლოდ ამიტომ“[3].

გასაგებია, რომ ანტირუსული ორიენტაციის მიმდევართა ყველა ეს სეპარატისტული და ფედერალისტური გეგმები იყო არქირეაქციონური, ვინაიდან იგი ხურავდა ქართველი ხალხის ნაციონალური და სოციალურ-კლასობრივი ჩაგვრისაგან განთავისუფლების ერთადერთ შესაძლებელ გზას—რუს პროლეტარიატთან ერთად ცარიზმის, მემამულეების და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლისა და მათზე გამარჯვების გზას. ეს რომ ნამდვილად ასეა, და რომ ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრები უფრთხოდნენ საკუთარსა და რუსეთის მუშათა კლასთან კავშირს სწორედ იმის გამო, რომ მათ ბრძოლას საქართველოსთვის მოჰქონდა არა მარტო ნაციონალური, არამედ სოციალური ჩაგვრის მსხვრევაც და მათ კი არ აწყობდათ სწორედ ეს უკანასკნელი, ეს გარემოება უფრო ცხადად დასტურდება შემდეგი პერიოდის ფაქტებითაც.

1917 წელს, როდესაც რუსეთში თებერვლის რევოლუცია მოხდა და ბურჟუაზიამ იგდო ხელთ ძალაუფლება, საქართველოს ბურჟუაზიული

---

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 62.

[2] ციტირებულია ი. სტალინის „ლენინიზმის საკითხების“ მიხედვით, 1951 წ., გვ. 64.

[3] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 78.

ნაციონალისტური პარტიები არ აყენებდნენ ბურჟუაზიული რუსეთიდან საქართველოს დაუყოვნებლივ გამოყოფის საკითხს. ისინი მხოლოდ ავტონომიას მოითხოვდნენ. როგორც ჩანს, მათ კარგად ესმოდათ მილიუკოვებისა და კერენსკების ბურჟუაზიულ რუსეთთან. მაგრამ, როგორც კი ოქტომბრის რევოლუცია მოხდა და რუსეთში ბურჟუაზიის ხელისუფლების მაგიერ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება შეიქმნა, მაშინათვე საქართველოს მენშევიკური „პარლამენტშიც“ კი განაცხადეს: „სჯობს თვით ეშმაკსაც კი შევეკრათ კავშირით, ოღონდ რუსები საქართველოში აღარ შემოუშვათო“.

ძნელი გასაგები არ არის, თუ რატომ მოხდა საქართველოს ბურჟუაზიული პარტიების პლატფორმაში ასეთი სწრაფი შემოტრიალება რუსეთთან დამოკიდებულების საკითხში. მათ კარგად ესმოდათ, რომ მილიუკოვების და კერენსკების ბურჟუაზიული რუსეთი და მათი ბურჟუაზიული მთავრობა დაიცავდა ბურჟუაზიულ-მენშევიკურ საქართველოს ექსპლოატატორულ კლასებს და ამ კლასების ბურჟუაზიულ პარტიებს; მაშინ, როდესაც ლენინის საბჭოთა რუსეთი, მათ წინააღმდეგ და მათი ინტერესების საზიანოდ, დაიცავდა საქართველოს მუშებისა და გლეხების ინტერესებს.

ერთი სიტყვით, საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების საკითხი, როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანის და სომხეთის მუშებისა და გლეხების, აგრეთვე ამ ქვეყნების ბურჟუაზიული და შემამულეთა კლასებისათვის რომ ძირითადად სწორედ კლასობრივი ინტერესების ფონზე იშლებოდა და არა ეროვნული ინტერესების ფონზე, ეს თვითონ ამ კლასებმა კარგად იცოდნენ. ეს არ ესმოდა ზოგიერთ ჭონდრის კაცს, რომელიც ფიქრობდა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ეროვნული საკითხი ყოველთვის გამორიცხავდა კლასობრივ მომენტს.

ხომ ფაქტია, რომ ამიერკავკასიის შეძლებულმა კლასებმა თავიდანვე მტრული და აგრესიული პოზიცია დაიკავეს საბჭოთა რუსეთის მიმართ. რატომ? განა მათ და მათი ინტერესების გამომხატველ მენშევიკებს, დაშნაკებს და მუსავატისტებს და სხვა მათ ავან-ჩავან პარტიებს არ ესმოდათ, რომ საბჭოთა რუსეთი ამიერკავკასიის ხალხებს მოუტანდა ნაციონალურ ხსნას? არა, ისინი ისეთი ბრიყვები როდი იყვნენ. მათ ეს იცოდნენ. მაშ რატომ დაიკავეს ყველა ამ შეძლებულმა კლასებმა და მათმა არჩირეაქციონურმა პარტიებმა მტრული პოზიცია ოქტომბრის რევოლუციისა და საბჭოთა რუსეთის მიმართ მაშინ, როცა ამ რევოლუციას მათი ქვეყნებისათვის ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლება მოჰქონდა? იმიტომ რომ საბჭოთა რუსეთს ამიერკავკასიის ხალხებისათვის (ისევე როგორც სხვა ხალხებისათვის) მოჰქონდა არა მარტო ნაციონალური ჩაგვრის ლიკვიდაცია, არამედ იმავდროულად კლასობრივი ჩაგვრის ლიკვიდაციაც.

აი, სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება არ აწყობდათ მათ. „ამიერ-

კავკასიის შეძლებულმა კლასებმა,—წერს ი. ბ. სტალინი,—თვალსათლივ დაინახეს, რომ ოქტომბრის რევოლუციასა და საბჭოთა ხელისუფლებას გარდუვალი სიკვდილი მოაქვთ მათთვის. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი გახდა მათთვის. ხოლო „სოციალისტური“ ესერულ-მენშევიკური ინტელიგენცია, რომელმაც უკვე იგემა ძალაუფლების ნაყოფი და ახლა მისი დაკარგვის პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდა, ავტომატურად მოექცა შეძლებულ კლასებთან კავშირში.

ასე შეიქმნა ანტისაბჭოთა კოალიცია ამიერკავკასიაში.

„ამიერკავკასიის კომისარიატი, ერთი მხრივ, თავისი თანაარი ბეგებით, როგორიც არიან ხან-ხოისკი და ხასმამედოვი, და, მეორე მხრივ, ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენტებით, როგორიც არიან ჟორდანია და გეგეჭკორი, ამ ანტისაბჭოთა კოალიციის ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენს“[1]. „ამიერკავკასიის მოსახლეობა,—წერს ამხანაგი სტალინი,—თბილისის „მთავრობის“ წინააღმდეგია. ამიერკავკასიის მოსახლეობა რუსეთისაგან გამოყოფის წინააღმდეგია. ამიერკავკასიის მუშები და გლეხები მხარს უჭერენ რეფერენდუმს ერთი მუჭა სეიმელების წინააღმდეგ. ვინაიდან არავის, დანამდილებით არავის არ მიუცია სეიმისათვის იმის რწმუნება, რომ ამიერკავკასია რუსეთისაგან გამოეყო“[2].

განა ცხადი არ არის, რომ როგორც წინათ, ასევე მენშევიკების ბატონობის დროსაც საქართველოს ექსპლოატატორული კლასების დამოკიდებულებას რუსეთისადმი და მათ ანტირუსულ ორიენტაციას განსაზღვრავდა არა პატრიოტიზმი, არამედ მათი კლასობრივი და წმინდა ეგოისტური ინტერესები. და, განა, ისიც ცხადი არ არის, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესწავლას მკვლევარი არ შეიძლება მიუდგეს „ერთიანი ნაკადის“ ბურჟუაზიული თეორიის თვალსაზრისით და „დაიცვას“ ამ საკითხში კლასობრიობის პრინციპი. ეს კი ზოგჯერ ემართებოდათ ზოგიერთ ჩვენ საბჭოთა ისტორიკოსებს, რომელნიც ორივე ხელით ეჭიდებოდნენ „ერთიანი ნაკადის“ ამ რეაქციულ თეორიას.

საქმე იმაშია, რომ ეს ბურჟუაზიული თეორია, რომელიც მარქსიზმისა და პატრიოტიზმის მტერი და ნაციონალიზმის ტყუპია, ჯერ კიდევ მთლიანად არ ჩასულა სამარეში. ეს გარემოება ქმნის სიძნელეებს ისტორიული პრობლემების მეცნიერული გადაწყვეტისათვის, კერძოდ, იმ პრობლემების, რომელნიც ამა თუ იმ კუთხით დაკავშირებული არიან ნაციონალურ საკითხთან. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ამ თეორიის ალფა და ომეგა იმაში მდგომარეობს, რომ იგი სოციალური მოვლენებისადმი მიდგომაში „გამორიცხავს“ კლასობრიობის პრინციპს, თავს მოაქვს უპარტიობით მეცნიერებაში და ექსპლოატატორული კლასების

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 57—58.
[2] იქვე, გვ. 105.

ვიწრო ეგოისტური ინტერესები გამოაქვს ერისა და ხალხის სახელით. ნამდვილად, რა თქმა უნდა, ეს თეორია ობიექტურად თვითონვე დგას მის მიერვე უარყოფილ კლასობრიობის პრინციპის თვალსაზრისზე.

ამ თეორიით ხელმძღვანელობის დროს, მკვლევარი (მიუხედავად იმისა, ეს მას შეგნებული აქვს თუ არა) მხოლოდ იმას აღწევს, რომ მოსწყდეს სოციალური მოვლენებისადმი მიდგომის საკითხში კლასობრიობის მარქსისტულ პრინციპს, და არა იმას, რომ მან საერთოდ გაინთავისუფლოს თავი კლასობრიობის პრინციპიდან. ეს კი იმ გარემოების გამო ხდება, რომ მათ მიერ კლასობრივი საზოგადოების სოციალური მოვლენებია ასეთი თუ ისეთი ახსნა, არ შეიძლება არ დაემთხვას - ამა თუ იმ კლასის ინტერესებს. ამიტომ, არ შეიძლება, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხისადმი „ერთიანი ნაკადის“ თეორიით მიდგომის დროს გამოყვანილი დასკვნები და შეხედულებები არ დაემთხვას საქართველოში არსებული რომელიმე ექსპლოატატორული კლასის ინტერესებს. მართლაცდა, როგორც ეს ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში, ამ თეორიით მიღებული დასკვნები (როგორც არ უნდა „უპარტიობის“ და „ზეკლასობრიობის“ სამოსელში გახვიონ ისინი მათმა ავტორებმა), ზუსტად ემთხვევიან მაშინდელი საქართველოს ფეოდალური და ბურჟუაზიული კლასების ინტერესებს.

დიდი ხანია მარქსიზმში დადგენილია, რომ ისტორიულ მეცნიერებაში უპარტიობა და კლასობრივი მსოფლმხედველობის გარეშე დგომა ცდა, მხოლოდ საკუთარი თავისა და სხვა ჩამორჩენილი ადამიანების მოტყუება, უსახურობა და ბუნდოვანებაა. ლენინი 1905 წ. წერდა: „ძირს უპარტიობა! უპარტიობა ყოველთვის და ყველგან ბურჟუაზიის იარაღი და ლოზუნგი იყო“[1]. ი. სტალინი კი 1912 წელს წერდა: „...უპარტიობას არ უყვარს სიცხადე და გარკვეულობა, იგი ამჯობინებს ბუნდოვანებასა და უპროგრამობას. კლასობრივ წინააღმდეგობათა მიფუჩეჩება, კლასთა ბრძოლის მიჩქმალვა, ფიზიონომიის უქონლობა. პროგრამულობასთან ბრძოლა, ჭაობისა და ინტერესთა აღრევისაკენ მისწრაფება—ასეთია უპარტიობა. ...ბურჟუაზიისა და პროლეტარების შეკავშირება, მემამულეებსა და გლეხებს შორის ხიდის გადება, გედის, კიბოს და ღლავის დახმარებით ურმის დაძვრა—აი საითკენ მიისწრაფვის უპარტიობა. ...უთანკო კაცი, ან—უფრო ზუსტად—მხრებზე თავის ნაცვლად თალგამის ჭონე—აი უპარტიობა“[2].

ასეთია ბედიცა და ფასიც იმ მკვლევარებისა, რომელთაც უნდათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს მოუდგნენ ზეკლასობრივ-უპარტიობის სიმაღლიდან, „ერთიანი ნაკადის“ თეორიის ბუდიდან და მოატყუონ სხვაცა და საკუთარი თავიც.

---

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 55.

[2] ი. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 244—245.

„ერთიანი ნაკადის“ თეორიის წინააღმდეგ ბრძოლას და მისი რეაქციული ხასიათის მხილებას ერთგვარად ართულებს ის გარემოება, რომ იგი „პატრიოტიზმის“ ნიღაბს ეფარება, მაშინ როდესაც სინამდვილეში მის სრულ წინააღმდეგობასა და უარყოფას წარმოადგენს. სწორედ ამ თეორიაზე დაყრდნობით ცდილობდნენ ანტირუსული ორიენტაციის მომხრენი, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში მათ მიერ დაკავებული ანტიპატრიოტული პოზიციიდან გამომდინარე ნაციონალიზმი პატრიოტიზმად გამოეცხადებინათ. აღნიშნულ საკითხში ამგვარი „პატრიოტიზმის“ ნაციონალისტური ხასიათი, როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ, ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ მკვეთრად გამოამჟღავნა და გააშიშვლა ი. ბ. სტალინმა. ამხანაგმა სტალინმა მაშინ გაარკვია, რომ ასეთი „პატრიოტიზმი“ წმინდა წყლის ნაციონალიზმია, რომლითაც წინათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში საქართველოს ფეოდალური და ბურჟუაზიული კლასები თავიანთ ეგოისტურ-კლასობრივ ინტერესებს იცავდნენ. მაგრამ ახლა, როდესაც ეს კლასები ლიკვიდირებულია, ცხადია, რომ „ერთიანი ნაკადის“ თეორიის და მასზე აგებული „ცრუპატრიოტიზმის“ აღორძინების ცდა, მხოლოდ ბურჟუაზიული იდეოლოგიის, კერძოდ, ნაციონალიზმის დღემდე შემორჩენილი ნამსხვრევების რეციდივი და ამ რეციდივის დაწოლაა მარქსიზმს დაუუფლებელი ინტელიგენციის ერთ ნაწილზე. ეს ასეა ობიექტურად, მიუხედავად იმისა მათ ეა შეგნებული აქვთ თუ არა სუბიექტურად. მაგრამ ყოველგვარი ნაციონალიზმი, იქნება იგი ველიკორუსული შოვინიზმი, თუ ადგილობრივი ნაციონალიზმი, შეუთავსებელია მარქსიზმთან და წარმოადგენს მტრულ იდეოლოგიას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

ი. ბ. სტალინი პარტიის XVI ყრილობაზე ასე ახასიათებდა ორივე ამ გადახრას ნაციონალურ საკითხში და მათგან გამომდინარე საშიშროებას. „ველიკორუსული შოვინიზმისაკენ გადახრის არსს შეადგენს მისწრაფება,—ამბობდა ი. ბ. სტალინი,—უგულებელყონ ენის, კულტურის, ყოფაცხოვრების ეროვნული განსხვავებანი; მისწრაფება—მოამზადონ ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების ლიკვიდაცია; მისწრაფება — ძირი გამოუთხარონ ეროვნული თანასწორუფლებიანობის პრინციპს და სახელი გაუტეხონ პარტიის პოლიტიკას აპარატის ნაციონალიზაციის, პრესის, სკოლისა და სხვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაციონალიზაციის საქმეში“[1].

„ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრის არსს შეადგენს მისწრაფება—განცალკევდნენ და ჩაიკეტონ თავიანთი ეროვნული ნაჭუჭის ჩარჩოებში, მისწრაფება— მიჩქმალონ კლასობრივი წინააღმდეგობანი თავიანთი ერის შიგნით, მისწრაფება—დაიცვან თავი ველიკორუსული შოვინიზმისაგან სოციალისტური მშენებლობის საერთო ნაკადიდან ჩამოშორების გზით, მისწრაფება—არ დაინახონ ის, რაც აახლოებს და აერთიანებს

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 12, გვ. 394.

სსრ კავშირის ერების მშრომელ მასებს, და დაინახონ მხოლოდ ის, რაც შეუძლია დააშოროს ისინი ერთიმეორეს.

ადგილობრივი ნაციონალიზმისაკენ გადახრა გამოხატავს წინათ დაჩაგრული ერების დრომოჭმული კლასების უკმაყოფილებას პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმით, მათს მისწრაფებას—განკერძოვდნენ თავიანთ ნაციონალურ ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ და დაამყარონ იქ თავიანთი კლასობრივი ბატონობა.

ამ გადახრის საფრთხე ის არის, რომ იგი ნერგავს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ასუსტებს სსრ კავშირის ხალხების მშრომელთა ერთიანობას და ხელს უწყობს ინტერვენციონისტებს"[1].

გასაგებია, რომ რადგან ნაციონალიზმი, როგორც ი. ბ. სტალინი ამბობს, გამოხატავს პროლეტარიატის დიქტატურისადმი უკმაყოფილებას, მისწრაფვის ნაციონალური ბურჟუაზიულ სახელმწიფოს რესტავრაციისაკენ და ხელს უწყობს ინტერვენტებს, იგი არ შეიძლება არ იყოს საბჭოთა ხელისუფლების მტერი, სოციალიზმის მტერი, რომელსაც არაფერი საერთო ხალხთან და პატრიოტიზმთან არა აქვს. ამიტომ, „პატრიოტიზმის" ჩადრი, რომლითაც ნაციონალიზმი ირთვება, ეს მხოლოდ ლეღვის ფოთოლია, რომელშიაც იგი თავის ანტიპატრიოტულ ხასიათს მალავს.

ანტირუსული ორიენტაცია, რომელიც „ერთიანი ნაკადის" თეორიის გზით ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ალალ ტყუპად ხდება, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ამახინჯებს ისტორიულ სინამდვილეს, უკუღმა აბრუნებს მას, ვინაიდან რუსეთთან საქართველოს ურთიერთობას, ისე როგორც ის იყო, ეს შეხედულება მიიჩნევს შეცდომად, საქართველოს დაღუპვად მაშინ, როდესაც სინამდვილეში სწორედ რუსეთთან ურთიერთობამ იხსნა საქართველო გარდუვალი დაღუპვისაგან.

მეორეც. ასეთი შეხედულება ნიადაგს უთხრის დიდ რუს ხალხთან ქართველი ხალხის მეგობრობის ისტორიულ ფესვებს, და მას არ შეიძლება ზიანი არ მოქონდეს ამავე ხალხების და საერთოდ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების მეგობრობისათვის. საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა კი თვით საბჭოთა კავშირის არსებობისა და ძლიერების ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი წყაროა. დიდი ხანია იმპერიალისტური ქვეყნების პროპაგანდის დაწოლა სწორედ იქით არის მიმართული, რომ საბჭოთა კავშირის ძლიერების სწორედ ამ ძირითად საყრდენში შეიტანოს განხეთქილება და უნდობლობა. ასეთი ცდები, რა თქმა უნდა, განწირულია. მაგრამ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ თვალი უნდა დავხუჭოთ ქვეყნის შიგნით ასეთ გამოხდომებსა და რეციდივებზე, რომელიც წყალს უშვებს ქვეყნის გარედან მოწყობილ იმპერიალისტურ პროპაგანდაზე და მივცეთ მათ თავისუფალი გადანასკვის საშუალება.

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 12, გვ. 403—404.

რუსული ორიენტაციის პროგრესულობის საკითხი ქართულ ლიტერატურაში

ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრები, იმის გამო, რომ ეს ორიენტაცია მათ „პატრიოტიზმის“ ნიღბით გამოჰქონდათ, იძულებული ხდებოდნენ ლოგიკური გზით მისულიყვნენ იმგვარ დასკვნებამდე, რომ ქართული კულტურის ყველა ის გამოჩენილი მოღვაწე, რომელნიც რუსულ ორიენტაციაში მთსაყით საქართველოს დაღუპვას არ ხედავდნენ, ანტიპატრიოტებად მიეჩნიათ. ისინი არ უფიქრდებოდნენ იმ გარემოებას, რომ ასეთი მიდგომით ანტიპატრიოტების რიგებში ექცეოდა ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ე. ნინოშვილი, ნ. ნიკოლაძე და ქართული კულტურის სხვა მრავალი გამოჩენილი მოღვაწე. ნუთუ ისინი არ უნდა დაეფიქრებინა ამგვარ გარემოებას? ნუთუ შეიძლებოდა იმის ფიქრი, რომ ჩვენი კულტურის ყველა ეს გამოჩენილი მოღვაწე კოსმოპოლიტი იყო, რომელთაც არ უყვარდათ საკუთარი სამშობლო, ან რაიმე ანგარებით აკეთებდნენ, როცა ხაზს უსვამდნენ რუსეთის დამსახურებას საქართველოს ხსნისა და მისი კულტურის განვითარების საქმეში? ნუთუ შეიძლებოდა იმის ფიქრი, რომ მათ არ გაეგებოდათ საკუთარი პოზიციის აზრი?

აქ საქმე სწორედ იმაშია ,რომ მოწინავე ქართველ მოღვაწეებს ყველაფერი ეს ძალიან კარგად ესმოდათ. ისინი როდი იყვნენ გონება შეზღუდულნი, რომ რუსულ ორიენტაციაში კარგი და ცუდი ერთმანეთისაგან ვერ განესხვავებინათ, ან ეს კარგი და ცუდი ერთმანეთისათვის ვერ შეეფარდებინათ და ამ ორიენტაციაში არსებული „ჭუჭყიანი წყლისათვის“ (ცარიზმი) ჯანღახი ბავშვიც (რუსეთის მხსნელი როლი დაღუპვისაგან საქართველოს გადარჩენის საქმეში) თან არ გადაეყოლებინათ. ამგვარი შეცდომებისაგან მათ ის გარემოება აზღვევდათ, რომ ისინი საკითხს არ უდგებოდნენ მეტაფიზიკურად და რუსეთში მარტო ცარიზმის სატრაპებს და მათ რეაქციულ პოლიტიკასა და გეგმებს არ ხედავდნენ. მათ კარგად იცოდნენ „...რომ გარდა რეაქციული რუსეთისა არსებობდა კიდევ რევოლუციური რუსეთი, რუსეთი რადიშჩევებისა და ჩერნიშევსკებისა, ჟელიაბოვებისა და ულიანოვებისა, ხალტურინებისა და ალექსეევებისა“[1].

აი, ამ ორი რუსეთიდან ისინი ებრძოდნენ ნიკოლოზებისა და ალექ-

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 13, გვ. 26

საბრძოლების, კატკოვების და პურიშკევიჩების, აქსაკოვების და იანოვსკების რუსეთს. ამ რუსეთს თვით რუსი ხალხისათვის მოჰქონდა კლასობრივი ჩაგვრა, „რუსეთის ასმილიონიანი გლეხობის გაღატაკება, მუშათა კლასის ჩაგრული და დუხჭირი მდგომარეობა, უზომო სახელმწიფო ვალები და მძიმე გადასახადები, მთელი მოსახლეობის უუფლებობა, ცხოვრების ყველა სფეროში გამეფებული დაუსრულებელი თვითნებობა და ძალადობა"[1]. იგივე რომანოვების და იანოვსკების რუსეთს, ყოველივე ამასთან ერთად არარუსი ხალხებისათვის მოჰქონდა მძიმე ნაციონალური ჩაგვრა, მათი აბუჩად აგდება.

ამ რეაქციული რუსეთის ამგვარი პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა არავის არ ეთვლებოდა მინუსად, პირიქით. მაგრამ რევოლუციურ რუსეთთან, რომელიც იბრძოდა როგორც რუსი, ისე არარუსი ხალხის სოციალური და ნაციონალური თავისუფლებისათვის, საჭირო იყო არა ბრძოლა, არამედ მეგობრობა. ეს გარემოება ძალიან კარგად ესმოდათ ქართული კულტურის ყველაზე საუკეთესო წარმომადგენლებს. მათი ლოზუნგი იყო: ბრძოლა რომანოვების რუსეთის წინააღმდეგ, მეგობრობა რადიშჩევებისა და ჩერნიშევსკების რუსეთთან. მაგრამ ეს უბრალო ჭეშმარიტება არ ესმოდა მეცნიერების ზოგიერთ გონება შეზღუდულ ჩინოსანს. ისინი, როგორც ყველა მეტაფიზიკოსი, მისდევდნენ „ან-ან"-ის ფორმულას. მათი აზრით „ნაციონალური ღობის" გარეთ ან მტერი უნდა იყოს, ან მოყვარე. მათ არ ესმოდათ, რომ ანტაგონისტურ კლასებად გაყოფილ საზოგადოებაში ან მხოლოდ მტერი, ან მხოლოდ მოყვარე არ არსებობს თვით ამ „ნაციონალური ღობის" შიგნითაც, და რომ, ამიტომ, როგორც ამ ღობის გარეთ, ისე მის შიგნით, მტრებიც არიან და მოყვარეებიც. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რუსეთში ქართველ ხალხს შეეძლო მოეძებნა არა მარტო კლასობრივი და ნაციონალური მტრები, არამედ კლასობრივი და ნაციონალური მეგობრებიც.

ეს აზრი შემდეგნაირად გამოხატა ჩვენმა დიდმა პოეტმა აკაკი წერეთელმა: „ჩვენ,—წერდა იგი,—დიდათ ვაფასებთ ძმობას და მეგობრობას რუსეთის ერთან. მართალია, რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული, არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა"[2]. რუსეთთან დამოკიდებულების საკითხში ეს იყო მაგისტრალური ხაზი ქართველი ხალხისა და მისი მოწინავე ინტელიგენციისა. მათი დევიზი ამბობდა: რუსეთში არიან მტრები,

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ 177.

[2] „კლდე", № 6, 1913 წ. (იხ. ანა ნიკოლაძე, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები და ქართული ლიტერატურა, 1954 წ., გვ. 10).

რუსეთში არიან მოყვრებიც, ბრძოლა მტრებთან, მეგობრობა მოყვრებთან „არა მარტო ეროვნული, არამედ საყაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა“.

ზოგიერთი ახლანდელი ისტორიკოსი თავს ირცხვენს და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაგებაში ვერ ადის იმ დონემდე, რომელზეც აკაკი წერეთელი, ჩვენი სხვა პოეტები, მწერლები და პუბლიცისტები იდგნენ. ამ ისტორიკოსთა ჩამორჩენილობა მით უფრო დასანანია, რომ მათ მოღვაწეობა უხდებათ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ჩვენ ძველ მწერლებს და პუბლიცისტებს კი მოღვაწეობა უხდებოდათ ცარიზმის პერიოდში, როცა პროგრესული რუსეთის ხელშეწყობით სოციალიზმის მზე ჯერ კიდევ არ კაშკაშებდა საქართველოს ცაზე, და როცა თვითონ ეს მწერლები და პუბლიცისტები არ აცხადებდნენ პრეტენზიას არც მარქსისტობაზე, არც ჩინოსან ისტორიკოსობაზე.

ამიტომ, არა გვგონია სახარბიელო იყოს იმ ისტორიკოსთა მდგომარეობა, რომელნიც ათეული წლები იჩიჩქნებიან არქივში, ცოდვილობენ რაღაცას, ეძებენ რაღაცას, პოულობენ რაღაცას, და შემდეგ, როდესაც დიდი ზარ-ზეიმით გამოაქვთ იგი მზეზე და ცდილობენ მის შეფასებას, ირკვევა, რომ ისინი ას მილიანი ნაბიჯით უკან წასულან. ირკვევა, რომ ის, რაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში თვალის ერთი გადავლებითაც ნათელი იყო წ ი ნ ა თ ჩვენი მწერლებისა და პუბლიცისტებისათვის, იგი გაუგებარი გამხდარა ა ხ ლ ა სპეციალისტი ისტორიკოსისათვის, რომელიც ამავე დროს მარქსისტობაზედაც არ აცხადებს უარს.

სად არის აქ მიზეზი? ამის მიზეზი მათი მსოფლმხედველობის მანკიერებაშია. აქ, რა თქმა უნდა, არქივი საქმეს არ შველის, რადგანაც არქივში კაცი მიდის გარკვეული მსოფლმხედველობით, ამ მსოფლმხედველობას უმორჩილებს იგი არქივის დოკუმენტებს ,და არა პირიქით, მსოფლმხედველობას—დოკუმენტებს. რომ მთავარი „დამნაშავე“ აქ სწორედ მსოფლმხედველობის მანკიერებაა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ანტირუსული ორიენტაციის სასარგებლოდ მათ არ შეიძლება უფრო მეტი დოკუმენტები მოძებნონ „მკვდარ არქივში“, ვიდრე ჩვენ მწერლებს და პუბლიცისტებს ჰქონდათ „ცოცხალ არქივში“. ვინაიდან თვითონ მათ იცხოვრეს ცარიზმის პირობებში ათეული წლები და თვითონ ისინი მაშინ ცარიზმის, რუსი მემამულეების და კაპიტალისტების შავრაზმული ნაციონალიზმის შედეგებს თვითონ უშუალოდ განიცდიდნენ. მიუხედავად ამისა, თუ ისინი ცარიზმის ამ რეაქციული პოლიტიკისა და შავრაზმული ნაციონალიზმის გამო არ კარგავდნენ წონასწორობას, და ყოველივე ამის იქით ხედავდნენ რევოლუციურ რუსეთს, რომლისგანაც ისინი უფრო მეტ სიკეთეს მოელოდნენ, ვიდრე ვნებას რეაქციული რუსეთისაგან, ეს არ შეიძლება არ ნიშნავდეს მათი გონების სიძლიერეს, ისევე როგორც ამ რევოლუციური რუსეთის ვერ დანახვა არ შეიძლება არ ნიშნავდეს

ანტირუსული ორიენტაციის მომხრეთა გონების სისუსტესა და სიჩლუნგეს.

ამგვარად, ძნელი მისახვედრი არ არის თუ რაში მდგომარეობდა რუსეთთან დამოკიდებულების საკითხში ქართველი ხალხის და მისი მოწინავე ინტელიგენციის გენერალური ხაზი. ეს ხაზი ეყრდნობოდა რუსეთის მხსნელ როლს დაღუპვისაგან საქართველოს გადარჩენის საქმეში და ობიექტური პირობების შექმნას მისი მეურნეობის და კულტურის განვითარებისათვის. ქართულ მხატვრულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში მრავალი მასალაა, რომელშიც რუსეთთან დამოკიდებულების საკითხი სწორედ ამ სიბრტყეზეა დაყენებული და გადაჭრილი.

ჯერ კიდევ 1806 წელს რუსეთიდან გამოგზავნილ ქართულად დაწერილ წერილში ცნობილი სარდალი პეტრე ბაგრატიონი ოთარ ამილახვარს წერდა: „თქვენ იცით, თუ რუსეთის უძლეველი მხედრობა და ყოვლისმოწყალის ხელმწიფის საფარველი მაგ ქვეყანას (საქართველოს) არ შესწეოდა, აქამდინ დიდს უბედურებას მიეცემოდაო“[1]. პ. ბაგრატიონს, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა ზუსტი წარმოდგენა, თუ რა ქვენა გრძნობები ამოძრავებდა „რუსეთის ყოვლის მოწყალე ხელმწიფეს“ საქართველოს მიმართ. მაგრამ, აქ ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს არა ამას, არამედ პ. ბაგრატიონის მიერ იმ ფაქტის აღიარებას, რომ საქართველოს „რუსეთის უძლეველი მხედრობა რომ არ შესწეოდა, აქამდინ დიდ უბედურებას მიეცემოდაო“.

ნ. ბარათაშვილი ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ წერდა:

„სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი“[2].

რა თქმა უნდა, კაცს წარმოდგენა უნდა ჰქონდეს შეერთების წინა პერიოდის საქართველოს მძიმე ავბედით მდგომარეობაზე, როცა ქართველ მეფეებს და მათ რიცხვში ერეკლე მეორესაც კარზე მომდგარი მტერი პურის ჭამასაც კი არ აცლიდა, რომ გასაგები გახდეს ჩვენი ნიჭიერი პოეტის ეს სიტყვები. ქართველ კაცს იმიტომ უხდებოდა საკუთარი მიწა-წყლის „ხმლითა და ძალით ფლობა“, რომ დარტყმის ისრები უწყვეტლივ იყო მომართული მის ნაციონალურ სხეულზე, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან (ირანი), ისე სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან (თურქეთის ახალციხის საფაშო, შავიზღვის ოკუპირებული სანაპიროები, ყირიმი), ასევე ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან (დაღესტანი). რუსეთთან შეერთებამ ბოლო მოუღო ამ მძიმე მდგომარეობას, რომელსაც მიჰქონდა არა მარტო ხალხის სიცოცხლე და ქონება, არამედ მისი ნერვებიც პერმანენტულად ხალხის საომარ მდგომარეობაში ყოფნის გამო.

---

[1] ი. კუპრუბიძე, პ. ბაგრატიონი, 1953 წ., გვ. 76.
[2] ნ. ბარათაშვილი, აკად. გამოცემა, 1939 წ., გვ. 32.

ილია ჭავჭავაძე ქართველ მოღვაწეთაგან ერთ-ერთი პირველთაგანი იყო იმათში, ვინც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დადებითი შედეგები ყველაზე ღრმად და სრულად გაიგო. იგი დაუზოგავად ამხელდა და ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ რეაქციულ პოლიტიკას, მისი ჩინოვნიკების სიყეყეჩეს („მგზავრის წერილები"). ილიას რომ ცარიზმთან ალერსის პოზიცია ჰქონოდა დაკავებული, იგი მაშინ ვერ იქნებოდა ნაციონალურ განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი, როგორადაც იგი სამართლიანად არის აღიარებული. სწორედ ამის გამო გახდა კიდეც იგი მეფის ოხრანკის მსხვერპლიც. მაგრამ, ილიას სიდიადე, მისი ნიჭის უდიდესი ძალა იმაშია, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას იგი ზოგიერთი მეისტორიე თალმუდისტების მსგავსად მარტო ცარიზმის პოლიტიკით არ სწურავდა და ცარიზმის ამ პოლიტიკის მხილება და მის წინააღმდეგ ბრძოლა მას ხელს არ უშლიდა დაენახა ამ ურთიერთობაში რუსეთის მხსნელი როლი საქართველოს გადარჩენისა და მისი კულტურისა და მეურნეობის განვითარების საქმეში.

მე-19 ს. მიწურულში ილია ჭავჭავაძე წერდა: „რა საჭიროა დამალვა: ჩვენ უცილობლად გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ხოლო არც საჭიროა სიყალბე: მარტო მით, რომ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, გვიყვარს რუსეთიცა. ეს ისეთი ბუნებრივია, ისეთი ცხადია, ისეთი ადვილად გასაგებია საგანთა არსებობის მიხედვით. რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა წახდენისა და განადგურებისაგან, იგი დღესაც იფარავს მას ყოფილი წამებისა და ტანჯვის გამეორებისაგან, მან განუკურნა ჩვენ სამშობლოს მისი წყლულები". 1899 წლის 26 მაისის თარიღით, გაზეთი „იერია" პუშკინის დაბადების 100 წლის თავისადმი მიძღვნილ ნომერში რუსებს „უფროა ძმებს უწოდებდა". „...მხოლოდ ამისთანა მწერლებს,—წერდა გაზეთი,—შეუძლიანთ იმ წმინდა და შეურყეველი კავშირის, ძმობისა და სიყვარულის დამკვიდრება სხვადასხვა ერთა შორის, რომელიც სანატრელია ყოველის აწინდელის ჭართველისათვის. მაშინ დიდება და უკვდავება პუშკინის დიდებულ სახელს! აღტაცების გრძნობით შორიდან ხელს ვუწვდით ჩვენს უფროს ძმებს—რუსეთის ერსა და მასთან ერთად ვღაღადებთ: დიდება და უკვდავება პუშკინის სახელს".

ილიას მოღვაწეობაში, ერთი მხრივ, ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა და ნაციონალურ განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადობა, და, მეორე მხრივ კი, საქართველოსათვის რუსეთის მხსნელი როლისათვის ხაზის გასმა, შეიძლება წინააღმდეგობად მოეჩვენოს ზოგიერთ იმ „ვაი მკვლევარს", რომელიც მეტაფიზიკური მეთოდის „ჰო" ან „არა"-ზეა შეყვარებული და რომლისათვისაც უცხოა მოვლენის აღება მის „წინააღმდეგობრივ" ტენდენციებში. ასეთი მკვლევარები ეცდებიან ან მხოლოდ პლუსი, ან მხოლოდ მინუსი დაინახონ რუსულ ორიენტაციასთან ილიას დამოკიდებულების საკითხში და, თუ ისინი ორივეს

შენიშნავენ (პლუსის გადაჭარბებით), მაშინ მორთონ ღრიალი მათ მიერ ილიას მოღვაწეობაში „აღმოჩენილ“ წინააღმდეგობის და ორ სკამზე მისი ოპორტუნისტული ჯდომისა და ქანაობის შესახებ.

ასეთ მკვლევარებს, რა თქმა უნდა, გაუძნელდებათ გაიგონ, რომ ეს „წინააღმდეგობა“ გამოტანილია მათი საკუთარი თავიდან და შემდეგ „ჩაკერებულია“ ილიას მოღვაწეობაში. ნამდვილად ილიამ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა ისე გაიგო, როგორც იგი სინამდვილეში არსებობდა, და რომ აქ ამის გამო არავითარ წინააღმდეგობას არა აქვს ადგილი. განა ცხადი არ არის, რომ ანტირუსული ორიენტაციის „პატრიოტიზმის“ შირმით გამოტანა იმსხვერპლა ილიას ბუმბერაზ ფიგურაზე, ვინაიდან ფაქტი იყო და არის, რომ ილია რუსული ორიენტაციის დადებითად მიჩნევის მხურვალე მომხრე იყო, და ფაქტია ისიც, რომ იგი ჩვენი ქვეყნის უდიდესი პატრიოტი იყო. ამიტომ რუსული ორიენტაციის მომხრეობისათვის პატრიოტთა რიცხვიდან ილიას ამოღების ცდა ისეთივე სისულელე იქნება, როგორც ვარსკვლავებისათვის თოკის გამოდების სურვილი.

მეორე დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი გაზეთ „კავკაზსკაია რეჩ“-ში 1914 წელს წერდა: „როცა ჩვენმა წინაპრებმა მოგიწვიეს თქვენ — რუსები, მაშინ ჩვენც, შვილიშვილიშვილებს, დაგვიტოვეს ანდერძი: არ დავივიწყოთ სტუმართ-მოყვარეობა, გვიყვარდეს რუსები, მეგობრობა ვიქონიოთ მათთან და განუყრელად ვიაროთ ასეთი გზით“[1]. ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, თუ როგორი მხურვალე მომხრე იყო აკაკი წერეთელი რუსული ორიენტაციის. აქედანაც ჩანს, რომ იგი მამა-პაპათა ანდერძად მიიჩნევდა ეულო საქართველოს ამ ორიენტაციის გზით. ცხადია, აკაკი წერეთელი შორს იყო იმ მახინჯი აზრისაგან, რომელიც ჩვენს წინაპრებს სწორედ ამ ორიენტაციაზე დადგომას უთვლიდა შეცდომად და საქართველოს განწირვად.

რუსულ ორიენტაციას პროგრესულად მიიჩნევდა მესამოციანელების ერთ-ერთი ლიდერი, ცნობილი ქართველი მოღვაწე ნიკო ნიკოლაძეც. ნიკო ნიკოლაძე საქართველოსათვის უკეთეს გამოსავალს იმაში ხედავდა, რომ, როგორც იგი თვითონ წერდა, საქართველოს ერჩივნა თავისი ბედი რუსეთთან დაეკავშირებინა და არა თურქდაც მხოლოდ მფარველობის სახით (რომ აღარაფერი ვთქვათ მფლობელობაზეო) ევროპის რომელიმე ერთან[2]. არა გვგონია, რომ ნიკო ნიკოლაძის ასეთი რჩევა იმით აიხსნებოდეს, რომ მასში ნაკლები დოზით ყოფილიყოს პატრიოტიზმი, ვიდრე ანტირუსული ორიენტაციის მომხრე ქვაზიპატრიოტებში, რომელნიც კულისებში რაღაცას ფაჩუნობდნენ ძველი საქართველოს მიერ დასავლეთის ორიენტაციის აღების რაღაც უპირატესობის შესახებ.

---

[1] ვ. ი მ ე დ ა ძ ე, რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორიული ფესვები, 1953 წ. გვ. 25.

[2] ა ნ ა ნ ი კ ო ლ ა ძ ე, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები და ქართული ლიტერატურა. 1954 წ., გვ. 276.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა სწორედ ესმოდათ ბევრ სხვა ჩვენს პუბლიცისტს, პედაგოგს, მწერალს და საზოგადო მოღვაწეს. მათ სწორ ორიენტირებას ამ საკითხში უზრუნველყოფდა ის გარემოება, რომ ამ ურთიერთობაში მათ თვალწინ არ ჰქონდათ დაგებული ამ ორიენტაციის თანმხლები მარტოოდენ უარყოფითი მხარე—ცარიზმის რეაქციულ-რუსიფიკატორული პოლიტიკის სახით. და ამის გამო, ისინი რუსეთში მარტო ლაზარევებს, იანოვსკებსა და მათ ავან-ჩავანთ არ ხედავდნენ. როგორც 1882 წელს ჟურნალ „იმედში“ (№ 3) სტ. ჭრელაშვილი წერდა, მათ კარგად იცოდნენ, რომ რუსეთში, მართალია, იყვნენ „...აქსაკოვებიც, ხომიაკოვებიც, კირეევსკებიც, კატკოვებიც“, მაგრამ იქვე იყო „...დობროლიუბოვიც, პისარევიც, ჩერნიშევსკიც, ბელინსკიც“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რუსეთში საჭირო იყო მტრისა და მოყვრის ერთმანეთისაგან გარჩევა და არა პროკრუსტეს სარეცელზე ყველა მათგანის თანასწორად დადება.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა მეტად სწორად და ღრმად გაიგო ეგნატე ნინოშვილმა. მას კარგად ესმის არა მარტო ის მიზეზები, რომელთაც საქართველო ისტორიული აუცილებლობით ამ ორიენტაციის აღებამდე მიიყვანეს, არამედ მთელი ის დადებითი შედეგებიც, რაც ამ ორიენტაციამ საქართველოს მოუტანა. ეგნატე ნინოშვილმა გაბედულად უარყო ბურჟუაზიული ნაციონალიზმით დასნეულებული „ერთიანი ნაკადის“ თეორია და ამით გზა გაიხსნა ამ ურთიერთობის სწორი შეცნობისაკენ.

თავის მოთხრობა „ჯანყი გურიაში“ ერთ-ერთ მოქმედ პირს, გიორგის, რომელიც თვით ავტორის კრედოს უნდა გამოხატავდეს, იგი ათქმევინებს: „ჩვენი ქვეყანა შეერთდა რუსეთთან იმიტომ, რომ ჩვენი უგუნური, არამზადა მთავრებ-მეფეების ურთიერთ შორის ჩხუბებით და ძარცვა-ღლეტის გამო სრულიად დაუძლურებული ვიყავით და მოველოდით, აი დღეს, აი ხვალ აგვიკლებს სპარსი, ოსმალი, ლეკი და სხვა ბარბაროსი ხალხიო. რა რომ რუსეთს შევუერთდით, მას შემდეგ მხრით სრულიად უშიშარნი შევიქენით. შესაძლებელია, დღეს ჩვენთვის უმჯობესი იყოს, რომ ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი შეიქმნებოდეს, მაგრამ სამაგიეროდ იმას კი აღარ ბრძანებთ, თუ რა ვიქნებოდით აქომამდე, რუსეთს რომ ჩვენთვის პატრონობა არ გაეწია! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენ ვიქნებოდით მაშინ ბარბაროსი ოსმალეთის ანუ ეგეთივე ბარბაროსი სპარსეთის ყურმოჭრილი ყმა, მხოლოდ რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა ამ უბედურებისაგან. ეს

ყოველივე უნდა ვიქონიოთ სახეში და ცალმხრივი მსჯელობა აღარ მოგვივა"[1].

ამავე ნაწარმოების სხვა ადგილზე, როდესაც ეგნატე ნინოშვილი ეხება გურიაში რუსეთის დამკვიდრებასთან დაკავშირებით თურქეთის ხელში მყოფ აჭარა-ქობულეთში შექმნილ მდგომარეობას, რომანის ავტორის სახელით წერს: „...ამის გამო ძლიერ დაფიქრებული იყვნენ იქაური თავადები (ბეგები), რომლებსაც დროიანად მიეყიდნათ თავიანთი სამშობლო და ხალხი ოსმალეთისათვის და ახლა ცხოვრობდნენ ხონთქრის მიერ ბოძებული ჯამაგირებით და ულუფებით. ამ ბეგებს კარგად ესმოდათ, რომ რუსეთის ხელმწიფე ისე ტყუილა ხელობა-ჯამაგირებს არ მიაჩეჩებდა, როგორც ხონთქარი, რომელიც თითო გოგოს ფასად აჯილდოვებდა მათ ფაშობის ღირსებით, დიდი ჯამაგირებით და მოსამსახურეებით... ისინი (აჭარა-ქობულეთის ბეგები.—მ. ა.) ამ მიზნის (გურიიდან რუსების გასარეკად.—მ. ა.) მისაღწევად უმეგობრდებოდნენ გურიის იმ დროინდელ თავადაზნაურობას..."[2].

როგორც ვხედავთ, ანტირუსულ ორიენტაციაზე ე. ნინოშვილის გაგებით იდგა თავადაზნაურობა. ამავე დროს, ეგნატე ცდილობს ახსნას ამის მიზეზები. მისი აზრით ხონთქრის ხელში თავადაზნაურობას უკეთესად ეცხოვრებოდა, ვიდრე ცარიზმის ხელში. და რომ ყველა ეს თავდგირიძეები, ხიმშიაშვილები და სხვა ქართველი ბეგები და ფაშები ცუდად არ გრძნობდნენ თავს თურქეთის ხელში მოქცეულ ქართულ რაიონებში, ისევე როგორც ცუდად არ გრძნობდნენ თავს ხანი იოსელიანები სპარსეთის ფერეიდანშიც კი. რა თქმა უნდა, არც ცარიზმის პოლიტიკისათვის იყო უცხო ქართველი თავადაზნაურობის კლასობრივი ინტერესების დაცვა, მაგრამ ამ მხრივ, ეგნატე ნინოშვილის აზრით, თურქეთის ხელისუფალთა ხაზი უფრო შორს მიდიოდა. ამ გარემოებას, ეგნატეს აზრით, არ შეიძლებოდა არ ემოქმედა რუსული ორიენტაციის საწინააღმდეგოდ და თურქული ორიენტაციის სასარგებლოდ ქართველ თავადაზნაურობაში. ეგნატეს კარგად ესმის ისიც, რაც არ ესმოდათ და არ ესმით ანტირუსული ორიენტაციის მომხრეებს. მას ესმის, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვა მოშზადდა არა ერეკლეს პოლიტიკით, არამედ ისტორიულად წარმოქმნილი პირობებით, საგარეო და საშინაო მიზეზების წყალობით.

ამ საშინაო მიზეზებში, რომლებიც ასუსტებდნენ ქვეყანას, ძირს უთხრიდა მის ძლიერებას, და ამზადებდნენ დამოუკიდებლობის დაკარგვას, რა თქმა უნდა, არავითარი ბრალი არ მიუძღვის ქართველ ხალხს, მის

---

[1] ეგნატე ნინოშვილი. თხზულებათა სრული კრებული. 1954 წ., გვ. 19. (ხაზი ჩემია.—მ. ა.).

[2] იქვე, გვ. 12—13 (ხაზი ჩემია.—მ. ა.).

მშრომელ კლასებს. ისინი ქვეყანას დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის აძლევდნენ ყველაფერს იმის მაქსიმუმს, რის მიცემაც მათ შეეძლოთ. აძლევდნენ: ჰურს, სისხლსა და სიცოცხლეს. მაგრამ ასევე როდი იქცეოდნენ ქართველი ფეოდალები და მთავრები. ისინი, პირიქით, თავიანთი კლასობრივი და ეგოისტური პოლიტიკით, ერთი მხრივ, ურთიერთ გაუთავებელი ომებით და, მეორე მხრივ, ამ მშრომელი კლასების მიმართ სასტიკი მოქცევით და ექსპლოატაციით, მათი გაყიდვით (ტყვეთა ვაჭრობა), ნიადაგს აცლიდნენ ქვეყნის ეკონომიურ არტერიას და სამხედრო პოტენციალს. ეს გარემოება ძნელი მისახვედრი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძირითადად ყმა გლეხი იყო ქვეყნის არა მარტო ეკონომიური დასაყრდენი, არამედ მუდმივი არმიის არარსებობის პირობებში მისი სამხედრო დასაყრდენიც.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვის მომზადების შინაგან მიზეზებში ქართველი ფეოდალებისა და მთავრების ეს ანტიპატრიოტული როლი კარგად ესმის ეგნატე ნინოშვილს და ამიტომ არის, რომ, როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ, იგი წერს: „ჩვენი ქვეყანა შეერთდა რუსეთთან იმიტომ, რომ ჩვენი უგნური, არამზადა მთავრებ-მეფეების ურთიერთ შორის ჩხუბებით და ძარცვა-ღლეტის გამო სრულიად დაუძლურებული ვიყავით და მოველოდით, აი, დღეს, აი ხვალ აგვიკლებს სპარსი, ოსმალო, ლეკი და სხვა ბარბაროსი ხალხიო“.

იმავე დროს ეგნატეს კარგად ესმის, რომ საქართველო დამოუკიდებლობის დაკარგვისაკენ მიჰყავდა საგარეო ხასიათის მიზეზებსაც, მაჰმადიანური ქვეყნების ურდოების პერმანენტულ მოწოლას. თავის ერთ კორესპონდენციაში „წერილი დაღესტნიდგან“ (1891 წ.), ეგნატე წერდა: „საქართველოს ორი-სამი მტერი მუდამ ადგა კარზე, რომელთაც უნდა გაჰმკლავებოდა“[1]. ეს საშინაო და საგარეო მიზეზები ერთმანეთს აძლიერებდნენ, პირველი მეორეს უწყობდა ხელს, მეორე პირველს და ამ გზით მიჰყავდათ საქართველო დამოუკიდებლობის დაკარგვისაკენ და მიიყვანეს კიდეც. ეგნატე წერს: „აუარებელი მტრისაგან დაუძლურებულმა საქართველომ რუსეთს შეაფარა თავიო“[2]. და მერე, როგორი იყო რუსეთისათვის თავის შეფარების შედეგები? გიორგის პირით ეგნატე ამბობს: „აჭობამდე, რუსეთს რომ ჩვენთვის პატრონობა არ გაეწია! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენ ვიქნებოდით მაშინ ბარბაროსი ოსმალეთის ანუ ეგეთივე ბარბაროსი სპარსეთის ყურმოჭრილი ყმა, მხოლოდ რუსეთმა იხსნა ჩვენი ქვეყანა ამ უბედურებისაგან“. თითქოს ეგნატე ჩვენს ახლანდელ ზოგიერთ ქვაზიისტორიკოსს აფრთხილებდეს, დაასკვნის: „ეს ყველაფერი უნდა ვიქონიოთ სახეში და ცალმხრივი მსჯელობა არ მოგვევაო“.

---

[1] ეგნატე ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, 1954 წ., გვ. 515.

[2] იქვე.

ეგნატე ნინოშვილის მხრივ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხის ძირითადად სწორი გაგება იმით აიხსნება, რომ იგი იყო მარქსიზმის პიონერი საქართველოში. მან გაბედულად უარყო პატრიოტიზმის ქურქში გახვეული „ერთიანი ნაკადის“ თეორია და გადაჭრით დადგა სოციალური და ეროვნული საკითხებისადმი მიდგომაში კლასობრიობის პრინციპზე. ანასტასია წერეთელს იგი სწერდა: „ჩვენს ქვაზიპატრიოტებთან საბრძოლველად ჯანიც მეყოფა, სწავლაც და ფაქტებიცაო“[1]. თავის ერთ პუბლიცისტურ წერილში იგი ირონიით ლაპარაკობს ალ. ორბელიანზე, რომელიც ამტკიცებდა, რომ ჩვენში „ბატონყმობა იგივე მამაშვილობა იყოო“[2]. ეგნატე აკრიტიკებს ამ ყალბ შეხედულების მომხრეებს და წერს, რომ ჩემი მოწინააღმდეგე ქვაზიპატრიოტები, ძალიან ჩამორჩენილი ხალხია: „ღმერთო ჩემო! ასე გეგონებათ, ამ კაცებს საფრანგეთის პირველი რევოლუციას აქეთი ფაქტების, მიმართულებანის, კლასების, დასების და სხვებისა... ამბათაც კი არ გაუგიათ რაო“. ისინი ებღაუჭებიან ძველ სიყალბეს და არ ესმით, რომ „ადრე თუ გვიან ჭეშმარიტებას უფრო ბევრი თაყვანისმცემელი ეყოლება, თანამ დღეს ჩვენ ქვეყანაში მოწონებულ სოფიზმებს და დამყაყებულ აზრებს“[3].

ეგნატე აკრიტიკებს „ერთიანი ნაკადის თეორიას“, და წერს, რომ, როცა მეველე და პლებსი (ე. ი. დ. მიქელაძე და ნ. ხიზანიშვილი), „უფროსთა“, ე. ი. თავადაზნაურობის გამდიდრებაზე ზრუნავენ, „ჩვენს ერზე“ ლაპარაკით რადღა გვაძულებენ თავს! ნუთუ არ იციან, რომ მარტო „უფროსნი“ არ შეადგენენ ერს?“[4] ეგნატე ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმის პირობებში ამა თუ იმ ქვეყნის სიმდიდრე მისი ხალხის კეთილდღეობას კი არ ნიშნავს, არამედ პირიქით. იგი ააშკარავებს ბურჟუაზიული სტატისტიკის მაქინაციებს ქვეყნის ეროვნული შემოსავლის მოსახლეობის საერთო რაოდენობაზე გაყოფით მიღებული საშუალო ინდექსით ამტკიცოს თვით მოცემული ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის ხასიათი. მაშინდელი სტატისტიკის მონაცემებით ეს საშუალო ინდექსი ყველაზე მაღალი ინგლისში, ჰოლანდიაში და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოდიოდა. და მერე რა, კითხულობს ეგნატე, ინგლისში „...რაში გამოადგა ერთი ნაწილის სიმდიდრე მეორე ნაწილს, პროლეტარებს, რომლებიც აქა-იქ ქუჩებზე შიმშილით იხოცებიან იმ დროს, როცა რომელიმე მდიდარი ლორდი, ან ბურჟუა დღიურად თუმნობით ხარჯავს თავისი ძაღლის სარჩენად?“[5] ასევეაო, დაასკვნის ეგნატე, აშშ, სადაც

---

[1] ეგნატე ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, 1954 წ., გვ. 579.
[2] იქვე, გვ. 538.
[3] იქვე, გვ. 579.
[4] იქვე, გვ. 543.
[5] იქვე, გვ. 534.

„...ერის ერთ ნაწილს, და კარგა დიდ ნაწილსაც, შიმშილით კუჭი ეწვის და არაფერში გამოსდგომია ბურჟუაზიის სიმდიდრე“[1].

ეგნატეს მოჰყავს ელეონორა მარქსის ცნობები, რომლის მიხედვითაც, ინგლისში ხუთი კაციდან ერთი უქმელობით სუსტდება და კვდება, რომ ბევრმა დოკერმა იცის მხოლოდ თავისი სახელი, და გვარი კი არა, რომ ზოგმა მათგანმა არ იცის ზეპირად თავისი ბინის მისამართიც კი. „ეს გახლავს იმ ინგლისში,—წერს ეგნატე,—რომლის შესახებაც „ივერიის“ სტატისტიკოსი ამბობდა ყველაზე მდიდარიაო“. და დაასკვნის: „ასე, ჩემო მკითხველო, ცალმხრივი სიმდიდრე ნუ გაგვახარებს, სანამ გუდები ისე არ იქნება მომზადებული, რომ ყველა გამრჯელს შეეძლოს იმისგან ღვინის სმა. იქნებ გვითხრან: რაც უნდა იყოს, მაინც უნდა გიხაროდეთ, რადგან ქართველი კაცი, შენი მოძმე, გამდიდრდებაო. ვერაფერი ნუგეშია, ჩემო კარგო, თუკი ჩვენ „უმცროსნი“ შიმშილით დავიხოცებით. ჩვენებური ანდაზაა: „თუ შემჭამს, გინდა შავი ტყის მგელს შევუჭამივარ და გინდა შინაურ ძაღლსაო, მაინც შეჭმა და შეჭმააო“[2].

ეგნატე ამგვარი შეხედულების მქადაგებლებს ბურჟუაზიის ინტერესებს დამცველებად მიიჩნევს და წერს: „მაგრამ დროა დავეხსნათ ჩვენს პაწაწინა ბურჟუებს, იმათ თუნდა plebs-ობა დაირქვან და თუნდა გრაკხობა, ეს სულ მოსატყუებელი სახელები იქნება, რადგანაც ისინი ყოველთვის და ყოველგან პატრიციების ინტერესებს დაიცავენ“[3].

მას შემდეგ, რაც ეგნატე „ბატონყმობის მაჰაშვილობად“ მიიჩნევის, ერთიანი ნაკადის თეორიას და მათ დამცველ ქვაზიპატრიოტებს აკრიტიკებდა, 60 წელზე მეტი გავიდა. სამწუხაროდ, ჩვენში ახლაც მოიპოვებიან „მეველისა“ და „პლებსის“ იდეური მემკვიდრენი, ამგვარი მდგომარეობა იმის მაჩვენებელია, რომ მახინჯ იდეებსაც ზოგჯერ ფოლადზე მეტი გამძლეობა აქვთ. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სახარბიელო იყოს იმათი მდგომარეობა, რომელთაც საკუთარი თავი ასეთი არჭაული იდეების ცოცხალ მუზეუმად გადააქციეს.

ანტირუსული ორიენტაციის მიმდევართა შეცდომა იმაშიც იყო, რომ რუსული ორიენტაციის დამღუპველად მიჩნევას ისინი მიჰყავდა აგრეთვე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის — ქართულ კულტურაზე რუსული კულტურის კეთილმყოფელი გავლენის უარყოფამდე. ამ გავლენაზე, რომელსაც „წვრილფეხა პატრიოტები“ უგულვებელყოფდნენ, მათი ლოგიკით ანტიპატრიოტებში მითვლილი ილია ჭავჭავაძე წერდა: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს,

[1] ეგნატე ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, 1954 წ., გვ. 535.
[2] იქვე, გვ. 544.
[3] იქვე, გვ. 545.

ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავკარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზედ გავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ—მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებას და გამოკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ"[1].

როგორც ცნობილია, თვითონ ილია ჭავჭავაძემ ოთხი წელი გაატარა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც ის უფრო უშუალოდ გაეცნო რუსულ კულტურას. საკუთარ თავზე ამ ოთხი წლის ნაყოფიერ გავლენაზე ილია „მგზავრის წერილებში" წერდა „...იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელის და სინათლის შუა ბედისაგან გადებული...

ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა... ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო"[2].

დიდი ქართველი ხელოვანი კოტე მარჯანიშვილი კი წერდა: „გულითადი მადლობა დიად რუსეთს! მან მომცა დიადი ჩაწვდომის უნარი, უნარი ადამიანის სულის კუნჭულებში ჩახედვისა, რუსეთმა მიმაჩვია ჩემი არსების შიგნიდან ცხოვრების განჭვრეტას, მის მზერას ჩემივე სულიდან... გულითადი მადლობა მას, ჩემს მეორე სამშობლოს, მადლობა მშვენიერ რუსეთს"[3].

ყველაფერი ეს (დუმილი რუსული კულტურის კეთილმყოფელ გავლენაზე) ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრებს იმიტომ სჭირდებოდათ, რომ სხვაგვარად მათ „მარილ მოუყრელი გამოუვიდოდათ" რუსული ორიენტაციის „დამღუპველობის" მტკიცება.

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი მეცნიერული სისრულით და ყოველმხრივობით არ ყოფილა დამუშავებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. თუ, ერთი მხრივ, ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრებს ეს საკითხი დაჰყავდათ მხოლოდ ცარიზმის რეაქციულ-რუსიფიკატორული პოლიტიკის მხილებამდე და ფიქრობდნენ, რომ ამით ამოიწურებოდა ყველაფერი, მეორე მხრივ, ისინი, ვინც რუსული ორიენტაციის პროგრესულობის თვალსაზრისზე იდგნენ, ვერ შესძლეს ამ საკითხის სიღრმეში ჩაწვდომა, მისთვის ღრმა მეცნიერული დასაბუთების მიცემა. ეს გარემოება კი არ შეიძლებოდა ჩვენში ისტორიული მეცნიერების ჩამორჩენის ერთ-ერთ სიმპტომად და ამ

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, 1928 წ., ტ. VIII, გვ. 285.
[2] „მემუარები", თბილისი, 1947 წ., გვ. 67.
[3] ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, 1948 წ., გვ. 8.

უბანზე მომუშავე ისტორიკოსთა ერთი ნაწილის თეორიულ უმწეობად და უდარდელობის გამოხატულებად არ ყოფილიყო მიჩნეული.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხის დამუშავება მოითხოვს მის ყოველმხრივობაში განხილვას. ასეთი განხილვა ცხადყოფს როგორც რუსეთის როლს ნაციონალური კატასტროფისაგან საქართველოს გადარჩენისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის პირობების შექმნაში, ისე მისი იმ უარყოფითი მხარეების ჩვენებას, რომელიც ცარიზმის რეაქციულ-რუსიფიკატორული პოლიტიკის გამო თან დაჰყვა მას. სხვაგვარი მიდგომა ყოველთვის ცალმხრივობამდე მიგვიყვანს და არ მოგვცემს ჭეშმარიტების დანახვის შესაძლებლობას.

რუსმა ხალხმა, რუსეთმა მე-18 საუკუნის საქართველოს თავი ააღებინა თურქეთ-ირანის გილიოტინიდან, შეუნარჩუნა მას სიცოცხლე, მისცა მყუდროება, შეუქმნა ეკონომიური და კულტურული აღორძინებისათვის პირობები და უზრუნველჰყო მისთვის ის დიდი წარმატებები, რასაც საქართველომ ეკონომიკისა და კულტურის ფრონტზე მიაღწია მე-19 საუკუნეში. ამავე დროს ცარიზმი თავს დაესხა მას თავისი რუსიფიკატორული პოლიტიკითა და ნაციონალური ჩაგვრით. იგი ცდილობდა მის გადაგვარებას, ასიმილაციას, როგორც ეროვნული ერთეულის ამოთხრას. მაგრამ, როგორც ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რუსეთსა და საქართველოში მაშინ შექმნილმა ობიექტურმა პირობებმა ცარიზმს არ მისცა ამის საშუალება და მან მხოლოდ ის შესძლო, რომ ჭრილობა მიაყენა საქართველოს ეროვნულ სხეულს.

ეს არის ჭეშმარიტება, რომელიც აშინებდათ, როგორც ნაციონალიზმის რეციდივებით დამძიმებულ ზოგიერთ „მკვლევარებს“, ისე კოსმოპოლიტებსა და ნიჰილისტებს. პირველთ სურდათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხის ამგვარი შეფასებიდან მოეხსნათ მთლიანად პირველი ნაწილი, დაეტოვებინათ მხოლოდ მეორე და უფრო გაემძაფრებინათ ის, მეორენი კი ცდილობდნენ, მოეხსნათ მეორე ნაწილი და დაეტოვებინათ მხოლოდ პირველი. ეს იყო მათი მთავარი ხაზი. ზოგჯერ ცალკეული ფრაზების ხმარება, პირველთა მიერ რუსული ორიენტაციის პროგრესულობაზე და მეორეთა მიერ ცარიზმის რეაქციულ პოლიტიკაზე, საქმეს არ შველოდა, რამდენადაც ცალმხრიობის დასაფარავად ისინი უადგილოდ იყენებ მიკერებული მათ ძირითად ხაზზე და ორგანულად არ გამომდინარეობდნენ მოცემული საკითხის მათებური განხილვიდან.

ასეთი მკვლევარები ეძებდნენ ან აბსოლუტურ ბოროტებას, ან აბსოლუტურ სიკეთეს, და ვერ წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება არსებულიყო ბოროტება ნარევი სიკეთე და სიკეთე ნარევი ბოროტება. ცარისტული რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობა ეს იყო ბოროტება ნარევი სიკეთე. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ ურთიერთობაში დიდი და გადამწყვეტი ნაწილი ჩათესილი იყო სიკეთე. ამ სიკეთემ ააღებინა საქართველოს თავი თურქეთ-ირანის გილიოტინიდან და შეუწყო ხელი მის

შემდგომ განვითარებასა და გაძლიერებას. ეს სიკეთე ეკუთვნოდა რუს ხალხს, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის პროგრესულ და მოწინავე რუსეთს. მაგრამ, რამდენადაც რუსეთში არსებობდა ცარიზმი, ამ ურთიერთობაში იყო ბოროტების გარკვეული დოზა. იგი გამოიხატებოდა ნაციონალურ ჩაგვრასა და ასიმილაციის ცარისტულ პოლიტიკაში. ეს ბოროტება ეკუთვნოდა ცარიზმს, რუს მემამულეებსა და კაპიტალისტებს და მათ ისეთ სატრაპებს, როგორიც იყო იანოვსკი და ძმანი მისნი მის წინ და მის შემდეგაც. რომელნიც ცდილობდნენ ჩვენში ასიმილაციის პოლიტიკით ქართველი ხალხის გადაგვარებას.

ანტირუსული ორიენტაციის მომხრეთა უბედურება იმაში იყო, რომ ისინი ტელესკოპითაც ვერ ხედავდნენ ამ ურთიერთობაში მთავარს, ძირითადს, გადამწყვეტს, წამყვანს—რუსი ხალხის მიერ ჩათესილ სიკეთეს, და ხედავდნენ მხოლოდ არა მთავარს, არა ძირითადს, არა გადამწყვეტს, არა წამყვანს—ცარიზმის მიერ ჩათესილ ბოროტებას. ერთი სიტყვით, მათ არ ესმოდათ, რომ რუსულმა ორიენტაციამ საქართველოს სიცოცხლე შეუნარჩუნა, და ეკონომიური და კულტურული განვითარების პირობები შეუქმნა, და ესმოდათ მხოლოდ ის, რომ ცარიზმი საქართველოს ასიმილაციის პოლიტიკით ავიწროებდა. როგორც ჩანს, ამ ადამიანებს შეეძლოთ სიკეთის მთა თივის ბულულომდე დაეყვანათ, ხოლო ბოროტების ურჩხული იმდენად გაეზარდათ, რომ მას დედამიწაც აღარ ყოფნიდა ფეხის მოსაკიდებლად.

ისინი ცუდი მხრით გაგებულ რუსოფილობაში სდებდნენ ბრალს რუსული ორიენტაციის პროგრესულად მიჩნევის მომხრეებს და იწყებდნენ გოდებას, რომ ანტირუსულმა ორიენტაციამ ფართო გასაქანი ვერ მიიღო. ეს კი თითქოს იმიტომ მოხდა, რომ მათ ვერ გაუგეს და რომ ცარიზმის ბატონობის პირობებში შექმნილი კონიუნქტურა არ ქმნიდა მათ სასარგებლოდ ამინდს. ისინი ივიწყებდნენ, რომ გაექცე ჭეშმარიტებას ისევე ძნელია, როგორც ის, რომ გაექცე საკუთარ ფეხებს. მართლაცდა, რა კონიუნქტურა ჰქონდა და ვინ აძალებდა ერეკლეს, თვითმპყრობელ მეფეს, როდესაც ის ანტირუსულ ორიენტაციას უარყოფდა? ან ვინ აძალებდა ნ. ბარათაშვილს, ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ე. ნინოშვილს და სხვებსა და სხვებს, როცა ისინი რუსულ ორიენტაციაში საქართველოს დაღუპვას კი არა, მის ხსნას ხედავდნენ? ან რა კონიუნქტურა აიძულებდა ახალგაზრდა სტალინს, როდესაც მან ჯერ კიდევ 1904 წელს ანტირუსული ორიენტაცია შეაფასა, როგორც „პატრიოტიზმის“ ნიღაბში გამოხვეული ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, რომლის ნამდვილ აზრსაც მალე მიხვდნენ ქართველი მუშები, და როგორც ი. ბ. სტალინი მაშინ წერდა „სიცილი მიაყარეს საქართველოს „მხსნელებს“[1].

განა ცხადი არ არის, რომ მათი გოდება რაღაც კონიუნქტურაზე

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 35.

ეს მათი უკანასკნელი იმედი და საშუალება იყო: არ ეკისრათ აშკარად და პატიოსნათ შეცდომები და კონიუნქტურაზე გოდებით დაეფარათ თავიანთი ჩავარდნები და შეენარჩუნებინათ „სახის კარგი გამომეტყველება ცუდი თამაშის დროს?" მათ ავიწყდებოდათ, რომ ასეთი უსაფუძვლო იმედი მხოლოდ მღვიძარი კაცის სიზმარი იყო, რომელიც ისევე ვერ გადააქცევდა მათ შეცდომებს ჭეშმარიტებად, როგორც სიზმარი ვერ გადააქცევდა გლახაკს მეფედ.

ანტირუსული ორიენტაცია და ქართველი ერის გადაგვარების საკითხი

ერთ-ერთი ძირითადი „არგუმენტი", რომელზედაც ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრები მთელ თავიანთ კონცეფციას და აგიტაციას აგებდნენ, ეს ის გარემოება იყო, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ, ცარიზმის რუსიფიკატორულ-კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად, თითქოს დაღმავალი პროგრესიის პროცესით საქართველო გადაგვარებასა და გაჭრობამდე მიდიოდა. ეს „არგუმენტი" თვითონ მათ იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, რომ მას ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეკავა მთელ მათ იდეურ შეიარაღებასა და აგიტაციაში. გასაგებია, რომ ამ გარემოების გამო, არ შეიძლება ასე თუ ისე სრული იყოს ანტირუსული ორიენტაციის მიმდევართა იდეური პროფილის ჩვენება, თუ არ იქნა გარკვეული მათი ეს მთავარი „არგუმენტი". ეს მით უფრო აუცილებელი ხდება, რომ ანტირუსული ორიენტაციის ახლანდელ ეპიგონებსაც ხელი არ აქვთ აღებული მასზე.

ამ „არგუმენტის" შესახებ ანტირუსული ორიენტაციის ერთ-ერთი მესვეური, ფედერალისტთა ლიდერი არ. ჯორჯაძე 1911 წელს წერდა, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთების „...შედეგი იყო არა მარტო დაძაბუნება და შესუსტება ქართული ეროვნებისა, არამედ შემუშავება პირობებისა ეროვნების სრული მოსპობისა და ქართველი ხალხის დედამიწის ზურგიდან აღგვისა"[1]. ამ მოყიალე აზრის მიხედვით, რუსეთთან საქართველოს შეერთება ნაციონალური კატასტროფისაგან საქართველოს გადარჩენა კი არ იყო, არამედ მისი განწირვა ხანგრძლივი ნაციონალური აგონიისათვის, რომელიც ბოლოს მაინც ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად მისი გადაშენებით და გაჭრობით, ან როგორც ისინი წერდნენ: „დედამიწის ზურგიდან მისი აღგვით" დამთავრდებოდა.

საკითხისადმი ამგვარი მიდგომის დროს, ისინი უარყოფდნენ არა მარტო რუსეთთან საქართველოს შეერთების პირველსა და უშუალო შედეგს,—თურქეთ-ირანის მხრივ გარდუვალი დაღუპვისაგან საქართვე-

[1] არ. ჯორჯაძე, ეროვნული პრობლემების გარშემო, წიგნი I, 1911 წ., გვ. 132.

ლოს ხსნას, არამედ ისინი უარყოფდნენ რუსეთთან ურთიერთობის შედეგად ქართული კულტურისა და მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობასაც. რაღაც ალქიმიის ძალით, ისინი ქართული კულტურის განვითარებისათვის ამ ხელის შეწყობას აქცევდნენ ქართული კულტურის აგონიის და დაცემის ხელშეწყობად. ამ შემცდარი შეხედულების გაგრძელება იყო ისეთი ვარაუდი, რომლის მიხედვითაც თითქოს ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად ქართველი ერი გადაგვარდებოდა და გაჭრებოდა მისთვის, რომ შემთხვევით სოციალისტურ რევოლუციას არ მოესწროო.

ჯერ ერთი, საქართველო რომ რუსეთთან არ ყოფილიყო დაკავშირებული, მაშინ აქ არც სოციალისტური რევოლუცია მოხდებოდა დიდი ოქტომბრის რევოლუციის უახლოეს მომდევნო წლებში. ეს ცხადია იმათთვის, ვისაც წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ როგორ იყო დაკავშირებული საქართველოს მუშათა რევოლუციური მოძრაობა რუსეთის მუშათა რევოლუციურ მოძრაობასთან.

მეორეც, საქართველო რომ რუსეთთან არ ყოფილიყო დაკავშირებული, იგი მაშინ, როგორც ეროვნული ერთეული, დიდი ხნის წალეკილი იქნებოდა თურქ-სპარსელთა ტალღისაგან. ამიტომ, სოციალისტური რევოლუციაც, რა თქმა უნდა, ოდესღაც მოხდებოდა, მაგრამ არა „ცოცხალი“, არამედ „მკვდარ“ საქართველოში, ყოფილ საქართველოში მისი ასიმილირებული მოსახლეობით. ერთი სიტყვით, საქართველოს ნახევარმილიონიანი მოსახლეობა დაიღუპებოდა იქამდე, ვიდრე იგი სოციალისტური რევოლუციის პერიოდს მიაღწევდა და თავისი ნაციონალური კულტურის ყოველმხრივ განვითარებისა და გაფურჩქვნის შესაძლებლობას მიიღებდა.

მესამე, რევოლუცია საერთოდ არც შემთხვევით შეიძლება მოხდეს და არც დეკრეტის გამოცემით. იგი არც ფოსტით მიიღება და არც ექსპორტის სახით გაიგზავნება. ამიტომ ლაყბობას რევოლუციის შემთხვევითობაზე არავითარი ნიადაგი არ შეიძლება გააჩნდეს. რაც შეეხება რევოლუციის დაგვიანებას, რა თქმა უნდა, იმის მიხედვით, თუ როგორ არის მომწიფებული მისი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, მან შეიძლება დაიგვიანოს და შეიძლება არც დაიგვიანოს. მაგრამ, როცა ამბობენ: რევოლუციას რომ დაეგვიანებია ცარიზმი მოასწრებდა საქართველოს გადაშენების დამთავრებასო, ისინი ამით თავიანთ ვარაუდს აგებენ ისეთ შესაძლებლობაზე, რომელიც გამორიცხულ იქნა.

მაგრამ, რატომ უნდა ავაგოთ ჩვენი ვარაუდი იმაზე, რაც არ მოხდა (რევოლუციის დაგვიანება), და არა იმაზე, რაც მოხდა (რევოლუციის არ დაგვიანება). განა, ის გარემოება, რომ რევოლუციამ არ დაიგვიანა, იმას არ ნიშნავს, რომ ობიექტური პირობები ამ არ დაგვიანებას უფრო უწყობდა ხელს, ვიდრე დაგვიანებას, რომელიც გამორიცხულ იქნა? მაშ, რატომ გვჭირდება „რომ ასე არ მომხდარიყოზე“ ვილაპარაკოთ? განა

ეს „რომ ასე არ მომხდარიყოს“ ფილოსოფია ერთგვარად იმას არ ნიშნავს, რომ თეოლოგმა თქვას: ვაი თუ, ღმერთს არ გაეკეთებინა ადამ და ევა, მაშინ ხომ არც ჩვენ ვიქნებოდითო, და ამაზე შექმნას ურვა და წუხილი, მოთქმა და გოდება?

საერთოდ, ამ „რომ ასე არ მომხდარიყოს“ ფილოსოფიას შორს მივალი ფესვები აქვს, და იგი უკანასკნელი ხერელი იყო ისტორიულ მეცნიერებაში შემოჭრილი ყველა ეპიგონისათვის თავის შესაფარებლად. როცა მათ მომხდარი ფაქტები არ აწყობდათ, მაშინ ისინი „რომ ასე არ მომხდარიყოს“ „ფაქტებზე“ გადადიოდნენ და იქიდან ცდილობდნენ პაექრობის მოწყობას. მათ ეგონათ, რომ ამით მიაგნეს გრანტის საფუძველს, საიდანაც მათ შეეძლოთ თვალი არ გაესწორებინათ მომხდარ მოვლენებისათვის და „რომ ასე არ მომხდარიყო“ მოვლენების ავრუმენტებით გადაერჩინათ თავიანთი მანკიერი მოსაზრებები.

ერთი სიტყვით, მათ უნდოდათ ეთქვათ: რა იცოდნენ მე-18 საუკუნის ქართველმა მოღვაწეებმა, კერძოდ ერეკლემ, როცა ისინი რუსეთს უკავშირებდნენ საქართველოს ბედ-იღბალს, რომ რუსეთში სოციალისტური რევოლუცია მოხდებოდა და საქართველოს ნაციონალური ჩაგვრისა და დაღუპვისაგან იხსნიდა. ისინი შეცდნენ, და მათი ეს შეცდომა შემთხვევით მომხდარმა რევოლუციამ გამოასწორაო. რა თქმა უნდა, არც ერეკლეს და არც მის თანამედროვეთაგან ვისმე სხვას, არათუ საქართველოში, არამედ მთელ დედამიწაზეც არ შეიძლებოდა სცოდნოდათ, თუ როგორ წავიდოდა საქმეთა მდგომარეობა რუსეთში. ეს ერეკლემ კი არა, უკანასკნელმა ნიკოლოზ რომანოვმაც არ იცოდა, რომელსაც ზედიზედ დაეცა თავზე სამი რევოლუცია. ამიტომ, ერეკლემ არათუ არ იცოდა, არც შეიძლება სცოდნოდა და არც სჭირდებოდა იგი. ერეკლეს უამისოდაც ჰქონდა საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ თურქულ-ირანულ ორიენტაციასთან შედარებით უპირატესობა რუსული ორიენტაციისათვის მიეცა.

მეოთხე, შაგრამ, როგორც იტყვიან, მივყვეთ მტყუნას მტყუანის კარებამდე. დაუშვათ, რომ სოციალისტურ რევოლუციას დაეგვიანებინა. მაშინ, მართლა გადაგვარდებოდა ქართველი ერი, როგორც ამას „რომ ასე არ მომხდარიყოს“ მოგიკანები ფიქრობენ? რა თქმა უნდა, არა. ვნახოთ ეს ფაქტებით.

ის აზრი, რომ ცარიზმის ხელში საქართველო ნელი გადაგვარების პროცესით დაღუპებოდა, როგორც ნაციონალური ერთეული, რევოლუციას რომ დაეგვიანებინაო, ფაქტებით არ მტკიცდება, იმის გამო, რომ არ მტკიცდება ამ მხრივ მოვლენების განვითარებაში დომინირებული ტენდენციის არსებობა. მართლაცდა, ამ შეხედულების მიმდევრებს უნდა ჰქონოდათ ან მთელი ქართული კულტურის, ან მისი ცალკეული ძირითადი დარგების მზარდი პროგრესიით კვდომისა და გადაგვარების აშკარა ნიშნები. სხვაგვარად ამგვარი დასკვნა ვერ გამოიყვანე-

ბოდა. ვინაიდან, თუ პროცესი მართლაც ამ გზით მიდიოდა, მაშინ მას რაში უნდა გამოესახა თავი, თუ არა ქართული კულტურის, სწორედ როგორც ქართული კულტურის დაღმავალი პროგრესიით გადაგვარებასა და ლიკვიდაციაში მისი მზარდი დაღმავალი მრუდით. მაგრამ, ჰქონდათ მათ ასეთი ხასიათის გადამწყვეტი ფაქტები, ასეთი სიკვდილის აშკარა ნიშნები? ქართული კულტურის ასეთი სიკვდილის აშკარა ნიშნები მათ არა ჰქონდათ. პირიქით, მიუხედავად ცარიზმის პოლიტიკისა და ამ მხრივ მისი აშკარად ვერაგული გეგმებისა, ჩვენ საქმე გვაქვს ქართული კულტურის ისეთ მძლავრ აღმავლობასთან მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე, როგორიც საქართველოს არ ჰქონია წინა ექვსი საუკუნის განმავლობაში.

ქართული კულტურის დაღმავალი პროგრესიით კვდომისა და გადაგვარების, და ამით, თვით ქართველი ხალხის, როგორც ნაციონალური ერთეულის გაქრობის ვარაუდი, ანტირუსული ორიენტაციის მომხრეთა მთავარი არგუმენტი იყო რევოლუციის წინა დროის ქართულ ფეოდალურ და ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში. ამ ყალბ შეხედულებას დღემდე ჩვენს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში არ მიუღია ყოველმხრივი შეფასება. ეს საკითხი თავისთავად, რა თქმა უნდა, დიდი საკითხია, და სპეციალურ კვლევას მოითხოვს. ჩვენ მხოლოდ აქ ზოგიერთ ძირითად მომენტებზე შევჩერდებით.

რევოლუციამდელი ანტირუსული ორიენტაციის მიმდევართა ასეთი თვალსაზრისი ემყარებოდა არა ფაქტიური მდგომარეობის ანალიზსა და მასალას, არა ქართული კულტურის დაღმავალი პროგრესიით მზარდი დაქვეითებისა და მის მიერ ნაციონალური ხასიათის ასევე დაღმავალი პროგრესიით მზარდი დაკარგვის ფაქტებს, არამედ ცარიზმის ოფიციალურ პოლიტიკას, მეფის მთავრობის ცირკულარებს, ღონისძიებებს, დირექტივებს, რომელთაც მართლაც ჰქონდათ ასეთი მიზანდასახულობა. ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრების შეცდომა აქ იმაში იყო, რომ ისინი ანგარიშს არ უწევდნენ იმ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობდა ცარიზმის რეაქციულ, რუსიფიკატორულ პოლიტიკასა და ჩვენში ცხოვრების ობიექტურ მსვლელობას შორის.

მართლაცდა, განა ფაქტი არ არის, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის მიუხედავად და მის წინააღმდეგ შეერთებამდელ პერიოდთან შედარებით უფრო სწრაფად ვითარდებოდა ქართული ლიტერატურა, ენა, პრესა, თეატრი, სასკოლო ქსელი და ქართული კულტურის სხვა დარგები. ზოგიერთი მათგანი ახლად შეიქმნა (მაგ., პერიოდული პრესა, სასკოლო ქსელი), ხოლო ზოგის (მაგ., ქართული თეატრის) შემდგომი განვითარება მოხდა. ნაბეჭდი ლიტერატურა ქართულ ენაზე რამდენიმეჯერ უფრო მეტი გამოიცა, ვიდრე შესაბამის წინა პერიოდში. ერთი სიტყვით, სწორედ რუსეთთან საქართველოს შეერთებამ შექმნა ობიექტური პირობები (გარე-

დან მტრის პერმანენტული თავდასხმების შეწყვეტა და ქვეყნის შიგნით ეკონომიური აღორძინება) იმისათვის, რომ დამთავრებულიყო ქართული კულტურის ექვსსაუკუნოვანი გაყინვისა და სტატიურობის პერიოდი. პერიოდი, როცა, როგორც პროფ. ნ. ბერძენიშვილი წერს, „იდეური განვითარების თვალსაზრისით ჩვენ 600 წელიწადს (XIII—XVIII) ფეხი არ წაგვიდგამს წინ“[1].

ამიტომ, არავის არ შეუძლია იმის უარყოფა, რომ ქართულმა ნაციონალურმა კულტურამ გიგანტური ნაბიჯი გადადგა წინ 19 საუკუნეში. ყველა მონაცემების მიხედვით მტკიცდება, რომ ქართული ნაციონალური კულტურა ერთი საუკუნის მანძილზე ასე სწრაფად მაშინაც ვერ წავიდოდა წინ, ფეოდალურ საქართველოს იმ ავბედით პირობებში დამოუკიდებლობის შენარჩუნებაც რომ შესძლებოდა. ეს იმიტომ, რომ კულტურის აღმავლობისათვის უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ეკონომიური აღმავლობა და პერმანენტული ომებისა და თავდასხმების შეწყვეტა. ერთ ხელში ხმლითა და მეორეში გუთნით, ან ერთ ხელში ხანჯლით და მეორეში წიგნით, რა მდგომარეობაშიც შეერთებამდე საქართველოს უხდებოდა ყოფნა, არ შეიძლებოდა კულტურის სწრაფი აღმავლობისათვის არც ეკონომიური პირობების შექმნა და არც მყუდრო, მოსვენებული მდგომარეობის მიღწევა. ეს პირობები მას შეექმნა სწორედ რუსეთთან შეერთების შემდეგ და მის შედეგად.

ყველა ქვაზიპატრიოტების წინააღმდეგ ეს მარტივი ჭეშმარიტება ძალიან კარგად ესმოდა ნამდვილ პატრიოტს, ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც თვითონ ედო მხრებზე მთელი 19 საუკუნის ქართული კულტურა. რუსეთის როლზე საქართველოსთვის მყუდრო ცხოვრების შექმნის საქმეში 1899 წ. იგი წერდა: „...დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენ ცოლ-შვილებზე. გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა საჭაოს სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინალამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მისს თავდადებულ შვილებს... ის დღეა და ეს დღე, ველარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში“[2].

მართლაცდა, საქართველოს დიდი ხნის მანძილზე აღარ ჰქონია ისეთი, შედარებით მოსვენებული ხანა, როგორიც მე-19 საუკუნე იყო.

[1] შრომები, I, 1955 წ., გვ. 185.

[2] ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. IV, 1955 წ., გვ. 216—217.

მართალია, ამ საუკუნეშიც ამიერკავკასიაში ადგილი ჰქონდა შამილისა და თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლებს, მაგრამ ამ ბრძოლების ძირითადი სიმძიმე გადაჰქონდა რუსეთის არმიას, რომელმაც აქ 150 ათას კაცამდე დაკარგა.

როდესაც რუსეთის დახმარებით შეწყდა საქართველოზე გარეშე მტრის პერმანენტული თავდასხმები და „ველარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში“—დაიწყო საქართველოს ეკონომიური აღორძინებაც და შეიქმნა ობიექტური პირობებიც ქართული კულტურის წინსვლისათვის. ქართული კულტურის ამ წინსვლას მართალია ბორკავდა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა, რომელიც ცდილობდა მისი ნაციონალური ღვედების გაგლეჯას, მაგრამ, იგი ამ მდგომარეობაშიც, ობიექტური ვითარებით შექმნილი პირობების გამო, წინ მიიწევდა სწორედ როგორც ქართული, სწორედ როგორც ნაციონალური კულტურა. ერთი სიტყვით, ქართული კულტურის ამ ორ მხრივ პროცესში გაცილებით უფრო სწრაფად ვითარდებოდა და მიდიოდა წინ მისი ნაციონალური ნაკადი, ვიდრე ცარისტულ-რუსიფიკატორული.

სად არის აქ ქართული კულტურის დაღმავალი პროგრესიით კვდომის პროცესი, რომელსაც შემდეგ ქართველი ხალხის გადაგვარება და გაქრობა უნდა მოჰყოლოდა, და რომელზედაც ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრები წუწუნებდნენ? ქართული კულტურის კვდომისა და ქართველი ხალხის გადაგვარების პროცესის უტყუარ და არსებით ნიშნებს (გარდა ამ მხრივ ზრდის საშიშ უნარს მოკლებული ყლორტებისა) ისინი სინამდვილეში ამაოდ დაუწყებენ ძებნას. მეფისა და მისი სატრაპების ქაღალდებში, ცარკულარებში, დირექტივებში კი ნახავენ მის ძლიერ სურვილს და ამ სურვილის სუსტ განხორციელებას. მაგრამ ჯერ არავის დაუმტკიცებია არც ის, რომ სურვილი სინამდვილეზე უფრო ძლიერი და საშიშია და არც ის, რომ მკვლევარი უფრო სურვილს ენდა უწევდეს ანგარიშს, ვიდრე სინამდვილეს.

მართლაცდა, ქართული კულტურის რომელ დაცემასა და ნაციონალური ხასიათის დაკარგვაზე შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც არის ნ. ბარათაშვილი, გ. ორბელიანი, ს. დოდაშვილი, პ. იოსელიანი, ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, რ. ერისთავი, გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, დ. ბაქრაძე, ალექსი-მესხიშვილი, კ. მესხი და სხვა მრავალნი. ქართული კულტურის გადაგვარებისა და ქართველი ხალხის გადაშენების მტკიცების საწინააღმდეგოდ ღაღადებდა ისეთი ფაქტებიც, როგორიც იყო ქართულ ენაზე გამოცემული ბეჭდვითი პროდუქციის განუხრელი ზრდა, ჟურნალ-გაზეთების, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების და სკოლების ფართო ქსელის შექმნა, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსება, „ქართული დრამატიული საზოგადოების“ დაარსება, ქართული სახვითი ხელოვნების წარმოქმნა,

ქართული ლექსიკოლოგრაფიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ისტორიული მეცნიერების, მუსიკათმცოდნეობის განვითარება და ა. შ.

რუსეთთან შეერთების შემდეგ, არა მარტო შეჩერდა ქართველი მოსახლეობის კლებადობის ექვსსაუკუნოვანი დაღმავალი მრუდე, არამედ მან დაიწყო განუხრელი აღმა სვლაც. დაიწყო ეკონომიური ცხოვრების მძაფრი აღმავლობა, სამთო და დამუშავებითი მრეწველობის განვითარება, ფაბრიკა-ქარხნების წარმოქმნა, რკინიგზების გაყვანა, სოფლის მეურნეობის აღმავლობა, მევენახეობის, მეაბრეშუმეობის, მემინდვრეობის განვითარება, ახალი კულტურების: კარტოფილის, სიმინდის, თამბაქოს და ციტრუსების წარმოების გაძლიერება და ა. შ. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, არა მარტო შეჩერდა საქართველოს ტერიტორიალური შემცირება, არამედ რუსეთის იარაღის დახმარებით საქართველომ უკან დაიბრუნა თურქეთის მიერ წინათ მიტაცებული მთელი რიგი ოლქები და რაიონები.

ამგვარად, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ყველა ძირითადი ნიშნების მიხედვით: ქართული კულტურის განვითარების, მოსახლეობის რიცხობრივი ზრდის, მისი ტერიტორიის გაფართოებისა და მისი ეკონომიკის განვითარების ხაზით, ჩვენ საქმე გვაქვს არა დაღმავალობასთან, არამედ აღმავლობასთან. არის თუ არა ეს ფაქტი? რა თქმა უნდა, ეს ფაქტია, მაგრამ, ვის და რატომ სჭირდებოდა არ დაენახა ქვეყნის ეს წარმატებები, ეს რეალური ფაქტები? ვის და რატომ სჭირდებოდა ემტკიცებინა ქართული კულტურის დაღმავლობა, ქართველი ხალხის დეგრადაცია, იმ დროს, როდესაც ჩვენ საქმე გვქონდა პირიქით პროცესთან? ეს სჭირდებოდათ ქვაზიპატრიოტებს, ეს სჭირდებოდათ ანტირუსული ორიენტაციის მეაბჯრეებს. რატომ? იმიტომ რომ სხვაგვარად ვერ გამოუვიდოდათ თავიანთი ძირითადი თეზისის—რუსული ორიენტაციის დამღუპველობის მტკიცება. ისინი, საერთოდ, მართალია, მწყრალად იყვნენ ლოგიკასთან, მაგრამ, არა იმდენად, რომ არ სცოდნოდათ მარტივი სილოგიზმი და ვერ გადაებათ ამგვარ სილოგიზმებში წანამძღვარი და დასკვნები ერთმანეთთან.

რადგან მათ დაუშვეს რუსული ორიენტაციის დამღუპველობა, ამის შემდეგ მათ ეს დამღუპველობა უნდა ეძებნათ ამ ორიენტაციის შედეგებში. მაგრამ, როცა აქ ისინი საწინააღმდეგო ფაქტებს წააწყდნენ, იძულებულნი გახდნენ ეს დადებითი და ქართული კულტურის განვითარების ნაციონალური სახის განმსაზღვრელი ფაქტები, რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად წარმოქმნილი გადაგვარების არა განმსაზღვრელი ფაქტებით შეეცვალათ. მიემატებინათ მისთვის ქართული კულტურისა და ქართველი ხალხის გადაგვარებაზე ცარიზმისა და მისი სატრაპების ძლიერი სურვილები და ამ ნიადაგზე ემტკიცებინათ ქართული კულტურის და ქართველი ხალხის გადაგვარება. ისინი იძულებულნი იყვნენ ფალსიფიკაციის ამ გზას დასდგომოდნენ, ვინაიდან სხვა გამოსავალი მათ

არ ჰქონდათ. დადებითი და განმსაზღვრელი ფაქტების ისე დანახვა კი, როგორც ისინი სინამდვილეში არსებობდნენ, შლიდა მთელ მათ თეორიულ ხუხულას.

ერთი სიტყვით, მათი ამგვარი მტკიცების თეორიული უსუსურობა იმის არ გაგება იყო, რომ ქართული ნაციონალური კულტურის საერთო აღმავლობის პირობებში და მაშინ საქართველოში არსებულ ობიექტურ ვითარებაში, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა თავის გადამწყვეტ შედეგებს ვერ მიაღწევდა. ამიტომ, ამ რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად წარმოქმნილი ფაქტები არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო ქართული კულტურის გადაგვარების პროცესის დამტკიცების უტყუარ და არსებით ნიშნებად. ხოლო, არა განმსაზღვრელი და არა არსებითი ნიშნები კი ვერ გამოიწვევდნენ გადაგვარებას, როდესაც განმსაზღვრელი და არსებითი ნიშნები ამ გადაგვარების საწინააღმდეგო შედეგით მოქმედებდნენ. ყოველივე ამის გამო, მათ არ ესმოდათ, რომ საქართველოში არსებული ობიექტური პირობები ცარიზმსა და მის სატრაპებს არ აძლევდნენ ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის გადაგვარებისა და გაჭრობის პოლიტიკის არსებითი განაღდების საშუალებას.

რა იყო ეს ობიექტური პირობები?

ეს იყო ობიექტურ პირობათა მთელი ის კომპლექსი, მთელი ის ჯამი, რომელიც მაშინ საქართველოში იყო კიდეც და იქმნებოდა კიდეც. ამ პირობათა ერთობლიობა, მათი ერთმანეთში გადახლართვა მათი ახალი ნაკადის გაჩენა და ჩართვა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკისათვის წინააღმდეგობის გაწევის საერთო ბადეში, უზრუნველყოფდნენ არა მარტო ამ წინააღმდეგობის მუდმივ ხასიათს, არამედ მის თანდათან გაძლიერებასაც. ამ წინააღმდეგობათაგან ყველაზე მთავარი იყო:

I. ქართველი ხალხის ფართო მასების წინააღმდეგობა ცარიზმის ასიმილატორული პოლიტიკის მიმართ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყველა ხალხი, რომელიც ნაციონალური თვითმყოფობისა და ეროვნული სახის გაჭრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება, წინააღმდეგობას უწევს მას, ებრძვის საშიშროებას, ასიმილაციას. ლენინი წერდა: „ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრა იწვევს ხალხის ფართო მასებში წინააღმდეგობას, ხოლო ეროვნულად ჩაგრული მოსახლეობის ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის ტენდენცია—ეროვნული აჯანყებაა"[1].

ი. ბ. სტალინი კი წერდა: „...ცნობილია, რომ ერები და ეროვნული ენები განირჩევიან უაღრესი გამძლეობით და ასიმილაციის პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის კოლოსალური ძალით. თურქი ასიმილატორები, —ყველაზე სასტიკი ასიმილატორები,—ასეული წლების მანძილზე ფლეთდნენ და ასახჩრებდნენ ბალკანეთის ერებს, მაგრამ არა თუ ვერ მიაღწიეს მათს მოსპობას, არამედ იძულებული გახდნენ კაპიტულაცია

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 68.

მოეხდინათ. მეფის დამჭაში რუსი რუსიფიკატორები და გერმანელ-პრუსიელი გერმანიზატორები, რომლებიც დიდად როდი ჩამოუვარდებოდნენ სისასტიკეში თურქ ასიმილატორებს, ას წელიწადზე მეტ ხანს ფლეთდნენ და აწამებდნენ პოლონელ ერს, ისევე როგორც სპარსელი და თურქი ასიმილატორები ასეული წლების განმავლობაში ფლეთდნენ, აწამებდნენ და ჟლეტდნენ სომეხ და ქართველ ერებს, მაგრამ არა თუ ვერ მიაღწიეს ამ ერების მოსპობას, არამედ—პირიქით—იძულებულნი გახდნენ აგრეთვე კაპიტულაცია მოეხდინათ"[1].

ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია, რომ ქართველი ხალხი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას და ყველა ღონისძიებით ცდილობდა თავისი ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებას. 1893 წლის 1—4 დეკემბერს თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეებმა მოაწყეს გამოსვლა იქ გამეფებული იეზუიტური რეჟიმის, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ და მოითხოვეს: „...Удаленія некоторых наставников и учрежденія кафедры грузинской литературы"[2]. სემინარიის მოწაფეთა ამ გამოსვლების შესახებ 11დეკემბერს თბილისის პოლიცმეისტერი გუბერნატორს წერდა: „Один из воспитанников семинарии некто Абесадзе Авксентий выразился приблизительно так: „Ваше высокопреосвященство упрекает нас в том, что мы волнуемся, но можем ли мы не волноваться, если народ мой гибнет, если его лишают своей речи, его языка и пр."[3] სემინარისტ აბესაძის ამ განცხადებაში გამოხატული იყო ქართველი ხალხის ურყევი სურვილი — გაეწია მედგარი წინააღმდეგობა ასიმილაციის პოლიტიკისათვის და შეენარჩუნებინა თავისი ნაციონალური სახე, თავისი ნაციონალური კულტურა ყველა მისი ჯანსაღი ელემენტით.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავდა, რომ იგი საერთოდ უარს ამბობდა რუსული კულტურის გამოყენებაზე. მაგრამ, ქართველ ხალხს უნდოდა ამ კულტურიდან გადმოეტანა ის, რაც გაამდიდრებდა მის ნაციონალურ საუნჯეს, რაც იქაც პროგრესული იყო და რასაც ამის გამო არ შეეძლო საფრთხე შეექმნა მისი საკუთარი კულტურისათვის. ერთი სიტყვით, ასიმილაციის პოლიტიკისათვის წინააღმდეგობის გაწევა, ეს იყო ნაციონალური კულტურის დაცვის საშიშროებაში ჩავარდნილი ხალხის ბრძოლის მაგისტრალური ხაზი და მას პატრიოტიზმი ეწოდებოდა. ამ მაგისტრალური ხაზის გვერდით ჩნდებოდა სკოლებიც, ჩნდებოდა ავადმყოფობაც. ჩნდებოდნენ კვისლინგებიც, კოსმოპოლიტებიც, ნიჰილისტებიც. ძლიერდებოდა ასიმილატორთა დაწოლაც. ბრძოლა ხანგრძლივსა და შეუპოვარ ხასიათს ღებულობდა.

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 11, გვ. 384—385.

[2] История классовой борьбы в Закавказье, 1930 წ., გვ. 92.

[3] იქვე, გვ. 93.

მე-18 საუკუნის საქართველოს თავისი ნაციონალური საბის შენარჩუნებისათვის ხანგრძლივი და მდიდარი გამოცდილება ჰქონდა სპარსელების, არაბების, მონგოლების და თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ გარემოებას არ შეიძლებოდა მნიშვნელობა არ ჰქონოდა მისთვის ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაშიც. ქართველი ხალხი მზად იყო მიეღო დიდი რუსი ხალხის კულტურიდან ყველაფერი ის, რაც მას მოწინავე და პროგრესული ჰქონდა. „ჩვენს პატრიოტებს,— წერდა თავის სტატიებში „შინაური მიმოხილვა“ ი. გოგებაშვილი 1882 წელს,—სურთ არა მკვდრის აღდგენა, არამედ ცოცხლის გამოყვანა ჭაობიდგან. ისინი ნატრობენ იმასვე, რასაც მოისურვებდნენ, ჩვენს ქვეყანაში რომ ემოქმედათ... ბელინსკი, დობროლიუბოვი, ავტორები რომანებისა: „ვინ სტყუის“ და „რა ვქნათ?“, შჩედრინი და სხვანი. ჩვენის პატრიოტების მოქმედება იმ ეროვნულს გზასვე ადგია, რომელიც ხსენებულის მეორე რომანის ავტორმა ჩერნიშევსკიმ ვალად დაადო უკრაინელებს“[1]. ქართველ ხალხს და მის მოწინავე ინტელიგენციას კარგად ესმოდა ის უასდაუდებელი სამსახური, რაც მას რუსეთმა, რუსმა ხალხმა გაუწია თურქ-სპარსელთა დაპყრობისა და გადაგვარებისაგან გადარჩენის საქმეში. მაგრამ, ამ გარემოებას არ შეიძლებოდა მოედუნებინა მისი ატრიალი: უკუეგდო ყველაფერი რუსიფიკატორული (სწორედ რუსიფიკატორული და არა რუსული) და ებრძოლა ცარიზმის რეაქციული ნაციონალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორი და შემდგენელი ნაწილი წინააღმდეგობათა იმ კომპლექსისა, რომელიც საქართველოში აღმართული იყო ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის გზაზე.

II. რუსიფიკატორული პოლიტიკის წარმატებას აძნელებდა და ამუხრუჭებდა ქართული კულტურის მაღალი დონე, მისი მდიდარი ხასიათი და მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ხალხს, რომელსაც დაბალი კულტურა აქვს, იგი უფრო შედარებით „ადვილად“ განიცდის ასიმილაციას. თუ მას, მაგალითად, ანბანიც არა აქვს, უფრო „ადვილად“ შეუძლიან უცხო და მზამზარეულ ანბანზე გადასვლა. თუ მას ლიტერატურა არა აქვს, ან აქვს, მაგრამ ისეთი, რომელიც ჯერ კიდევ ნაკლებ ზეგავლენებას ახდენს მასზე, აგრეთვე შედარებით „ადვილად“ შეუძლია შეურიგდეს მის „დავიწყებას“, და ასე შემდეგ. მაგრამ, ხალხს, რომელსაც უძველესი კულტურა ჰქონდა მრავალრიცხოვანი დარგებით, ჰყავდა ნაციონალური კულტურის ისეთი გიგანტები, რომელთა მნიშვნელობა თვით ნაციონალურ საზღვრებსაც სცილდებოდა. ჰყავდა რუსთაველი, პეტრიწი, ჩახრუხაძე, შავთელი, სულხან-საბა ორბელიანი, ბესიკი, გურა-

[1] იაკობ გოგებაშვილი, თხზ., ტ. I, გ. თავზიშვილისა და დ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით, 1952 წ., გვ. 375.

ბიშვილი, ჰქონდა მატერიალური და სულიერი კულტურის სხვა მდიდარი საუნჯეები,—რა თქმა უნდა, რომ მისი ასიმილირება და გადაგვარება უფრო ძნელი იყო.

ეს მარტივი ჭეშმარიტება არ ესმოდა ცარიზმის ისეთ თავგამოდებულ სატრაპს, როგორიც იყო კ. პ. იანოვსკი, რომელიც ოც წელზე მეტი ხნის (1878—1901 წწ.) მანძილზე სათავეში ედგა მთელ კავკასიაში განათლების საქმეს, და რომელიც დაწყებითი სკოლიდანვე ქართული ენის გაძევებით და ყველა საგნების რუსულ ენაზე სწავლების შემოღებით ცდილობდა ასიმილაციის პოლიტიკის „სწრაფ“ და „უმტკივნეულო“ გატარებას. მაგრამ ის, რაც არ ესმოდა სატრაპ იანოვსკის, კარგად ეუმოდათ რუსიფიკატორული პოლიტიკის საფრთხისაგან ქართული კულტურის ისეთ დიდ დამცველებს, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე, დ. ყიფიანი, რ. ერისთავი, ს. მესხი და სხვ.

1880 წ. გაზ. „დროებაში“ (№ 254) „ღია წერილი ბ. იანოვკისადმი“ ს. მესხი წერდა: „...ორი ათასი წელიწადია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიული ცხოვრებით ცხოვრობს, ორი ათასი წელიწადია, რაც თითქმის დაუწყვარებლად, მოუსვენრად იბრძვის თავისი დედამიწის, სარწმუნოებისა, ენისა და ერობის დასაცავად, თითო მტკაველი თავის სამშობლო მიწისა, ყოველი მცნება ქრისტეს სწავლისა, ყოველი ლექსი თავის სამშობლო ენისა ათას, ათი ათას თავის საუკეთესო შვილად უღირს... და თქვენ გნებავთ ახლა, რომ სოფლის სკოლების საშუალებით უეცრად მოსპოთ ხალხის ენა და უცხო ენაზე აგვალაპარაკოთ? და თქვენ გნებავთ, რომ ერთის თვალის დახამხამებაში ხალხმა დაივიწყოს ის, რაც ორი ათასი წლის განმავლობაში სისხლის ღვრითა და ტანჯვა-წვალებით შეუძენია და ძვირფას საუნჯედ გადმოუცია თავისი შთამომავლობისათვის? და თქვენ გნებავთ, რომ ამგვარმა ხალხმა, ერთი სიტყვით მიატოვოს თავის გვარტომობა?“[1]

ქართული კულტურის ეს სიძლიერე და მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო აგრეთვე რუსიფიკატორული პოლიტიკის გზაზე აღმართულ წინააღმდეგობათა კომპლექსის ერთ-ერთი და მეტად არსებითი შემადგენელი ნაწილი.

აქ შეიძლება, ამ წინააღმდეგობათა სხვა, შედარებით უფრო მცირე შემადგენელ ნაწილებზეც ლაპარაკი. მაგრამ, მათ ყველას, ერთად აღებულთ, მაინც არ ძალუძდათ ცარიზმის რუსიფიკატორულ-ასიმილატორული პოლიტიკის ხანგრძლივი დაწოლისათვის გაძლება, ქართულ ნაციონალური კულტურის გადარჩენა, თუ წინააღმდეგობათა ზემოთ აღნიშნულ ბადეში არ ჩაერთობოდა სხვა, ახალი, უფრო ძლიერი, ობიექტური ვითარებით ნაშობი ფაქტორები. ისტორიაში არა ერთ ხალხს ჰქონია

[1] ტ. ბუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში. 1951 წ., გვ. 96.

მაღალი კულტურა და ძლიერი სურვილიც მისი გადარჩენისათვის, მაგრამ მარტო ამ ფაქტორებს ვერ უხსნიათ ეს კულტურა და მისი შემქმნელი ხალხი ასიმილაციისა და გადაგვარებისაგან.

ამის მაგალითებს იძლევიან ძველი ისტორიიდან კულტურის აკვნის პირველი დამრწევი სუმერელები, ანბანის პირველი გამომგონებელი ფინიკიელები, ირიგაციის პირველი ოსტატები და საოცარი პირამიდების შემქმნელი ძველი ეგვიპტელები და სხვ. შუა საუკუნეების ისტორიიდან ხალხი მაია, რომელიც ახლანდელი გვატემალის ტერიტორიაზე მოსახლეობდა, ყველა ძველ ხალხებზე 800 წლით ადრე შემოიღო მათემატიკაში ნულის ხმარება, და რომელთაც ხშირად უწოდებენ „ახალი ქვეყნის (ე. ი. ამერიკის) ბერძნებს"; ანდა სამხრეთ ამერიკაში მცხოვრები ინკები, რომელთა რიცხვი 10 მილიონამდე აღწევდა, ჰქონდათ გრანდიოზული ხასიათის საირიგაციო სისტემა, მაღალ დონეზე (არანაკლებ შუა საუკუნეების ევროპის) დაყენებული სოფლის მეურნეობა, ბრძოლაში გამოჰყავდათ 200 ათასიანი არმია და რომელთაც, სამხედრო წარმატებათა გამო (ევროპიელების აქ მისვლამდე), „ახალი ქვეყნის რომაელებს" უწოდებენ[1].

მაგრამ, ახლა ეპოქა, მე-19 საუკუნე, როცა ქართულ კულტურაც ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკიდან გამომდინარე ასიმილაციის საფრთხე დაემუქრა, სრულიად სხვა იყო. ამ გარემოებას, მკვლევარნი, როცა აღნიშნულ საკითხს ეხებიან, რატომღაც არ აქცევენ ყურადღებას. მას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იმიტომ, რომ სამოქმედო ასპარეზზე მათმა გამოსვლამ მოასწრო ცარიზმის რეაქციულ-რუსიფიკატორული პოლიტიკის ახალ და მძაფრ გაძლიერებას, რომელიც ჩვენში მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო. ეს იყო შემდეგი სამი ძირითადი გარემოება, რომელიც რუსიფიკატორული პოლიტიკის გზაზე აღმართულ და ზემოთ გარჩეულ წინააღმდეგობათა ბადეს მესამე, მეოთხე და მეხუთე წევრად ჩაეჭსოვა, გააძლიერა იგი და მისცა მას ახალი სიმტკიცე და გადამწყვეტი ძალა.

III. ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბება. რუსეთთან საქართველოს შეერთებამ დაიჩქარა ჩვენში კაპიტალიზმის ჩასახვა და განვითარება. ამ გარემოებას, როგორც ეს ი. ბ. სტალინმა გაარკვია და ახლა საყოველთაოდ ცნობილია, მოჰყვა მე-19 საუკუნის II ნახევარში ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბება. ზემოთ აღნიშნულმა ორმა ძირითადმა გარემოებამ ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას გაუძლო და ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბებამდე მას საშუალება არ მისცა, რომ მოკლე ხანში, რაღაც ექვსი ათეული წლის მანძილზე, არსებითი შედეგებისათვის მიეღწია. ეს გასაგებიც არის, რადგანაც ყოველთვის და ყველგან

[1] **Уильям З. Фостер.** Очерки политической истории Америки, 1953 г., стр. 38.

ასიმილაცია უფრო ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს. ახლა კი, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ქართველმა ხალხმა მოასწრო ერად ჩამოყალიბება ყველა მისი ძირითადი ნიშნებით, მათ შორის ისეთი ნიშნებით, როგორიც არის ეკონომიური, ენის და აგრეთვე ფსიქიკური წყობის ერთობის ნიშნები, და ჩართო ისინი ცარიზმის რუსიფიკატორული ასიმილაციის გზაზე აღმართულ წინააღმდეგობათა ბადეში, არ შეიძლებოდა იქ მათ არსებითი როლი არ ეთამაშათ. ახლა ცარიზმის ასიმილატორება საქმე ჰქონდათ არა ქართველი ხალხის სამთავროებად თუ სათავადოებად დანაწევრებულ, დაქსაქსულ, ეკონომიურად, კულტურულად და ფსიქიკურად ურთიერთშორის სუსტად დაკავშირებულ ჯგუფებთან, არამედ მათ მონოლიტურ მთლიანობასთან (რამდენადაც ეს შესაძლებელია ანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოების პირობებში), რომლებშიაც ახლა უფრო ძლიერი იყო ეროვნული ერთობის გრძნობა და სიამაყე. განსაკუთრებით დიდ როლს აქ თამაშობდა საზოგადოების ქვედა ფენები, რომელიც კაპიტალიზმმა თვითონ გამოაცოცხლა, ჩააბა მოძრაობაში და ასწია მათი კულტურული დონე.

ფეოდალიზმთან შედარებით კაპიტალიზმი თავისი საკუთარი ინტერესების გამო, საერთოდ იძულებული ხდება ასწიოს მასების კულტურული დონე, გაზარდოს ბეჭდვითი პროდუქცია, შექმნას ჟურნალ-გაზეთების ფართო ქსელი, გაამრავლოს წერა-კითხვის მცოდნე ადამიანთა რიცხვი და ა. შ. ეს პროცესი კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით ჩვენშიაც ხდებოდა. კაპიტალიზმის განვითარებამ ჩვენში ბოლო მოუღო ფეოდალურ პარტიკულარიზმსა და პატრიარქალობას. პოლიტიკურად, ეკონომიურად და მათ ბაზაზე ეროვნულ-კულტურულად დააკავშირა ერთმანეთთან ქვეყნის წინათ გათიშული ნაწილები. გაზარდა ბეჭდვითი პროდუქცია, წ/კ მცოდნე ადამიანთა რიცხვი. დაიწყო ჟურნალ-გაზეთების ფართო ქსელის შექმნა. ყოველივე ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ ერთი მხრივ ცარიზმის ასიმილატორული პოლიტიკა აქტიურად მოქმედებდა, მეორე მხრივ მიმდინარეობდა მასზე გაცილებით ძლიერი პროცესი: ეროვნული თვითშეგნების გაზრდა, ქართული ენის გაძლიერება და განვითარება, რაც დაბოლოს, ახალი ლიტერატურული ქართული ენის ჩამოყალიბებით დამთავრდა და რაშიაც ესოდენ დიდი წვლილი შეიტანეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა და სხვა გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწეებმა. ყველაფერი ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ობიექტურ პირობათა შედეგად წინ მიდიოდა ქართული, ეროვნული კულტურის განვითარება და იზრდებოდა ასიმილატორული პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის გაწევის მისი ძალები.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ცხოვრების სიღრმეში მიმდინარე ეს პროცესები, რომელიც მე-19 საუკუნეში ხდებოდა და შეუმჩნეველი იყო როგორც ზოგიერთი მაშინდელი მოღვაწისათვის, ისე მე-20 საუკუნის ზოგიერთი მკვლევარისათვისაც, შეუმჩნეველი არ დარჩენია ილია ჭავჭავა-

ძეს. იგი წერდა: „ჩვენი ბანკები, ჩვენი საზოგადოებანი—წერა-კითხვის გამავრცელებელი, დრამატიული, ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის, ჩვენი სკოლები, ქართველთა წიგნთა გამავრცელებელი ამხანაგობა,—ყოველივე ესენი ერთად და თვითეულად ცალკე ჩვენის თვითმოქმედების, თავისთავის იმედის შვილები არიან და, როგორც ვხედავთ, თუმცა ტაატით, მაგრამ მაინც ძლიერდებიან და მატებით წინ მიდიან დღითი-დღე ჩვენდა სასიხარულოდ და სანუგეშოდ“[1].

ილიას სრულიად სწორად აქვს გაგებული, რომ კულტურის ფრონტზე ამ წარმატებების მოპოვებაში წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული ერთობის გრძნობის გაძლიერებას. „რაც უნდა გულღრძო და ჯუელი კაცი იყოს,—წერს იგი,—მაინც ვერ იტყვის, რომ ამ სამოც-ოთხმოცის წლის (ცხოვრების შედეგი) არ იყოს ქართველთ ერის გაერთიანება“[2]. „დღეს ცხადად და უტყუარად შესამჩნეველია ნიშნები,—წერს იგი,—ერის გამოფხიზლებისა (ძველის საუკეთესო ნაანდერძევის აღდგენისა). ზემოხსენებულთ წელთ შემდეგმა დრომ, იმ ჭირისა არ იყოს, რომელიც ზოგჯერ მარგებელია ხოლმე, მოიტანა თან სხვა ნივთი, გასწმინდა ცოტად თუ ბევრად (ქვეყნის დამაბნელებელი) ბურუსი, გადაჭყარა ღრუბლები და ჩვენი (ეროვნული) ცნობიერება გამოაფხიზლა. (დიახ, დღეს ბევრსაც ერთიანად გვწამს ჩვენც ჩვენის ქვეყნის მომავალი...)“[3].

როგორც ვხედავთ, ილია სრულიადაც არ ვარდება პესიმიზმში და არ ჰგოდებს არ. ჯორჯაძის მსგავსად ქართული კულტურის უეჭველ გადაგვარებასა და ქართველი ერის დედამიწის ზედაპირიდან აღგვაზე. პირიქით, მისი გაგებით ქართული კულტურის სხვადასხვა დარგები „თუმცა ტაატით, მაგრამ მაინც ძლიერდებიან და მატებით წინ მიდიან დღითი-დღე ჩვენდა სასიხარულოდ და სანუგეშოდ“. რომ „გულღრძო და ჯუელ კაცსაც“ კი არ შეუძლია არ დაინახოს, რომ უკვამად არ ჩაუვლია რუსეთთან საქართველოს შეერთებიდან გასულ სამოც-ოთხმოც წელს, და რომ ამ დროს კულტურის სხვადასხვა დარგის ტაატით წინსვლასთან ერთად მოხდა „ქართველთ ერის გაერთიანება“ და „ეროვნული ცნობიერების გამოფხიზლება“. ერთი სიტყვით, როგორც აქედან სჩანს, ილია შორს არის მხარი დაუჭიროს პანკაორებს და გაიზიაროს ქართული კულტურის კვდომისა და გადაგვარების შესახებ მათი აზრები.

IV. მუშათა კლასის გაჩენა. კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში თან მოჰყვა მისი ტყუპის—მუშათა კლასის გაჩენა. მუშათა კლასი კი, როგორც ცნობილია, არის ერის მთელი ნაციონალური საუნჯის მემკვიდრე და მისი ყველაზე ერთგული და თანმიმდევარი დამცველი. მუშა-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, 1955 წ., გვ. 337 (ხაზი ჩვენია.—მ. ა.).
[2] იქვე, ჯვ. 281.
[3] იქვე, გვ. 279.

თა მოძრაობა კი ჩვენში, როგორც ნახევრად კოლონიალურ ქვეყანაში, ვერ წავიდოდა სოციალურ პრობლემების გადაწყვეტისაკენ ისე, თუ მასთან არ დაკავშირებდა ქართველი ხალხის ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების პრობლემასაც. ამ გარემოებამ საჭირო გახადა, რომ მას ნაციონალური საკითხში შეემუშავებინა სწორი, მარქსისტული ხაზი და პროლეტარული რევოლუციის მზადების ინტერესებთან სწორად შეეხამებინა ერის ნაციონალური ინტერესების დაცვა. გამოეყენებინა ცარიზმის მიერ ჩაგრული ნაციონალური ძალები იგივე ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ეს ამოცანა ბრწყინვალედ იქნა შემუშავებული და დამუშავებული ი. ბ. სტალინის მიერ. საქართველოს მუშათა კლასი, რომელმაც ხელში აიღო ქართველი ხალხის ბედი და სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან მისი დახსნის საკითხი, არ შეიძლებოდა სათავეში არ მოქცეოდა ნაციონალურ მოძრაობას, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის გზაზე აღმართულ წინააღმდეგობათა კომპლექსისათვის ხელმძღვანელობას. გასაგებია, რომ საქართველოს მუშათა კლასს, რადგან იგი თვითონ იყო თავისუფალი ყოველგვარი ნაციონალისტური დანალექისაგან, უფრო ეფექტურად, უფრო მძლავრად და თანმიმდევრულად შეეძლო ეწარმოებინა ბრძოლა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, ვიდრე ეს იქამდე ხდებოდა.

V. რუსეთის მუშათა კლასის ბრძოლა ცარიზმის ნაციონალისტური და კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ. რუსი ხალხი, მისი მოწინავე ადამიანები ყოველთვის წინააღმდეგნი იყვნენ ცარიზმის ნაციონალისტურ-კოლონიზატორული პოლიტიკისა. ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებით გაძლიერდა მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან. რუსეთის საზოგადოებასა და ლიტერატურაში წამოწყებულმა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკისათვის წინააღმდეგობის ამ გაწევამ თავისი გამოხმაურება ჰპოვა ქართულ ლიტერატურაშიც.

1881 წელს სტატიაში „შინაური მიმოხილვა“ ილია ჭავჭავაძე წერდა: „ჩვენ მოვიყვანთ აქ ერთის რუსის მწერლის ნათქვამს ამ საგანზედ: „ჩვენ, რუსებმაო,—ამბობს იგი[1],—არ უნდა დავივიწყოთ თავის-დღეში, რომ საქართველო ხმლით არ დაგვიპერია, რომ ჩვენ იმათი თანასწორი ძმანი ვართ და არა მძლავრი ბატონები. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველნი შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში მისთვის, რომ ქართველადვე დარჩნენ და უცხო ჯიშმა, უცხო სარწმუნოებამ, უცხო ჩვეულებამ არ შთანთქოს. ამიტომ ყოველსავე ქართულს, ყოველსავე ქართველთაგან ისტორიით მოპოებულს, ყოველსავე სალოცავს ერისას და წმინდად აღიარებულს, ყოველსავე თვისებას მათსა—იმოდენად პატივი უნდა ვცეთ, იმოდენად მხარი მივცეთ და ხელი შევუწყოთ, რამოდენადაც ყოველს-

[1] Русская Речь, ნოემბერი, გვ. 225 (შენიშვნა ილიას ეკუთვნის —მ. ა.).

ფერს ჩვენს საკუთარს რუსულს. კავშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი-მეორეს ძმურად შეეწეოდეს, ერთი-მეორეს შეემსჭვალოს, და არა იმაში—რომ ერთის ადამიანობა მეორეს მტლად დაედოს, ერთმა მეორე ჩაყლაპოს. ყოველივე სახე ერისა, ყოველივე ეროვნება ერთნაირად ბუნებრივია და ერთნაირად კანონიერი, აგრეთვე ყოველივე ჩვეულება და თვისება"[1].

ილია ჭავჭავაძე სხვა სტატიაში წერდა, რომ ერთა თანასწორობის შესახებ „...აზრი თანდათან ფეხს იდგამს და ფრთასა ჰშლის თითონ რუსეთშიაც, ამას გვიმტკიცებს თითონ რუსეთის ლიტერატურაცა. პირველი მესვეური ამ საქმეში იყო და არის რუსული, ყველაზედ უფრო ჰკუადამკდარი ჟურნალი „Вестник Европы", რომელმაც ეროვნების დევნის წინააღმდეგ საფუძვლიანად ხმა ამოიღო. სხვათა წერილთა შორის დავასახელებთ ერთს საბუთიანს წერილს, რომელსაც სათაურად ჰქონდა: „Восточная политика и обрусение"[2]. შემდეგ ილია ასახელებს რუსეთის მთელ რიგ ჟურნალ-გაზეთებს, რომელნიც ნაციონალურ საკითხში ამგვარ პროგრესულ თვალსაზრისეს იცავდნენ და დაასკვნის: „არამც თუ მარტო ლიტერატურაში, არამედ ლიტერატურის გარეთაც, საზოგადოებაში ისმის ეგეგე ხმა და ერცელდება ეგეგე აზრი რუსეთის უკეთესთა წარმომადგენელთა მეოხებით"[3].

ილიას მოჰყავს იურიდიულ საზოგადოებაში სპასოვიჩის მიერ წარმოთქმული სიტყვის მოკლე შინაარსი. „სპასოვიჩს უთქვამს,—წერს ილია,—რომ საჭიროა სამართალი იმ ენაზედ სწარმოებდეს, რომელზედაც თითონ ერი ლაპარაკობსო. ეროვნება, როგორც თვით სარწმუნოებაცა პირადი გრძნობააო. სახელმწიფოს საქმე ამ შემთხვევაში მარტო ის არის, რომ სხვადასხვა ენებმა ერთმანეთის დაუშლელად იმოქმედონო. უფრო ადვილია ორიოდე მოხელემ შეისწავლოს ერის ენაო, ვიდრე მთელმა ერმა დაივიწყოს თავისი დედა-ენა და უცხო ენა ისწავლოსო. ...რომაელთა სამართალმა და ნაპოლეონის კოდექსმა,—უთქვამს სპასოვიჩს,—ისე დაიპყრა ერნი, რომ მათთვის პირიდამ ენა არ ამოუგლეჯნიაო"[4].

ასეთი იყო რუსი ხალხისა და მისი მოწინავე ინტელიგენციის ბრძოლა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. რუსეთის მუშათა მოძრაობის გადაყვანამ მარქსიზმის მოძღვრების საფუძველზე კიდევ უფრო ფართო მასშტაბი, ორგანიზაციული დარაზმულობა და თეორიული დასაბუთება მისცა ცარიზმის ნაციონალისტური და კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ რუსი ხალხის ბრძოლას.

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, 1955 წ., გვ. 132—133.
[2] იქვე, გვ. 81.
[3] იქვე, გვ. 82.
[4] იქვე, გვ. 82.

ამიერიდან ცარიზმის ნაციონალისტურ-კოლონიზატორული პოლიტიკის გატარებას თვით საკუთარი ქვეყნის შიგნით გაუჩნდა ძლიერი და ორგანიზებული მოწინააღმდეგე. ეს გარემოება არა მარტო ასუსტებდა ცარიზმის ასიმილატორულ-კოლონიზატორული პოლიტიკის აქტიურობას, არამედ აღაფრთოვანებდა კიდეც ცარიზმის ნაციონალისტური პოლიტიკით ჩაგრულ უცხო ხალხებს. ხელს უწყობდა მათი ნაციონალური ძალების კონსოლიდაციას, და გამოდიოდა მის მოკავშირედ ცარიზმისა და მისი ნაციონალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ლენინი წერდა: „რუსეთი ეროვნულად ჭრელი ქვეყანაა. მთავრობის პოლიტიკა, პოლიტიკა შემაძულებისა, რომელთაც მხარს უჭერს ბურჟუაზია, თავიდან ბოლომდე შავრაზმული ნაციონალიზმითაა გაჟღენთილი“[1]. რუსეთის მუშათა კლასი კი, წერდა, შემდეგ ლენინი, ატარებს სხვაგვარ პოლიტიკას. ამ პოლიტიკის დევიზია: „არც ერთი პრივილეგია არც ერთი ერისათვის. არც ერთი ენისათვის! არავითარი შევიწროება არავითარი უსამართლობა ეროვნული უმცირესობის მიმართ!—აი მუშათა დემოკრატიის პრინციპები“[2].

ასეთ პირობებში, და წინააღმდეგობათა ასეთი კვანძის არსებობის დროს ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას ჩვენში, რა თქმა უნდა, არ შეეძლო გადამწყვეტი წარმატებისათვის მიეღწია. ამ მდგომარეობით იყო შეპირობებული, რომ საქართველოში ობიექტური პირობებით შექმნილი ვითარება არ აძლევდა ცარიზმის ოფიციალურ-ასიმილატორულ პოლიტიკას იმგვარად განხორციელების საშუალებას, რომ მას ქართველი ხალხის და ქართული კულტურის გადაგვარებისა და მოსპობისათვის შექმნილი საფრთხე სინამდვილედ ექცია.

ეს გარემოება არ ესმოდათ ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრებს, როცა ისინი ქართველი ხალხის მოწინავე ნაწილის მიერ „ღებულ რუსულ ორიენტაციას იმის მიხედვით აფასებდნენ, თუ რა გეგმები ჰქონდა ცარიზმს საქართველოს მიმართ და როგორი პოლიტიკის გატარებას ცდილობდნენ აქ მისი სატრაპები. საქართველოს მიმართ ცარიზმისა და მისი სატრაპების გეგმები და პოლიტიკა კი, როგორც ეს ჩვენ ზემოთ ვნახეთ, სრულიად სხვაგვარი იყო, ვიდრე ის ობიექტური შედეგები, რომელიც რუსულმა ორიენტაციამ გადაშენებისაგან საქართველოს ხსნისა, მისი კულტურის და ეკონომიკის განვითარებისათვის მოიტანა. ერთი სიტყვით, მათ არ ესმოდათ, რომ ხალხის ცხოვრებაზე გავლენის მოხდენა შეეძლოთ არა თავისთავად ცარიზმის გეგმებსა და ვარაუდებს, არამედ პრაქტიკაში გატარებით მიღებულ მათ შედეგებს. ამიტომ, რუსული ორიენტაციის შეფასება სწორედ მის მიერ მოტანილი შედეგებით უნდა

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 87.
[2] იქვე, გვ. 88.

წომხდარიყო და არა ცარიზმისა და მისი სატრაპების გეგმების ხასიათით. გეგმები ისეს ნავიწყაც ჰქონდა მზის გაჩერების შესახებ.

როდესაც საკითხს ასე ვაყენებთ, ჩვენ ამით იმის დამტკიცება კი არ გვინდა, რომ ცარიზმს ქართული კულტურის და ქართველი ხალხის გადაგვარების შესახებ მხოლოდ უწყინარი გეგმები ჰქონდა საღღაც შკაფში ჩაკეტილი. რა თქმა უნდა, მას ეს გეგმები ცხოვრებაში ჰქონდა გამოტანილი და მოქმედებაშიც მოყვანილი და ისიც მეტად ენერგიულად. ჩვენ მხოლოდ იმის ჩვენება გვსურს, რომ ამ გეგმებს, ჩვენში შექმნილი ობიექტური ვითარების გამო, ვერ მოჰქონდა და ვერც მოიტანდა იმ შედეგებს, რასაც მისგან ცარიზმი და მისი სატრაპები მოელოდნენ. ლენინი წერდა: „თავიდა თავია არა განზრახვები, არა მოტივები, არა სიტყვები, არამედ ის ობიექტური, მთავან დამოუკიდებელი ვითარება, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ პარტიის ან xგუფის ლოზუნგების, ტაქტიკის ან საერთოდ მიმართულების ბედსა და მნიშვნელობას“[1]. ზიანი, რა თქმა უნდა, მაინც მოჰქონდა ცარიზმის ამ გეგმებს, რამდენადაც ისინი ახერხებდნენ განხორციელებას და ამგვარი მაგალითების მოყვანაც ცოტა როდი შეიძლება. მაგრამ, ეს ზიანი არ იყო ისეთი ხასიათის, რომ იგი ქართული კულტურის დაღმავალი პროგრესიით მზარდი გადაგვარებისა და სიკვდილის დამამტკიცებლად გამოდგეს.

შეცდომები, რომელსაც ამ საკითხში ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრები უშვებდნენ, იმით ახსნებოდა, რომ ისინი ვერ ხედავდნენ რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ქართულ კულტურაში დაწყებული განვითარების ორმხრივ პროცესს, ორმხრივ ტენდენციას, და არ შესწევდათ უნარი, რომ ამ ორმხრივობიდან გამოეყოთ ძირითადი და დომინირებელი ტენდენცია.

ქართული კულტურის განვითარების ეს ორმხრივობა იმაში მდგომარეობდა, რომ, ერთი მხრივ, ცარიზმის პოლიტიკის დაწოლის შედეგად მასში ძლიერდებოდა და ვითარდებოდა რუსიფიკატორულ-ასიმილატორული ტენდენცია, რუსიფიკატორულ-ასიმილატორული ნაკადი. ეს იყო ქართული კულტურისათვის საშიში ტენდენცია. მაგრამ ეს ტენდენცია მაშინ შესძლებდა ქართული კულტურის ჩაყლაპვას და გადაგვარებას, თუ იგი ან ერთადერთი ტენდენცია, ან ყველაზე ძლიერი ტენდენცია იქნებოდა, და თუ მას არ ექნებოდა გადაულახავ დაბრკოლებად ძლიერი ობიექტური ფაქტორები. მაგრამ, საქმეც სწორედ იმაშია, რომ ეს ასე არ იყო, და აქ მის გვერდით არსებობდა მასზე უფრო ძლიერი, თვითონ ქართული კულტურის განვითარების ნაციონალური ნაკადი. ეს ნაკადი ძლიერი იყო ისტორიული ტრადიციით, მოდიოდა ათეულ საუკუნეთა სიღრმიდან, ფესვი ჰქონდა მოხვეული რუსთაველზე, პეტრიწზე, ძველი

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 304.

ქართული კულტურის სხვა გოლიათებზე, და რაც მთავარია, თვითონ მთელ ქართველ ხალხზე.

ამავე დროს, რუსეთთან შეერთების შემდეგ, გარეშე მტრის თავდასხმების შეწყვეტის და ქვეყნის შიგნით ეკონომიური აღმავლობის შედეგად, საერთოდ კულტურის განვითარებისათვის შექმნილი პირობები, ამ ნაკადს უფრო ძლიერად და უფრო ეფექტურად შეეძლო გამოეყენებინა ქართული კულტურის განვითარებისაფვის, ვიდრე ცარიზმის სატრაპებს ან მის კვისლინგებს შეეძლოთ გამოეყენებინათ იგივე პირობები ქართული კულტურის რუსიფიკატორულ-ასიმილატორული ტენდენციით განვითარებისათვის. ეს ბუნებრივიც იყო, რამდენადაც გარედან შეჭრილი თვითონ ეს რუსიფიკატორულ-ასიმილატორული ტენდენცია უცხო სხეულად იდო ქართულ კულტურაში და უჭირდა მას იქ ფესვის გადგმა და შეხორცება.

ამ გარემოებით აიხსნება, რომ, როგორც კი რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველმა ხალხმა ამოისუნთქა მაჰმადიანური ქვეყნების მხრივ ხანგრძლივი აწიოკებისა და სისხლის ღვრისაგან, ხელი შეუშვა ხმალსა და ხანჯალს, მთელი ძალებით მიუბრუნდა თავის კერას და მტკიცედ შევიდა ეკონომიური აღმავლობის სტადიაში, მან ენერგიულად დასძრა წინ თავისი კულტურის განვითარებაც. ყოველივე ამის შედეგად, ქართულმა კულტურამ შესაძლებლობა მიიღო ზედიზედ „ამოესხა“ ცოცხის მრავალი დარგის სარბიელზე, ბარათაშვილი, პ. იოსელიანი, ჭავჭავაძეები, ორბელიანები, წერეთლები და ის სხვა მრავალი გამოჩენილი მოღვაწეები, რომელნიც ასე დიდებულად ამშვენებენ მე-19 საუკუნის ქართულ კულტურას და გაუხუნებელ ვარდსა და იას აყრიან მას.

ერთი სიტყვით, ქართული კულტურის განვითარების ამ ორმხრივ პროცესში, თუ რუსიფიკატორულ-ასიმილატორული ნაკადი, წინაამდეგობათა იმ კომპლექსის შედეგად, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, არითმეტიკული პროგრესიით მიღოღავდა წინ; ქართული კულტურის ნაციონალური ნაკადი, მიუხედავად ცარიზმის პოლიტიკის მიერ ხელის შეშლისა, გეომეტრიული პროგრესიით მიჰქროდა და მანძილი მათ შორის თანდათან უფრო იზრდებოდა.

იმისათვის კი, რომ ქართული კულტურის ასიმილაციის პროცესი ფაქტად გადაქცეულიყო, საჭირო იყო ქართული კულტურის რუსიფიკატორული განვითარების ტენდენცია, თავის ძალასა და მასშტაბში, არა მარტო წამოსწეოდა ქართულ კულტურის ნაციონალური განვითარების ტენდენციას, არამედ წინაც გაესწრო მისთვის და მოეპოვებია დომმინერებელი მდგომარეობა. მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, ეს გარემოება შეუძლებელი ხდებოდა რუსიფიკატორული ტენდენციის არითმეტიკული და ნაციონალური ნაკადის კი გეომეტრიული პროგრესიით განვითარების გამო.

ყოველივე ამის შემდეგ, ცხადია, თუ რამდენად უსაფუძვლო იყო

ანტირუსული ორიენტაციის მიმდევართა წუწუნი ქართველი ერის გარდუვალ გადაგვარებასა და გაქრობაზე. ეს წუწუნი არ ემყარებოდა ობიექტური ვითარების მეცნიერულ ანალიზს. იგი ემყარებოდა იაფფასიან დემაგოგიას, ისტორიული მეცნიერების გაუბრალოებას გზით ლოგოგრაფიამდე მის ჩამოქვეითებას, ქართული კულტურის რუსიფიკატორული მაგალითების თავლწინ დაგებით მკითხველის პატრიოტულ გრძნობებზე ბრმა თამაშს, მოვლენათა ზედაპირზე ცურვას და თეორიულ უძლურებას—ღრმად ჩაეხედათ ობიექტურ კანონზომიერებათა პროცესების სიღრმეში. და ბოლოს, იგი ემყარებოდა ცარიზმისა და მისი სატრაპების სურვილებისა და გეგმების გარდუვალი განხორციელების ბრმა რწმენას, და ანგარიშის არ გაწევას იმ გარემოებისათვის, რომ ამ სურვილებისა და გეგმების სრულ განხორციელებას შეუძლებლად ხდიდა მაშინ საქართველოში არსებული ობიექტური ვითარება.

რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა შიში და წუწუნი იმაზე, რომ ვაი თუ ეს ობიექტური ვითარება არ შექმნილიყო და საქართველო დაღუპულიყო. საკითხის ამგვარი დაყენება ორივე ფეხებით იდეალიზმში ჩავარდნაა. ცარიზმს არ შეეძლო, რომ ბრძანებით ქართველი ხალხისათვის შეუძლებელი გაეხადა მისი ასიმილატორული პოლიტიკისათვის წინააღმდეგობის გაწევა, ან ერთი დარტყმით მდიდარი ქართული კულტურის მოსპობა, ან კაპიტალიზმის განვითარების, ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების და ჩვენში მუშათა კლასის გაჩენია შეჩერება. ყველა ეს პროცესი ობიექტური პროცესები იყო. ისინი სრულიად არ ემორჩილებოდნენ ცარიზმისა და მისი სატრაპების გეგმებსა და ნება-სურვილებს. ამიტომ, არც ის შეიძლებოდა, რომ ისინი არ წარმოქმნილიყო და არც ის, რომ მათი ერთობლიობით არ შექმნილიყო ცარიზმის ასიმილატორული პოლიტიკის გზაზე გადაულახავი დაბრკოლება.

ანტირუსული ორიენტაციის მიმდევართა კიდევ ერთი უბედურება იმაშიაც იყო, რომ ისინი თეორიულ უმწეობასთან ერთად ამჟღავნებდნენ მსოფლიო ისტორიის ელემენტარულ უცოდინრობასაც. მართლაცდა, ახალ მსოფლიო ისტორიაში ჩვენ არა გვაქვს არც ერთი შემთხვევა, რომ ოომელიმე დიდი კულტურის მქონე ქვეყანა, რომელსაც დამოუკიდებლობა დაკარგული ჰქონდა, მაგრამ, რომელმაც მოასწრო კაპიტალისტურად განვითარება, ერად ჩამოყალიბება, მუშათა კლასის გაჩენა, შემდეგ იგი, იქ გაბატონებული სახელმწიფოს ასიმილატორული პოლიტიკის გამო გადაშენებულიყოს და გამქრალიყოს. მაინცა და მაინც, რატომ საქართველოს უნდა დატეხოდა თავს ეს უბედურება — გაუგებარია.

ყველა ეს ამდენი გაუგებრობა კი იმის შემდეგ იყო, რომ ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრებს ჰქონდათ სურვილი, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, მკითხველისათვის მოელანდებინათ რუსული ორიენტაციის დამღუპველობა. ამისათვის ისინი არ ერიდებოდნენ უგულვებელეყოთ ფაქტები, ხელი ეღოთ ობიექტური ვითარების მეცნიერულ ანა-

ლიზზე. შეექმნათ ისეთი ვარაუდები და დაეკვეთებინათ ისეთი პოზიციები, რომელსაც ესინი მიჰყავდა ისტორიული ჭეშმარიტების უხეშ დამახინჯებამდე. ერთი სიტყვით, რუსულ ორიენტაციას კი არ მიჰყავდა საქართველო გაჭრობასა და გადაშენებამდე, არამედ ანტირუსულ ორიენტაციას. სწორედ ანტირუსული ორიენტაცია ხდებოდა იძულებული საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნების შეუძლებლობის პირობებში ნებსით თუ უნებლიეთ თავი შეეცვალა თურქულ-ირანული ორიენტაციით. ასეთი იქნებოდა რეალურად ანტირუსული ორიენტაციის ფინიში, მას შემდეგ, რაც არარეალური აღმოჩნდებოდა მისი ერთ-ერთი ვარაუდი—ორიენტაცია ევროპის ბურჟუაზიულ-კოლონიზატორულ ქვეყნებზე, რასაც ნაკლები დამღუპველი შედეგები როდი ექნებოდა, ვიდრე თურქულ-ირანულ ორიენტაციას.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის შენარჩუნების შეუძლებლობის პირობებში, ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრები საბოლოო ანგარიშით ლოგიკურად და ისტორიულადაც იძულებულნი ხდებოდნენ ავბედი ისტორიული ვითარებით კისერზე ბაწარგამოდებული საქართველოსათვის ებიძგებინათ აღმოსავლეთითაც (სპარსეთისაკენ), სამხრეთითაც (თურქეთისაკენ), დასავლეთითაც (ინგლის-საფრანგეთის კოლონიზატორებისაკენ), მაგრამ არავითარ შემთხვევაში ჩრდილოეთისაკენ (რუსეთი).

აი რას ეძახდნენ ისინი საქართველოს „ხსნას“ და აი სად იყო ჩასახლებული მათი ქვაზიპატრიოტიზმი. გასაგებია თუ საქართველოს „ხსნის“ ეს გზა როგორ მიდიოდა ჯოჯოხეთისაკენ, და მათი ეს ქვაზიპატრიოტიზმიც როგორც გადადიოდა აშკარად ერის თვითმკვლელობის „იავნანაში“.

ერეკლე II უდიდესი ისტორიული დამსახურება იმაშია, რომ როცა იგი ერთმმართველი მეფე იყო და ქვეყნის საჭესთან იდგა, მან გაბედულად აბრუნებინა პირი საქართველოს რუსეთისაკენ. ამით ცარიზმის მთელი მზაკვრობისა და ვაივაგლახის მიუხედავად ქვეყანამ არა მარტო შეინარჩუნა სიცოცხლე, არამედ ობიექტური პირობების შექმნით მიიღო შესაძლებლობაც თავისი ნაციონალური კულტურისა და ეკონომიკის განვითარებისათვის. ამ ნაბიჯით ერეკლემ დაამტკიცა, რომ იგი გაცილებით მაღლა იდგა არა მარტო თავის მსაჯულებზე (სოლომონ ლეონიძე), არამედ ზოგიერთ ახლანდელ მკვლევარებზედაც, რომელთაც ასე უბადრუკად იკისრეს მისი „შეცდომების“ გასწორება, მისი არა მკითხე კონსულტანტობა და მისთვის თურქულ-ირანული ორიენტაციის ნებსით თუ უნებლიეთ შეჩეჩება.

ერეკლე II. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი

„ბაგრატიონთა ხელისუფლება და მეფობა საქართველოში დამყარდა მე-9 საუკუნის დამდეგს და გაგრძელდა მე-19 საუკუნის დასაწყისამდე, ესე იგი სრული 10 საუკუნე იარსება“[1]. ასეთი ხანგრძლივი დინასტია იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს მსოფლიო ისტორიაში, ამ დინასტიამ მრავალი გამოჩენილი მეფე მისცა ქვეყანას. ბევრმა მათგანმა თავი გამოიჩინა როგორც უნიჭიერესმა სარდალმა, განთქმულმა სახელმწიფო მოღვაწემ და უნარიანმა დიპლომატმა. მაგრამ, საქართველოსათვის შექმნილი ავებედითი ისტორიული პირობების გამო, არა ერთმა ბაგრატიონთა დინასტიის სულ მაჰმადიანური ქვეყნების დილეგებში, და ან ხმლითა და ნაჯახით წაჭრილი თავი ჩადო თურქეთის, სპარსეთის, ავღანეთის და მონგოლთა ურდოს მიწაში.

ამ მხრივ ერეკლე II მათი ბედი არ გაუზიარებია. ერეკლეს შვილიშვილის თ. ბაგრატიონის გადმოცემით, თელავის სასახლეში 1798 წლის 11 იანვარს ერეკლემ სული დალია იმავე ოთახსა და საწოლზე, რომელზედაც იგი დაიბადა 1720 წლის 7 ნოემბერს. მაგრამ, ცხოვრების უკუღმართობამ ერეკლეს სხვა სამსალი დაალევინა. სამშობლო ქვეყნის ავებედით მდგომარეობის გამო, მას ჯერ კიდევ ბავშვობის პერიოდიდან ჭარიშხლის პირისპირ მოუხდა სიკვდილის თაღებ ქვეშ სიცოცხლისაკენ გზის გაკაფვა. ამიტომ მას არ ჰქონია განებივრებული ბავშვობის პერიოდი. ორიოდე თოლოგი, რომელიც მას მცირე ხნით აღმზრდელად ჰყავდა მიჩენილი. მას „საიქიოში სიკვდილის შემდეგ „სულის ცხონების“ გზებს ასწავლიდნენ იმ დროს, როდესაც საჭაროს თვით მისი და მისი ქვეყნის სიცოცხლე ჰყავდა მტერს ჩაყენებული საფრთხეში. ასეთ ვითარებაში, ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთ ძირითად დოგმას: „კაცი არ ჰკლა“, შეეძლო მხოლოდ ვნება მოეტანა მისთვის და მისი ქვეყნისათვის.

ცხოვრება, რომელიც არისტოტელეს თქმით, არასოდეს არ ცრუობდა და ამიტომ ყველა მასწავლებელსა და წიგნზე მაღლა იდგა, ერეკლესთვისაც გზის მაჩვენებლად გახდა. ეს გზა მას არწმუნებდა ,რომ კაცი, რომელიც მოდის შენს მოსაკლავად და შენი ქერისა და მამაპაპეული ფუძის დასაპატრონებლად, „უნდა ჰკლა“. და აი, 1735 წელს ნეიშინის მინდორზე 15 წლის ერეკლემ ლეკი აბრაგების ერთ-ერთი ბელადი მახვილით გადმოიღო ცხენიდან.

---

[1] ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, 1949 წ., გვ. 53.

ერეკლეს ამ პირველი საბრძოლო ნათლობის ამბავს ასე გადმოგვცემს ალ. ჯამბაკურ ორბელიანი. „იმ ომში დამსწრეთ, ვისთუისაც უანბიათ იმ ომის ამბავი, მეც იმათგან გამიგონია ასე: „პატარა ბატონის ირაკლის ჩასვლა რომ გაუგონიათ ჭიზიყში, დედაკაცებს კაცებისათვის ალარ დაუცლიათ, იმათ გამოუყვანიათ ცხენები და იარაღიც იმათვე შემოურტყამთ ქმრებისთვის ამ სიტყუით: „წადით, დაიხოცენით მამულისათვის, დღეს თუ ხვალე სულ ერთია სიკვდილია, იახელით პატარა ბატონს ირაკლის და იმის წინ დაანთხიეთ თქუენი ერთი მუჭა სისხლიო“.

ნეიშინის მინდორი იყო პირუელი ომის მოწამე პატარა ირაკლისა, რომელთაცა ამჱსთან ესეც უთქუამსთ:

პირუელად ოსმალ ლეკების ჯარი რომ დაუნახამთ ქართუელებსა, ბევრით ქართუელებზედ მომატებული, შეშინებულან: დედის ერთას ირაკლისა მოგუკვლენო. ასე ელაპარაკათ პირუელ კაცებს ერთმანეთში. მაგრამ ყმაწვილის ირაკლისათუის და იმის დამშვიდებულის ლამაზის სახისათუის რომ შაგეხედათ, ბედაურს ცხენზედ მკერდ გამოჭიმულისთუის, რომელსაცა თუალი მტერზედ ეჭირა და უშიშრად შეჰყურებდა იმათ, მოწყენილობა გულიდგან გადაგვეყარა და მაშინვე გავსწორდით ცხენებზედაო. ბოლოს ჩუენსკენ მოიხედა და ესეც რომ გვითხრა: დღეს აქ უნდა დავიხოცნეთ ამ ნეიშინის მინდორზედ, ან გამარჯვებული გამოვიდეთო. ამ სიტყუამ ხომ ერთი კაცი ათი გაგუხადა და ერთიანად დაეძახეთ: „დედა შეერთოს ცოლათ, ვინც აქედგან უსიკვდილოთ წაიდეს შინ, თუ არ გავიმარჯვებთო“[1].

ასე ჩამოეკიდა იმთავითვე ხმალის წვერს ერეკლეს ბედი, როცა სიცოცხლის კარებში ჯერ კიდევ წელგაუმართავად შესული—იგი უკვე სიკვდილის კარებთანაც აღმოჩნდა. ამ კარების ყოველდღე მახვილით გახსნის მოლოდინში მან 78 წელიწადი იცოცხლა. ჯერ კიდევ 18 წლის ჭაბუკმა ხმლით მოიარა სპარსეთი, ავღანეთი და ინდოეთი. ნეიშინის შეტაკებიდან (1735 წ.) კრწანისის ომამდე (1795 წ.), ე. ი. მთელი 60 წლის განმავლობაში ერეკლეს ხმალი ალარ ჩაუგია ქარქაშში. სიცოცხლე და ნაძალადევი სიკვდილი მისთვის თანაბარ შესაძლებლობაში მოექცა. და მიუხედავად „შეიარაღებული სიკვდილის“ ესოდენ მრავალი შესაძლებლობისა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლებში დაბერებული ერეკლე წუთისოფელს მაინც წყალმანკის „შეუიარაღებელმა სიკვდილმა“ გამოსტაცა.

ჯერ კიდევ ციცერონი წერდა, რომ „გარეული მხეცები და ნადირებიც კი ისე არაფერს არ შესტრფიან და უფრთხილდებიან, როგორც თავისუფლებასო“. ცხადი იყო, თუ ახლა როგორ უნდა გალმებულიყო და როგორ უნდა გაფრთხილებოდა ქართველი ხალხი თავის ჭვეყანას,

---

[1] ალ. ჯამბაკურ ორბელიანი, დაღესტნიდან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები. ს. კაკაბაძის გამოცემა, 1914 წ., გვ. 2—3.

როცა მტერი მას ყველა ოთხივე კუთხიდან აწვებოდა და არა მარტო თავისუფლების, არამედ სამშობლოს დაკარგვით და ისტორიიდან ამოთხრითაც ემუქრებოდა.

მონგოლების შემოსევით დაწყებული ეს მუქარა უწყვეტლივ იზრდებოდა. მტერი ანიორწყლებდა ქვეყანას, ათლიდა ტერიტორიებს, იტაცებდა ქართველი ხალხის შრომით შექმნილ დოვლათს. ბუგავდა შია სახლ-კარს, ქლეტდა ხალხს. მტერს ქართველი ლამაზმანები ჰარამხანებში მიჰყავდა, ბავშვებს კი დედის მკერდიდან წყვეტდა, კალში ისროდა, კვერით „ლეწავდა“ და ცხენებით ფლეთდა. ამ საშინელ კალებს ხალხმა „არ იხილო კალო“, უწოდა. ერთ მათგანს დღემდე შემორჩა ეს სახელი—„არხილოს კალო“ (წითელ-წყაროს რაიონში). ასეთი კალოები არაერთი მოუწყვიათ შაჰ-აბაზებს საქართველოში. იმ ადგილებისათვის კი, სადაც სამშობლოს ხსნისათვის მტრის ურდოებთან უთანასწორო ბრძოლაში ქართველი მეომრები სიცოცხლეს გაჰყრიან, ხალხს „ჯოჯოხეთა“ უწოდებია.

მაგრამ, საქართველოში მარტო „არხილოს კალოები“ და „ჯოჯოხეთა“ როდი იყო. აქ იყო მრავალი „ლომთა გორაც“, სადაც მტრის ურდოები ქართველ მეომრებს სისხლში ამოუცლიათ და სადაც გამარჯვების ყიჟინას მიდამო გაუყრუებია. ხალხური გადმოცემით სწორედ ზემო აღნიშნულ გარემოებათა გამო შერქმევიათ „ლომთა გორა“ და „ჯოჯოხეთა“ მარნეულის ახლოს მდებარე მთას და მის წინ გაშლილ ველს[1]. ასეთი „ლომთა გორები“, „არხილოს კალოები“ და „ჯოჯოხეთები“ საქართველოს ტოპონიმიაში გადასული დაუწერელი მატიანეებია. როგორც ვხედავთ, ერთი მხრივ, იმის მოწმენი არიან, თუ როგორი შეუპოვრობით და თავგანწირვით იცავდა ქართველი ხალხი თავის სამშობლოს, და, მეორე მხრივ კი, იმისი, თუ როგორი მეთოდური დაჟინებით და პერმანენტულად ცდილობდა მტერი „გურჯის“ სახელის ამოწვას ისტორიიდან.

ამ პერმანენტულმა ავებედობამ ერთ დროს ძლიერი საქართველო დაამქვითა, დაასუსტა და აი, ახლა, როდესაც 1744 წელს სპარსეთის შახის (ნადირის) ნებართვით ერეკლემ კახეთის სამეფო გვირგვინი დაიდგა თავზე,—საქართველო უკვე ანტიტეზის უფსკრულის პირზე იყო მისული. საქართველოს ისტორიის ასეთ ყველაზე ბობოქარ და ყველაზე კრიტიკულ მომენტში მოუხდა მოღვაწეობა ერეკლეს. არა იშვიათი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც მტერი მას პირის ჭამასაც არ აცდიდა და როდესაც იგი იძულებული გამხდარა, ყანწი ხმლით შეეცვალა. როგორც მისი თანამედროვე იესე ოსის შვილი გადმოგვცემს, ერეკლე ერთ თვეს ერთ ადგილზე არ ყოფილა[2]. განუწყვეტელი ომები და თავდასხმები მას აიძულებდნენ ცხენზე უფრო მეტ ხანს მჯდარიყო, ვიდრე ტახტზე და

[1] იხ. გაზ. „Кавказ“, 1878 წ., № 123.

[2] თაეგადასაკალი იესე ოსოს შვილისა, ს. ყაბაძის გამოცემა, 1913 წ., გვ. 44.

ორლესილი უფრო ხშირად სჭეროდა ხელში, ვიდრე კალამი სამეფო საქმეების მშვიდობიანი მოგვარებისათვის. ასეთი მძიმე იყო ბრძოლაში გაზრდილი პატარა კახის ახალგაზრდობა, და მას ასეთივე მძიმე შეუქმნა „ბედმა“ სიბერეც.

ერეკლე მოხუცებულობის ჟამს ფიზიკურად არ დაჩაგებულა და როგორც ალ. ჯამბ. ორბელიანი გადმოგვცემს, მას არც თვალთ აკლდა, არც ყურთ და არც გონებასა და მეტყველებას უჭიოდა. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე ერეკლე უზანგში ფეხის გაუყოფლად ჯდებოდა ცხენზე და ტყვიას მიზანში არ აცდენდა. თბილისის აკლების წინა ხანებში ერეკლე ორი ათასი ცხენოსნით გორში მიდიოდა. ტირიფონის ველზე ნიშანში სროლის დროს გაჭანებული ცხენიდან და შორი მანძილიდან როცა ერეკლემ ჯოხზე ჩამოცმული ქუდი შუაზე გახვრიტა, ჯარმა შეწუხებით დაიძახა: „ცოდო არის, რომ შენ საქართველოს მოუკვდეო“[1].

მიუხედავად იმ დიდი სიყვარულისა და პატივისცემისა, რაც ერეკლეს თავის ხალხში ჰქონდა, მას მაინც ბევრი მტრები ჰყავდა. „თამამად ვიტყვიო,—წერს ალ. ჯამბ. ორბელიანი,—ჩუენი საქართველოს პირუელის ოჯახებიდგან თვითო გუარში ორი და სამი მაინც იყო მეფის ირაკლის მტერი და იმათი კუდები ხომ რავდენი... საწყალს მეფეს ირაკლის ძალიან გვიან შეუტყვია ეს ანბები, სწორედ სიკვდილის წინა დროებში. კიდეც იმ მარკოზაშვილის დარბაზელებს დაუღუპავსთ საქართველო, რომლებსაცა ის მორიგეც იქიდგან მოუშლიათ. ის ბედნიერება საქართველოსი! არამც თუ მარტო ის მორიგე, რასაც კი კარგსა რასმე მოიხდომებდა საქართუელოსათვის მეფე ირაკლი, ყოვლის ღონისძიებით, ყოვლის ცბიერებით ეცდებოდნენ როგორმე მოეშალათ[2] ის მეფის ირაკლის დრო იყო გამყიდუელობის დრო, რომლისაგანაცა საქართველო უნდა დამხობილიყო, არა იმდენი ჭართუელების სისხლის დაღვრითა ცხადის მტრებისაგან, არამედ პლუტობით და აზარჩრობით გამყიდუელებისაგან“[3]. „ის მეფის ირაკლის არეული დრო,—წერს შემდეგ ალ. ჯამბ. ორბელიანი,—არის რაღაც ღელვის ხაოსი, გამყიდუელობისა, ბრძოლის, ომებისა და აოხრების დრო, რომელსაცა არც ერთს ჭეუეყანასა ის ვაებანი არ გამოუცდია და მგონია არც რომელიმე გამოსცდის ოდესმე. გარდა გამყიდუელობისა ერთზე რომ ათი მტერი მოდიოდეს, სად არის ეს? მომსწრე ჩუენი ძველები ასე ანგარიშობდნენ. მერე რავდენი წელიწადი? სამოცდასამი და დაუცხრომლად ყოუელ დღე (მეფის ირაკლის დრო) სულ ამისთანა დროები იყო, სულ სხუა და სხუა გუარი ამბები“[4].

ერეკლეს წინააღმდეგ ამ შინაგანმა ბრძოლამ განსაკუთრებით მკვე-

---

[1] იხ. „მოამბე“, 1895 წ., № 8, გვ. 125.

[2] ალ. ჯამბაკურ ორბელიანი, დაღესტნიდან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები, 1914 წ., გვ. 9.

[3] იქვე, გვ. 19.

თრად იჩინა თავი კრწანისის ომის პერიოდში, როდესაც ფაქტიურად ჩაშლილ იქნა ერეკლეს ყველა გეგმები აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ჯარების გამოყვანის შესახებ. ალ. ჯამბ. ორბელიანის ცნობა, რომ თითქოს ერეკლე ვარაუდობდა აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ 80.000 ჯარისკაცის გამოყვანას[1], სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს. რადგანაც ქართლ-კახეთის სამეფოს ორასი ათასზე ცოტა მეტი მცხოვრებიდან[2], შეუძლებელი იყო ერეკლეს ამდენი ჯარის გამოყვანის მოლოდინი ჰქონოდა. სინამდვილეს უფრო ის გარემოება უნდა შეეფერებოდეს, რომ ერეკლე მოელოდა 40 ათასამდე კაცის გამოყვანას[3]. ამ რაოდენობიდან 1795 წლის აგვისტოში თბილისში თავი მოიყარა მხოლოდ 4.000 კაცმა. ჯარის ამ რაოდენობას ემატებოდა ის 3.000 კაცი, რომელიც ერეკლეს შვილიშვილმა, იმერეთის მეფე სოლომონ II ჩამოიყვანა.

მიუხედავად ადრევე მიღებული ზომებისა, ჯარის ასეთი მცირე რაოდენობით შეკრება იმით აიხსნებოდა, რომ ამ მრისხანე დღეებში არა თუ ერთსულოვნება არ იყო მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევის საქმეში, არამედ ყოველი ფეხის ნაბიჯზე ადგილი ჰქონდა ღალატსაც, როგორც ეს ომის დროს რევაზ ანდრონიკაშვილის და არტემ არარატელის მოქმედებიდან სჩანდა, ხოლო ომის დაწყებამდე კი ზოგიერთ უფლისწულთა და მაღალი თანამდებობის პირთა მოქმედებიდან ჯარების გამოყვანისადმი დამოკიდებულების საკითხში. ალ. ჯამბ. ორბელიანი გადმოგვცემს, რომ „ქიზიყიდან შეყრილი ჯარი ცხრა ათასი მეტი სიღნახის ბოლოდგან დაშალეს. ფშავ-ხევსურეთისა თუშეთისა და კახეთის ჯარი არც კი მოკრიფეს. იმერითგან თვით მეფე სოლომონი მოვიდა... მოწინავეთ და სამი ათასი მეომარი მოჰყუა, მაგრამ დანარჩენი შვიდი ათასი კი აღარ მოუვიდა, იქაც ჰყუანდნენ მეფეს ირაკლის მტრები. ათი ათასი ქართლის ჯარის მოკრეფაც მოაშალეს. ჩერქეზის მხრიდგან რომ ბრძანა, აღარც ის მოახდინეს. ათი ათასი ყაზახ-ბორჩალოსი და შამშადილის ჯარებიც აღარ მოკრიფეს. ...მოიმედე მეფე ირაკლი, რომ ოც აგვისტოს სულ ერთიანად ჩუენი ჯარები ქ. ტფილისში უნდა შეიყარნენო, 23-ი აგვისტოც მოვიდა, არავინ იყო ქალაქში. მეფე წყენას მიეცა და ოთხსავ კუთხივ მსრბოლელები გაგზავნა, მაგრამ ყუელგან ეშმაკები იყუნენ დამკვიდრებულები და ეშმაკურის ცბიერებით მოიშორეს. ამის პასუხები მოუვიდა მეფეს, ზოგი აგვისტოს გასულს, ზოგი სექტემბრის დამდეგს, რომ უთუოდ ამ ორს-სამს დღეზედ მოვლენ ჯარებიო. ამის იმედით წავიდა წინ თავის ოთხი ათასისა კაცით და მეფე სოლომონიც სამი ათასისა იმერლებითა“[4] ყაზახში.

---

[1] „მოამბე“. 1895 წ., № 8, გვ. 129—131.

[2] А. А. Цагарели, Грамоты, т. I, стр. 191—196; Акты, т. I. стр. 186.

[3] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1948 წ., გვ. 412.

[4] „მოამბე“, 1895 წ., № 8, გვ. 133—134.

მაგრამ, ყაზახში ძალთა დიდი უთანასწორობის გამო ერეკლე იძულებული იყო თავი ეერიდებინა აღა-მაჰმად-ხანის ძირითად ძალებთან შეხვედრისათვის და თბილისის მისადგომებთან სოღანლუღისკენ დაეხია.

ერეკლეს იმედი ჰქონდა, რომ იმ დღეებში თბილისში საქმაო ძალები მოიყრიდნენ თავს და მას საშუალება ექნებოდა გენერალური ბრძოლა მიეცა იქ მტრისათვის. „მეორე დღეს შაუათს შუადღისას,—წერს ალ. ჯამბ. ორბელიანი,—მეფე ირაკლი მოვიდა თავის მცირედის ჯარით სოღალუხის ვიწროებში, კიდევ მოიმედე: ქალაქში რომ მივალ, დიდრონი ჯარები დამხვდებაო“[1]. ერეკლეს მეხივით დაეცა, როდესაც მას მოახსენეს, რომ, თბილისში არავითარი ჯარები არ არისო. ამ მდგომარეობას არ შეეძლო არ დაეცა იმ მცირერიცხოვანი ჯარის საბრძოლო განწყობილებაც, რომელიც ერეკლეს ახლდა.

ამ გარემოებას თან დაერთო აშკარა ღალატიც. სოღანლუღში „იმ შაფათს ღამეს რევაზ ენდრონიკაშვილმა თავის მხრის თავადები დაიბარა დიახ საიდუმლოთ და დიდის დაფიცებით შეთქმა მოახდინა მეფის ირაკლის საწინააღმდეგოთ, რომ ჩუენ აღა-მაჰმად-ხანის ომი არ შეგვიძლიან; ისევ სჯობია ჩუენს ბატონიშვილს გიორგის ვიახლოთ სიღნაღში და ჩუენს ცოლშვილს გავუფრთხილდეთო, თორემ ყიზილბაშები მტკვარში გავლენ და ჩუენს მხარეს სულერთიან წაახდენენო. ბევრის ამგუარის ლაპარაკით მიიბირა მეფის ირაკლის გულშეწირული ერთგულები, ის ორი ათასი პირუელი ვაჟკაცი და იმ ღამესვე დიახ ჩუმათ გაეპარნენ თავის საყუარელს მეფეს... სოღალუხის მტკვრის ფონში გავიდნენ, გაღმა შამშადილის ცხუარი მთის ტყისაკენ მიდიოდა სამი ფარა, რომელნიც დაიტაცეს და ჭიზიყში გადარეკეს“[2].

ასეთ კრიტიკულ მომენტში, ორი ათასი რჩეული ვაჟკაცის მიერ საბრძოლო პოზიციების მიტოვებამ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ერეკლე. ახლა, ამ საბედისწერო ჟამს, უკვე საკმაო ფაქტები ჰქონდა ერეკლეს, რომ გაეგო ყველა ამ მოვლენების ნამდვილი ახრი. „უეჭველად ღალატია,—უთქვია მეფეს,—მაგრამ ვის ღალატობენ, მე თუ შამფულსა?—თუ ჩემთანა აქვსთ მიზეზი რამე, მამფულს რაღას ემართლებიან“[3]. ერეკლეს მოწინააღმდეგეები ჯერ კიდევ აქამდეც ავრცელებდნენ ქალაქში პანიკურ ხმებს. მათ „პარასკევს დილა-ადრიან ქალაქში ხმა დაადგეს: „მეფე ირაკლი და მეფე სოლომან თავიანთის ჯარებით სულ ერთიან წაუხდენია აღა-მაჰმად-ხანსა, ასე რომ ყიზილბაშის ჯარი გარს შემოხვეულა ქართველებსა და იმერლებსა და ერთიან დაუღუპამსო“[4]. ამ ამბების გამოსარკვევად ხასახლისკენ გაიჭრა ხალხი. მაგრამ იქ

---

[1] „მოამბე“, 1895 წ., № 8, გვ. 137.
[2] იქვე, გვ. 137.
[3] იქვე, გვ. 134.
[4] იქვე, გვ. 134—135.

მათ უთხრეს, რომ არაფერი ამის მსგავსი ცნობა მათ არ ჰქონდათ, ამ ხმებს მაინც ბევრი უჯეროდა და ქალაქიდან პანიკურად გარბოდა. ამ პანიკური ხმების გამავრცელებელი კაცები,—სწერს ალ. ჯამბ. ორბელიანი,—„თურმე... რეკაზ ენდრონიკაშვილისაგან იყო ჯარიდგან გამოგზავნილი“[1].

იმ დროს, როდესაც თბილისში ეს ამბები ხდებოდა, აღა-მაჰმად-ხანი ხელა მოიწევდა წინ. მას ეშინოდა, რომ სამხედრო საქმეში დახელოვნებულ ერეკლეს სადმე მისთვის ჩასაფრებული ადგილიდან მოულოდნელად არ დაერტყა. მისი მზვერავი რაზმები დიდი სიფრთხილით უკლევდნენ გზას ძირითად ძალებს. მალე მტერი სოღანლუღში დაბანაკდა და 10 სექტემბერს თბილისს შემოადგა. ამ დღეს, როცა მოსახლეობისათვის ასე თუ ისე ნათელი გახდა უდიდესი უთანაბრობა მტრისა და საკუთარ ძალებს შორის, უფრო მეტად გაძლიერდა პანიკა და დაიწყო მოსახლეობის უწესრიგო გაქცევა ქალაქიდან. 10 სექტემბერს თბილისი დატოვა და ანანურში გაიხიზნა დარეჯან დედოფალიც ქართველ დიდებულებთან ერთად.

დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლები თბილისისათვის. ერეკლემ თავისი მცირერიცხოვანი ძალები გადააჯგუფა. 75 წლის მოხუცი იძულებული იყო აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში ჰაღარა თავი მტრის ორლესილისა და ტყვიის წინააღმდეგ აღემართა და ომის ქარცეცხლში თბილისის კარებთან სიკვდილი ეძებნა საქართველოს სიცოცხლისათვის. ამ დროს მისი ზოგიერთი შვილები და „ენით პატრიოტები“ მშვიდ შემოდგომას განცხრომაში ატარებდნენ თავიანთ მამულებში, აქ კი ივერიის „მოხუცი არწივი“ ბრძოლის ნამდვილ სცენაზე ხმლით იძლეოდა უკანასკნელ გაკვეთილს მაჰმადიანური მახვილისაგან საქართველოს დასაცავად.

პირველ დღეს (10 სექტემბერი) ერეკლემ ისეთი დამარცხება აგემა მტერს, რომ ალ. ჯამბ. ორბელიანის ცნობით, აღა-მაჰმად-ხანს უთქვამს: „ხუალ კიდევ შევებმი და თუ ხუალაც ეს საქმე მიყო მეფე ირაკლიმ, რაც დღესა ქნა, მაშინ ავიყრები და ჩემს ქვეყანაში წავალო“[2]. ამ დროს, იგივე ალ. ჯამბ. ორბელიანის გადმოცემით, ღალატის მიზნით არტემ არარატელს გაუთავისუფლებია სპარსეთის დატყვევებული ელჩი და გაუშვია აღა-მაჰმად-ხანთან. ელჩს მისთვის უცნობებია, რომ ერეკლეს მეტად მცირე ძალები ჰყავსო[3].

11 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანმა განაახლა ბრძოლა. ამ ბრძოლაში ქართველებმა უდიდესი გმირობა გამოიჩინეს. თვითონ აღა-მაჰმად-ხანი

---

[1] „მოამბე“, 1895 წ. № 8, გვ. 135.
[2] იქვე, გვ. 147.
[3] იქვე, გვ. 148.

ამბობდა: „მე არ მახსოვს, რომ ჩემს მტრებს ოდესმე ასეთი მამაცობით ებრძოლათო"[1]. ქართველებმა მტერს ათი ათას კაცამდე გაუწყვიტეს და სამჯერ უკუაქციეს ქალაქის კედლებიდან.

მიუხედავად ასეთი გმირობისა, ერეკლეს მცირერიცხოვანი ლაშქარი მაინც იძლია სპარსთა მრავალრიცხოვანი ურდოსაგან. ძალთა ასეთი დათანასწორობის პირობებში, როგორც ე. თაყაიშვილი წერდა, ერეკლეს „პირადად ლომსაით შებმამ და თავგანწირვამ ველარ გასჭრა, შიგ შუა გულს მტრებში შევარდა და აქ ხმალდახმალ დაიწყო კაფვა მტრებისა, ცხადი იყო, რომ მას უნდოდა თავი შეეწირა საქართველოსთვის"[2].

ამ კრიტიკულ მომენტში, როცა 62 ომში გამარჯვებულ ერეკლეს ახლა სიკვდილი დაადგა თავს, ცოცხლად გადარჩენილი ქართველები ქვეშევრდომნი იცის, ეუბნებოდნენ ისინი მეფეს,—რომ შენ ხალხის და სამშობლოს კეთილდღეობისათვის არაფრად აგდებ სიკვდილს, მაგრამ თუ ბედმა უკვე გვიმუხთლა, მაშინ შენი სიკვდილით ნუ გაზრდი მტრის ზეიმს. შენ საჭირო ხარ სამშობლოსათვის"[3]. როცა ამგვარმა მუდარამ შედეგი არ გამოიღო, მაშინ ერეკლეს შვილიშვილმა იოანემ 300 მხედრით გაიკაფა გზა და ბრძოლაში თავდავიწყებული ერეკლე პირდაპირ ხელიდან გამოგლიჯა ყიზილბაშებს. მეტი გამოსავალი არ იყო. ერეკლეს და ცოცხლად დარჩენილ მის მცირე გუნდს ქალაქზე გაელით და ავლაბრის ჩიხით მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადასვლით თავშესაფარი უნდა ეძიათ მთებში, სადმე არაგვის ხეობისაკენ.

ალ. ჯამბ. ორბელიანის გადმოცემით, როცა ერეკლე მივიდა ავლაბრის „...შუა ხიდზედ ცხენი გამოატრიალა და შეწუხებულმა დაიძახა: წუეტა სად მივდივარ?—წავალ და მეც ჩემ შვილებთან მოვკვდები ამ ქალაქის ხალხში და იმათ ვნებას მე ვერ ვნახავ"[4]. მაგრამ შვილიშვილმა იოანემ და სხვა თანმხლებმა პირებმა მეფეს არ მისცეს ქალაქში შემობრუნების საშუალება, მტკვრის მარცხენა ნაპირს გადაიყვანეს და მახათას მთისკენ წაიყვანეს. ამ დროს მტრის ურდოების მოწინავე ნაწილები უკვე შემოდიოდნენ ქალაქში. ისინი ეძებდნენ დამარცხებულ ერეკლეს და მუსრს ავლებდნენ ქალაქის მშვიდობიან მცხოვრებლებს.

ერეკლეს მახლობელმა კაცმა, ვინმე ალავერდ-ბეგმა, რომელიც ხიდზე ერეკლეს გასვლის შემდეგ თვითონ იქვე დარჩა, გზა აუბნია ერეკლეს მაძებარ სპარსელებს. მათ კითხვაზე, თუ ვინ იყო ის, მან უპასუხა: „მე ჯავათხანის კაცი ვარო"[5] მათ მეორე კითხვაზე, ხომ არ იცოდა მან,

---

[1] Н. Дубровин, III, გვ. 40.

[2] „მოამბე", 1895 წ., № 8, გვ. 118.

[3] Н. Дубровин, III, გვ. 40.

[4] „მოამბე", 1895 წ., № 8, გვ. 157.

[5] ჯავად-ხანი განჯის ხანი იყო, რომელიც აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ გამოვიდა და შეხვედრებას უწევდა თბილისზე ლაშქრობაში სპარსეთის ჯარებს.

თუ საით წავიდა ერეკლე, მან უპასუხა, რომ ერეკლე მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით მიდისო. სპარსელებიც იმ მხარეს გაეშურნენ. ამაოდ ეძებდა ერეკლე მშვიდობით მივიდა მახათას მთის ძირში. აქ, იგივე ალ. ჯაბ. ორბელიანის გადმოცემით, ქალაქში დატრიალებულ ხოცვა-ჟლეტაზე „მწარედ მოთქმა, დაიწყო მეფემ ირაკლიმ: „ოჰ ღმერთო, რას ვხედავ და ან რა ხმა მესმის? ჩემო საყვარელო შვილებო, მე თქვენს ამაღლებას ვცდილობდი, მე თქვენის ბედნიერებისათვის ვზრუნავდი თქვენი მცირე მწუხარება ჩემთვის სასიკვდინო იყო და სიხარული ბედნიერებად! ...ნაცვლად თქვენის დღესასწაულისა, დღეს საშინელება ტრიალებს თქვენზე, ნაცვლად თქვენის მხიარულის საკრავებისა, დღეს ატადის კალოს ხმა მესმის თქვენზედ მოსული, ნაცვლად თქვენის უჯავრელის სიმღერისა, დღეს თქვენი მწარე ტირილი ზეცაში ღაღადებს. რამთენი თმა გაწეწილი დედანი და ქალნი წევიან და კივიან ეხლა, ის ხმა შენ არ გესმის ღმერთო?—რამდენი კაცი ყელ-გამოჭრილი ეყრებიან ეხლა, ამაებს ვერა ხედავ, ღმერთო?—ჩემო ძმებო, ჩემო შვილებო, ჩემო მეგობრებო!... მე თქვენთვის უნდა მომკვდარიყავ და თქვენ ჩემთვის იხოცებით. აბა რიღას მეფე ვარ, რით დაგიფარეთ?“[1].

ამაზე უფრო ძლიერი გაპარტახება და ხოცვა-ჟლეტა, რაც მრავალჯერ ნაომარ თბილისს ახლა დაატყდა თავს, წინათ არ განუცდია. ქალაქი მთლიანად გააპარტახეს, დაწვეს და დაჩეხეს აღა-მაჰმად-ხანის ურდოებმა. მათ „თბილისის დანგრევა თლილი ქვისა და მარმარილოს აბანოებიდან დაიწყეს. შემდეგ დაანგრიეს თოფხანა, ზარაფხანა, სამღივნო შენობა, სემინარია, სტამბა, ბატონიშვილების და თავადიშვილების სახლები, ავლაბრის ხიდი, კაპუცინების ეკლესია მისი სკოლითა და წიგნთსაცავით. მიწასთან გაასწორეს მეფის სასახლე მისი ფლიგელებითა, ჩამეურნეო შენობებითა, მარმარილოს ლომისთაყიანი შადრევნითა და აუზებით. სხვათა შორის გაანადგურეს მეფის მდიდარი წიგნსაცავიც. მანამ სასახლეს დაანგრევდნენ, ის ერთიანად გაძარცვეს; სხვათა შორის, გაიტაცეს ოქრო-ვერცხლის შანდლები და სანათურები, ბადიები, ლანგრები, და სურები, ძვირფასი ნოხები და სარაფანდები, მეფის გვირგვინი და სკიპტრა. გაძარცვეს აგრეთვე ეკლესიები“[2].

დანგრევას და დაწვას გადაურჩა თითო-ოროლა სახლი. ერთი სიტყვით, ქალაქი ისე მოისრა, რომ დამწვარი და დაჩეხული სახლების ნანგრევებისაგან გადახერგილი იყო ქუჩები და გაევლა შეიძლებოდა მხოლოდ ორ მათგანზე, რომელიც აგრეთვე დანგრეული იყო[3]. ქალაქში დაბრუნებული მოსახლეებიდან ზოგს თურმე იმ ადგილის პოვნაც კი უჭირდათ, სადაც წინათ მათი სახლები მდგარა. ამის გამო, როგორც ზოგი-

[1] „ცნობები“, 1895 წ., № 8, 157—158.
[2] ე. ჭ ე ქ ო ძ ე. ერეკლე მეორე. 1947 წ., გვ. 230.
[3] Н. Дубровин, III, გვ. 231.

ერთი იმ დროინდელი ცნობებიდან ჩანს, ერეკლეს ერთ დროს აზრათაც კი მოსვლია საერთოდ აეღო ხელი თბილისზე და დარჩენილი მოსახლეობა გადაესახლებია სხვა ადგილზე. ერეკლესთვის თბილისის მოსახლეობას უთხოვნია, არ მოეყვანა სისრულეში ეს განზრახვა და ამასთან დაკავშირებით სპეციალური შუამდგომლობით მიუმართავთ მისთვის[1].

გასაგებია, რომ ასეთ პირობებში სპარსეთის ურდოები ქალაქიდან გაიტანდნენ მთელ იმ სიმდიდრეს, რაც მათ ხელში მოხვდებოდათ და რის წაღებაც კი მათ შეეძლებოდათ. 1795 წლის 14 სექტემბერს ერეკლე გულდაწყვეტილი წერდა კავკასიის ხაზის სარდალს გენერალ გუდოვიჩს, რომ თბილისის უცაბედი დატოვების გამო ქალაქის მცხოვრებთა და პირადად ჩემი მთელი ქონებაც, ისიც, რაც მე წინაპრებისაგან მქონდა გადმოცემული და ისიც, რაც მე შემიძენია, მთლიანად აღა-მაჰმად-ხანს ჩაუვარდა ხელში. მათ შორის — სამეფო გვირგვინი, კვერთხი, პორფირი, დროშები, ზარბაზნები, ეკლესიების ძვირფასი განძეულობა. ერთი სიტყვით ქალაქის მთელი ქონებაო[2]. იმავე წლის 15 სექტემბერს კი თავის შვილ მირიანს და გ. ჭავჭავაძეს ერეკლე პეტერბურგში წერდა, რომ აღარაფერი უკვე ჩვენ აღარ გვაქვს, ყველაფერი დავკარგეთო[3].

ქალაქის ამ დანგრევას და გაძარცვას ემატებოდა მის მცხოვრებთა ის ხოცვა და წამება, რაც აღა-მაჰმად-ხანის ველურმა ურდოებმა მოსახლეობას მიაყენეს. ქალაქსა და მის მიდამოებში შეპყრობილი 30.000-მდე ტყვე აღა-მაჰმად-ხანმა სპარსეთის გზას გაუყენა. გზა და გზა ულამაზო და შუახნის ქალებს ცალობით და ბითუმად ჰყიდდნენ, ლამაზებსა და ახალგაზრდებს კი თეირანისა და ისპაჰანისაკენ აგზავნიდნენ[4]. მოსახლეობის დაბალი ფენებიდან გამოსულ პირებთან ერთად ტყვედ იყო შეპყრობილი მრავალი თავადი ცოლ-შვილით. ტყვეთა შორის იყო ერეკლეს მინისტრ გარსევან ჭავჭავაძის დაც[5].

1849 წლის 18 ივნისს გაზეთმა „Кавказ" (№ 25) გამოაქვეყნა ერთი ქალის მოგონება, რომელიც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას თბილისში ტყვედ ჩაეგდო ხელში ვიღაც ჯაბარ-ბეგს და ისპაჰანში წაეყვანა. ეს ქალი წერს, რომ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას ჩემი ქმარი კახეთში იყო უფლისწულ გიორგის სამსახურში და თბილისში ვიყავი მე, ათი თვის ბავშვთან და დედამთილთან ერთადო. სახლში აკვანთან ვიჯექი, როდესაც მოულოდნელად ერთი მდიდრულად გამოწყობილი სპარსელი შემოვიდა ათი ჯარისკაცით. ჩემი დედამთილი, ჯერ აწამეს გაბურებული შანთით, გვაჩვენე ძვირფასი ნივთები სად გაქვს დამალულიო და შემდეგ

---

[1] იხ. გაზ. „Кавказ", 1849 წ., 11 ივნისი, № 24 (აგრეთვე დუბროვინის დასახ. შრომა, გვ. 45).

[2] А. А Цагарели, Грамоты, т. II, вып. II, 1902 г., стр. 104.

[3] იქვე, გვ. 105.

[4] Дубровин, III, გვ. 45.

[5] А. Цагарели, Грамоты, т. II, вып. II, 1902 г., стр. 101.

მოკლეს. მე წამიყვანეს და როცა ამბოების წინ გამატარეს, დავინახე თუ ჩვილი ბავშვები სამ წლამდე, როგორ იყვნენ ქუჩაში ერთმანეთზე მყრილი და როგორ ღუპებოდნენ ისინი. შემდეგ ქალი ალწერს თავის თავგადასავალს ისპაჰანში, მაგომეტანური სარწმუნოების მიღებას და იმას, თუ იგი როგორ მიაგნო იქ ქმარმა ივანემ და როგორ გამოიტაცა საკუთარი ცოლი სამშობლოში.

მაშინდელი ცნობებით, სპარსელ ურჯუკებს ღვთისმშობლის ხატი გაუტანიათ ხიდზე, მიურეკიათ იქ ქრისტიანები და მიუციათ წინადადება, რომ მათ შეურაცხყოფა მიეყენებინათ ხატისთვის. ვინც სიცოცხლის შესანარჩუნებლად არ თანხმდებოდა საკუთარი რწმენის ამგვარ ბარბაროსულ შელახვაზე, იმას პირდაპირ ხიდიდან აგდებდნენ მტკვარში, რის გამოც მტკვარი შეგუბებული იყო დამხრჩვალთა გვამებითო[1]. ამავე დროს სპარსელი ყიზილბაშები დედებს მკერდიდან აწყვეტდნენ ჩვილ ბავშვებს, და რათა თავიანთი ხმლის ფხა გაესინჯათ, შუაზე ჰკვეთდნენ მათო[2].

სპარსელები არ ინდობდნენ თბილისში მცხოვრებ ერთმორწმუნე ირანელებსაც კი, რომელთაც თავი მეჩეთში ჰქონდათ შეფარებული. მეჩეთში შეკრილი ყიზილბაშები უწყალოდ ხოცავდნენ მათ. მაჰმადიანი მოლების მუდარაზე, ხელი არ ეხლოთ მათთვის, როგორც მართლმორწმუნე მაჰმადიანებისათვის, ყიზილბაშები პასუხობდნენ, ეს ვერ შეგვაკავებს, ჩვენ მოველით რათა საქართველოს მეფის ყველა ქვეშევრდომნი გავწყვიტოთო[3]. ყველა ის, ვინც სპარსელებმა ხელთ იგდეს, ან დახოცეს ან ტყვედ წაიყვანეს. ერთი სიტყვით, როგორც მაშინ ამბობდნენ, ყიზილბაშებმა თავისი ასეთი უმოწყალო და მძვინვარე მოქცევით ქრისტიან ქართველებს იმის მაგალითი მისცეს, თუ რაზე უარესის მოლოდინი არ შეიძლება ჰქონოდათ მათ საქიოში განკითხვის ჟამს.

ალა-მაჰმად-ხანი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე მძვინვარე დესპოტი და ვამპირი იყო. ჯერ კიდევ ბავშვობაში (6 წლის) ნადირშაჰის ბრძანებით იგი დაასაჭურისეს. ტანით პატარას, პირხმელს, გალეულს, პირტიტველს, შორიდან 14—15 წლის ბავშვის იერი ჰქონდა. ამავე დროს, როგორც დუბროვინი წერს, უწვერ-ულვაშო და დანაოჭებული სახე მას ამგზავსებდა მოხუცებულ და ჩამომჭკნარ დედაკაცს, რომელსაც მრისხანების დროს ულამაზო სახე განსაკუთრებით საშიშ გამომეტყველებას აძლევდა. ამ მახინჯსა და სასტიკ გარეგნობაში ჩაბუდებული იყო მისი უფრო მახინჯი და სასტიკი სული. დასაჭურისების გამო, გამწარებული იყო რა თავისი ბედით, იგი ამაზრზენად უყურებდა ყოველივე

[1] **Дубровин**, III, გვ. 43.
[2] იქვე.
[3] იქვე.

ადამიანურს და მზად იყო წარბის შეუხრელად და გულის აუძგერებლად ერთ კუბოში ჩაედო ადამიანთა მთელი მოდგმა.

მისი გაბოროტება იქამდე მიდიოდა, რომ სპარსეთის მბრძანებლად გახდომის შემდეგ მან დიდი ნადირ-შაჰის ძვლები საფლავიდან ამოიღო და თავის სერალის (სასახლის) დერეფანში დააგო, რათა საშუალება ჰქონოდა ყოველდღე ეთქერა და ებილწა იგი. „გვამი, რომელსაც მე ვქელავ,—ამბობდა თურმე ჯოჯოხეთიდან ამოსული ეს ცერბერი,—მნიშვნელოვნად ამსუბუქებს ჩემი გულის ჭრილობებსო“[1].

მისი ერთადერთი იდეალი იყო მიეღწია შახის გვირგვინამდე. ამ გზაზე იგი არ ერიდებოდა არაფერს. თავის ერთ ძმას მან თვალები დასთხარა, მეორე—იძულებული იყო სპარსეთიდან გაქცეულიყო. უფნებლად იყო გადარჩენილი მხოლოდ მესამე ძმა—ჯაფარ-ყული-ხანი, რომლისგანაც თვითონ აღა-მაჰმად-ხანი დიდად იყო დავალებული. ჯაფარმა იცოდა ძმის ვერაგობა და ცდილობდა ყოველთვის დიდ დისტანციაზე ყოფილიყო მისგან. მაგრამ, საჭურისს აღა-მაჰმად-ხანს მოსვენებას არ აძლევდა ჯაფარ-ყული-ხანის გამბედაობა და ვაჟკაცობა. მან გადასწყვიტა მისი დაღუპვა და აქ მან ვერაგობაში მაკიაველის მიერ რეკომენდირებულ ხერხებსაც კი გადააჭარბა.

მაზანდარანში, რომლის ერთ-ერთი ოლქის უფროსადაც ჯაფარ-ყული-ხანი იყო, აღა-მაჰმად-ხანმა გაგზავნა თავისი დედა და მისი პირით შეუთვალა ძმას, რომ იგი დააკმაყოფილებდა ჯაფარის ძველ თხოვნას ისპაჰანის მმართველად დანიშვნაზე, მხოლოდ იმ პირობით თუ ის (ჯაფარი) მაზანდარანიდან ისპაჰანში წასვლამდე ჯერ თეირანში მასთან შეივლიდა. ჯაფარმა შემოუთვალა, რომ იგი ამას შეასრულებდა, თუკი აღა-მაჰმად-ხანი ყურანზე დაფიცებით მას უშიშროების გარანტიას მისცემდა და თეირანში არ გააჩერებდა ერთ ღამეზე მეტს.

ამგვარი ფიცისა და გარანტიის მიღების შემდეგ ჯაფარ-ყული-ხანი ჩამოვიდა თეირანში, სადაც იგი აღა-მაჰმად-ხანმა „ძმური სითბოთი“ მიიღო. ღამემ მშვიდობით ჩაიარა. მეორე დღეს დილით საჭურისმა კვლავ იხმო თავისთან ჯაფარ-ყული-ხანი და უთხრა მას, რომ ვიდრე დღეს თეირანიდან წახვალთ, ჩვენს ძმისწულ ბაბა-ხანთან ერთად დაათვალიერეთ ახალი სახლი და შემდეგ ისევ ჩემთან შემოიარეთო. ამ სასახლის დათვალიერების დროს წინასწარ მოსყიდულმა და აქ ჩასაფრებულმა მკვლელებმა ისპაჰანის მაგიერ საქიშოში მისცეს გზა ჯაფარ-ყული-ხანს. მისი გაუციებელი გვამი საჭურისის ბრძანებით დაუყოვნებლივ გაიტანეს ქალაქიდან, რათა არ „დარღვეულიყო“ ფიცი თეირანში ჯაფარ-ყული-ხანის ერთ ღამეზე მეტის გაჩერების შესახებ, როგორც ეს მას იგი თვითონ შეჰპირდა[2].

---

[1] **Дубровин**, III, გვ. 2.
[2] იქვე, გვ. 283—284.

ჩვენ აღა-მაჰმად-ხანის ამ მოკლე დახასიათებაზე იმიტომ შევჩერდით, რომ ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ერეკლეს ადვილად შეეძლო მასთან საერთო ენის გამონახვით, ხელშეკრულების დადებით და რუსეთთან კავშირზე უარის თქმით, მინდობოდა მას და თავიდან აეცილებინა საქართველოში მისი შემოსევაო. საკითხის ამგვარი დაყენების დროს, ჩვენ თუნდაც სხვა გარემოებანი არ მივიღოთ მხედველობაში, ისინი ივიწყებენ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ბეჭედ დასმული ქაღალდის პირობების დარღვევა უფრო ძნელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო აღა-მაჰმად-ხანისათვის, ვიდრე ძმების სისხლის დღვრა და ყურანის ფიცის გატეხა. ეს მით უმეტეს მაშინ, როცა რუსეთზე ხელადებულ საქართველოს აღა-მაჰმად-ხანი დაიმარტოხელებდა და როცა იგი, ერთი მხრივ, მის სამხედრო უძლურებაში დარწმუნდებოდა და, მეორე მხრივ კი, სიმდიდრისა და ნადავლის წაღების დაუსჯელობაში.

ის მკვლევარები, რომელნიც ასე გულუბრყვილოდ უდგებიან ომების ახსნას, ჰგონიათ, რომ პატარა ქვეყნები, როცა ისინი დიდი ქვეყნების თავდასხმას განიცდიან, მათ ეს ყოველთვის დამსახურებული აქვთ ამ დიდი ქვეყნების მიმართ რაღაც „ცოდვის“ ჩადენით და საერთაშორისო სამართლის რაღაც ნორმების დარღვევით მათ მიმართ. ერთი სიტყვით, ისინი ივიწყებენ, რომ ომის პური არის ძალა, რომელსაც ვერ აჩვრებს ვერც სინდისი და ვერც ბეჭდიანი და უბეჭდო ქაღალდების გროვა, როცა ამ ძალის მპყრობელი სახელმწიფო ან შეცდომით, ან შეუმცდარათ დარწმუნდება, რომ ომის ფინაში მის სასარგებლოდ დასრულდება.

აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა, ეს იყო საქართველოს ვაებისა და ტანჯვის ისტორიაში ერთი დიდი ცეცხლოვანი რგოლი, რომელმაც მოსწვა და მოდაგა ქართლ-კახეთის სამეფო, წაიღო მისი დოვლათის მნიშვნელოვანი ნაწილი. მოკლულთა და ტყვეთა სახით ქვეყანამ დაკარგა თითქმის მოსახლეობის ერთი მეხუთედი. ხოლო შემდეგ დაწყებულ მასობრივი ემიგრაციის შედეგად (განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში) ეს დანაკლისი 40%-მდე გაიზარდა.

ერეკლე სამოც წელიწადს თავის ხალხთან ერთად ხმლით იცავდა ქვეყანას. და აი, ახლა, როცა მას სიცოცხლე მილეული ჰქონდა, იგი კიდევ ერთხელ საგნობრივად რწმუნდებოდა, რომ საქართველოს კისერზე საბედისწეროდ აღმართულ მაჰმადიანურ დამოკლეს მახვილს უნარი ჰქონდა გაჭრობის ბედი დაეწერა მისთვის და „დიდება ივერიისა მასთან (ერეკლესთან) ერთად დაემარხა სამარეს“. ამ მძიმე მდგომარეობის შეგნებას არ შეეძლო აფორიაქება არ შეეტანა ერეკლეს ცხოვრებაში და ტანტალოსის ტანჯვათ არ ექცია მისი სიბერის უკანასკნელი დღეები.

ერეკლე არც ოჯახური მდგომარეობის მიხედვით იყო ბედნიერი. პირველ ცოლს (ყაფლანიშვილის ქალს) იგი გაცილდა და მეორე ცოლად ხაალ აბაშიძის ქალიშვილი ანა შეირთო. ანასთან ერეკლეს 1746 წელს შეეძინა შვილი გიორგი (შემდეგში გიორგი XII წოდებული). 1749

წელს დედოფალი ანა გარდაიცვალა. ერეკლემ მესამე ცოლად დადიანის ასული დარეჯანი შეირთო.

ამ დარეჯანთან მას რამდენიმე ქალ-ვაჟი შეეძინა. მათში უფროსი ვაჟიშვილი იყო ლევანი (ლეონი). ლევანმა მალე გამოიჩინა თავი სამხედრო და დიპლომატიურ სარბიელზე. 1771 წ. 15 წლის ლევანი და ანტონ კათალიკოზი პეტერბურგში იყვნენ წასული დიპლომატიური მისიით. 18 წლის ლევანი „მორიგე“ ჯარის სარდლად (1774 წ.) დაინიშნა, ამ ჯარს დავალებული ჰქონდა ლეკთა პერმანენტული თავდასხმებისაგან საქართველოს საზღვრების დაცვა. ხალხურ გადმოცემებში ამ პერიოდიდან ბევრი ლექსი შემონახულა ლევანის გმირობის შესახებ. აი ერთი მათგანი:

„ხმალი სჭირს ბაგრატოვნისა, მეფისა ირაკლისაო.
ნებავი გაგვაცნობინა, ლევანს უჭებენ, შვილსაო!
აჯობა თავის მამასა, სანამ იცვლიდა კბილსაო.
ურჯულო შამოამტვრივა, ვით ზვავმა პირი ტყისაო.
წავიდა სარუსეთოდა, საქართველოი ჰკვირსაო:
ამან რომ პირი ჩვენსკენ ქნას, საქმე სჭირს დაღისტნისაო“.

მორიგე ჯარმა ლევანის სარდლობით შეაკავა ლეკთა თარეში. მაგრამ, თავადურმა პარტიკულაციამ, რომელთა ინტერესებსაც მორიგე ჯარის შექმნით და მასში თვით ამ თავადების და მათი ყმების ერთთვიანი გაწვევით, ერთგვარი ზიანი ადგებოდათ, მალე ლევანს დაღესტნის მაგიერ პირი სამარისაკენ აქნევინა. 1781 წელს იგი სოფელ ვეჯინში (შიდა კახეთი) თავად აბაშიძის სახლში მიიპატიჟეს, მოწამლეს და მოკლეს.

ლევანის ვერაგული სიკვდილი მეხივით დაატყდა ერეკლეს. მას იგი ყველაზე უმეტესად უყვარდა და მიუხედავად იმისა, რომ 15 შვილი და ორმოცზე მეტი შვილიშვილი ჰყავდა, ყველაზე შეტი იმედი ერეკლეს ძალიც ლევანის ჰქონდა. ეს იმედი ახლა უდროოდ ჩაესვენა სამარეში. „შეედგა მწუხარებაი სახლსა მეფისასა სიკვდილისა გამო მეფის ძისა ლეონისაო“, წერდა ერეკლეს შვილიშვილი დავით ბატონიშვილი[1]. ბაგრატ ბატონიშვილი კი გადმოგვცემს: „...იქმნა ესეცა უბედურებაი საქართველოსა შინა, რომელ უსწორო იგი ჰაბუკი მეფის ირაკლის ძე ლეონ გარდაიცვალა საოფლითა კახეთის ვეჯინის სოფელს თვესა თებერვალსა 5, და იქმნა გლოვა დიდი წელსა ერთსა მთელს საქართველოსა შინა“[2]. გულდათუთქულად დაიტირა ლევანი ბესიკმაც თავის „სამძიმარში“[3].

ლევანის სიკვდილის ნამდვილი მიზეზები ცნობილი არ არის. ერთი გადმოცემის მიხედვით, იგი თავად ასათ ვაჩნაძის მეუღლემ განგმირა ხანჯლით, რომელსაც თითქოს ლევანი უხეშად მოექცა. სხვა ცნობის მიხედვით იგი შეთქმულმა თავადებმა მოწამლეს და მოკლეს. ეს ვარიანტი

---

[1] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, 1941 წ., გვ. 16.
[2] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, 1941 წ., გვ. 57.
[3] კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტ., 1954 წ., გვ 488.

უფრო ახლო უნდა იყოს ჰეშმარიტებასთან. მეფე ერეკლესო, წერს ალ. ჯამბ. ორბელიანი, „ასე გასინჯეთ, არც შვილი და არც შვილიშვილი უკარგოდა, რომელსაცა შესძლებოდა მეფობის რიგის მიცემა. ერთი იყო ლევან და ისიც უეცრად მოკვდა და უბედურს ირაკლის ისიც ხელიდან გამოაცალეს. უთქუამსთ: სხუა დედაკაცხედ მოკლესო. ტყუილია, მაშინდელი წინააღმდეგობის ჰორია. სწორეთა ვსთქუათ, დაფარუა ალარ უნდა: მოწამლეს. ამისთვის რომ მეტი კარგი რამ იყო, ჯიღა საქართველოსი და შურით ეყუეს“[1].

არის მესამე ვარიანტი, რომელსაც არავითარი საფუძველი არ უნდა ჰქონდეს და რომელიც ლევანის სიკვდილს მის ნახევარ ძმა გიორგი XII მიაწერს. ამის შესახებ ზ. ჭიჭინაძე წერდა: „ისტორიით ვიცით, რომ მეფე ერეკლე, ტახტის მემკვიდრეთ, თავის მეორე შვილს ლევანს აშზადებდა. ...გიორგიმ ამაზედ შური ჩაიდო გულში და ბოლოს ის მოახერხა, რომ მან ლევანი მოაწამლინა“[2]. ნამდვილად გიორგის მონაწილეობაზე ლევანის მკვლელობაში ისტორიას უტყუარი საბუთი არ გააჩნია, და ამიტომ, გაუგებარია, თუ რას ეყრდნობოდა ზ. ჭიჭინაძის ასეთი კატეგორიული მტკიცება.

ასეა თუ ისე, ფაქტი ის არის, რომ ერეკლემ ლევანის სახით არა მარტო შვილი დაკარგა, არამედ ყველაზე დიდი ნუგეშიც, რომელზედაც იგი თავის საკუთარ და საქვეყნო იმედსაც ამყარებდა. როდესაც ერეკლეს ლევანი მოესწრო, წერს ალ. ჯამბ. ორბელიანი, მეფემ „...მტერი იმას დაანება და თვითონ კი ქვეყნის მართველობას შეუდგა სრულის გულით, ...ლევან ბატონიშვილი ასეთი კარგი რამ გამოსულა, რომ მართლა მარჯუენა მხარი მეფისა ირაკლისა, თითქმის თავის მამას სჯობნებია, რომელსაც, სწორედ იმას სცოდნია თავისი ქუეყნის მოვალეობა რა არის. იმის დროს მეფე ირაკლიმ კარგათ დაწყო საქართველოს საქმე“[3].

მართლაცდა, ახალგაზრდა ლევანის სახელი იმდენად ყოფილა ცნობილი, რომ საქართველოს მტერს, ახალციხის ფაშა სულეიმანსაც კი უთქვია თურმე ლევანის გარდაცვალებაზე: „მოხუცების ჟამსა მეფეს ირაკლისსა, ერთი ფარდა აქუნდა საქართველოსთვის, რომელიც ოთხ კერძოვე იგურდივ იფარებდა და აწ დიდი შემწე მოეშალა ირაკლი მეფესა“[4]. ლევანის სიკვდილით ერეკლეს ცხოვრება ტრაგიკული მით უფრო იმ შეგნების გამო ხდებოდა, რომ მისი დანარჩენი შვილები ლევანივით არ ბრწყინავდნენ. მათთვის ერთგვარად ძნელი გასაგები ხდებოდა საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებამდე ამაღლებაც კი.

---

[1] ალ. ვახტ-ძე, ჯამბ. ორბელიანი, დაღესტნიდან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები, 1914 წ., გვ. 10.

[2] ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მეფეთ დროის ქართველ რესპუბლიკანელები და მეფე ერეკლეს წერილები ვენეციის რესპუბლიკური მთავრობის წინაშე, 1917 წ., გვ. 4.

[3] იხ. ალ. ჯამბ. ორბელიანის დასახ. შრომა, გვ. 11.

[4] ქართლის ცხოვრება, II, 498.

ერეკლეს მდგომარეობას ურთულებდა ქვეყნის შიგნით თავადური რეაქცია და ქართლის ბაგრატიონთა შტოს შთამომავლების პრეტენზიები სამეფო ტახტზე. როგორც ცნობილია, ერეკლეს მამა თეიმურაზი კახეთის ბაგრატიონთა შტოს ეკუთვნოდა და ქართლის ტახტზე იგი ნადირშახის მხარდაჭერით გამეფდა. 1760 წელს თეიმურაზი პეტერბურგში გაემგზავრა, რათა რუსეთის მეფისათვის ეთხოვნა ჯარი ან ფული ჯარის დასაქირავებლად. მაგრამ „წელსა 1762 გარდაიცვალა მეფე თეიმურაზი პეტერბურხს იანვრის 8. წამოიღეს გვამი მისი მუნ მყოფთ ქართველთა თავადთა და ვერ უძლეს ქართლს გადმოტანად და დაფლეს ასტრახანსა სობოროსა შინა"[1]. მამის გარდაცვალების შემდეგ ერეკლემ „...მიიღო ქართლიცა სამეფოდ და შეაერთა ქართლი და კახეთი ერთ სამეფოდ, განყოფილი სამასი წლისა"[2].

თეიმურაზის გარდაცვალებით უნდოდა ესარგებლა ქართლის მეფის, ვახტანგ VI უკანონო შვილს პაატას. ერეკლესა და მისი ოჯახის ამოსწყვეტად და ამ გზით ტახტის ხელში ჩასაგდებად მან შეთქმულება მოაწყო. ამ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდნენ თავადები „თაქთაქიშვილი ივანე, ამილახვრისშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე და აზნაურნი სხვანი"[3]. შეთქმულება 1765 წელს გახსნილ იქნა. პაატას თავი მოჰკვეთეს, თაქთაქიშვილი ცეცხლში დაწვეს, ხოლო ამილახვრისშვილ ალექსანდრეს ცხვირი მოსჭრეს.

ქართლის ტახტისათვის იბრძოდა ალექსანდრე ბატონიშვილიც (ბაქარის ძე). ამ მიზნით იგი დახმარებას ხან ქერიმ-ხანს თხოვდა, ხან ბაბა-ხანს (ფათალი-ხანს), ვიდრე იგი ეკატერინე II ბრძანებით არ იქნა დაპატიმრებული სმოლენსკის ციხეში, სადაც იგი გარდაიცვალა კიდეც[4].

ერეკლეს დიდი ბრძოლა დასჭირდა გამაჰმადიანებული ბაგრატიონის — აბდულა-ბეგის და მისი შვილების წინააღმდეგაც, რომელნიც აგრეთვე ცდილობდნენ აზატ-ხანის დახმარებით ქართლის ტახტზე გამეფებას. საერთოდ როგორც ტახტის ეს პრეტენდენტები, ისე თავადები თავიანთი რეაქციული მიზნების განსახორციელებლად „...ერთანაირი ხალისით უკავშირდებოდნენ საქართველოს ყველა მტერს: ყიზილბაშებს, ოსმალებს, ლეკებს თუ სხვებს"[5]. ალ. ჯამბ. ორბელიანის გადმოცემით ერეკლეს წინააღმდეგ იბრძოდა შეძლებულ სომეხთა ჯგუფიც. ერეკლე დიდი პოლიტიკური გამჭრიახობის და სამხედრო ტალანტის შერწყმით ახერხებდა ამდენი ვაი-ვაგლახის გადატანას და ქვეყნის შინაური და გარეშე მტრისათვის ასე თუ ისე ლაგამის ამოდებას.

---

[1] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა. 1941 წ., გვ. 51.

[2] იქვე, გვ. 51.

[3] იქვე, გვ. 53.

[4] იქვე, გვ. 53—57.

[5] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1948 წ., გვ. 384.

ერეკლეს ეს სამხედრო ტალანტი და მოქნილი პოლიტიკა კარგად იყო ცნობილი მისი თანამედროვეებისათვის. უკვე მე-18 საუკუნის 50-იან წლებიდან ერეკლეს სახელი განთქმული იყო არა მარტო წინა აზიაში, არამედ ევროპაშიც. 1753 წელს პარიზში გამოცემულ პეისონელის წიგნში ერეკლე შექებული იყო როგორც ნიჭიერი სარდალი და ჯარგი პოლიტიკოსი. პეისონელი წერდა, რომ ერეკლე არის „ყველაზე უფრო სრული პიროვნება, როგორიც კი კიდევ გამოჩენილა აღმოსავლეთში. ის არის 27 წლის. მის ფართო ბუნებას ავსებს ხნოვანებასთან შედარებით მისი მეტი ჭკუა, დიდი გამოცდილება, შეუდარებელი მამაცობა, მუდმივი სამართლიანობა და განუსაზღვრელი ლმობიერება. ეს ღირსებები მას ხდიან თავისი ხალხების და ჯარისკაცების სათაყვანებელ კერპად, მეზობლების საკვირველებად და მტრების რისხვად. თავის მოპყრობაში და ტანისამოსის ხმარებაში ის არის მარტივი და უბრალო, მაგრამ მთელს მის პიროვნებაში გამოსჭვივის დიდებულების იერი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ის არის ხელმწიფე სასახლეში და სარდალი თავის ჯარში“[1]. ერეკლეს სიძამაცით აღტაცებული იყო ცნობილი გერმანელი დრამატურგი და კრიტიკოსი ლესინგიც. ხოლო პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდი კი ერეკლეს შესახებ ამბობდა: ევროპაში მე ვარ პირველი, ხოლო აზიაში ერეკლეო.

ერეკლე მამაც სარდლად და ნიჭიერ პოლიტიკოსად ჰყავდა წარმოდგენილი მის თანამედროვე რუს მოღვაწეებსაც, რომელნიც მას ახლო იცნობდნენ. ასე, მაგალითად, 1770 წელს რუსეთის მთავრობის მიერ ერეკლესთან მოვლინებული კაპიტანი იაზიკოვი მის შესახებ წერდა: „მეფე ერეკლე 52 წლისაა. შუა ტანის, სახე აქვს მოგრძო, ყვითელი, თვალები დიდი, წვერი პატარა... ფრიად მოხერხებულია და განთქმული მხედარი. ...ჰყავს შვიდი ვაჟიშვილი და ექვსი ქალიშვილი. ...როგორც კი მტერს მიუახლოვდება დასარტყმელად, იგი პირველი მიექანება ხმლით, რადგანაც უიმისოთ მეომარნი ისეთი გაშმაგებით არ მიდიან მტერზე“[2].

80-იან წლებში რუსი გენერალი პ. პოტიომკინი ერეკლეზე წერდა: „მეფე ირაკლი შუა ტანისაა, ფიცხი ხასიათი აქვს. ლაშარაკის დროს შებლშეჭმუხვნილი იყურება ქვემოდან. შეიძლება ითქმის, რომ თანამოსაუბრის სახის მოძრაობა დაიჭიროს. ცოტაოი წელში მოხრილია, ვინაიდან უკვე 62 წლისაა, მაგრამ ჯერ კიდევ მხნედაა. ირაკლი მეფე ეკუთვნის იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც ისე შეუძლიათ პასუხის მოცემა, რომ ჰოც გამოდიოდეს და არაც. ესაა არაჩვეულებრივი ჭკუის ადამიანი, იშვიათად მომთმენი და გასაოცრად მომქმედი. მთელი ღამეები ფხიზლობს, ვინაიდან თვითონ ხელმძღვანელობს თავისი სახელმწიფოს

---

[1] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ერეკლე მეორის გმირობა და თავდადება. 1942 წ., გვ. 18—19.

[2] А. Цагарели, Грамоты, т. I, стр. 183.

საქმეებს; ცოტა სძინავს. აზიურ პოლიტიკას კარგად იცნობს გამოცდილებით"[1].

ერეკლეს სამხედრო სიდიადესა და დიპლომატიურ ნიჭზე მრავალი ცნობები მოიპოვება მის თანადროულ ქართულ წყაროებში. ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე წერს, რომ რადგან ერეკლე მოსვენებას არ აძლევდა ახალციხის საფაშოს, ამიტომ სულეიმან ფაშას შთაგონებით ხონთქარმა ერეკლეს სპარსეთის მბრძანებელ ქერიმ ხანთან უჩივლა. ხონთქარი, როგორც ო. ხერხეულიძე გადმოგვცემს, ქერიმ-ხანს წერდა: „თუმცა ჩვენსა და თქვენს შორის არს მშვიდობა, რამეთუ ხავ-გეყოფიეს. გარნა ეგრეთცა აღგიშვია ერთი ლომი (რომელ არს საქართველოს ვალი), რომელი ეზოხრებს მარადის სამფლობელოსა ჩემსა და ამის გამო იხარჯვის ჩემგან არა მცირედი ხაზინანი, რომლისათეის მაქვს განცხადება მეგობრობისადმი თქვენისა, რათა დააყენოთ იგი ესე ვითარისა მძლავრებისაგან". იგივე რომანის გადმოცემით, ქერიმ-ხანს თურმე უთქვამს, რომ ერეკლეს ამგვარი მოქმედება „...ჩემი დიდება არის როელ ხონთქარი დააჩოქა და ჩემთან აჩიელებსო"[2].

ქართული წყაროები ხაზს უსვამენ ერეკლეს შეუპოვარ სიმამაცეს და დაუღალავ ბრძენებას ქვეყნის თავდაცვისათვის გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ. ერეკლეს შვილიშვილი ბაგრატი თავის „ახალ მოთხრობაში" წერდა: „მე საქართველოს მეფის გიორგის ძემან ...ბაგრატმან ვიგულისმოდგინე და შევჰკრიბე ესე მოთხრობანი სანატრელისა და ღვთისსადმი განსვენებულისა, მხნისა და სახელოვანისა მეფისა... მეფისა ირაკლისა, პაპისა ჩემისა, რომელიცა დაუშრომელად დღეთა თუისთა სიყრმიდგან ვიდრე სიბერემდე არა ზოგავდა თავსა თუისსა ერთგულებისათუის და ზრუნვისათუის ერისა თუისისა, რომელიცა სახელოვანმან ამან კაცმან მრავალგზის ადიდა სახელი თუისი ბრძოლისა თვიტარსა ზედან"[3]. ხოლო ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე წერდა: „...შრომანი და ღვაწლნი მეფისა ირაკლისანი არა ადვილ შესაძლებელ იყო აწერაო"[4].

წყაროები ხაზს უსვამენ ერეკლეს იდეურ შეუპოვრობას: დაიცვას თავის შეხედულება და რწმენა სიკვდილის საფრთხის წინაშეც კი. როდესაც 17 წლის ერეკლე ნადირ-შახთან მძევლად ჩავიდა სპარსეთში, რათა შეეცვალა ნადირთან ტყვეობაში მყოფი მამა თეიმურაზი, „ნადირმა ჰკითხა უფლისწულს, ხომ არ მიიღებდა იგი მაჰმადიანურ რწმენას. ირაკლიმ გაბედულად უპასუხა, რომ შახს შეუძლია ხელჰყოს მისი სიცოცხლე, მაგრამ რწმენის შეცვლა მას არ შეუძლია[5]. ამას ახალგაზრდა ერეკ-

[1] გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, 1947 წ., გვ. 198.
[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 495.
[3] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, 1941 წ., გვ. V.
[4] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 500.
[5] С. Кишмишев, Последние годы Грузинского царства, 1898 წ., გვ. 14: ქართლის ცხოვრება, II, გვ. 477.

ლე უბედავდა ნადირ-შახს, რომლის შიშითაც მაშინ მთელი აზია ძრწოდა, რომელმაც საკუთარ შვილს ნასრულა მირზას თვალები დასთხარა და რომლის ხმალიც ასეთი „მკვახე პასუხის“ გამო შეიძლებოდა კისერზე დასცემოდა ერეკლეს.

ორი წლის განმავლობაში ნადირის სარდლობით ერეკლე იბრძოდა ინდოეთში და მონაწილეობას იღებდა ინდოეთის მთავარი ქალაქის დელის აღებაში, რომელსაც დიდი მოღოლი 340 ათასი ჯარისკაცით და 2000 სპილოთი იცავდა. აქ, შორეულ ინდოეთში მიიღო ქართველმა უფლისწულმა მსხვილი მასშტაბის და მძაფრი ომის პირველი დიდი გამოცდილება. ამ ომის შესახებ თვითონ ნადირ-შახი წერდა: „მაღალი ღმერთის მიერ შეჭმნილი სამეფოები და გზები ისეთე ადვილად ჰპრებიან, როგორც ზღვის ტალღების ზედაპირზე მოსრიალე წყლის ქაფიო“. ინდოეთიდან ერეკლე თავის დის ანასთავის მოწერილ წერილში აღწერდა იმ გმირობას და სამხედრო მოხერხებას, რასაც ნადირის არმია ინდოეთში იჩენდა და იმ ვაი-ვაგლახსაც, რის გადატანაც ერეკლეს პირადად იქ უხდებოდა. ერთ წერილში ერეკლე აღწერს ხაიბერის უღელტეხილის გადალახვას და დასძენს „ერთი ისეთი ციოდა, რომ თითქმის დაგვახმო ცხენი და კაცი დაგუბდის ამ ვიწროში. ეს ჯარი დავდექით ამ სიცივეში და იძახიან: ალლა! ალლა!“ შემდეგო, წერს ერეკლე „...დადგა სიცხე, დიაღ ნამეტნავად შეგვაჭირვა; მე ჩქარა გამოვიარე და ურდოში რომ შემოველ, დამიწყო გულის სუსტობა და ერთი ბეწვი გამიწყდა, რომ ცხენიდამ არ გადმოვარდი და ჩემთან ჯიშერის მეტი არავინ იყო“[1].

ნადირშა მალკოლმის ვარაუდით ინდოეთიდან წამოიღო 700 მილიონი მანეთის ნადავლი[2]. ნადირის მადას არ აკმაყოფილებდა რა ინდოეთიდან გამოტაცებული სიმდიდრე, მან შემდეგ პაპუას ორბელიანის გადმოცემით გადასახადი შეაწერა არა მარტო ქართლ-კახეთის ყველა მცხოვრებს 10 წლის ზევით, არამედ ყველა მეშა პირუტყვს და სათითაოდ დათვლილ ვაზისა და ხეხილის ყველა ძირსაც[3]. იქ, ინდოეთში ნადირ-შახისათვის ქართველ ჯარისკაცებს ხმლითა და სისხლით უნდა დაეგროვებინათ სიმდიდრე. აქ,—საქართველოში, ქართველ გლეხებს კი, ოფლითა და შრომით. ასეთი იყო დამპყრობისა და მოძალადის ხმლის წვერით დაწერილი კანონი.

ინდოეთის ლაშქრობის მოთავების შემდეგ ნადირმა ერეკლე სამშობლოში გამოისტუმრა 1739 წლის 28 მაისს და იმავე წლის 13 სექტემბერს ერეკლე თავის ამალით უკვე თელავში იყო. ამიერიდან ერეკლეს განუწყვეტელ ბრძოლებში იყო თურქების, სპარსელების და ლეკი აბრაგების წინააღმდეგ. წერილი შეტაკებების გარდა მან თავის სიცოცხ-

---

[1] გ. ჭიჭოძე, ერეკლე მეორე, გვ 55.

[2] **Кишмишев. Последние годы Грузинского царства. стр. 34.**

[3] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 345.

ლეში 64 ომი გადაიხადა და მხოლოდ ორჯერ განიცადა მარცხი (აჯი-ჩალაბთან პირველი შეტაკების დროს 1751 წელს და კრწანისის ომში 1795 წელს). თავისი სამხედრო მამაცობის, ხელჩართული ბრძოლის წესების სრულყოფილად დაუფლების და ბრძოლაში ხელითა და თვალით მანძილის არაჩვეულებრივი სისწრაფით გამოზომვის წყალობით, იგი ისე ჩავიდა სამარეში, რომ არ მიუღია არცერთი ჭრილობა. და ეს იმ დროს, როდესაც არა მარტო ჯაბუკობის, არამედ მოხუცებულობის დროსაც იგი პირველი ეშვებოდა ბრძოლის ქარცეცხლში და უკანასკნელი სტოვებდა მას.

როდესაც 1751 წელს თავრიზის მფლობელი აზატ-ხანი ერევანთან 18 ათასიანი არმიით აღმოჩნდა ქართველთა 5 ათასიანი არმიის წინააღმდეგ, ერეკლეს მისი ზოგიერთი სარდლები რჩევას აძლევდნენ, რომ მას ძალების დიდი უთანასწორობის გამო თავი აერიდებინა ბრძოლისათვის და უკან დაბრუნებულიყო. ამ კაპიტულიანტურ წინადადებაზე, როგორც ისტორიკოსი ომან ხერხეულიძე გადმოგვცემს, ერეკლემ მათ უპასუხათ: „იცოდეთ მე აზატ-ხანის შეუბმელი არ დავსდგები, ამაღამ რომ გავიქცეთ, ხვალ გზაზედ მოგვეწევიან და უნამუსოდ ჩიკვდილს ნამუსიანად სიკვდილი სჯობსო, ესე ყველამ უწყით, რომ სიკვდილის შვილნი ვართ და ჩვენს გვარსა და სახელსა ერის დღის სიცოცხლისათვის ნუ მოვაყივნებთო“[1]. ჯარს კი ასე მიმართა: „ჩემო ძმანო და შვილნო, თქვენ ჩემის განძლიერებისა და ჩემის გულისათვის იხოცებით და მე ღმერთთან თქვენი დიდი მოვალე ვარო და დღეს რაც მე გითხარით, ის დამიჯერეთ და სისხლსა თქვენსა მე ვინდობ“[2].

ბრძოლის დაწყების წინ, აზატ-ხანს თურმე მისმა ერთმა მატრაკვეცა ხანმა სთხოვა: ნება მომეცი წავიდე და ერეკლე მეფე ცოცხალი მოგვგაროო. ამ „ნებართვის“ მიღების შემდეგ ხანი ცხენით მოიჭრა ქართველთა ჯარის განლაგებასთან და საკუთარ ძალასთან შეუფარდებელი ქედმაღლობით დაიძახა: „ჰამამან ჰანიერ ირაკლი ხან“—(სად არის ირაკლი მეფეო). ერეკლე სწრაფად გადმოუხტა ხანს და შესძახა: „მე ვარ მეფე ერეკლეო“[3] და ამ სიტყვებთან ერთად თავზეხელაღებულ ხანს ერეკლემ სიკვდილიც აძგერა და ცხენიდან გადმოიღო. ქართველმა ჯარმა თავგანწირვით შეუტია მტერს, უკუაქცია, სდია 30 კილომეტრის მანძილზე და სასტიკად დაამარცხა იგი.

მომდევნო წელს (1752 წ.) ერეკლემ სამაგიერო მიუზღა წინა წელს დამარცხების გამო შაჭი-მარვანის ხანს აჯი-ჩალაბსაც და სასტიკად შეშფოთა იგი. 1754 წელს ნურსალ-ბეგთან ომის დროს თვითონ ერეკლემ ჩამოკაფა ლეკი ხმალდახმალ. ერეკლემ ასპინძის ომში ასევე ჩამოკაფა

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 485.

[2] იქვე, გვ. 485.

[3] იქვე, გვ. 486.

ხმლით ლეკთა ბელადი კოხტა[1], ამგვარი ხანების, ბეგების, კოხტა ბელადების და მათი რიგითი მეომრების სისხლში ბევრჯერ ამოვლებული სამშობლოს დამცველ ქართველ მეომართა ხმალი. მაგრამ რიცხვით კატასტროფიულად შემცირებულ (0,5 მილიონი) ქართველ ხალხს, რაც არ უნდა გმირობა გამოეჩინა, ყოველი მხრიდან კალიასავით მოსეული მტრის მოძალებას მაინც თავისი გაჰკრნდა. ამიტომ, ერეკლეს შეეძლო ეთქვა პოეტ ილო მოსაშვილის სიტყვებით:

„რამდენი ვკაფე მომდგარი მტერი, —
ვერ დავასვენე ქართველი ერი...
ახალი მტერი არ გვაცლის ლოდინს,
სპარსელის კვალზე — ოსმალო მოდის...
ისევ ნაბადი, უნაგირო, ტეხა ღამისა
ისევ ბრძოლაში დამშეული ხმლების ყიჟინა![2]

ამ ხმალსა და უნაგირზე, ამ ღამის ტეხასა და ხმლების სისინში, როცა ჩვეულებრივად ერეკლეს მხოლოდ სამი საათი ეძინა დღე-ღამეში[3], ილეოდა პატარა კახის სიცოცხლე. მაჯას ძალა აკლდებოდა, წვერს თოვლის ფერი ედებოდა და ქვეყანას მტერი ემატებოდა.

მე-18 საუკუნე, ეს იყო ქართველი ხალხისათვის ერთ-ერთი ყველაზე შავბედითი ეპოქა, როცა დიდი ილია ჭავჭავაძის თქმით: ღვთის მიერ სამოთხედ გაჩენილი ქვეყანა მას თავდადებულ შვილებს კინალამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცათ.

მე-18 საუკუნის საქართველოზე მეორე დიდი ქართველი პოეტი, ლეკი ამბაგების მიერ ქართლიდან დაღესტანში გატაცებული დავით გურამიშვილი კი წერდა:

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთელის,
თუ არ ბრძენი, ენა-მჭევრი!
იფქლი ღვარძლად გარდაიქცა,
ზედ მობრუნდა ცეცხლის კვერი.
....თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი,
ჩერქეზ, ღლიეი, დიდო, ჭისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ,
ყველამ წაჰკრა თითო ჭიშტი![4]

---

[1] ქართლის ცხოვრება. II, გვ. 492.

[2] ციტ. „მნათობი", № 2. 1954 წ., გვ. 42, 43.

[3] ციტ. „მოამბე", 1895 წ., № 8, გვ. 130.

[4] დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, ალ. ბარამიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1930 წ., გვ. 47.

ერეკლეს, რომელსაც ქვეყნის ბედ-იღბალი ჰქონდა მინდობილი, არ შეეძლო ელოდნა, თუ როდის წყარავდნენ მტრები საქართველოს უკანასკნელ სასიკვდილო ჭიშტს და როდის ამოთხრიდნენ ისინი მას საბოლოოდ ისტორიიდან. როცა ხმალი საქმეს აღარ შველოდა, როცა დროის დინებაც საქართველოს საწინააღმდეგოდ მოქმედებდა და მისთვის ცოცხალი ძალისა და მატერიალური დოვლათის განლევა მოჰქონდა, ასეთ ვითარებაში ლოდინი ქვეყნის მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობის რადიკალურ შეცვლაზე, მხოლოდ უაზრობა და დაღუპვისაკენ მიმავალი გზა იქნებოდა. ეს იქნებოდა ჯსნის გზების ძიების მაგიერ გაურკვეველობით გამოწვეული პასიური ლოდინი, რომლის სტარტიც ხელმძღვანელთა დაბნეულობით დაიწყებოდა და ფინიში კი ქვეყნის დაღუპვით დამთავრდებოდა.

ერეკლეს სიდიადე იმაშია, რომ ამ კრიტიკულ მომენტში მისი გონება მის ხმალზე უფრო მჭრელი აღმოჩნდა და შეცდომათა მრავალრიცხოვანი ხლართების განკვეთით მან სწორად მიაგნო გორდიის კვანძის გასაღებს. თუ რამდენად ძნელი და რთული იყო ამ გზის პოვნა და მასზე გაბედულად დადგომა, ეს თუნდაც იმით მტკიცდება, რომ დღესაც ბევრი ჩინოსანი ისტორიკოსი ებმება იმდროინდელი ვითარებით მოქსოვილ შეცდომათა იმ ქსელში, რომელსაც მაშინ ერეკლემ ესოდენ დიდებულად გაართვა თავი.

ილია ჭავჭავაძე წერდა: „რა არ გაღაგვხედია თავს, რა მტრები არ მოგვსეეიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჯენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გაეუძელით, ყველას გავემაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგთემურებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენი კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვაშხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვეღლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდეგით...“[1]

ერეკლემ კარგად იცოდა ისიც, რომ არსად იყო იმის გარანტია, რომ რომელიმე ასეთი მოსრნის და გლეჯვის შემდეგ მტერი მას თავს გაანებებდა, და ისიც, რომ ვიდრე პატარა საქართველო დიდი მაჰმადიანური მზეცის პირისპირ იდგა, არაფერი არ უშლიდათ ხელს, რომ ხან სპარსეთს და ხან თურქეთს გაეგრძელებინათ მისი ეს მოსრნა და გლეჯვა იქამდე, ვიდრე მას საერთოდ არ დაუკარგავდნენ ფეხზე წამოდგომის უნარს. მე-12 საუკუნიდან მე-18 საუკუნემდე განვლილი 6 საუკუნე, რომლის დროსაც ადამიანთა რეზერვებით, და აგრეთვე, ტერიტორიალურად და ეკონომიურად ქვეყნის განლევა ხდებოდა, იმას ამტკიცებდა, რომ მის

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზ., სრული კრებული, ტ. V, 1955 წ., გვ. 11.

მტრებში მისი მოსრნის და გლეჯვის მადა იზრდებოდა. უფრო მეტიც, ერეკლეს არც ის გამოპარვია მხედველობიდან, რომ ეს მადა თურქეთსა და სპარსეთს განსაკუთრებით მე-18 საუკუნეში გაეზარდათ იმასთან დაკავშირებით, რომ შექმნილი საერთაშორისო სიტუაციის გამო საქართველოს ტერიტორიას ახლა უფრო მეტი სტრატეგიული მნიშვნელობა მიეცა.

ამიტომ იყო, რომ ერეკლემ იქამდეც, ვიდრე სპარსელი საფურისი (ალა-მაჰმად-ხანი) თავის მარწუხს საქართველოს დედაქალაქს შემოადებდა, კარგად იცოდა, რომ მარტო გაშიშვლებული ხმლით საქართველოს დაცვა შეუძლებელი ხდებოდა. ვინაიდან, ერთი მხრით თვითონ ეს მოხდენები ილეოდნენ რიცხობრივად, და თანამედროვე ტერმინით, რომ ვთქვათ, ომრიტებოდნენ ქვეყნის თავდაცვისათვის საჭირო სხვა მუდმივ ფაქტორები, და, მეორე მხრით კი, უფრო ძლიერდებოდა მტრის დაწოლა. ახლა კრწანისის ომის ტრაგიკული დამთავრება ამ რწმენის მხოლოდ პრაქტიკული დადასტურება იყო. ამით აიხსნება, რომ ერეკლემ ადრევე დაიჭირა თავდარიგი, რათა ხმლისა და დიპლომატიის (რუსული ორიენტაცია) გადაჯვარედინებით გამოენაზა ისეთი გზა, რომ პატარა საქართველო არ ჩაძირულიყო მეზობელი მაჰმადიანური ქვეყნების დიდ მორევში.

თუ რამდენად მიაღწია მისმა ამ მიზანმა განხორციელებას და რამდენად გაუტოლდა ან გაუსწრო ერეკლე პოლიტიკოსმა ერეკლე სარდალს აქ, ამაზე საგნობრივად შეუძლია მსჯელობა ყველა იმ ადამიანს, ვის გონებასაც არ შეხებია იუპიტერის მსახვრელი ხელი და არ შეჰპარვია გოგოლის პეტრუშკას ავადმყოფობა. უბედურებაც იმაშია, რომ მას შემდეგ, რაც ერეკლეს ნაომარი ძვლები მცხეთის მიწამ მიიბარა და მისი სახელი და საქმენი კი ისტორიამ, მისი როლის შეფასებას თითო-ოროლა მკვლევარის გამოკლებით, უმთავრესად ხელს კიდებდნენ იუპიტერის მიერ დალახვრული ადამიანები, რომელნიც ისევე ცუდად კითხულობდნენ ერეკლეს ეპოქას, როგორც გოგოლის პეტრუშკა კითხულობდა წიგნს.

ერეკლეს ეს „მკვლევარები“, რომელთაც არც ოსმალო და ყიზილბაში აწუხებდა და არც ის, რომ ისინი ლეკი ბრაგების ცხენებზე დაკრულნი მოელოდნელად დაეცხტნის მთებში აღმოჩნდებოდნენ, ეპიური სიმშვიდით მსჯელობდნენ ერეკლეს „შეცდომებზე“. მათ არ ძალუძდათ მოეხდინათ ერეკლეს შეფოთიანი ეპოქის რეპროდუქცია გონებაში და დაეკავშირებინათ იგი ერეკლესთან და ერეკლე მასთან. შიშისა და ძრწოლის ეპოქიდან მშვიდობიან ხანაში გადასულნი, როცა მათ აყრასა და მთებში შეხიზნვაზე არც მდევრის დაძახების მოლოდინი ჰქონდათ და არც იმისი, რომ მზის ჩასვლიდან მზის ამოსვლამდე მათ ოჯახის წევრთაგან ვინმე გამოაკლდებოდათ სათვალავში ლეკი ბრაგების გატაცების, ან ხმლით საკუთარ ჭერქვეშ დაკოდის გამო, უადვილებდათ მათ ერეკლეს

„შეცდომების“ „აღმოჩენას“. მათ სცენაზე გამოჰყავდათ მკვდარი ერეკლეს, გრიმებში გამოწყობილი ცოცხალი ორეული და საჯაროდ ასამართლებდნენ მას საქართველოს „დაღუპვისათვის“. აცხადებდნენ მას პოლიტიკურად გულუბრყვილო ადამიანად.

ერეკლეს ამ რანგის კრიტიკოსთა მტკიცებით „უნიჭო“ პოლიტიკოსმა და დიპლომატმა ერეკლემ რუსული ორიენტაციის აღებით თავით დაღუპა ის, რაც ნიჭიერმა სარდალმა ხმლით გააკეთა საქართველოსათვის. დიმიტრი ჭიაბროვი 1919 წელს პირდაპირ წერდა, რომ „...ირაკლი II იყო რა მეტის-მეტად რაინდი, შორს იყო მოქნილი და მოხერხებული პოლიტიკისაგან“[1] და სწორედ ამ უნიჭო და მოუქნელი პოლიტიკის შედეგად მიიყვანა მან საქართველო დამოუკიდებლობის დაკარგვამდეო. თვითონ ჭიაბროვის პოლიტიკური და დიპლომატიური „გენია“ იმაში ჩანდა, რომ იგი ბოლშევიზმს თავგამოდებით ებრძოდა[2] და წერდა, რომ „თუ ლენინთან საქართველო არ აწარმოებდა არავითარ მოლაპარაკებას, დენიკინთან მას შეეძლო საერთო ენა გამოენახაო“[3].

აი, რა პოლიტიკური პლატფორმის ხალხი იწუნებდა ერეკლეს სავარეო პოლიტიკას. ობიექტურად ყველა ეს ჭიაბროვები, რომელნიც ერეკლეს საგარეო პოლიტიკას აკრიტიკებდნენ, თვით მათი საკუთარი პოლიტიკა მე-18 საუკუნის საქართველოსათვის ისეთივე დამღუპველი აღმოჩნდებოდა (რომ იგი პრაქტიკულად განხორციელებულიყო), როგორც დამღუპველი იყო დენიკინსა და ინგლისის იმპერიალიზმზე კურსის აღების მათი პოლიტიკა მე-20 საუკუნის საქართველოსათვის.

ერეკლე, რომელსაც ყველაზე მეტად აწვა ზრუნვა ქვეყნის ბედიღბლისათვის, ფიქრობდა, რომ ხალხსა და სამშობლოზე გულის აცრუება და ქვეყნის ხსნის პოლიტიკიდან მისი დაღუპვის პოლიტიკაზე გადასვლა არ შეიძლებოდა იმის გამო, რომ ზოგიერთ ანგარ და გონება შეკრეჭილ ადამიანისათვის როგორც მის დროს, ისე მომავალშიაც გაუგებარი დარჩებოდა მისი პოლიტიკის ჭეშმარიტი აზრიცა და რეალური შედეგებიც.

ერთი სიტყვით, მან კარგად იცოდა, რომ ყანას ცეცხლს არავინ წაუკიდებდა მასში სარეველა ბალახის გაჩენის გამო, და, რომ არ მოხერხდებოდა ისტორიის გამარგვლა უმადური ადამიანებისაგან, რომელთა მოსავალიც ყოველმა ეპოქამ იცის. მაგრამ ერეკლეს იმის იმედი კი ალბათ ჰქონდა, რომ მომავალში, როცა მისი ორიენტაციის რეალური შედეგები სახეზე იქნებოდა, მაშინ გონებასუსტ ადამიანებსაც გაუადვილდებოდათ მისი პოლიტიკის მიუდგომელი შეფასება.

დღესაც საოცრად რეკს ყურში ერეკლეს ბრძნული ანდერძი, რომლის შესახებაც, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, 1798 წელს დარე-

---

[1] Д. Чнабров, Грузия и Россия. 1919 г., стр. 22.
[2] იქვე, გვ. 58.
[3] იქვე, გვ. 56.

ჯან დედოფალი წერდა რუსეთის იმპერატორ პაველ პირველს: „მეფემან ჩვენმან, დღესა აღსასრულისა თვისისა განმომეორა მე ჩვეულებრივი ბრძანება თვისი... რათა უმაღლესი საფარველი თქვენი გეცხვნდეს ნეგეშად და მაცხოვარებად“[1]. ერეკლე, როცა ასე მტკიცედ დადგა რუსეთის ორიენტაციაზე, ალბათ, დიდებული ფლორენციელის მსგავსად ფიქრობდა: „იარე შენი გზით და დაე, ადამიანებმა რაც უნდა სთქვანო“[2], მოვა დრო და გაირკვევა ყველაფერი—გადარჩება თუ არა წალეკას საქართველო. და მაშინ კი, საკითხი, სწორედ ამას ეხებოდა.

ეს დრო დიდი ხანია მოვიდა, და ისეთი გრანდიოზული შედეგებით, როგორის წარმოდგენაც მაშინ საერთოდ არ შეიძლებოდა. მაგრამ თვითონ ერეკლეს სახელი ქონდრის კაცებს არა თუ ისევ მიკრული ჰყავთ საბრალდებულო სკამზე, არამედ მას ახალ ღვედებსაც უმატებენ. ყველაფერ ამას არსებითად თურქოფილები და სპარსოფილები თურმე „პატრიოტიზმის“ გულისათვის აკეთებდნენ. თურმე პატრიოტიზმი თხოულობდა უდანაშაულო ერეკლეს სახელის ლაფში ამოსვრას. რატომ? დაიღუპა საქართველო?—არა, გადარჩა, ის კომუნიზმს აშენებს. მაშ რატომ? — იმიტომ, რომ საქართველო ია-ვარდით დაფენილი გზით არ მოდიოდა და ერეკლეს პრორუსული ორიენტაციის შედეგად რუსეთის ცარიზმმა ნას მწარედ უკბინაო.

აი, ამ უნიათო მკვლევარების მთელი მეცნიერული აქლადიდება. თურმე დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობას მოკლებულ საქართველოსათვის რუსეთის ცარიზმის კბენას ის სჯობდა რომ იგი სპარსეთს ან თურქეთს გადაეყლაპა. განა სისულელე არ არის, რომ ანტიპატრიოტულად ჩაითვალოს ისეთი პოლიტიკა, რომელმაც ისტორიული პირობებით დაღუპვისათვის მომზადებული ქვეყანა ცარიზმის კბენას დააჯერა, მაგრამ თურქულ-ირანულ სიკვდილს გადაარჩინა; ხოლო პატრიოტულად კი ის პოლიტიკა, რომელსაც იგი ამ თურქულ-ირანული სიკვდილისაკენ გარდუვალად მიჰყავდა? ჰეშმარიტად, გონებას ჰქონია არა მარტო უმაღლეს მწვერვალამდე ასვლის უნარი, რომელსაც არისტოტელე, მარქსი და სხვა გოლიათები მისწვდნენ, არამედ ზოგჯერ ისეთ უმაღლეს წერტილამდე დაშვებისაც, როცა მას არ ეუხერხულება ამგვარი გაუგებრობის სერიოზულად მტკიცება. აი რა ლოგიკის და სულისკვეთების ადამიანები გამოდიოდნენ ერეკლეს მბრალდებლებად.

ერეკლეს მბრალდებელთა პოზიციების უსაფუძვლობა მით უფრო ცხადი იყო, რომ ისინი ანგარიშს არ უწევდნენ პოლიტიკური სიტუაციის იმ გართულებას, რომელიც ამიერკავკასიაში თავიდანვე განასკუთვნებული იყო, და რომელსაც იგი დიდ სახელმწიფოებს შორის განხეთქილების ვაშლად ჰქონდა გადაქცეული. ყველა ფორმაციის ისტორიამ იცის ისეთი

---

[1] А. Цагарели. Грамоты, т. II, стр. 149.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. LV.

მოვლენები, როცა დიდ სახელმწიფოებს შორის პატარა სახელმწიფოებიც, რომელთაც საკუთარი ძალებით არ შეეძლოთ დამოუკიდებლობის შენარჩუნება, მაინც დიდ ხანს იყვნენ გეოგრაფიულ რუქაზე. ეს კი იმიტომ ხდებოდა, რომ ისინი ერთგვარ ნეიტრალურ ზონაში იყვნენ მოქცეული და აწონასწორებდნენ ამ დიდ სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ ჭიშპობას. მაგრამ, ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის ასეთი მდგომარეობა გამორიცხული იყო, რადგანაც თურქეთმა და ირანმა ადრევე დაიწყეს ურთიერთს შორის ცილობა მათი მიტაცებისათვის.

ამ საკითხს, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ერეკლეს საგარეო პოლიტიკის გაგებისათვის და რომელიც ჩვენს ზოგიერთ ისტორიკოსს არ ესმის, დიდებულად ესმოდა ილია ჭავჭავაძეს. 1899 წელს იგი წერდა, რომ საქართველო „...საცილობელი გაუხდა გარსშემორტყმულ მტრებს. ცალკე სპარსეთი, ცალკე ოსმალეთი, ხმალამოღებულნი თავს ადგნენ დამარცხებულ საქართველოს და მუქარას მუქარაზე უთვლიდნენ. სპარსეთი უწყრებოდა საქართველოს, რატომ ჩემთან არ იჭერ საქმეს და ჩემს მფარველობას ქვეშ არ ეძებ შენს დღეგრძელობას და კეთილდღეობასო. ამასვე უწყრებოდა ოსმალეთი და ახალციხიდამ მოსვენებას არ აძლევდა ქართლსა. ერთი სახელმწიფოც და მეორეც თავისთვის გამოელოდა საქართველოს. ერთსაც და მეორესაც ჰსურდათ საქართველო, თუ ხმლით არა, მფარველობის სახით მაინც ხელთ ეგდოთ. თავისი საკუთარი ჯარები შიგ ჩაეყენებინათ და ამით მაგრა მოეკიდნათ ამ ფეხი“[1].

თურქეთსა და ირანს შორის ამიერკავკასიის ქვეყნებსა და კერძოდ საქართველოზე ურთიერთ ჭიშპობის საკითხში გადამწყვეტ როლს, რა თქმა უნდა, ამიერკავკასიის ქვეყნების დოვლათი, მათი ბუნებრივი სიმდიდრე და სტრატეგიული მდებარეობა თამაშობდა. სწორედ ამ გარემოების გამო თურქეთსა და ირანს საუკუნეთა მანძილზე არ ჰქონდათ ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ ხანგრძლივი ნეიტრალიტეტის ინდიფერენტული პოლიტიკა. გასაგებია, რომ ასეთი ვითარება ამიერკავკასიის ქვეყნებს საჯიჯგნ ობიექტად ხდიდა თურქეთსა და ირანს შორის და ართულებდა მათ მდგომარეობას. შემდეგ ხანებში ამ ქვეყნების მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, როდესაც კავკასიის მთებს ჩრდილოეთიდან მოადგა რუსეთის ცარიზმი და ამ მეტოქეობაში მესამე წევრად ჩაება.

რადგანაც ამ პერიოდიდან რუსეთის ცარიზმისათვის ამიერკავკასია და კერძოდ საქართველოს ხელში ჩაგდება მთელი შუა და ახლო აღმოსავლეთის გასაღებად იქცა, ცხადია, რომ მას არ შეეძლო ამაზის კონტინენტზე იერიში მიეტანა თურქეთის სამფლობელოების წინააღმდეგ, თუ იგი ფეხს არ მოიკიდებდა ამიერკავკასიაში და კერძოდ თბილისში. რად-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზ., სრული კრებული, ტ. IV, 1955 წ., გვ. 207—208.

განაც, როგორც მარქსი წერს, თბილისი წარმოადგენდა ცენტრალურ პუნქტს აზიაში რუსეთის ცარიზმის ძალაუფლების საყრდნობად[1]. რუსეთს შეეძლო თბილისის შემდეგ ბათუმის დაკავებით,—როგორც მარქსი წერს—„...შეეწყვიტა ტრაპიზონის მეშვეობით მიმდინარე ეკპრობა ინგლისსა და სპარსეთს შორის, შეექმნა თავისთვის საოპერაციო ბაზა როგორც ინგლისის, ისე მცირე აზიის წინააღმდეგ"[2]. ეი რატომ შეიძლებოდა გადაქცეულიყო საქართველო, დიდ სახელმწიფოებს შორის, კიდევ უფრო ძლიერი და გამაპარტახებელი ომების კერად, რომლის დროსაც იგი ერთ-ერთი მეტოქე სახელმწიფოს მახვილით იქნებოდა დაპყრობილი.

გასაგებია, რომ თუ წინათ უმთავრესად ხარკი და ნადავლი უბიძგებდა ირანსა და თურქეთს ამიერკავკასიის ოკუპირებისაკენ, ახლა მას უფრო მეტი ძალით მიემატა სტრატეგიული მომენტი. ამიერკავკასიისაკენ რუსეთის ცარიზმის წამოწევის გამო, ირანი ცდილობდა თავისი ჩრდილოეთი საზღვრები დარუბანდის ვიწრო ზოლისა და აღმოსავლეთ კავკასიის მთებისათვის მიებჯინა, გადაეკეტა დარიალი, გაეუმჯობესებინა თავისი სტრატეგიული მდგომარეობა და დაემონავებინა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ყველა ხალხები.

იგივე გარემოება ბალკანეთში შევიწროებულ თურქეთს უბიძგებდა — უფრო მეტად გაეძლიერებინა აგრესია დასავლეთ ამიერკავკასიაში, მეტი ყურადღება მიექცია თავისი კავკასიური სამფლობელოების დაცვა-გაფართოებისათვის. დასავლეთ საქართველოს ოკუპირებით თავისი საზღვრები აქ კავკასიის მთებამდე მიეწია და მამისონის და სხვა უღელტეხილების გადაკეტვის გზით უზრუნველეყო თავისი ჩრდილოეთი ფლანგის უშიშროება, ამიერკავკასიის დაპყრობილი ქვეყნების თავის იმპერიაში შესანარჩუნებლად[3].

აღსანიშნავია, რომ ეს საკითხიც, რომლის გაგებაშიც ასე უმწეოდ იმნება ზოგიერთი ჩვენი ისტორიკოსი, ძალიან კარგად ჰქონდა გაგებული იგივე ილია ჭავჭავაძეს. იგი წერდა: „როგორც სპარსეთმა, ისე ოსმალეთმა კარგად იცოდა, რომ დიდი საქმეა საქართველოს ხელში ჩაგდება მისთვის, ვინც დაასწრობს. ვინც საქართველოში ფეხს მოიმაგრებდა, იგი დიდს ზემოქმედებას იქონიებდა მთელს დასავლეთს და მცირე აზიაში და სვე-ბედი აზიის შესახებ პოლიტიკისა ხელთ ჩაუვარდებოდა სხვათა შესახუთავად. გარდა ამისა, არც სპარსეთს უნდოდა რომ საქართველოს

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. X, 1933 г., стр. 555.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. IX, 1933 г., стр. 400.

[3] აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ მაშინდელი თურქეთი, არამედ ახლანდელიც ადგენს თავებედურ და ფანტასტიურ გეგმებს თავისი საზღვრების კავკასიის მთებამდე გადმოწევის შესახებ. თურქული გაზეთი „კარაკეზი" წერდა: „ჩვენი ჩრდილოეთი საზღვარი დუნაიზე გადის. აღმოსავლეთისა კი კავკასიის მთებზე.. ჩვენ დავეუფლებით მიწას, რომელიც ჩვენს საკუთრებას წარმოადგენს და მოვიპოვებთ კავკასიის მთებსა და დუნაის", (იხ. გაზეთი „Известия", 1948 წ., 8 მაისი, № 108).

დაჭერით ვიწმე სხვა სახელმწიფო ახლო მოსულოდა, არც ოსმალეთს, რადგანაც საქართველო ამ ორსავე სახელმწიფოს საზღვრად და გზად ედვა. თუმცა რუსეთისაგან შიშს ეს ორივე სახელმწიფო ერთად უნდა ეშოქმედებინა, მაგრამ ასე არ მოუხდათ. სპარსეთს უნდოდა მარტოს სჭეროდა საქართველო, ჯერ ვითარცა კარი რუსეთიდამ აზიაში შემოსვლისათვის დასაკეტი და მერმე ვითარცა გზა ოსმალეთის შესალახველი. ამასვე ჰლამბდა ოსმალეთი და სპარსეთს არ ანებებდა საქართველოს დაჭერას, თვით სწუუროდა ეს კარი და გზა თითონ ჰქონებიყო და სპარსეთისათვის მუქარად ხელთა სჭეროდა"[1].

ასეთ ვითარებაში, ცხადი იყო, რომ რუსეთი, რომელიც ითვალისწინებდა კავკასიის მთებზე მისი შეჩერების საშიშროებას, აგრეთვე ცდილობდა ამ მთებზე დროულად გადმობიჯებას იქამდე, ვიდრე თურქეთ-ირანი მოასწრებდა ამიერკავკასიის მთლიან ოკუპირებას და ვიდრე ისინი საქართველოს წაქცევას შესძლებდნენ.

ცხადი იყო, რომ თურქეთ-ირანის მხრივ ამიერკავკასიის ოკუპირება და საქართველოს წაქცევა დიდი ხნით დასცემდა დამბლას რუსეთის მთელ წინა აზიურ და შუაღმოსაელეთის პოლიტიკას. ამ პოლიტიკას კი, როგორც ცნობილია, რუსეთის ცარიზმი პეტრე დიდიდან დაწყებული, ვიდრე უკანასკნელ პერიოდამდე, ე. ი. თვით ცარიზმის დამხობამდე ეწოლიავებოდა. მაგრამ, როგორც ი. ბ. სტალინი წერდა, რა თქმა უნდა, რუსეთის ცარიზმის ეს „დაპყრობითი პოლიტიკა მთელი მისი სისაძაგლითა და სიბინძურით სრულიადაც არ შეადგენდა რუსეთის მეფეთა მოსპოლიას. ყველასათვის ცნობილია, რომ დაპყრობითი პოლიტიკა ახასიათებდა აგრეთვე—არა ნაკლებად, თუ მეტად არა—ევროპის ყველა ქვეყნის მეფეებს და დიპლომატებსაც"[2]. ამავე დროს, არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ „...რუსეთის თითქმის ყველა ომი სულთანის თურქეთისა და შაჰის სპარსეთის წინააღმდეგ, თავისი ობიექტური შედეგებით, უდავოდ პროგრესულ, განმათავისუფლებელ ხასიათს ატარებდა"[3].

ეს კი იმ გარემოებით აიხსნება, რომ, როგორც ენგელსი 1851 წელს წერდა, „რუსეთი ნამდვილად ასრულებს პროგრესულ როლს აღმოსავლეთის მიმართ... რუსეთის ბატონობა ცივილიზატორულ როლს ასრულებს შავი და კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიისათვის, ბაშკირეთისა და თათრებისათვის"[4].

მარქსის აზრით კი, რუსეთი ასეთსავე განმათავისუფლებელ როლს თამაშობდა თურქეთის მიერ დაპყრობილი ევროპელი ხალხებისათვის,

---

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზ., სრული კრებული, ტ. IV, 1955 წ., გვ. 208.

[2] ეგრ. „პარტიული მშენებლობა", 1941 წ., ივნისი, გვ. 4.

[3] ე. ბურჯულაძე, საქართველოს დაყოფისა და დამონების ინგლისელ-თურქ დაპყრობათა გეგმების ჩაშლა, 1953 წ., გვ. 224.

[4] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XXI, 1929 г., стр. 211.

რომელთა ცხრამეათედსაც უნდა „დაენახა რუსეთში თავისი ერთადერთი დასაყრდენი, თავისი განმათავისუფლებელი, თავისი მესია“[1].

გასაგებია, რომ იგიეს თქმა არ შეიძლებოდა თურქეთის შესახებ. პირიქით, თურქეთი, როგორც ენგელსი წერდა, „ფეოდალიზმის ყველაზე დაბალ და ბარბაროსულ საფეხურზე“ იდგა, თავი გაჭრნდა დაპყრობილი ქვეყნების უზომო ხარკითა და, მარქსის თქმით, „...ლეგიტიმისტური ევროპის სნეულ ადგილს წარმოადგენდა“[2]. თურქეთის იმპერიის ამგვარი ხასიათით აიხსნებოდა, რომ, როგორც მარქსი წერს, შემდეგ, მე-19 საუკუნის შუა წლებშიც „თურქეთთან შეერთების პერსპექტივა მათ (მთიელების. — მ. ა.) აღფრთოვანებას არ იწვევდა“[3].

აი რა ხასიათის საერთაშორისო სიტუაციასთან უნდა იქნეს დაკავშირებული ერეკლეს რუსული ორიენტაცია და გიორგიევსკის ხელშეკრულების დადების ფაქტი. ერეკლეს ამ რუსულ ორიენტაციას, როგორც უკვე აღნიშნული იყო, განაპირობებდა ქვეყნის მძიმე საშინაო მდგომარეობაც. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ქვეყნის ამ მძიმე საშინაო მდგომარეობაზე დ. გურამიშვილი წერდა:

„კახელების აღმა ხნული
ქართველებმა დაღმა ფარცხეს....
ძმამ ძმას სახრე გარდუჭირა,
მტერთ კობალი თავში დასცხეს,...
უკუღმართად ხვნა და ფარცხვამ
ეს ნაყოფი გამოიღო:
მოგვითხარა ქართლ-კახეთი
ძირ ფესვიან ამოიღო!“[4].

ქვეყნის ეს შინაგანი აშლილობა და ფეოდალების ურთიერთ მტრობა, მე-18 ს. მეორე ნახევარში კიდევ უფრო გამძაფრდა, იმასთან დაკავშირებით, რომ გაძლიერდა თვით ფეოდალური სისტემის კრიზისი.

დ. გურამიშვილის გადმოცემული აზრი, რომ ამ პირობებში თითქოს მე-18 ს. I ნახევარში ქართლის მეფე ვახტანგ VI სამშვიდობო პოლიტიკას თამაშობდა, არ ასახავს საქმის ნამდვილ ვითარებას. გურამიშვილი წერდა:

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. IX, 1933 г., стр. 384.
[2] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. IX, 1933 г., стр. 373.
[3] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. X, 1933 г., стр. 525.
[4] დ. გურამიშვილი, დავითიანი, 1930 წ., გვ. 51.

„მეფეს სძრახავდენ, იტყოდენ
ეგვეითარსა გმობასა:
სამს დიდ ხელმწიფეს პირს აძლევს,
სამგან იკეთებს ყმობასა!
ყეენის სპასალარია,
თავს ირჭვამს მის რაყმობასა!
და რუსთ ხელმწიფესთან მამობს,
ხვანთქართან ჩემობს ყმობასა"[1].

ვახტანგ VI რუსული ორიენტაციის მომხრე იყო. მაგრამ, შექმნილი სიტუაციის გამო, ერეკლე ახლა უფრო გარკვეულად და ცხადად ამ სამი მეტოქე სახელმწიფოდან (თურქეთი, ირანი, რუსეთი) ერთ-ერთს (ამ შემთხვევაში რუსეთს) უნდა მიკედლებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაშინ ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობის გამო, მას ბრძოლის ველზე რომელიმე მათგანის მხრივ ძალით და მახვილით მოელოდა დაპყრობა. და განა იგი სწორად არ მოიქცა, როცა მან ეს არჩევანი რუსეთზე შეაჩერა? ვინც აქ ერეკლეს „შეცდომას" ხედავდა, განა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ობიექტური ფაქტორების გამო დამღუპველი დასავლეთის ორიენტაციის გამორიცხვის დროს და სხვა გამოსავალის არ არსებობის პირობებში, ერეკლეს ეს „შეცდომა" მხოლოდ მაშინ „გამოსწორდებოდა", თუ საქართველო რუსეთის მაგიერ თურქეთს ან ირანს შეაფარებდა თავს? განა კიდევ რაიმე საბუთი იყო საჭირო იმის დასადასტურებლად, რომ ანტირუსული ორიენტაცია აქ ლოგიკის უდრეკი კანონების წყალობით გარდუვალად გადადიოდა თურქულ-ირანულ ორიენტაციისაკენ?

ამავე დროს, განა ცხადი არ იყო, თუ რა სასაცილო მდგომარეობაში იყენებდნენ თავს ანტირუსული ორიენტაციის ყველა ეს მეაბჯრეები, როდესაც ისინი ფორმალური მედდურობით „პატრიოტიზმის" ჩიხტა-კოპს იდგამდნენ თავზე, მაშინ, როდესაც არსებითად თურქოფილობას და სპარსოფილობას ქადაგებდნენ? ცხადია, ყოველივე ეს იმას ნიშნავდა, რომ მათ თავი შეირცხვინეს ერეკლეს პოლიტიკური და დიპლომატიური ნიჭის შეფასებაში.

მართლაცდა, ხომ ცხადია, რომ ერეკლეს არჩევანი აქ თურქულ-ირანულ ორიენტაციასთან შედარებით რუსული ორიენტაციისათვის პრაქტიკული უპირატესობის მიცემაში, გასაოცრად ემთხვევა თეორიულად ამავე საკითხზე მარქსიზმის კლასიკოსთა აზრს. საინტერესოა, ხომ არ ჰქონდათ მადა ანტირუსული ორიენტაციის ყველა ამ ჩია დონკიხოტებს, ერეკლეს შეცდომის „გასწორების" შემდეგ „გაესწორებინათ" პოლიტიკის საკითხებში აზროვნების ეს ტიტანებიც? რა უყოთ! ზოგჯერ

[1] დ. გურამიშვილი, დავითიანი, 1930 წ., გვ. 58.

იმგვარი საოცრებაც ხდება, რომ ციცინათელები მზესაც კი უწუნებენ ძალას.

ერთი სიტყვით, ობიექტური მიდგომის და ერეკლეს დროინდელი საქართველოს საგარეო და საშინაო მდგომარეობის მეცნიერული ანალიზი ადასტურებს არა ერეკლეს პოლიტიკური და დიპლომატიური უნიჭოებას, არამედ იმას, რომ აქამდე ზოგიერთების მიერ მხოლოდ „ხმლის ქაცად“ ცნობილ პატარა-კახში, ჩვენ იმ დროისათვის დიდი დიპლომატი და პოლიტიკური მოღვაწე გვყავს. ყოველივე ეს კი იმას ამტკიცებს, რომ უნდა ჩადგეს ერეკლეს მბრალდებელ ჩია მეისტორიების მიერ მისი სახელის ირგვლივ ატეხილი ქარ-ბუქი, ხოლო სამბრალდებულო სკამი უნდა დარჩეს, რათა მასზედ წამოჯდნენ ერეკლეს ყველაზე უტიფარი მბრალდებლები და როლები მათ შორის შეიცვალოს. მეცნიერულად მთელი სისრულით უნდა აეხადოს ფარდა თუ საიდან გაჩნდნენ ეს მოარული თეორიები და რატომ დასჭირდათ მათ ავტორებს ევროპასა და აზიაში ნაქები, ისტორიის მსვლელობით გამართლებულ და ხმლის ტარზე დაბერებულ ასპინძის გმირში პოლიტიკური და დიპლომატიური სისუსტის „აღმოჩენა“, იმ დროს, როდესაც საქმე ჩვენ პირიქით მდგომარეობასთან გვაქვს.

პატარა კახი თავის გაწრთობული ცხოვრებით, საქართველოს ხსნისათვის მაჯისა და გონების მთელი ძალების შელევით, ღირსია დაბოლოს „მოითხოვოს“ საქმის არსებითი განხილვა. ჩვენმა ისტორიულმა მეცნიერებამ და ლიტერატურათმცოდნეობამ, როგორც უფრო ადრეული, ისე ერეკლეს ეპოქის, დიდთან ერთად ბევრი პატარა მოღვაწე იპოვა და გააცოცხლა. ერეკლეს შესახებ კი, მართალია, აქა-იქ ხანდახან ჩნდება ლიტერატურა, მაგრამ, ისინი არსებითად გვერდს უვლიან ერეკლეს მიძართ ერთ საუკუნე ნახევრის მანძილზე დაგროვილ ბრალდებათაგან მის რეაბილიტაციას. საჭიროა ეს საკითხი ჩვენი ისტორიული მეცნიერების აქტუალურ თემად გადაიქცეს.

ერეკლეს ყველა ამ ჩია მბრალდებლების უბედურება იმაში იყო, რომ ისინი ერეკლეს საგარეო პოლიტიკის „მშობლებად“ რაღაც ტორიჩელის სიცარიელეში იზოლირებულად მყოფ ერეკლეს მიიჩნევდნენ, და არა ერეკლეს ეპოქას. მათ არ ესმოდათ, რომ ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის შეფასება არ შეიძლებოდა მისი ეპოქისაგან მოწყვეტით. „კელნის გაზეთის“ მოწინავეში (№ 179) მარქსი წერდა „....ფილოსოფოსები არ იზრდებიან როგორც სოკოები მიწიდან, ისინი არიან პროდუქტი თავისი დროის, თავისი ხალხის, რომელთა ყველაზე ფაქიზი, ძვირფასი, უჩინარი წვენი კონცენტრირებულია ფილოსოფიურ იდეებში. იგივე აზრი, რომელიც მუშათა ხელებით რკინის გზებს აშენებს, აშენებს ფილოსოფიურ სისტემებს ფილოსოფოსთა ტვინში. ფილოსოფია არ ჩროლავს სამყაროს გარეშე, როგორც ტვინი არ იმყოფება ადამიანის გარეშე, თუმცა იგი არც კუჭში ძევს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ფილო-

სოფია პირველად დაკავშირებულია ქვეყანასთან ტვინის საშუალებით, და მხოლოდ შემდეგ დგება იგი მიწაზე ფეხებით: მაშინ როცა, ადამიანური მოქმედების ბევრი სხვა სფერო უკვე ადრევე ორივე ფეხებით დაყრდნობილია მიწაზე და ხელებით სწყვეტენ მიწიერ ნაყოფს...“

გასაგებია, რომ თუ ეს ითქმის ფილოსოფიაზე, მით უფრო იგი ითქმის პოლიტიკაზე, რომლის კავშირიც მის წარმომქმნელ და მასაზრდოებელ ეპოქასთან კიდევ უფრო ცხადია. ამიტომ ახლა, როცა ჩვენს დროში მარქსიზმის ბრწყინვალე მეთოდოლოგიას შესაძლებლობა აქვს ეპოქასთან დაკავშირებით ახსნას ყველაზე ურთულესი სოციალური მოვლენები, პირდაპირ საოცარი იყო, თუ ერეკლეს მბრალდებლებს ადამიანის პოლიტიკური მოღვაწეობის შესაფასებლად რატომ ისევ ქვის ეპოქის დროინდელი ადამიანის „მეტრი“ ჰქონდათ თავში, და რატომ ეგონათ მათ, რომ მხოლოდ ცალკე პიროვნებანი იყვნენ პასუხისმგებელნი იმ ურთიერთობისათვის, რომელსაც ცხოვრების ობიექტური პროცესი ახვევდათ თავს ქვეყნებსა და ადამიანებს.

ამგვარი მიდგომით, ისინი უგულვებელყოფდნენ მარქსიზმის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც „...ნაკლებად, ვიდრე სხვა რომელიმე თვალსაზრისს, შეუძლია ცალკე პიროვნება გახადოს პასუხისმგებლად ურთიერთობისათვის, რომლის ქმნილებად იგი რჩება სოციალურად, რაგინდ მაღლა აიწიოს ამ ურთიერთობაზე სუბიექტურად“[1].

საკითხის ამგვარად დაყენება, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ საერთოდ ცალკეული ადამიანები ან არ უშვებდნენ შეცდომებს, ან პასუხისმგებელი არ იყვნენ მისთვის. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მათი შეცდომებიც და მათი დამსახურების გაგებაც შეუძლებელი იქნება, თუ მათ არ დავაკავშირებთ ეპოქასთან, რომელმაც ჩასახა, გამოზარდა და ძუძუ აწოვა მათ ამ შეცდომებსაც და მათ ამ დამსახურებასაც.

ერთი სიტყვით, არ შეიძლება ცალკე პიროვნების ხელში ჩაგდება და მისი მოქმედების მისი ეპოქისაგან მოწყვეტით არც ლაფში ამოსვრა და არც ვარსკვლავებამდე აყვანა. სწორედ ეს ავადმყოფობა სჭირდათ ერეკლეს მბრალმდებლებს. სწორედ ისინი არ აკავშირებდნენ ერეკლეს პოლიტიკას მის ეპოქასთან და ამიტომ ელანდებოდათ ერეკლეს შეცდომები იქ, სადაც ისინი ან არ იყვნენ და ან სადაც ეპოქა აკეთებდა „შეცდომებს“. ყოველივე ამის გამო ისინი ერეკლეს წარმოგვიდგენდნენ ჩია პოლიტიკოსად, რომელსაც თურმე არც ის ესმოდა ქვეყანას შეეძლო თუ არა დამოუკიდებლად არსებობა და არც ის, რომ მეზობელ სახელმწიფოებში ერთმანეთისაგან გაერჩია მტერი და მოყვარე, გადამშენებელი და გადამრჩენი.

მეთოდოლოგიის ამგვარი მანკიერების გამო ერეკლეს გოროზ

---

[1] მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. LIV.

მბრალდებლებს არ ესმოდათ, რომ თუ თამარის დროინდელი საქართველო არ ეძებდა არავისთან მფარველობას, და თუ ერეკლეს დროინდელ საქართველოს ეს დასჭირდა, ამაში დამნაშავე იყო არა ერეკლე, არამედ მონგოლების შემოსევებიდან ერეკლემდე მდებარე საქართველოს ისტორიის მთელი ავბედითი პერიოდი.

აი რას წერდა ამ საკითხზე ილია ჭავჭავაძე, რომელსაც არც დისერტაცია დაუცავს და არც სხვა რაიმე გზით აცხადებდა პრეტენზიას ნაფიც ისტორიკოსობაზე. „ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო,—წერდა იგი 1879 წელს,—როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და განაწილდა სამ სამეფოდ და ჯუთს სამთავროდ. ამ დარღვევამ არამც თუ მარტო ერთობის კავშირი გასწყვიტა ჩვენის სამეფოისა, არამედ საზოგადოებრივიცა. თვითოეული ჩვენგანი ერთმანეთს დაგვაშორა, ერთმანეთის გულის-ტკივილისათვის გული აგვცრუა, მოგვიკლა. მას დღეს აქეთ გაითხარა ჩვენის ბედნიერების სამარე. მას დღეს აქეთ თვითოეული დღე თითოს რასმე სიკეთეს ხელიდამ გვაცლიდა. ეს საზარო უბედურება, რომელიც თანდათან უფრო და უფრო გვიჯდებოდა სულსა და ხორცში და გვხრწნიდა თავიდამ ფეხებამდე, იგრძნეს მაშინვე ჩვენმა მამა-პაპებმა და მათგან უკეთესებმა ზედ შეაკლეს თავი ჩვენს ქვეყანასა, რომ ერთობა ხელ-ახლად ჩამოეგდოთ. ბევრმა სახელოვანმა მეფემ დალია ამაზე თავისი სიცოცხლე, ბევრმა თავგამოდებულმა მამულის-შვილმა დაანთხია ამისთვის სისხლი, მაგრამ გარედამ მტერმა და შიგნით უკეთურთა ბზარვამ და ლალვამ იმოდენა ჯაფა, სისხლის ღვრა, თავგანწირვა,—ამაოდ ჩაუტარეს დარღვეულობით დაუძლურებულს ქვეყანასა და ერთხელ ზურგშემოქცეულს ბედს ჰირი ჩვენკენ აღარ აქნევინეს[1].

ერთი სიტყვით, ერეკლეს მბრალდებლებს არ ესმოდათ ის ჭეშმარიტება, რომ მე-18 საუკუნეში დაბადებული ერეკლე არც იმაში იყო დამნაშავე, რომ მე-13 საუკუნეში თურქები ჩამოესახლდნენ საქართველოს მეზობლად, სადაც მათ შემდეგ სამ კონტინენტზე გადაჭიმული ძლიერი იმპერია შექმნეს. არც იმაში, რომ საქართველოს მეზობლად ჰყავდა მეორე დიდი მტაცებელი მაჰმადიანური ქვეყანა ირანის სახით. არც იმაში, რომ თურქეთის სულთანებს და ირანის შახებს დიდი მადა ჰქონდათ სხვა ქვეყნების დაპყრობისა და ძარცვისა და რომ, ისინი სწორედ ამ მიზნით, პერმანენტულად ესხმოდნენ თავს საქართველოსაც და, სჭარბობდნენ რა მას სამხედრო ძალებით, ათლიდნენ მას ოდიდანვე ქართულ რაიონებს. ერეკლე არ იყო დამნაშავე არც იმაში, რომ ლეკთა ბრბოები პერმანენტულად ესხმოდნენ თავს საქართველოს, სძარცვავდნენ, სწვავდნენ და ბუგავდნენ მას. ერეკლე არ იყო დამნაშავე იმაში, რომ ცხოვრების ობიექტური განვითარების შედეგად ფეოდალური ურთიერთობა თავისი სიდამპლისა და პარტიკულიაციის ზენიტში შევიდა მის დროს და გააძლიე-

[1] ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. V, 1955 წ., გვ. 73.

რა დეცენტრალისტური ტენდენციები და დასწია დაბლა ქვეყნის სამხედრო პოტენციალი. ყველა ესენი ობიექტური პირობებით ნაშობი მოვლენებით იყო და მათი წარმოქმნა ისევე არ იყო დამოკიდებული ერეკლეს ნება-სურვილისაგან, როგორც მზეზე ლაქების არსებობა.

აი სწორედ ეს ობიექტური პირობები უქმნიდნენ საქართველოს მძიმე მდგომარეობას და მათვე მიიყვანეს იგი ნაციონალური კატასტროფიის პირამდე.

საქართველომ თავისი ხანგრძლივი, მძიმე, მაგრამ სახელოვანი ისტორიის მანძილზე ბევრი ვეი-ვაგლახი გადაიტანა. როგორც დიუბუა წერდა: „ეს ერი, როგორც გრძელ-ტოტიანი, დიდის ხნის ხეზე გასული ვაზი, ხშირად გაუტაცნია, შეურყევია და აუკლია ჭარიშხალს, მაგრამ ნიადაგიდამ ამოგლეჯა მისი კი ვერ შესძლებია“[1]. ახლა კი, ერეკლეს ეპოქაში, შექმნილი მძიმე საგარეო და საშინაო მდგომარეობა მას უკვე რეალურად ნიადაგიდან ამოგლეჯითაც ემუქრებოდა.

ერეკლეს მბრალდებლების მთელი უბედურება იმაში იყო, რომ მათ არ ესმოდათ ეს. მათ არ ესმოდათ ისტორიის მიერ საქართველოს წინაშე დაყენებული ალტერნატივა. ეს ალტერნატივა კი მას უცხადებდა: ან დამოუკიდებლობისათვის უკანასკნელ ჯარისკაცამდე ბრძოლა და ბრძოლის ველზე გარდუვალი სიკვდილი, ან რუსეთის მფარველობა, ან თურქეთირანის ბრჭყალებში სულის დალევა. განა ერეკლეს უხეშობა და ღალატი იმაში იყო, რომ მან სწორად განსაზღვრა რომ ამ სამი გზიდან ორი სიკვდილისაკენ მიდიოდა და მხოლოდ ერთით შეიძლება ქვეყნის ხსნა, რომელიც მან აირჩია და რომელიც ისტორიამაც გაამართლა?

აქ, ამ ძირითად საკითხში ერეკლეს მბრალდებლები იჩენდნენ წარმოუდგენელ დაბნეულობას, როცა მათ ან არ ესმოდათ ქვეყნის წინაშე ობიექტური ვითარებით დაყენებული ამგვარი ალტერნატივის არსებობა, ან ფიქრობდნენ, რომ ერეკლეს შეეძლო ანგარიში არ გაეწია მისთვის. პირველ შემთხვევაში ეს თეორიული სიბრმავე იყო, მეორე შემთხვევაში — იდეალიზმი. მართლაცდა, განა შეიძლებოდა ამ ალტერნატივის არ დანახვა, როცა ერეკლეს ხელში ადნებოდა ქვეყანა ტერიტორიითაც, მოსახლეობის რიცხვითაც, ეკონომიკითაც. და როცა მის თვალწინ განუწყვეტლივ ელვარებდა თურქმთა, სპარსთა და დაღესტნელ ბრაგთა ორლესილი?

თუ ისინი ამ გარემოებას მართლაც ვერ ხედავდნენ, მას როდი შეეძლო მათთვის როგორც ისტორიკოსებისათვის დაფნის გვირგვინის მოტანა. მაგრამ, თუ ისინი მას ხედავდნენ და ფიქრობდნენ, რომ ერეკლეს შეეძლო მათთვის ანგარიში არ გაეწია და არ დამორჩილებოდა მათ, ეს განა იგივეს არ ნიშნავს, რომ მათ ერეკლესთვის ესაყვედურებინათ: რატომ არ ი მ ო რ ჩ ი ლ ე ბ დ ი ისტორიის კანონებს და რათ ე მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ო დ ი შენ თვითონ მასო?

---

[1] ალ. ჰ ყ ო ნ ი ა, ისტორიული ნარკვევი, ქრესტომათია, 1890 წ., გვ. 134.

ძნელია ისტორიკოსისათვის უკან დაჭანების უფრო დაბალი წერტილი მოიძებნოს, ვიდრე ისინი ამ შემთხვევაში აღწევდნენ. მართლაცდა, აქ ისინი ამჟღავნებდნენ, რომ საერთაშორისო ორიენტაციის საკითხებში უფრო ცუდად ერკვეოდნენ, ვიდრე ერკვეოდა, მაგალითად, VI საუკუნის შუაწლებში ეგრისის (კოლხიდის) ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ბელადი აიეტი. მაშინ საქმე ეხებოდა ეგრისის მიერ ორიენტაციის აღებას ან სპარსეთზე, ან ბიზანტიაზე. ჩვენთვის აქ იმას კი არა აქვს მნიშვნელობა: მართალი იყო თუ არა თვითონ აიეტის არჩევანი ამ საკითხში, არამედ იმას, რომ იგი ერეკლეს მბრალდებლებივით არ მოითხოვდა „ისტორიის დამორჩილებას“ და „დროთა ბრუნვის მიზეზით“ შექმნილ მძიმე მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობას არ აკისრებდა ცალკეულ პიროვნებას და სწორად ესმოდა, თუ რა ნიშნებით უნდა ხელმძღვანელობდეს ქვეყანა, როცა იგი იძულებული ხდება უცხო სახელმწიფოთა მფარველობა და კავშირი ეძებოს.

ეგრისის სახალხო კრებაზე სიტყვით გამოსული აიეტი ასე მიმართავდა კოლხებს: „ჩვენი სურვილი და ნატვრა ის არის, კოლხიდელების სამეფო ისევე ყოვლად ძლიერი იყოს, როგორც წინათ ყოფილა, რომ არავითარი შემწეობა უცხოელთა არ ეპირებოდეს და რომ სრულიად დამოუკიდებელი იყოს, როგორც მშვიდობიანობისა, ისე ომიანობის დროსა, მაგრამ რაკი დროთა ბრუნვისა გამო, ანუ ბედის დაუდგრომლობის მიზეზით, ანუ, შესაძლოა, ამ ორსავე მიზეზით ერთად, ასე დავუძლურდით და თვითონ ჩვენ ჩაუვარდით ხელში სხვებს, გონიერება უფრო ის იქნება, იმათ ხელში ვირჩიოთ ყოფნა, ვინც უფრო ზომიერები და მართლის მოყვარენი არიან და უფრო გატანა იციან თავიანთი მომხრეებისა“[1].

ერეკლე რომ შეცდილიყო თავისი ორიენტაციის თეორიულ დასაბუთებაში, იგი სიტყვა-სიტყვით გაიმეორებდა აიეტის ამ არგუმენტაციას და მას არაფერსაც არ გამოაკლებდა თუ არ მიუმატებდა. ყოველ შემთხვევაში, აიეტის წინადადებას: გონიერება ის იქნება იმათ ხელში ვარჩიოთ ყოფნა, ვინც უფრო ზომიერნი არიანო, ერეკლე დაუმატებდა: თურქეთსა და სპარსეთთან შედარებით, მე ასეთად მიმაჩნია რუსეთი და ამიტომ მივდივარ მის მფარველობაშიო.

ერეკლეს ახლანდელი მრჩეველები, რომელნიც მას უსაყვედურებდნენ რატომ ემორჩილებოდი ობიექტური ვითარებით შექმნილ პირობებსო, აიეტს ჩამორჩენ. ერეკლემ კი ისეთ პირობებში, როცა ხანგრძლივ ბრძოლებში განადგურებული ნაციონალური ძალები საკმარისი აღარ აღმოჩნდა ნაციონალური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, საგარეო ორიენტაციაში სწორი ხაზის აღებით სწორად გადაწყვიტა პრობლემა.

---

[1] ალ. ჯაჯანია, ისტორიული ნარკვევი, ჭრესტომათია, 1890 წ., გვ. 355.

მაგრამ ეს როგორ? საქართველომ ხომ დამოუკიდებლობა დაკარგა და ეს ერეკლეს რუსული ორიენტაციის შედეგად მოხდა?—ყვიროდნენ მისი მბრალდებლები. მათ არ ესმოდათ, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვა მომზადდა ხანგრძლივ პერიოდში ობიექტური პირობებით და აქ არც ერეკლე და არც მისი რუსული ორიენტაცია არაფერ შუაში არ იყო. რადგანაც, როგორც ჩვენ ზემოთ გავარკვიეთ, ქვეყნის საგარეო და საშინაო ობიექტური პირობებით შეიქმნა საქართველოსათვის ისეთი ვითარება, როცა მას დამოუკიდებლობის შენარჩუნება აღარ შეეძლო. სხვაგვარად, ეს იმას ნიშნავდა, რომ მას იგი უნდა დაეკარგა და დაკარგა კიდეც. ამიტომ, საკითხი აქ იმაში კი არ იყო, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა, არამედ იმაში თუ ვის ხელში სჯობდა მისი დაკარგვა. ერეკლეს და მის ორიენტაციას „შეიძლებოდა" აქ „გამოდავებოდნენ" ანტირუსული ორიენტაციის მომხრენი. მაგრამ, ისინი იქ ედავებოდნენ ერეკლეს, სადაც საერთოდ მასთან დავა არ შეიძლებოდა. ვინაიდან ის ობიექტური სიტუაცია, რომელიც მაშინ ისტორიულად შემზადებული პირობების გამო საქართველოში შეიქმნა და რომელსაც იგი დამოუკიდებლობის დაკარგვისაკენ მოჰყავდა, არ ემორჩილებოდა არც ერეკლეს გონებას, არც ერეკლეს ხმალს.

სწორედ ამ საკითხის გაუგებრობაში იყო ანტირუსული ორიენტაციის მიმდევართა შეცდომა, მათი იდეალიზმი. როგორც სჩანს, ისინი საერთოდ ანგარიშს არ უწევდნენ ობიექტურ პირობებს, და ყველაფერი უნდოდათ დაეკისრებინათ პიროვნებისათვის. მათი აზრით: ერეკლე შეცდა—საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა, რომ არ შეცდარიყო ერეკლე—საქართველო არ დაკარგავდა დამოუკიდებლობას. სწორედ ამით აიხსნება, რომ არც ერთ მათგანს (ანტირუსული ორიენტაციის მიმდევრებს), როცა ისინი ამ საკითხს (დამოუკიდებლობის დაკარგვას) ეხებოდნენ, თავი არ შეუწუხებიათ იმდროინდელი საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლით, საშინაო და საგარეო მდგომარეობის ანალიზით და არ დაუკავშირებიათ დამოუკიდებლობის დაკარგვის საკითხი ნამდვილად მის წარმომქმნელ პირობებთან.

რა თქმა უნდა, ზოგჯერ, როგორც გამონაკლისი, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ პიროვნებამ გადაწყვეტი როლი ითამაშოს ამა თუ იმ პატარა ქვეყნის ნაციონალური დამოუკიდებლობის დაკარგვის საქმეში. მაგრამ, ასეთი შემთხვევის დროსაც, საჭიროა მოხდეს მოცემული ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარების დეტალური ანალიზი და გამოირიცხოს, რომ დამოუკიდებლობის ეს დაკარგვა შემზადებული არ იყო ობიექტური ფაქტორებით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც ეს ჩვენ ზემოთ ვნახეთ, მე-18 საუკუნის საქართველოს მიმართ ასეთი გამონაკლისიც გამორიცხულია და ერეკლე თავისუფალია ამგვარი ბრალდებისაგან.

ამგვარად, ერეკლე არაფერ შუაში არ არის, რომ საერთოდ საქართველომ მე-18 ს. ბოლოს დამოუკიდებლობა დაკარგა. რაც შეეხება იმას,

რომ მან ეს დამოუკიდებლობა რუსეთის და არა თურქეთის ან ირანის ხელში დაკარგა, აქ ერეკლეს მართლაც მოუძღვის წილი, რამდენადაც მის მიერ აღებული ორიენტაცია ამზადებდა ამისათვის ნიადაგს, მაგრამ ეს არის არა დანაშაული ერეკლესი, არამედ დამსახურება. ვინაიდან, როცა ისეთი ობიექტური პირობები შეიქმნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა დაეკარგა, განა მაშინ უკეთესი არ იყო, რომ მას ეს დამოუკიდებლობა რუსეთის ხელში დაეკარგა და არა თურქეთისა და ირანის. რუსეთის ხელში საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა, მაგრამ ცარიზმის სურვილის წინააღმდეგ, კაპიტალისტურ რუსეთში და თვით საქართველოში არსებული ობიექტური პირობების შედეგად მან შეინარჩუნა ნაციონალური თვითმყოფობა, ნაციონალური სახე, მაშინ როდესაც ფეოდალური თურქეთი-ირანის ხელში, საქართველო ორივეს (ნაციონალურ დამოუკიდებლობასაც და ნაციონალურ თვითმყოფობასაც) დაკარგავდა, გაქრებოდა და გადაშენდებოდა.

რა თქმა უნდა, რუსეთისაკენ წასვლის ყველა ეს დადებითი მხარეები ერეკლემ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა. როდესაც ის რუსულ ორიენტაციას ირჩევდა და მას თურქულ-ირანულ ორიენტაციაზე მაღლა აყენებდა. მას რუსული ორიენტაციის სასარგებლოთ ხელთ ჰქონდა მხოლოდ ზოგიერთი ნიშნები, როგორც, მაგალითად, ის, რომ რუსეთი თავისი სოციალურ-ეკონომიური წყობით და მიწათმოქმედების სისტემით მაღლა იდგა თურქეთსა და ირანზე, ჰქონდა მათზე უფრო მაღალი კულტურა, იყო მათზე უფრო ძლიერი, ერთმორწმუნე, რომ რუსეთი და საქართველო წარსულში ხანგრძლივი მეგობრობით იყვნენ დაკავშირებული, რომ მათი ინტერესები საქართველოს მთავარი მტრების—თურქეთისა და ირანის მიმართ ერთმანეთს ემთხვეოდა, რომ საქართველო თავის ამომგდებ მტრებზე—თურქეთსა და ირანზე ორიენტაციას ვერ აიღებდა და სხვ. ამასთან ერთად, ერეკლეს თვალწინ ედო თურქეთის ხელში მოქცეული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სავალალო მდგომარეობა. ყველაფერი ეს საკმარისი იყო, რომ ერეკლეს რუსული ორიენტაციისათვის მიეცა უპირატესობა.

ამგვარად, ერეკლეს რუსულ ორიენტაციაში ანტირუსული ორიენტაციის მომხრეები ამაოდ დაეძებდნენ შეცდომებისა და ღალატის ფაქტებს. ამ შეცდომებსა და ღალატს ერეკლეს მიმართ ჭმნიდა, მხოლოდ მათი საკუთარი გონება, ამიტომ დროა ერეკლეს მოეხსნას ცილისწამება და დაუმსახურებლად მიკერებული კვისლინგის ტიტული. გამოიყოს ბრალდებაში მითვლილი მისი დამსახურება და ამ უკანასკნელს მიეჩინოს თავის საპატიო ადგილი. ერთი სიტყვით, დროა მოხდეს ერეკლეს რეაბილიტაცია, აღდგეს ისტორიული ჭეშმარიტება, განთავისუფლდეს იგი წვრილფეხა მასწავლებლების, და უნიჭო მრჩევლებისაგან.

თუ მე-19 საუკუნის 40-იანი წლების საქართველოს შეეძლო ნ. ბარათაშვილის პირი მიემართა ერეკლესათვის, რომ

„აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ ჰაზრი შენი
და ვსჭამთ ნაყოფს მისგან ტკბილსა აწ შენნი ძენი“,

ეს მით უფრო შეუძლიან უთხრას ჩაჩქანით თავზე და ხმლით ხელში დაბერებულ თავის დიდ ნაციონალურ გმირს დღევანდელმა საქართველომ. ერეკლეს, რომლის ნება-სურვილზეც, ერთ დროს დიდად იყო დამოკიდებული საქართველოს ბედი, რომლის გადასაწყვეტად დაყოვნებაც სიკვდილით მთავრდებოდა და ნაბიჯიც სამხრეთისაკენ, მან იგი იხსნა ნაბიჯით ჩრდილოეთისაკენ. თუ არა ეს ნაბიჯი, საქართველო სულს დალევდა ირან-თურქეთის უმთვარო ღამეში, და იგი ვეღარ მოესწრებოდა სოციალიზმის მზეს, რომლის ამოსვლასაც შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე ერთ დროს ერეკლეს ფეოდალების ყმა გლეხის ჩამომავლის აკვანში აღზრდილმა ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ მ ა.

შინაარსი

შესავალი 3

მე-18 ს. II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო და საშინაო მდგომარეობის მიმოხილვა. დამოუკიდებლობის შენარჩუნების შეუძლებლობის საკითხი 23

„ერთიანი ნაკადის“ თეორია და რუსეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის საკითხი 86

ი. ბ. სტალინი და რუსეთ-საქართველოს ძველი ისტორიული ურთიერთობის გაგებისა და შეფასების საკითხი 106

რუსული ორიენტაციის პროგრესულობის საკითხი ქართულ ლიტერატურაში 133

ანტირუსული ორიენტაცია და ქართველი ერის გადაგვარების საკითხი 146

ერეკლე II. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი 167

კორექტორი მ. ჯანდიერი

***

გადაეცა წარმოებას 15/XI 1955 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/III 1956 წ. ქაღალდის ზომა 60×92. წიგნის ანაწყობის ზომა 6,5×10,5. ტირაჟი 2000. გამომც. შეკვ. № 6. სტამბის შეკვ. № 1267. ფე 02176.

***

სააგამ.-საალრ. ფორმათა რაოდენობა 12.8
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 13.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა, უნივერსიტეტის ქ., №1.

В360 7 356 40 353

70.11

1957/1161
70

126/40

М. М. АЛЕКСИШВИЛИ

К вопросу о русско-грузинских исторических взаимоотношениях

(На грузинском языке)

Издательство Научно-методического кабинета
Министерства просвещения Грузинской ССР
Тбилиси 1956